საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ლევან ჭილაშვილი

# ქალაქები ფეოდალურ საქართველოში

გამომცემლობა „მეცნიერება"

თბილისი

1968

წინამდებარე პირველი წიგნი შესავალია შუასაუკუნეების ქართული ქალაქების შესწავლისათვის. აქ განხილულია ქართული წერილობითი წყაროების ცნობები ძველი ქართული ქალაქების შესახებ და ნაქალაქართა არქეოლოგიური დაზვერვის შედეგები. მკითხველი აქვე გაეცნობა ქალაქების და სხვა ძველი დასახლებული ადგილების სახელებს, მათ სავარაუდო განმარტებებს. ასე ცალ-ცალკეა განხილული: „ქალაქი“, „დაბა“, „უბანი“. „ციხე“, „ციხე-ქალაქი“, „ველის-ციხე“ და სხვა. გაშუქებულია ქალაქების დამოკიდებულების საკითხი მათსავე დამცველ ციხეებთან, სამეურნეო რაიონთან—დაბებთან, თვით ქალაქების ტიპოლოგია და ქალაქებთან დაკავშირებული ბევრი სხვა საინტერესო საკითხი.

# შესავალი

„ქალაქები ფეოდალურ საქართველოში" ვრცელი მონოგრაფიაა, რომლის მთლიანად გამოცემა ტექნიკური მიზეზებით ვერ ხერხდება. ამის გამო მიზანშეწონილად ვცანით მისი ნაწილ-ნაწილ გამოქვეყნება. წინამდებარე პირველი წიგნი ერთგვარი შესავალია ფეოდალური ქალაქების შესწავლისათვის. აქ არის განხილული წერილობითი წყაროების მონაცემები ძველი ქართული ქალაქების შესახებ და ნაქალაქართა არქეოლოგიური დაზვერვების შედეგები. აქვეა მოცემული ქალაქების და სხვა დასახლებული ადგილების სახელთა განმარტების ცდაც. მონოგრაფიის ამ ნაწილში მკითხველი გაეცნობა ასევე ქალაქებთან დაკავშირებული საკითხების მთელ რიგს, როგორიცაა: „ქალაქები და ციხეები", „ციხე-ქალაქები", ველისციხეები", „ქალაქთა ტიპები" და სხვ.

მონოგრაფიის მეორე ნაწილი, რომლის დასტამბვაც გათვალისწინებულია 1969 წლისათვის, ეძღვნება ადრე და განვითარებული ფეოდალური ხანის ქალაქების შესწავლას. აქ განხილული იქნება ე. წ. გარდამავალი ხანის (IV—VI სს.) ქალაქები, ამ დროს დაწინაურებული პოლიტიკური ცენტრები (თბილისი, უჯარმა, ჭერემი), ასევე „ახალქალაქების", ე. ი. ქართული ფეოდალური ქალაქების წარმოების პერიოდის ქალაქები (IX—XI სს.). ამავე წიგნში შევა XI—XIII სს. ქართული ფეოდალური ქალაქების კვლევის შედეგებიც. მკითხველი აქ გაეცნობა მთავარ საგზაო მარშრუტებს, სავაჭრო და სასაქონლო წარმოებას, ქალაქების ეკონომიურ აღმავლობას და სხვა. მეორე წიგნში განხილული ძეგლების ქრონოლოგიური ჩარჩოებია IV საუკუნიდან XIII საუკუნის ნახევრამდე. ზედა თარიღი ემთხვევა თათარ-მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობას, როდესაც ველური ურდოების შემოსევის შედეგად საგრძნობლად ქვეითდება საქალაქო მეურნეობა და ერთიმეორეზე მიყოლებით ეცემიან ქართული ქალაქები. ქალაქებმა განსაკუთრებული ზარალი განიცადეს ბერქასა და აბაღას საომარი ოპერაციების დროს 1265 წ. ახლოს. აქედან მოყოლებული, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის პირობები აღარ არსებობდა, რა თქმა უნდა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. ამდენად ბუნებრივია, რომ ფეოდალური ხანის ქართული ქალაქის ისტორიის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი XIII საუკუნის 30-იანი წლებით დაგვესრულებინა.

შემდგომი პერიოდის ქალაქები არქეოლოგიურად არ არის შესწავლილი. ერთადერთი ძეგლი, რომლითაც შესაძლებელია გვიანი შუასაუკუნეების ქალაქების მიახლოებითი სურათი დავინახოთ, არის გრემი — კახეთის სამეფოს პოლიტიკური და ეკონომიური ცენტრი. გრემი საუკუნენახევრის განმავლობაში (1466—1616 წწ.) არნახულ წარმატებებს აღწევს, სანამ ის არ დაანგრიეს

და გაანადგურეს სპარსელებმა. გრემში 1963—1967 წწ. განმავლობაში არქეოლოგიურ გათხრებს ატარებდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმი. ჩვენ, როგორც გრემის არქეოლოგიური გათხრების ერთ-ერთ მონაწილეს, საშუალება გვქონდა გრემში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა დაგვემუშავებინა. მესამე წიგნიც სწორედ მიძღვნილი იქნება გრემისა და კახეთის სხვა ქალაქების შესწავლისადმი.

ქართული ფეოდალური ქალაქების შესწავლისათვის ძირითადად ვეყრდნობოდით არქეოლოგიურ მასალებს. ეს სრულიადაც არ გამორიცხავს წერილობითი მონაცემების გათვალისწინებას, პირიქით, თითქმის ყველა საჭირო წყაროა ნაშრომში გამოყენებული. არქეოლოგიური მონაცემების უპირატესობა აქ ძლიერ იგრძნობა, რამდენადაც ძირითადი საკითხების კვლევა (ფეოდალური ქალაქების პერიოდიზაცია, განვითარების საერთო სურათის მოხაზვა, ქალაქთა ტიპების განხილვა, ფეოდალური ქალაქის წარმოშობა) მის გარეშე წარმოუდგენელია.

წარმოდგენილი ნაშრომი ნაყოფია ძველ ქართულ ქალაქებზე მრავალწლიანი დაკვირვებისა და ძიებისა, სადაც ორი მთავარი მომენტი შეიძლება გამოვყოთ: ჯერ კიდევ ასპირანტურის წლებში მოგვეცა საშუალება დაგვემუშავებინა რუსთავის ექსპედიციის მიერ 1949—1951 წწ. გ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით გათხრილი არქეოლოგიური მასალა, რამაც გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნა ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქის შესახებ. ამის შემდეგ, წლების განმავლობაში მონაწილეობას ვიღებდით ურბნისის ნაქალაქარის არქეოლოგიურ ექსპედიციაში. ურბნისი ანტიკური ქალაქი იყო, რომელიც არსებობდა ასევე ადრეფეოდალურ ხანაშიაც. ურბნისის ნაქალაქარის გათხრების შედეგად ბევრი საყურადღებო მასალა აღმოჩნდა ანტიკური და ფეოდალური ქალაქის შესასწავლად. აქ შესანიშნავად ჩანს გარდამავალი ხანაც. ორივე ქალაქის, რუსთავისა და ურბნისის შესწავლით საშუალება მოგვეცა გავცნობოდით საერთოდ ფეოდალურ ქალაქს[1]. სწორედ მათზე დაკვირვებით და არქეოლოგიური მასალის შესწავლით გახდა შესაძლებელი წინ წამოწეულიყო ფეოდალური ქალაქის წარმოშობის, მისი ცალკეულ ეტაპებზე განვითარებისა და სხვ. საინტერესო საკითხები. ცხადი შეიქნა, რომ IV საუკუნიდან მოყიდებული, ქალაქები ფეოდალიზმის ჩასახვისა და განვითარების შედეგად ახალი სოციალური ყოფის გავლენის ქვეშ ექცევიან, რაც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს მათი განვითარების არსს. ამ დროიდან დაწყებული საქალაქო ცხოვრება სრულიადაც არ მიდის აღმავალი გზით და წარმატებებით. საკმაოდ ხანგრძლივი იყო დაცემისა და დაქვეითების ხანა, რაც ფეოდალიზაციის პროცესის განვითარებით უნდა აიხსნას. ქართული ფეოდალური ქალაქების აყვავების ხანას XI—XIII სს. წინ უძღოდა ფეოდალური ქალაქის წარმოშობა და ჩამოყალიბება IX—XI საუკუნეებში.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ძირითად წყაროს კვლევისათვის რუსთავი და ურბნისი წარმოადგენდა, ამასთანავე ერთად საშუალება გვქონდა მონაწილეობა მიგვეღო სხვა ნაქალაქარების არქეოლოგიურ გათხრებშიც (დმანისი, გრემი), ასევე გავცნობოდით სხვა განათხარი ობიექტებიდან მომდინარე არქეოლოგიურ მასალებსა და პუბლიკაციებს (მცხეთა, უფლისციხე, თბილისი და

---

[1] ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი (ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი), თბ., 1958; ნაქალაქარი ურბნისი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა), თბ., 1964.

სხვ.) და, რაც მთავარია, რამდენჯერმე შევძელით თითქმის ყველა. წერილობითი წყაროებით ცნობილი და სხვა მნიშვნელოვანი ძველი დასახლებული ადგილების დაზვერვა (წუნდა, ოძრხე, ხერთვისი, კასპი, ურბნისი, უფლისციხე, სარკინე, მცხეთა, გორი, ატენი, რუსთავი, ხუნანი, სამშვილდე, დმანისი, ახალქალაქი, უჯარმა, ჭერემი, არტანი, ბორანთა, ხორნაბუჯი, ნეკრესი და სხვა მრავალი). ასეთი წინასწარი სამუშაოების ჩატარებით შესაძლებელი გახდა წარმოგვედგინა ქალაქობამდელი სახე ძველი ნამოსახლარებისა, დაგვედგინა ზოგი მათგანის ადგილმდებარეობა და, რაც მთავარია, ძველი ქალაქების მიდამოების — სამეურნეო რაიონების დაზვერვებით, გამოჩნდა ბევრი საერთო ნიშანი, უპირატესად მეურნეობრივი ხასიათისა, რამაც, ალბათ, განსაზღვრა მათი ეკონომიური ძლიერება და შესაძლებელია ქალაქად გადაქცევაც.

ფეოდალური ქალაქების ქრონოლოგიურად მოწყვეტილი წარმოდგენა, რა თქმა უნდა, არ არის მიზანშეწონილი: ამდენად, მოკლედ, უფრო ძველი ფენების განხილვაც გახდა საჭირო. ცხადია, რომ დღეს ქალაქების შესასწავლად არქეოლოგიას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუმცა, როცა ძველი ქალაქების განსაზღვრაა საჭირო, მაშინ წერილობითი წყაროების უპირატესობა აშკარაა, ამდენად პირველ წიგნში, სწორედ ასეთ წყაროებზე დაყრდნობით, ჯერ ძველ ქალაქთა რიგის წარმოდგენა ვცადეთ (ადრეც არაერთხელ განხილული მკვლევართა მიერ) და შემდეგ კი მათი დაზვერვების შედეგების განხილვა.

ქართულ ფეოდალურ ქალაქებზე მუშაობისას ყოველთვის ვცდილობდით ქალაქი წარმოგვედგინა როგორც ბირთვი ეკონომიურად ძლიერი და სოციალურად ჭრელი დასახლებისა. ცხადია, რომ ქალაქების ჩასახვა და განვითარება ახალი სოციალური ყოფის ყველაზე სრული ასახვა იყო ძველს ისტორიაში, რაც შინაგანი განვითარებით არის ასახსნელი[2]. ქართული ქალაქების წარმოშობის დროიდან მოყოლებული მათი ისტორია თვით ერის ისტორიაც არის. ამდენად ქალაქების შესწავლა უპირველესად ჩვენი ერის ისტორიის შესწავლას უნდა ემსახურებოდეს და წარმოადგენდეს მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს.

ქალაქებზე მუშაობისას ყოველთვის ჩვენი პატივცემული მასწავლებლის ნ. ბერძენიშვილის ყურადღების ქვეშ ვიყავით მოქცეული, რომლის დამსახურებაცაა ჩემში ინტერესის გაღვივება ამ მეტად საინტერესო საკვლევი თემისადმი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დავიწყეთ მუშაობა წინამდებარე ნაშრომზედაც. ნაშრომის დასრულების შემდეგ, მადლიერების გრძნობა ავტორისა, აწ განსვენებული მასწავლებლისადმი განსაკუთრებულია.

## საქართველოს ფეოდალური ქალაქების შესწავლის ძირითადი საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში

ძველი ქართული და, კერძოდ, ფეოდალური ქალაქების პირველი მეცნიერი მკვლევარი ვახუშტი ბატონიშვილია. ისევე, როგორც მრავალ სხვა საკითხში, აქაც განსაკუთრებულია მისი ღვაწლი. ვახუშტის მიხედვით ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა შენება ქართველთა „ზნეთა და ჩვეულებათა“ ერთ-ერთი ნიშანი იყო: „ზნენი აქუნდათ პირმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მხნედ ბრძოლა, მაგრად დგომა მისთვის, ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა შენება

---

[2] Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, გვ. 10; А. М. Апакидзе, Об итогах новых археологических раскопок в Грузии, Москва, 1960, გვ. 5.

(ხაზი ჩვენია. ლ. ჯ.), მაგრება ქვეყნისა"[3]. ძნელია ყველა იმ საკითხის ჩამოთვლა ქალაქებთან დაკავშირებით, რომელთაც ვახუშტი ბატონიშვილი ეხება თავის გეოგრაფიულ თხზულებაში, აქ მხოლოდ ორი ძირითადი შეიძლება გამოვყოთ: პირველი. მან სცადა ქალაქების ტიპოლოგიის შემუშავება და ერთი აღებული პრინციპის მიხედვით მათი განხილვა. ასეთი დაყოფის შედეგია განსხვავებული ტერმინების შემოღება, როგორიცაა „ქალაქი დიდი“ და „დედა-ქალაქი“, „ქალაქი მცირე“, „ქალაქი მაგარი“, „ქალაქი ძველი“, „ქალაქი მოზღუდვილი“ და სხვა. მეორე, ვახუშტი ბაგრატიონს ეკუთვნის ერთი შესანიშნავი დაკვირვება, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. მისი აზრით, ქალაქობისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ თავდაცვითი ნაგებობების არსებობა. საჭიროა მას ჰქონდეს მართველობა და განწყობილება ქალაქთა. დიგორისა და ბასიანის აღწერის შემდეგ ის შენიშნავდა „კვალად რაოდენნი დაბანი ციხოვან-კოშკოვანნი დავსწერეთ, იგინი მათ უწოდებენ ქალაქად, არამედ ვინადგან არა აქუსთ მართველობა და განწყობილება ქალაქთა, აქა დაბად ვსთქვით“[4]. ვახუშტის ასეთი შეხედულება ქალაქებზე, როგორც გარკვეული მმართველობის და განწყობილების დასახლებულ ადგილებზე, არ არის მოკლებული ინტერესს. მას ქალაქი არ ჰქონდა წარმოდგენილი თვითმმართველობისა და სათანადო აპარატის გარეშე, რაც სავსებით მართებულია, რადგან ქალაქის განსაზღვრა მხოლოდ თავდაცვითი ნაგებობების მიხედვით, სოციალური მომენტების გაუთვალისწინებლად, შეუძლებელია.

XIX ს. შუახანებამდე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მ. ბარათაშვილის „საქართველოს სამეფოს ნუმიზმატიკურ ფაქტებს“, ქართული ქალაქების შესახებ თითქმის არაფერი თქმულა. აღნიშნულ ნაშრომში მ. ბარათაშვილი განსაკუთრებით ჩერდება თბილისის, ქალაქისა და სიმაგრის შესახებ. მანვე პირველმა მიაქცია ყურადღება ბერძნულ საისტორიო წყაროებში დაცულ ცნობას თბილისის შესახებ[5].

როგორც ირკვევა, ამ დროიდან საგრძნობლად ძლიერდება ინტერესი სიძველეებისადმი და კერძოდ ძველი ქართული ქალაქებისადმი, რაც აყენებდა მოთხოვნებს ცალკეული ძეგლებისა თუ ძველი პუნქტების საცნობარო ხასიათის ლიტერატურაზე. პლ. იოსელიანის სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებისა თუ ქალაქების შესწავლისადმი მიძღვნილი ნაშრომები (კაცხის, კაბენის, მამა-დავითის, იკორთის, ნოკორნის და სხვ. ტაძრები, ქ. დუშეთის აღწერა, კახეთის ძეგლების შესწავლა და სხვ.) ასეთ გაზრდილ ინტერესს პასუხობდა. მისი წიგნი ძველი და ახალი ქალაქების შესახებ, რომელიც 1850 წ. გამოვიდა რუსულ ენაზე, ვახუშტის შემდეგ პირველი სერიოზული ცდაა ძველი ქართული ქალაქების შესასწავლად[6]. პ. იოსელიანის ნაშრომი გეოგრაფიული ლექსიკონის ხასიათისაა, სადაც მოკლედ არის განხილული ძველი თუ ახალი, თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ქალაქი. წიგნის ბოლოს ავტორი იძლევა მრავალ საყურადღებო დაკვირვებას ძველი ქალაქების წარმოშობის შესახებ. მას მიაჩნია, რომ ძველი ქალაქების გაჩენა წმინდა სამხედრო ღონისძიება იყო და ქალაქის პირ-

---

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 12.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 117.

[5] М. Б а р а т а е в, Нумизматические факты Грузинского царства, СПб, 1844, (Сборник, I разр., გვ. 53. ამის შესახებ იხ. ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბ., 1963, გვ. 9.

[6] П. И о с е л и а н и, Города, существовавшие и существующие в Грузии, Тифлис, 1850.

ვანდელი მნიშვნელობაც მოსახლეობის დაცვას გულისხმობდა. მისივე სამართლიანი ვარაუდით, ქალაქები პირველად მდინარეთა შესაყარზე წარმოიშვნენ. ამ მხრივ პირველი ადგილი ეჭირა მდინარე მტკვარს, რომელიც ქალაქების სამი ძირითადი ჯგუფით იყო წარმოდგენილი (ზემო, შუა და ქვემო ქართლის). ჰიდროგრაფიულად მტკვართან იყო დაკავშირებული ალაზან-ივრის და ქცია-მაშავერა-დებედას აუზები, ასევე მოფენილი ძველი ქალაქებით. ქალაქები ჰიდროგრაფიული ჯგუფებით არის წარმოდგენილი ნაშრომში ასევე დასავლეთ საქართველოშიაც (ჭოროხის, რიონის, ყვირილის აუზები და ზღვისპირი)[7].

მიუხედავად იმისა, რომ პ. იოსელიანს მრავალი საინტერესო დაკვირვება ჰქონდა ძველ ქართულ ქალაქებზე, მისი შეხედულებანი ქალაქებზე, მათს სოციალურ-ეკონომიურ ყოფასა და მნიშვნელობაზე კრიტიკას იმსახურებს. აქ არ გამოვუდგებით ფაქტობრივი მონაცემების დამახინჯებას ანდა საეჭვო წყაროების მოშველიებას, რაც ხშირად გვხვდება წიგნში; მან სათანადოდ ვერ განსაზღვრა და ვერ შეაფასა ქართული ქალაქების როლი და ადგილი ზოგადი ისტორიის ფონზე. ის იქამდეც კი მიდის, რომ წერს — კარჩაკეტილი ცხოვრების გამო ქალაქებში არ შეიძლებოდა წარმოშობილიყო არც საქალაქო მმართველობა და არც საქალაქო წოდებანი, როგორც ეს დასავლეთ ევროპის ქალაქებში იყოო[8].

ძველი ქართული ქალაქების შესწავლის საქმე განსაკუთრებით მყარ ნიადაგზე დგება ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ. მისი სამაგისტრო ნაშრომი „სახელმწიფო წყობილება ძველ საქართველოსა და ძველ სომხეთში“ ძველი ქალაქების შესწავლის პირველი მეცნიერული ცდაა[9]. აქ მან ერთ-ერთმა პირველმა, ნ. მართან ერთად, სცადა ქალაქთან დაკავშირებული ტერმინების გარკვევა, რომელთაგანაც წინ წამოსწია „ციხე“, ქალაქის ნ. მარისეული ეტიმოლოგია (შემდგომად ნ. მარის მიერვე უარყოფილი), როგორც ჩანს, შემდგომად, ივ. ჯავახიშვილს აღარ აკმაყოფილებდა და ამიტომ ის საბოლოოდ დადგენილად აღარ ჩასთვალა[10].

ამავე ნაშრომში ივ. ჯავახიშვილი იკვლევს დასახლებათა ცალკეულ ტიპებს და ღრმა მეცნიერული ანალიზით სწავლობს წყაროებში აღნიშნულ ტერმინებს: „ხევი“, „სოფელი“, „დაბა“ და სხვ. „დაბა“ სახელს დასახლებული ადგილის აღსანიშნავად ის უფრო უძველესად თვლის, რომელსაც. მოგვიანებით, IX—X საუკუნეებში სდევნის „სოფელი“[11]. ასეთი მონაცვლეობის მიზეზი, მისი აზრით, ჯერჯერობით აუხსნელი იყო[12].

ქალაქთა ცალკეულ ტიპებს, ქალაქების შემადგენელ ნაწილებს, საქალაქო, სავაჭრო და საზოგადოებრივ ნაგებობებს ივ. ჯავახიშვილი იხილავს თავის

[7] პ. იოსელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76—79; შდრ. ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბ., 1963, გვ. 9—10.

[8] П. Иоселиани, იქვე, გვ. 82; Ш. Месхиа, Города..., გვ. 5.

[9] И. А. Джавахов, Государственный строй древней Грузии и древней Армении. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, I, кн. VIII, 1905.

[10] ი. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 34; Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, М., 1960, გვ. 24; ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბ., 1963, გვ. 159.

[11] И. А. Джавахов, დასახ. ნაშრომი, გვ. 47; მისივე, ქართული სამართლის ისტორია, I, თბ., 1928, გვ. 140.

[12] იქვე, გვ. 47.

ვრცელ მონოგრაფიაში — „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“ I (მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში)[13]. ქართული და უცხო წერილობითი წყაროების გულდასმითი შეჯერებისა და შესწავლის გზით ივ. ჯავახიშვილს ხსენებულ ნაშრომში მოცემული აქვს ქალაქის ისეთი მნიშვნელოვანი ადგილების განხილვა, როგორიცაა ციხე, გალავანი, ქარვასლა, ფუნდუკი, ალაყაფი, ბჟენი, საგუშაგონი, ჭიშკარი, ბაზარი, მოედანი, შუკა, სასახლე, ასპარეზი, ქალაქის ზღუდე, სადილეგო, დარბაზი, სალარო, სააჯო კარი და სხვა მრავალი. „ქალაქი უბნებად იყო დაყოფილი, — წერდა ივ. ჯავახიშვილი, — თითოეულ უბანს თავისი სახელიც ჰქონდა, რომელიც მის ნიშანდობლივს თავისებურებას გამოხატავდა“[14]. ასეთი ნიშანდობლივი თავისებურებები იყო ტომობრივობა და სარწმუნოება. მდებარეობის მიხედვით ივ. ჯავახიშვილი ცალკე გამოჰყოფს: წინა-უბანს, შუა-უბანს და გარე-უბანს[15].

ივ. ჯავახიშვილი პირველი იყო, ვინც ძველი ქართული ქალაქების დაყოფა სცადა: „ქალაქები სიდიდითაც, დანიშნულებითაცა და მნიშვნელობითაც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ყველაზე უფრო დიდს, მთავარ ქალაქს, რომელშიც პოლიტიკური მმართველობის ცენტრი იყო, მაშინაც დედაქალაქი ეწოდებოდაო“[16], წერდა იგი. სხვა ადგილას ავტორი შენიშნავდა: „ქალაქი ორგვარს ცენტრს წარმოადგენდა. ერთი მხრით, ქალაქი ყოველთვის ადმინისტრაციული ცენტრი იყო, — დედა-ქალაქი მთელი სახელმწიფოსი, დანარჩენი ქალაქები კი სხვადასხვა საერისთაოებისა და თემებისა... მეორე მხრით, როგორც ვიცით, ქალაქი ვაჭრობა-მრეწველობის ცენტრსაც წარმოადგენდა“[17].

ივ. ჯავახიშვილი ძველ ქართულ ქალაქებს უპირატესად წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე იკვლევდა. განსვენებული მეცნიერი კარგად გრძნობდა არქეოლოგიური გათხრების საჭიროებას ძველ ქალაქთა შესასწავლად[18] და სინანულით შენიშნავდა, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არ გათხრილა ქალაქი, რომელიც „საქალაქო კულტურის“ გამოსარკვევად გამოდგებოდა[19]. „ასეთი მასალების უქონლობის გამო ჩვენ იძულებული ვართ მხოლოდ იმ ცნობებით დავკმაყოფილდეთ, რომლებიც წყაროებში მოგვეპოვება“, — წერდა ივ. ჯავახიშვილი[20]. მიუხედავად ასეთი, თუ შეიძლება ითქვას, ცალმხრივი მიდგომისა, ყველა წყარო მის მიერ ისე დეტალურად არის განხილული, რომ დღესაც, როცა ნაქალაქართა დიდი ნაწილი არქეოლოგიურად გათხრილი თუ დაზვერილია, ქალაქების შესახებ მის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი კვლავ დიდ მნიშვნელობას ინარჩუნებენ. ასეთი მეცნიერული ანალიზის ნაყოფია ახალქალაქის მიხედვით უზღუდო, ე. ი. გაუმაგრებელი ქალაქების არსებობის წამოყენება ფეოდალურ საქართველოში[21], ქალაქის აგების ტექნიკური საშუალებე-

---

13 ნაშრომი გამოიცა თბილისში 1946 წ.

14 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 36.

15 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, იქვე.

16 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 41; ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები... გვ. 11.

17 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 52—53.

18 გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ივანე ჯავახიშვილი და გათხრითი არქეოლოგია საქართველოში, „მიმომხილველი“, II, თბ., 1951, გვ. 16.

19 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

20 ი ქ ვ ე, გვ. 52.

21 ი ქ ვ ე, გვ. 40; შდრ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 52.

ბის გარჩევა ატენის მიხედვით[22], ქალაქების, როგორც ადმინისტრაციული ცენტრების ჩამოყალიბების საკითხის დამუშავება უჯარმისა და თბილისის მიხედვით და სხვ.[23]. ივ. ჯავახიშვილმა, პირველმა დაინახა ქალაქებში ძლიერი ეკონომიური შესაძლებლობანი. „ქვეყნის ეკონომიური ძლიერების საუკეთესო გამომხატველად ქალაქების სიმრავლე და სიმდიდრე ითვლებაო“, აღნიშნავდა ის ერთ-ერთ თავის ნაშრომში[24].

ნაშრომში „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“, ს. ჯანაშია, ფეოდალიზმის ჩასახვისა და განვითარების საკითხების გამორკვევისას განსაკუთრებით ჩერდება ფეოდალური ხანის ქალაქებზედაც. ქალაქ თბილისის წარმოშობის და მისი განვითარების ადრეული საფეხურის კვლევას მან ცალკე პარაგრაფი მიუძღვნა. ს. ჯანაშია ამახვილებს ყურადღებას ქალაქის ორი მთავარი შემადგენელი ნაწილის — საკუთრივ ქალაქისა და ციხის არსებობაზე და შენიშნავს: რომ „კალა ისეთსავე დამოკიდებულებაშია ტფილისის მიმართ, როგორშიაც არმაზი — მცხეთის მიმართ“[25]. იმავე ნაშრომში, სადაც ავტორი აღგენს საეკლესიო ეპარქიებს და შესაბამისად მზარდ ფეოდალურ ერთეულებს, განსაკუთრებით ჩერდება ამ დროის ქალაქებზედაც, რომლებიც უმეტესწილად ასეთი საეკლესიო ცენტრების როლში გვევლინებიან[26].

ქართული ფეოდალური ქალაქების შესწავლა განსაკუთრებით მიდის წინ მათი არქეოლოგიური გათხრების დაწყების შემდეგ. პირველი ფეოდალური ქალაქი, რომლის გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრებიც დაიწყო 1936 წ. ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით, იყო — დმანისი. ლ. მუსხელიშვილის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში დმანისის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შესახებ, პირველი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ნაშრომია, რომლითაც იწყება დმანისისა და, საერთოდ, ფეოდალური ქართული ქალაქების არქეოლოგიური შესწავლა[27].

ფეოდალური ქალაქების არქეოლოგიური შესწავლის შემდეგი ეტაპი იწყება 1948—1950 წლებიდან, როდესაც არქეოლოგიური კვლევა-ძიების სფეროში ხვდება ერთბაშად რამდენიმე პუნქტი — თბილისი, რუსთავი, უჯარმა[28]. ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისით, რომელიც აღნიშნული ღონისძიების საერთო ხელმძღვანელი იყო, ფეოდალური ქალაქი უნდა შესწავლილიყო მასზე დაქვემდებარებული მხარის ისტორიულ-გეოგრაფიული და არქეოლოგიური კვლევის შესაბამისად. ნ. ბერძენიშვილი თავის ნაშრომებში დიდ მნიშვნელობას ანი-

---

[22] ი. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, გვ. 33—35.

[23] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 33, 34, 47, 48.

[24] ივ. ჯავახიშვილი, ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII სს., „პრომეთე“, № 1, გვ. 35.

[25] ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 12; ა. აფაქიძე, ქალაქები..., გვ. 12.

[26] ს. ჯანაშია, ადრეული ფეოდალიზმი, შრომები, II, 1952, გვ. 229.

[27] ლ. მუსხელიშვილი, დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა), შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938, გვ. 319—448.

[28] არქეოლოგიურ ექსპედიციებს ხელმძღვანელობდნენ: „განჯისკარის“ ექსპედიციას 1948 წ. ო. ჯაფარიძე, შემდეგ გ. ლომთათიძე; რუსთავის და უჯარმის ექსპედიციებს გ. ლომთათიძე; იხ. ო. ჯაფარიძე, „განჯისკარის“ 1948 წლის არქეოლოგიური გათხრის ანგა-

ჰებდა ფეოდალურ ციხეებსა და ქალაქებს, როგორც სოციალურ მტკიცე დასაყრდენს[29]. მისივე დამსახურებაა ქალაქებთან დაკავშირებული ისეთი საკითხების წამოწევა, როგორიცაა გზები, საბაჟოები, სამღებროები და სხვ.[30]. ნ. ბერძენიშვილმა სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ქალაქისპირის სოფლების, „აგარაების", ძველ ქალაქთა საბეურსეო რაიონის შესწავლასაც[31].

ქართული ფეოდალური ქალაქების მეცნიერულ შესწავლაში დიდი ამაგი აქვს შ. მესხიას. მისი პირველი ნაშრომი, რომელიც ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებას ეხება, გამოირჩევა წერილობითი წყაროების შესანიშნავი ანალიზით. სამწუხაროდ, ნაშრომი ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული[32].

შემდგომად შ. მესხია უპირატესად ქალაქების სოციალური ყოფით იყო დაინტერესებული. მისი აზრით, განვითარებულ ფეოდალურ ხანაში ქალაქების, როგორც ეკონომიური და სოციალური ძლიერების წყაროს დაუფლებისათვის განსაკუთრებით მწვავდება ბრძოლა მსხვილ ფეოდალთა შორის; ასე, რომ XII—XIII სს. ქართულ ფეოდალურ ქალაქთა უდიდესი უმეტესობა დიდებულთა ხელში აღმოჩნდა[33].

ფეოდალური ქალაქების შესწავლის საქმეში განსაკუთრებული ადგილი ეპირავს შ. მესხიას მონოგრაფიას „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ფეოდალურ საქართველოში"[34]. ნაშრომის ძირითადი ნაწილი მოიცავს XVII—XVIII სს. ქალაქების შესწავლას. ვრცლად არის მიმოხილული ასევე წინა პერიოდის ქალაქებიც, თვით უძველესის გაჩენის დროიდან. ძვ. წ. VI—IV სს., ავტორის აზრით, როდესაც ხდება სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა, ხელოსნობისა და ვაჭრობის ინტენსიური განვითარება, საქართველოში დგება პირობები საქალაქო ცხოვრების წინსვლისათვის[35]. შ. მესხიამ პირველმა წამოსწია წინ საკითხი ქალაქების ორი ტიპის არსებობის შესახებ, რომ ციხე-ქალაქობა უძველესი ქალაქებისათვის არის დამახასიათებელი, რასაც მივყავართ

---

რიში; გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში; მ ი ს ი ვ ე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები; სამივე ანგარიში დაბეჭდილია კრებულში „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის", I, თბ., 1955; Г. Л о м т а т и д з е, Некоторые итоги археологических раскопок памятников феодальной Грузии, СА, XXVII, 1957.

29 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 49.

30 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ერთი უძველესი საბაჟოს ადგილმდებარეობისათვის საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, I.

31 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარანი), „მიმომხილველი", II, 1951.

32 შ. მ ე ს ხ ი ა, ხელოსნობა ძველ საქართველოში (V—VII სს.), თბ., 1942.

33 შ. მ ე ს ხ ი ა, საქართველოს ქალაქების სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, „მიმომხილველი", II, თბ., 1951.

34 Ш. А. М е с х и а, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959.

35 ი ქ ვ ე, გვ. 10, 18.

ძველ გამაგრებულ ადგილებამდე[36]. დიდი დამსახურება მიუძღვის მას ასევე თბილისის ისტორიის მონოგრაფიულად შესწავლაში[37].

ძველი ქართული ქალაქების შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ა. აფაქიძის მონოგრაფია „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“[38]. ნაშრომის პირველი ტომი მთლიანად ეთმობა მცხეთის შესწავლას. მცხეთა — ძველი საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური ცენტრი, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ადრეულ ფეოდალურ ხანაშიაც და ამდენად მისი მთლიანობაში განხილვა აუცილებელია ქალაქის სრული სახის წარმოსადგენად. ა. აფაქიძის მონოგრაფიაში დეტალურად არის ასახული ძველი მცხეთის და საერთოდ ქართული ქალაქების საპრობლემო საკითხები, როგორიცაა ძველი ქალაქების გაჩენის დრო და პირობები, ქალაქების გარეგანი სახე, შემადგენელი ნაწილები, ხუროთმოძღვრული ძეგლები (საფორტიფიკაციო, სამეურნეო, საკულტო და სხვ.), სამარხ ნაგებობათა უმთავრესი ტიპები, სამარხეული მასალა, ქალაქის მოსახლეობა, მათი სოციალური და ეთნიკური შემადგენლობა და სხვ. დღეს ყველასთვის კარგად არის ცნობილი მცხეთის, ძველი „დიდი მცხეთის“ სავარაუდო ფარგლები და შემადგენელი ნაწილები, მაგრამ სულ ცოტა ხნის წინ ასე დაბეჯითებით ვერას ვიტყოდით სევსამორა-წიწამურის და ჰარმოზიკა-არმაზციხის შესახებ, რადგან მათი სრული ლოკალიზაცია მეცნიერებისათვის არ იყო ცნობილი[39]. ასევე გაურკვეველი იყო მრავალი სხვა საკითხიც. აქ იმის აღნიშვნაა საჭირო, რომ მონოგრაფიის გამოქვეყნებას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი სამუშაო, ძიება ველზე და წყაროებში, დამუშავება სათანადო მონაცემებისა (ქართულსა და უცხოურში) და სხვ.

ა. აფაქიძე ტერმინ „ქალაქ“-ის რეალურ მნიშვნელობაში ხედავს რა გალავნით შემოზღუდულობას, რაც ასახულია ქართულ წყაროებში მეორე შედგენილი ტერმინით „ციხე-ქალაქი“, ვარაუდობს, რომ „ციხე-ქალაქი“ ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებისათვის ადგილობრივ შექმნილი ტერმინია[40]. ქალაქის ასეთი რეალური მნიშვნელობის გამო მას შესაძლებლად მიაჩნია, რომ უცხო წარმომავლობის „ქალაქზე“ უწინარესი, ადგილობრივი ტერმინი, გალავნით შემოზღუდული უძველესი დასახლების აღსანიშნავად, ქართული „ციხე“, „ქართი“ — „ქართლი“ უნდა ყოფილიყო. „ციხე“, „ქართი“-„ქართლი“ ადრევე უნდა ქცეულიყო მის გარშემო თავმოყრილი მოსახლეობის ციტადელად — შიდაციხედ, დედაციხედ“[41]. „დიდი მცხეთა“, ა. აფაქიძის დაკვირვებით, მრავალუბნიან ქალაქს წარმოადგენდა. მანამდე, სანამ თვით უბნებზე იქნება მსჯელობა, ავტორი ეხება „უბნის“ ეტიმოლოგიასაც. იხილავს რა საჭირო ლიტერატურას

---

[36] Ш. А. Месхиа, დასახ. ნაშრომი, გვ. 10; შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, თბ., 1958, გვ. 9.

[37] შ. მესხია, თბილისის ისტორია, თბ., 1958; მისივე, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962; შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, თბ., 1958.

[38] ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963.

[39] ა. აფაქიძე, არმაზციხის ლოკალიზაციის საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IV, ნაკ. I, თბ., 1958; ა. აფაქიძე, ანტიკური წყაროების Σεσαμορα—წიწამური (ლოკალიზაციის საკითხი არქეოლოგიური დაზვერვის შედეგებთან დაკავშირებით), იგივე კრებული.

[40] ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, გვ. 160.

[41] იქვე.

აღნიშნულ საკითხზე, ის ასკვნის: „როგორც არ უნდა გადაწყდეს ამ ტერმინის წარმომავლობისა და ეტიმოლოგიის საკითხი, ის მაინც აშკარაა, რომ ტერმინი „უბანი" უძველეს ქართულ საისტორიო წყაროებში გვხვდება და ადრეელინისტურ ხანაშიაც გავრცელებული ჩანს"[42]. ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალება მას ეძლევა რეალური ვითარებით, რომელიც არსებობდა მცხეთაში აღნიშნული ხანისათვის. აქ ზედმეტი არ იქნება მოვიხსენიოთ თვით ის უბნებიც, რომლებიც დედაქალაქობის ჟამს „დიდი მცხეთის" ფარგლებში აქვს წარმოდგენილი ა. აფაქიძეს. ესენია საკუთრივ მცხეთის უბანი, შიდაციხის (არმაზციხის) უბანი, საპიტიახშო (ერისთავთა და ეზოჲს მოძღვართა) უბანი, წიწამურის უბანი, სარკინეს უბანი, ზემო ავჭალის უბანი, მუხათგვერდნაქულბაქევის უბანი, კოდმან-კალოუბნის უბანი და ა. შ."[43]. უბნები განლაგებული იყვნენ მცხეთის ორ ძირითად ნაწილში: „არმაზით კერძ ქალაქში" და „მეხნარით კერძ ქალაქში"[44]. აქედან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია ავტორის დასკვნა, რომ „ქართლის (იბერიის) სამეფოს ძველი დედაქალაქი ერთიანად შეკრული, მხოლოდ ერთი მოსახლეობის გაზრდის გზით შექმნილი არ იყო. ის ცალკეული დასახლებების გაერთიანების გზით ჩამოყალიბებული ქალაქია. ამიტომ ეს დასახლებანი ინარჩუნებენ დიდ ქალაქში თავისებურ მკვეთრად ჩამოყალიბებულ სახეს და ახალ ვითარებაში ყალიბდებიან დიდი მცხეთის ყოველთვის მნიშვნელოვან უბნებად. ესაა ქართული სინოიკიზმის თავისებური სახე"[45].

მონოგრაფიაში ცალკეა გარჩეული მცხეთის მოსახლეობის სოციალური ყოფა და ეთნიკური შემადგენლობა. არქეოლოგიური მასალების გულდასმითი ანალიზის საფუძველზე ა. აფაქიძე მიდის იმ დასკვნამდე, რომ მცხეთა დედაქალაქობის ხანაში სოციალურად დიფერენცირებული და ეთნიკურად ჭრელი მოსახლეობის მომცველია. ე. წ. „მშვიდობიანი მოქალაქეებიდან" გამოიყოფიან: ხელოსნები (მეთუნენი, ქვით-ხურონი, კვერით-ხურონი, ხით-ხურონი, ოქრომჭედელნი, ჭიქის მოქმედნი, წამწერელნი, „რკინის კაცები" და სხვ.), ვაჭრები, სამეფო გვარეულობის წევრები და წარჩინებულნი, სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატია, კულტის მსახურნი და სხვ.[46]. დედაქალაქობის ხანაში ქართველების გარდა მცხეთაში ცხოვრობენ: ბერძენ-რომაელები, სპარსელები, ებრაელები, ოსები[47].

ადრეფეოდალური ხანის მცხეთის შესასწავლად მრავალ საყურადღებო მასალას იძლევა არმაზისხევის სამაროვანი, რომლის არქეოლოგიური მასალებიც გამოქვეყნებულია ავტორთა კოლექტივის მიერ (ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე)[48]. ნაშრომიდან კარგად ჩანს თანდათანობითი დაქვეითება და მხატვრული ღირსების დაცემა ნივთიერი კულტურისა ახ. წ. IV საუკუნიდან რომ შეიმჩნევა; „არქეოლოგიური მონაპოვარი მოწმობს, რომ IV საუ-

---

[42] ა. აფაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 161.

[43] იქვე, გვ. 220.

[44] იქვე.

[45] იქვე; იხ. აგრეთვე А. М. Апакидзе, Результаты археологического изучения античных городов Грузии, «Античный город», Москва, 1963, გვ. 149.

[46] ა. აფაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 240.

[47] იქვე, გვ. 241.

[48] ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა, I, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1955.

კუნიდან არმაზისხევის დიდებულთა წრეში თვალსაჩინო ცვლილება მომხდარა... IV საუკუნის ნაგებობანი და სამარხები თავისი სიმტკიცით თუ საერთო იერით ვერ შეედრება უწინდელებს. შეინიშნება სამარხეული ინვენტარის შემცირება და ზოგჯერ მხატვრული ღირსების დაქვეითებაც"[49]. შენიშნავდნენ „მცხეთა" I-ის ავტორები. არმაზისხევის სამარხეული მასალის რეგრესი და შემცირება, რაც მომდევნო ხანებში უფრო საგრძნობია, კარგად მიუთითებს ამ დროის ქალაქების სოციალურსა და ეკონომიურ ყოფაზე, ზემოხსენებული — „არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები", ერთ-ერთი ძირითადი არქეოლოგიური ნაშრომია IV—VIII სს. ქალაქების შესწავლისათვის.

ქართული ფეოდალური ქალაქების შესწავლისათვის საყურადღებო მოსაზრებებს ვხვდებით ქართული ხელოვნების ისტორიის მკვლევართა ნაშრომებში. მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლი სწორედ მათი პუბლიკაციის მიხედვით არის ცნობილი (ვერემი, ველისციხე, სიღნაღი)[50], ზოგი ხელოვნებათმცოდნეთა და არქეოლოგთა ერთობლივი კვლევის საგანს წარმოადგენს (უჯარმა, ურბნისი)[51].

ნაშრომში „საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის", გ. მელიქიშვილი არაერთხელ ჩერდება ქალაქების ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებზე[52]. იგი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ქალაქების სოციალურ და ეთნიკურ ხასიათზე. ქალაქის მცხოვრებთა მთავარი სოციალური ფენა „მოვაჭრე და ხელოსანი მოსახლეობა", მისი აზრით, ახლოს იდგა თავისუფალ გლეხობასთან — „მიწისმოქმედ და მეომარ" მოსახლეობასთან[53]. გ. მელიქიშვილი ყურადღებას აქცევს წერილობით ცნობებს მცხეთასა და ურბნისში ებრაელთა კოლონიების არსებობის შესახებ, რომელთა წევრების ძირითად საქმიანობას ვაჭრობა და ხელოსნობა შეადგენდა და ასკვნის, რომ „ვაჭრობას მისდევდა ქალაქების მოსახლეობის არამარტო ებრაული ნაწილი, არამედ აგრეთვე ადგილობრივი ელემენტიც"[54]. მრავალი საინტერესო საკითხი აქვს შესწავლილი გ. მელიქიშვილს ასევე ადრეული ფეოდალური ხანის (IV—VI სს.) ქალაქებთან დაკავშირებითაც. საკითხთა ამ რიგიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალაქების, როგორც მსხვილი სამიწათმოქმედო ცენტრების წამოწევა, ასევე „უბნის" და „რაბატის" ეტიმოლოგიის ახსნა და სხვა[55].

თავის ადრინდელ ნაშრომებში ს. კაკაბაძე დიდ ადგილს უთმობდა ძველ ქართულ ქალაქებსაც. იგი განსაკუთრებით დაწვრილებით იხილავს მცხეთის

---

49 ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 207.

50 გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1931; მისივე, Архитектура Кахетии, ორ ტომად, Тб., 1959; В. Цинцадзе, Тбилиси, Тб., 1958; პ. ზაქარაია, კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, თბ., 1962; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961.

51 ი. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, თბ., 1955; პ. ზაქარაია, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბ., 1965.

52 გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955.

53 გ. მელიქიშვილი, იქვე, გვ. 161—162.

54 იქვე, გვ. 164—165.

55 Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 446—454.

ეტიმოლოგიას[56], მისი დაარსების თარიღს[57], ადგილის სახელთა ცვლას[58] და პუნქტების ლოკალიზაციას[59] წერილობითი ცნობების მიხედვით. ავტორი იმეორებს ადრე გამოთქმულ ვარაუდს და შესაძლებლად თვლის მცხეთის მესხურ ტომთან დაკავშირებას. მისივე აზრით, ძველი სახელი „ქართი“, იგივე „ქართლი“ სტრაბონის დროს იცვლება „არმაზით“, რომელიც ცეცხლთაყვანისმცემლების კულტთან დაკავშირებული სახელიაო[60]. ს. კაკაბაძე დაწვრილებით იხილავს ასევე ქალაქებთან დაკავშირებულ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა „მოედანი“, „უბანი“, „რაბატი“[61]. ს. კაკაბაძე რამდენიმეგზის შეეხო თბილისის ისტორიასაც[62]. იგი თავისებურად ხსნიდა სამეფო კარის მცხეთიდან თბილისში გადმოსვლას. მისი აზრით, თბილისის წინ წამოწევას ხელი შეუწყო მან, რომ საქართველო წინანდელთან შედარებით მეტ ურთიერთობაში იყო სამხრეთის ქვეყნებთან და განსაკუთრებით ირანთან, რომ ამ დროს „ეკონომიური კავშირი ქარავნების მიმოსვლით და საქონლის გაცვლა-გამოცვლით სამხრეთულ ქვეყნებთან ეხლა თვალსაჩინოდ გაცხოველებული იყო“[63]. მისივე აზრით, გორგასალის და საერთოდ სამეფო კარის „თბილისში პირველი გადმოსვლა უნდა მიეწეროს უშუალოდ მიქელ მთავარეპისკოპოსთან კონფლიქტს“[64].

საქართველოს სიძველეებს არაერთი ნაშრომი მიუძღვნა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა. მის მიერ განხილულ საკითხთა წრე საკმაოდ ვრცელია და მოიცავს მრავალ საინტერესო პრობლემას (სახელთა ეტიმოლოგიები[65], ქალაქების წარმოშობა[66], ისტორიულ-გეოგრაფიული შენიშვნები[67] და მრავალი სხვა). ლ. მელიქსეთ-ბეგმა რამდენიმე გამოკვლევა მიუძღვნა მცხეთისა და მისი მიდამოების

---

[56] ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, წიგნი I, თბ., 1924, გვ. 2.

[57] იქვე, გვ. 3,4.

[58] იქვე, გვ. 12, 13.

[59] იქვე; შდრ. კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 69—76.

[60] ს. კაკაბაძე, იქვე. ნაშრომის გარჩევა და პუნქტების (არმაზი, წიწამური) ლოკალიზების საკითხებისათვის იხ. ა. აფაქიძე, არმაზციხის ლოკალიზაციის საკითხისათვის; მისივე, ანტიკური წყაროების Σεισάμορα—წიწამური. ორივე ნაშრომი დაბეჭდილია ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომებში, IV, ნაკ. I, თბ., 1958.

[61] ს. კაკაბაძე, იქვე, გვ. 96—98.

[62] ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია (ახალი საუკუნეების ეპოქა), თბ., 1922, გვ. 116—118; მისივე, ვახტანგ გორგასალი, თბ., 1959, გვ. 30—36.

[63] იქვე, გვ. 31.

[64] იქვე.

[65] К этимологии названий «Мцхета» и «Цицамури» (Из лексических материалов по грузинским говорам), «Христианский Восток», VI, вып. I, 1917, стр. 90—92; В поисках Страбоновой Севсаморы (К вопросу о древнегрузинских местообитаниях) ИКОРГО, т. XXV, № 2—3, стр. 248—259; მისივე, ტოპონიმიკური შტუდიები. ხუნანისა და ვარძიის სახელწოდებათა ეტიმოლოგიისათვის, „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“, თბ., 1939.

[66] ლ. მელიქსეთ-ბეგი, გორის დაარსება, „სახალხო საქმე“, თბ., 1920, № 41; მისივე, მცხეთა-ქალაქის დაარსების საკითხის გარშემო, „მომავალი“ № 2, თბ., 1921; მისივე, Армази (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის), თბ., 1938; მისივე, Тифлис, его основание и краткий исторический очерк, «Тифлис и его окрестности», Тб., 1925.

[67] ლ. მელიქსეთ-ბეგი, არქეოლოგიური მოგზაურობა გარეკახეთისა და ქვემო ქართლის ხეობაში; „სახალხო საქმე“, თბ., № 297, 933, 945, 950, 951, 964, 974.

შესწავლასაც[68]. ჩამოთვლილი ნაშრომების ავკარგიანობა საკმაოდ ვრცლადაა გარჩეული სათანადო ლიტერატურაში, სადაც ბევრი მისი დებულება ეჭვის ქვეშ არის დაყენებული[69]; მიუხედავად ამისა, ავტორის წვლილი მცხეთისა და მისი რაიონის კვლევის საქმეში მნიშვნელოვანია[70]. მელიქსეთ-ბეგის ერთ-ერთი უკანასკნელი ნაშრომია „ძალისი-თბილისი-ფაიტაკარანი". ავტორს შესაძლებლად მიაჩნია, როგორც ეს სათაურიდანაც ინიშნება, პტოლემაიოსის ძალისა ივარაუდოს თბილისის ტერიტორიაზე და იგი დაუკავშიროს ძველ ქართულ „ძელს" (მისი განმარტებით „ხე-ტყით მდიდარი ქალაქი"), იგივე სომხურ ფაიტაკარანს[71]. ამავე ნაშრომში ლ. მელიქსეთ-ბეგი უპირისპირებს რა „მოქცევაჲ ქართლისაჲს", ლეონტი მროველის თხზულების და ვახუშტის გეოგრაფიის ცნობებს თბილისის ციხის აგების შესახებ, ასკვნის, რომ ვახუშტის მიერ მოხსენიებული „შურის ციხე" გაუგებრობის ნიადაგზე წარმომდგარი სახელია და რომ „თბილისის ძველი ციხე-სიმაგრის „შურის-ციხედ" წოდება უმართებულოა და კატეგორიულად უნდა უკუგდებულ იქნას"[72].

უკანასკნელი ათი-თორმეტი წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა ფეოდალური ქალაქების შესწავლის საქმეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ცალკეული ნაშრომები თუ მონოგრაფიები, სადაც არქეოლოგიური მასალების პუბლიკაციასთან ერთად ბევრ საინტერესო მოსაზრებებსაც ვხვდებით. ზემოთ განხილული ნაშრომების გარდა შეიძლება დავასახელოთ დ. ხახუტაიშვილის[73], დ. მუსხელიშვილის[74], ო. ტყეშელაშვილის, ი. გძელიშვილის[75], ლ. ჭილაშვილის[76], მონოგრაფიები უშუალოდ ქალაქების შესახებ, ასევე ვ. ჯაფარიძის[77], ზ. მაისურაძის[78], ნ. უგრელიძის[79] ნაშრომები ფეოდალური ქალაქების სხვადასხვა ხელოსნური წარმოების შესახებ. ფეოდალური ქალაქების შესწავლაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის გ. ლომთათიძეს. საკმარისია აღინიშნოს, რომ მისი უშუალო ხელმძღვანელობით გაითხარა ისეთი ცნობილი ქალაქები, როგორიცაა უჯარმა, რუსთავი, თბილისი, ახალქალაქი და ნაწილობრივ ურბნისიც[80].

---

[68] იხ. შენიშვნა 65 და 66.

[69] ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება.., გვ. 165—171, 184—189.

[70] იქვე, გვ. 14.

[71] ი. მელიქსეთ-ბეგი, ძალისი-თბილისი-ფაიტაკარანი, თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული, „თბილისი—1500", გვ. 31.

[72] იქვე, გვ. 33.

[73] დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, თბ., 1964; მისივე, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966.

[74] დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, თბ., 1966.

[75] ი. გძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 1961.

[76] ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, თბ., 1958; ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964;

[77] ვ. ჯაფარიძე, ქართული კერამიკა, თბ., 1956;

[78] ზ. მაისურაძე, ქართული მხატვრული კერამიკა, თბ., 1953.

[79] ნ. უგრელიძე, მინა ძველ საქართველოში, თბ., 1961; მისივე, ადრეულ საუკუნეთა მინის წარმოების ისტორიისათვის, თბ., 1967.

[80] გ. ლომთათიძის ზემოთ დასახელებული ნაშრომების გარდა იხ. Г. Ломтатидзе, Культура и быт Грузии в IV—VII вв., Очерки истории СССР, III—IX вв. 1958; გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ურბნისის ნაქალაქარზე, „მეცნიერება და ტექნიკა," 1956, № 11; მისივე, ურბნისის ნაქალაქარის არქეოლოგიური კვლევის დასაწყისი, ორ ნაწილად, „მაცნე," 1964, № 2, 4; მისივე, ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 330—393.

ქართული ფეოდალური ქალაქების ისტორია მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეზობელი ქვეყნების, კერძოდ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ცხოვრებასთან. აქედან გამომდინარე, ქართული საბჭოური ორიენტალისტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკვლევ პრობლემას სწორედ აღმოსავლეთის ფეოდალური ქალაქები და ქართული და აღმოსავლეთის ქალაქების ურთიერთობის საკითხების შესწავლა შეადგენდა. აღნიშნული საკითხების კვლევას არაერთი შესანიშნავი ნაშრომი მიუძღვნა ვ. გაბაშვილმა. იგი თავის ნაშრომებში უპირატესად ეხება ქალაქების ისტორიის სოციალურ მხარეს[81]. მის ნაშრომებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ასევე ქართული ქალაქების ურთიერთობას აღმოსავლეთის ცენტრებთან[82]. მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების შესწავლას მიეძღვნა აგრეთვე რ. კიკნაძის, ო. ცქიტიშვილის, კ. კუციას და სხვ. არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი[83].

ფეოდალური ხანის ქართული ქალაქების შესწავლის მხრივ შედარებით ხარვეზიანად გამოიყურება დასავლეთი საქართველო. ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ აქ ამ მხრივ არაფერი იყო გაკეთებული. 1949 წ. ვაშნარში, ჩაის ფაბრიკის მშენებლობის დროს, აღმოჩნდა სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთები, რომელიც შემდგომად შეისწავლა ექსპედიციამ გ. გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით[84]. გამოირკვა, რომ საქმე გვქონდა, როგორც იმთავითვე განმარტა გ. გობეჯიშვილმა, ადრეფეოდალური ხანის მნიშვნელოვან ძეგლთან[85]. სამწუხაროდ, ვაშნარის გათხრები შემდეგ აღარ გაგრძელებულა. ექსპედიციის მიერ გათხრილი ნაგებობები, ბაზილიკა, აკლდამა, შესანიშნავი სვეტის თავები, ასევე ჩუქურთმიანი ფილა VI—VIII სს. ბერძნული წარწერით[86], რომელიდაც ქალაქის არსებობაზე შეიძლება მიგვანიშნებდნენ[87], რომელიც იყო „მსგავსი და ალბათ თანამედროვე ისეთი ძეგლებისა, როგორიცაა შორაპანი, სკანდა, ვარდციხე, ნოქალაქევი და სხვ"[88].

1952 წ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტთან ერთად იწყებს აღმოსავლეთ შავი-

---

[81] ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქები IX—XIII საუკუნეებში, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბ., 1966.

[82] ვ. გაბაშვილი, ფეოდალური საქართველოს ქალაქების ურთიერთობანი მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებთან, იმავე კრებულში.

[83] რ. კიკნაძე, ქალაქები, ხელოსნობა და ვაჭრობა X—XII სს; მისივე, ქალაქები ილხანთა ირანში. ორივე ნაშრომი მოთავსებულია კრებულში — ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 141—156, 183—202; ო. ცქიტიშვილი, ფეოდალური ქალაქის წარმოშობის საკითხისათვის მახლობელ აღმოსავლეთში, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1963; კ. კუცია, სეფიანთა ირანის ქალაქები, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბ., 1966.

[84] გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ. 1952, გვ. 154—155.

[85] იქვე, გვ. 154.

[86] თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 110—112.

[87] ვაშნარის ნაგებობები დაწვრილებით აქვს განხილული ვ. ლეკვინაძეს. მისი აზრით აკლდამაც და ბაზილიკაც შეიძლება დათარიღდეს VI—VII სს. ვაშნარის დანგრევას იგი მიაწერს მურვან ყრუს. იხ. В. А. Леквинадзе, Материалы по монументальном строительству в Лазике, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XXIII—B, 1961.

[88] გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

ზღვისპირეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტის — ბიჭვინტის გათხრებს[89]. აქედან მოყოლებული, ექსპედიციამ ა. აფაქიძის ხელმძღვანელობით ნაქალაქარის მნიშვნელოვანი ნაწილი შეისწავლა. ბიჭვინტა ანტიკური ხანის ქალაქი იყო, რომელიც აგრძელებს არსებობას ადრეფეოდალურ ხანაშიაც[90]. მისი მნიშვნელობა ქართული ქალაქების შესწავლის საქმეში განსაკუთრებულია; საკმარისია გავიხსენოთ, რომ ნიკეის პირველ მსოფლიო კრებას 325 წ. ესწრებოდა ბიჭვინტის ეპისკოპოსიც[91]. ფეოდალური ქალაქების შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ბიჭვინტა, როგორც საქალაქო ცენტრი, ანტიკური ხანის შემდეგ სუსტდება, რაც განსაკუთრებით საგრძნობია V—VI საუკუნეებიდან. ეს გარემოება მას მჭიდროდ უკავშირებს სხვა ქართულ ქალაქებს, სადაც ანალოგიური მოვლენებია შესამჩნევი.

ფეოდალური ქალაქების შესასწავლად ასევე მნიშვნელოვან მასალებს იძლევა სოხუმის[92], ანაკოფიისა[93] და ქუთაისის[94] გათხრებიც.

---

[89] 1959 წლიდან ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე იქმნება ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის (შემდგომად ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი) შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიცია.

[90] А. М. Апакидзе, Об итогах новых археологических раскопок в Грузии, Москва, 1960, გვ. 7 (Доклады делегации СССР на XXV международном конгрессе востоковедов), მისივე, Результаты археологического изучения античных городов Грузии, «Античный город», М., 1963, გვ. 150, 152. ექსპედიციის საქმიანობას შესაძლებელია გავეცნოთ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიების მასალებში, სადაც პერიოდულად ქვეყნდებოდა ექსპედიციის ხელმძღვანელის ა. აფაქიძის, ასევე მისი წევრების: ო. ლორთქიფანიძის, რ. ფუთურიძის, რ. რამიშვილის, თ. მიქელაძის, ვ. თოლორდავას, ი. ციციშვილის, დ. ხახუტაიშვილის ანგარიშები. იხ. სამეცნიერო სესიები, მიძღვნილი 1952, 1959—1966 წლებში ჩატარებული საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. იხ. ასევე ექსპედიციის წევრთა რ. რამიშვილის, ო. ღამბაშიძის, ო. ლორთქიფანიძის, ქ. ბერძენიშვილის, თ. მიქელაძის ანგარიშები გამოქვეყნებული კრებულში, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, III, თბ., 1963.

[91] ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, თბ., 1948, გვ. 42; მისივე, „გეორგიკა", I, თბ., 1961, გვ. 6.

[92] სოხუმში გათხრებს აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიცია 1959—60 წწ. ა. აფაქიძის ხელმძღვანელობით, იხ. А. М. Апакидзе, О. Д. Лордкипанидзе, Отчет о работах Причерноморской археологической экспедиции в 1959 г., სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1959 წ. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1960; ა. აფაქიძე, ო. ლორთქიფანიძე, მასალები დიოსკურია-სებასტოპოლისის არქეოლოგიისათვის, „მაცნე," 1965, № 3.

[93] М. М. Трапш, Археологические раскопки в Анакопии в 1957—1958 гг., Византийский временник, XIX, М., 1960; В. Леквинадзе, По поводу Анакопийской крепости, სსმმ, XXV—B.

[94] იხ. ო. ლორთქიფანიძის ანგარიშები ქუთაისში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ 1963 და 1964 წწ., ასევე, ო. ლორთქიფანიძის ნ. ლომოურის, მ. მიწიშვილის და ლ. სახაროვას ანგარიში 1965 წ. ჩატარებული მუშაობის შესახებ (სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1963, 1964, 1965 წწ. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი).

დღეს ფეოდალური ხანის არქეოლოგიის მონაპოვარი ხელმისაწვდომია ისტორიკოსთა, ხელოვნებათმცოდნეთა, ნუმიზმატთა და სხვ. საკმაოდ დიდი ჯგუფისათვის, რომლებიც იყენებენ მას, როგორც წყაროს, ქალაქების შესწავლისათვის: შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, ვ. ცინცაძე, ვ. ბერიძე (თბილისის ისტორია), დ. გვრიტიშვილი (გორის ისტორია), ლ. რჩეულიშვილი (თელავის ისტორია), ვ. ჩაკვეტაძე (ქუთაისი), თ. გამსახურდია (ადრეფეოდალური ხანის ქალაქები) და სხვ.

თავი პირველი

# ძველი ქართული ქალაქების მოკლე მიმოხილვა

## (ქართული ქალაქების უძველესი ნამოსახლარები)

### 1. უძველესი ქართული ქალაქების რიგი წერილობითი წყაროების მიხედვით

ძველი ქართული ქალაქების შესწავლისათვის წყაროები მრავალნაირია. მათგან უპირატესობას ორი იმსახურებს: წერილობითი ძეგლები და არქეოლოგიური მონაცემები. სამწუხაროდ, არქეოლოგიურად ძეგლების მხოლოდ უმცირესი ნაწილია შესწავლილი, თანაც არასრულად, ისე, რომ ამ მხრივ ძირითადი სამუშაო წინაა. რაც შეეხება წერილობით წყაროებს, აქ ძირითადად ცნობებს ორგან ვხვდებით — „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ და ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთაში“. უმნიშვნელო ცნობები გაბნეულია ქართლის ცხოვრების სხვა თხზულებებში და აგიოგრაფიულ ნაწარმოებებში. ზოგიერთ ცნობას ძველი ქართული ქალაქების შესახებ შეიძლება წავაწყდეთ უცხო წყაროებშიაც (ქსენოფონტე, სტრაბონი, პტოლემაიოსი და სხვ.).

პირველ ყოვლისა, სანამ ძველი ქართული ქალაქების ზოგად მიმოხილვას შევეცდებოდეთ, საინტერესოა გაირკვეს თვით რიგი ამ ქალაქებისა.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (IX ს.) ალექსანდრე მაკედონელის ქართლში შემოსვლის აღწერისას მოგვითხრობს: „პირველ, ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი წარიქცინა და შეჰადნა იგი კედარსა მას ქვეყანასა, იხილა ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუევით, ოთხ ქალაქად, და დაბნები მათი: სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრახე და ციხენი მათნი: ციხე-დიდი სარკინისაჲ, უფლისციხე კასპისა, ურბნისისა და ოძრახისა“[1]. ზემოთ ჩამოთვლილი ქალაქები და ციხეები, რა თქმა უნდა, ქართლის ქალაქების მხოლოდ ერთ ჯგუფს გადმოსცემს და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ქართული ქალაქების რიგი მხოლოდ მათით განისაზღვროს. ავტორს გარკვეული ისტორიული ამბის გასაშუქებლად სურდა მოეცა ალექსანდრე მაკედონელის ვითომდა საქართველოში ლაშქრობის აღწერისას ერთ-ერთი ფაქტი და აღნიშნა მხოლოდ რამდენიმე პუნქტი. წყაროში მოხსენებულია მტკვრისპირის ოთხი ქალაქი თავისი ციხეებით. ავტორისეუ-

---

[1] „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბილისი, 1964, გვ. 81.

ლი აღნიშვნით: „მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუევით, ოთხ ქალაქად. და დაბნები მათი...“ ლაპარაკია მხოლოდ და მხოლოდ მტკვრისპირეთის პუნქტებზე სარკინეთიდან მოკიდებული დასავლეთით, ვიდრე ოძრხემდე.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორი ქალაქებს ცალკე კი არ აგვიწერს, არამედ მათ უკავშირებს გარკვეულ ციხეებს, „და ციხენი მათნიო“ აღნიშნავს. ტექსტის მიხედვით ოთხივე ქალაქს თავისი ციხე გააჩნდა, ოღონდ ერთი შენიშვნით: ურბნისისა და ოძრახის ციხეები თვით ქალაქებთან ერთადვე მდებარეობენ, რაზედაც მიუთითებს ის, რომ მათი ციხეები ქალაქების სახელებითვე არიან ცნობილი. სარკინეს უკავშირდება ციხე-დიდი და კასპს კი უფლისციხე. „ციხე დიდი სარკინისაჲ, უფლისციხე კასპისა, ურბნისისა და ოძრახისა“ (ციხენი)[2].

მაგრამ წყაროს ავტორმა კარგად იცის, რომ ციხე და ქალაქი მხოლოდ ეს ორი კომპონენტი არ არის საკმარისი ქალაქისათვის და ქალაქების ჩამოთვლამდე წერს „...მიხუევით, ოთხ ქალაქად, და დაბნები მათიო“. ე. ი. ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილად, ანდა უფრო სწორად, ქალაქის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად დაბნების არსებობას მიიჩნევს.

როგორც ჩანს, ციხისა და ქალაქის ასეთი დამოკიდებულება თუ ერთ შემთხვევაში ურბნისისა და ოძრხის მიხედვით ეჭვებს არ შეიძლება იწვევდეს, რამდენადაც ქალაქის მფარველი ციხე უშუალოდ ქალაქს ეკვრის, მეორეგან სარკინესა და კასპის მიმართ, რომელთა ციხენიც მათგან საკმაოდ დაცილებულია ტერიტორიულად, თითქოს საეჭვო უნდა იყოს. როგორც შემდეგში ვნახავთ, მოტანილი ტექსტის ადგილი ქალაქებისა და მათი ციხეების შესახებ, ერთი შეხედვით საეჭვო სურათის ამსახველი, სავსებით რეალური ანარეკლია ძველი ქართული ქალაქების და მათი ციხეების დამოკიდებულებისა, რაც კარგად ჩანს სხვა. ანალოგიური მაგალითებიდანაც (ამის შესახებ II თავში იქნება საუბარი).

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ზემოხსენებული ცნობა ეტყობა შემდეგ ავტორებსაც გამოუყენებიათ, სადაც „მოქცევის“ ავტორისეული გაგება ქალაქებისა და მათი ციხეებთან ერთიანობით ცალკე ტერმინით „ციხე-ქალაქით“ არის გადმოცემული. ლეონტი მროველის თხზულებაში მოცემული ქართული ქალაქების რიგი შედარებით სრულია, ვიდრე „მოქცევისა“, თუმცა იგიც ერთგვარად შეზღუდულად გვაძლევს ქალაქთა სიას ერთი გარკვეული პრინციპის მიხედვით.

ლეონტი მროველი რომ იცნობდა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ — ეს უდავოა და ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ძველი ქართული ქალაქების ჩამოთვლას იგი უკავშირებს ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობის თხრობას: „შემდგომად ამისსა განძლიერდა ალექსანდრე და დაიპყრო ყოველი ქვეყანა, და აღმოვიდა ქვეყანასა ქართლისასა. და პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შუაქართლ: წუნდა, ხერთვისი მტკურისა, ოძრხე მოკიდებული კლდესა ღადოსსა, თუხარისი მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქვიან ჭოროხი, ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე, ციხე დიდი და ზანავი, უბანი ერიათა, და რუსთავი, და დედა-ციხე სამშვილდე, და მტუერის ციხე, რომელ არს ხუნანი, და კახეთისა ქალაქნი“[3].

---

[2] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 453.
[3] „ქ ცხ.“, I, გვ. 17.

ლეონტი მროველის თხზულების ეს ნაწილი „მოქცევის" ზემოხსენებული ადგილის ერთგვარ შევსებას წარმოადგენს. თუ „მოქცევაში" ჩამოთვლილია მტკვრის ოთხი ქალაქი თავისი ციხეებით, სადაც თურმე ბუნთურქნი მსხდარან: „...იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუევით...", ლეონტი მროველი გვაუწყებს: „...და იხილნა რა ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართნი, რომელთა იგი ჩვენ ბუნთურქად და ყივჩაყად უწოდთ. მსხდომარენი მდინარესა მას მტკუარისასა მიხუევით..."[4] თვით თურქთა ქართლში დასახლების შესახებ ლეონტი მროველი უფრო ადრე გვაუწყებს: „ხოლო მასვე ჟამსა მოვიდეს თურქნი ოტებულნი მისვე ქაიხოსროსაგან. გამოვლეს ზღუა გურგანისი, აღმოყვეს მტკუარსა და მოვიდეს მცხეთას სახლი ოცდა რვა"[5]. ქართველებმა ინებეს დამეგობრება მათთან „...რამეთუ აქუნდა შიში სპარსთა და შემწეობისათვის დაიმეგობრნეს თურქნი იგი გამოსხმულნი, და განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა. ხოლო უმრავლესნი მათგანნი მოვიდეს და პოვეს ადგილი ერთი მცხეთას, დასავლით კერძო კლდეთა შორის გამოკუეთილი, ღრმა, და მოითხოვეს ადგილი იგი მცხეთელთა მამასახლისისაგან. მისცა და აღაშენეს იგი, მოზღუდეს მტკიცედ, და ეწოდა მას ადგილსა სარკინე"[6].

ბუნთურქთა ქართლში დასახლების ამბავს მროველიც იმეორებს. ჩვენ მისი რეალურობის საკითხის გამორკვევას არ გამოვუდგებით, მხოლოდ ერთს შევნიშნავთ: „მოქცევის" მიხედვით ოთხივე ქალაქში ბუნთურქნი სხედან, ამავე დროს სარკინეს ციხეა ციხე-დიდი. ციხე-დიდის სახელით შემორჩენილია ციხე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ძეგვთან[7]. მაგრამ ლ. მროველი აღნიშნავს, რომ „...აღაშენეს იგი, მოზღუდეს მტკიცედ, და ეწოდა მას ადგილსა სარკინე". ე. ი. სარკინის ციხეც, მისი გამაგრებული ნაწილიც იქვე ადგილობრივ ყოფილა. თუ ორივე ცნობას რეალურად მივიჩნევთ, მაშინ ციხე-დიდი სარკინისა მეორე დამცველი საშუალება გამოდის ქალაქისათვის. ე. ი. თვით ქალაქი, გამაგრებული საკუთარი საფორტიფიკაციო ნაგებობებით, დაცულია სხვა ციხითაც, რომელიც მისგან მოშორებით არის გაშენებული (ამის შესახებ შემდეგ).

ლეონტი მროველთან ჩამოთვლილი ქალაქების უმრავლესობა მტკვრის ხეობის ქალაქებს წარმოადგენენ — წუნდა, ხერთვისი, ურბნისი, კასპი, უფლისციხე, მცხეთა, სარკინე, რუსთავი, ხუნანი და ნაწილობრივ ოძრხეც. თუ ორივე წყაროს ცნობებს გავითვალისწინებთ, მაშინ მტკვრის ციხეთა და ქალაქთა თანამიმდევრობა ასეთი იქნება — დასავლეთიდან მოყოლებული: წუნდა, ხერთვისი, ოძრხე, ზანავი(?), ურბნისი, უფლისციხე, სარკინე, მცხეთა, რუსთავი, ხუნანი. სხვა ქალაქებიდან დასახელებულია თუხარისი მდ. ჭოროხზე, სამშვილდე და „კახეთისა ქალაქნი". ლეონტი მროველის მიერ მოხსენიებული ძველი ქართული ქალაქების რიგი ერთადერთია, თუმცა, რა თქმა უნდა, არასრული, რომლის შესახებაც შეიძლება ლაპარაკი. ჩვენს ისტორიოგრაფიაში „მოქცევაჲ ქართლისაჲსა" და ლეონტი მროველის შესაბამის ადგილებს, სადაც ქართულ ქალაქებზეა ლაპარაკი, ბევრი ავტორი შეხებია. ბუნდოვანი იქ, ეჭვი არ არის,

[4] „ქ. ც-ბა," I, ი ქ ვ ე.
[5] „ქ. ც-ბა", I, გვ. 15.
[6] ი ქ ვ ე.
[7] Э. С. Т а к а й ш в и л и. Три хроники, СМПМК, XXVIII, стр. 3.

ძალიან ბევრია. მაგრამ ასევე ცხადია, რომ მრავალი საინტერესო ფაქტის გაშუქებაც უთუოდ შესაძლებელია[8]. ასეა თუ ისე, წერილობითი წყაროების მონაცემეპს შემოწმება სჭირდება, საჭიროა მათი შესწავლა არქეოლოგიურად და ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით. თუ ზოგი მათგანი დღესაც კარგად არის შემორჩენილი, ან არქეოლოგიური გათხრების მეშვეობით გამოვლენილ-შესწავლილი, ზოგი ლოკალიზებულიც კი არ არის. საჭირო იქნება მოკლედ მიმოვიხილოთ ძველი ნაქალაქარები არქეოლოგიური დაზვერვების მონაცემების მიხედვით და შესაბამისად წარმოვადგინოთ საერთო სურათი ჩვენში პირველი ქართული ქალაქების წარმოშობის წინა პერიოდისათვის.

## 2. მტკვრის ხეობის ქალაქები

სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ იბერიის ძველ ქალაქებზე მსჯელობისას წერილობითი წყაროები მტკვრის ხეობაზე ამახვილებენ ყურადღებას. მტკვრის ხეობა, უძველესი დროიდან მოყოლებული, ძირითად სასიცოცხლო არტერიას წარმოადგენდა. მტკვრისპირეთის ნაყოფიერი ველები ადვილად მისაგნები და დასამუშავებელი იყო ძველი მობინადრეებისათვის. უკვე ადრებრინჯაოს ხანაში, მტკვრის ჩაყოლებაზე, მის ორივე ნაპირზე, ძველ მოსახლეთა კერები გაჩნდა. პირველი დასახლებანი საკმაოდ მჭიდროდ იყვნენ განლაგებულნი მდინარის გასწვრივ, დაწყებული ხეობის ზედა წელიდან, ვიდრე თითქმის ზღვამდე. მდინარის პირები საუკეთესო ადგილები იყო მიწათმოქმედებისათვის. თვით მდინარე კი შესანიშნავი ორიენტირი და გზა სხვებთან დასაკავშირებლად. ე. ი. ადრებრინჯაოს ხანაში ხეობა უკვე ათვისებული ჩანს და ზოგიერთი პუნქტის მოწინავეობა სწორედ ამ დროსვე ისახება. მდინარე მტკვრით, განსაკუთრებით მისი ზედა წელით, სავარაუდოა, უძველეს ხანაშივე ხდებოდა ერთიერთობა ანატოლია-მცირე აზიის და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის კულტურულ ცენტრებთან, რაც კარგად შეინიშნება არქეოლოგიური მასალების მიხედვით[9].

თავისებური გეოგრაფიული გარემო იბერიის საზღვრებში მოქცეულ მტკვრის ხეობას სამ ძირითად ზონაში აქცევს; ესენია: 1. ხეობის ზედა წელი — მთიანი რაიონი, 2. შიდა ქართლის ბარი — მტკვრის ხეობის შუა წელი, ზომიერი ჰავით და კარგი სამიწათმოქმედო რაიონით და 3. ხეობის ქვედა წელი, შედარებით ცხელკლიმატიანი და თბილი საზამთრო პერიოდის გამო მდიდარი საზამთრო საძოვრებით[10]. როგორც შემდეგში ვნახავთ, სამივე ზონა, მიუხედავად განსხვავებული კლიმატური და გეოგრაფიული მდგომარეობისა, ერთი სამეურნეო ყოფით ხასიათდებოდა.

---

[8] ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1916, გვ. 38—43; ს. ჯანაშია, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 127; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959. стр. 23—47; Ш. А. Месхиа, Города и городской строй...., стр. 16—17; ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, გვ. 5—6; დ. ხახუტაიშვილი, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 18—19.

[9] О. М. Джапаридзе, Раннеземледельческая культура Грузии, Тбилиси, 1964; Т. Н. Чубинишвили, О взаимоотношениях кавказской (куро-аракской) культуры с переднеазиатской культурой в III тысячелетии до н. эры, Тб., 1964.

[10] ძველი ქართული ქალაქების სამ ჯგუფად დაყოფა ჯერ კიდევ პ. იოსელიანმა მოახდინა. მისი ვარაუდით ეს ქალაქები ქართლის სამ მხარეს უკავშირდებოდნენ: ზემო ქართლს, შუა და

მტკვრის ზემო წელის ძველი ქალაქებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო წუნდა.

წუნდა ლ. მროველის მიხედვით ჯავახოსის წილხვდომილია: „...ხოლო ჯავახოსს მისცა ფანავერითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა. და ამან ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსა მაშინ ერქვა ქაჯთა ქალაქი, ხოლო აწ ჰქვან ჰური"[11]. წუნდა ერთ-ერთია იმ ქალაქთაგან, რომელიც ალ. მაკედონელს დახვედრია ქართლში[12]. იგი ფარნავაზის რეფორმების დროს ერისთავის რეზიდენციად იქცა: „...მეხუთე გაგზავნა წუნდის ერისთავად, და მისცა ფანვარითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლა და არტანი"[13]. იმავე ფარნავაზის დროს წუნდა სამეფო კარის საზაფხულო სადგომს წარმოადგენს: „...ხოლო თუენი გაზაფხულისა და სთულისა არისანი დაყენის მცხეთას, სამეუფოს ქალაქსა; და თუენი ზამთრისანი დაყენის გაჩიანთა; ხოლო თუენი ზაფხულისანი — წუნდას"[14]. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ წუნდაში იწყებენ ეკლესიის მშენებლობას, მირიანის მეფობის დროს: „...დაუტევნა წუნდას ხუროni და განძი და რაჟამს ეწყო ოდენ ეკლესიას, წარმოვიდა და მოვიდა მანგლისს"[15].

როგორც ჩანს, წუნდის ეკლესიის მშენებლობა მირიანის დროს დაიწყო. მირდატის ბაქარის ძის დროს (მირიანის შვილიშვილი) წუნდის ეკლესია უკვე არსებობს. მირდატმა თურმე „...მატა შემკობა და შენება ერუშეთისა და წუნდისა ეკლესიათა"[16]. საეკლესიო სფეროში წუნდა მოწინავე როლს ასრულებდა, ისე, რომ ვახტანგ გორგასალის საეკლესიო ღონისძიებათა დროს აქ ჯდება ჯავახეთის ეპისკოპოსი: „...და დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა ახიზისასა; ერთი არტანს ერუშეთს; ერთი ჯავახეთს, წუნდას"[17]. გორგასალის დროს, როგორც ირკვევა, წუნდა კვლავ საერისთავოს წარმოადგენდა. ვახტანგის სიკვდილის ჟამს მეფეს მოუხმია რამდენიმე ერისთავი, რომელთა შორის დასახელებულია „ნასარი, ერისთავი წუნდისა"[18]. წუნდა მოხსენიებულია გორგასალის ანდერძში დაჩისადმი: „...შენ ხარ პირმშო შვილი ჩემი, შენდა მომიცემია გვირგვინი მეფობისა ჩემისა, და ნაწილად ძმათა შენთა მიმიცემია ტაოსკარითგან და წუნდითგან ვიდრე სომხითამდე და საბერძნეთამდე"[19]. გორგასალის მეფობის შემდგომ, როცა სამეფო ტახტს იკავებს დაჩი ვახტანგის ძე, წუნდა გადადის გორგასალის მეუღლისა და მისი ორი ძის სამფლობელოდ. საყურადღებოა, რომ ამ დროსაც წუნდა კვლავ საზაფხულო რეზიდენციაა: „...და დაჯდა საყდარსა მისსა ძე მისი დაჩი. ხოლო ცოლი და ორნი ძენი ვახტანგისანი

---

ქვემო ქართლს. ქვემო ქართლის ქალაქებში ის გულისხმობდა მაშავერა-დებედას მიდამოებში არსებულ პუნქტებს. ქალაქების ასეთი განხილვა ქრონოლოგიური ნიშნის მიხედვით არ არის მოცემული. იხ. П. Иоселиани. Города, существовавшие и существующие в Грузии, 1850, стр. 76—77.

[11] „ქ ც-ბა", I, გვ. 10.

[12] ი ქ ვ ე, გვ. 17; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. 1—2.

[13] ი ქ ვ ე, გვ. 24.

[14] ი ქ ვ ე, გვ. 25.

[15] „ქ ც-ბა," I, გვ. 117.

[16] ი ქ ვ ე, გვ. 131.

[17] ი ქ ვ ე, გვ. 198.

[18] ი ქ ვ ე, გვ. 204.

[19] ი ქ ვ ე, გვ. 203.




სურ. 1. წუნდა. ძეგლთა განლაგების სქემა

წარიყვანნეს სამთა მათ ერისთავთა, და დაიპყრეს დასავლეთი ქართლისა, რომელი მისცა ვახტანგ. და დასხდეს წუნდას ქალაქსა ზაფხულის, და ზამთრის იყვნიან ოძრხეს"[20].

როგორც წუნდის შესახებ არსებული ზოგი ცნობის მიმოხილვიდან ირკვევა, იგი ქალაქად მოიხსენიება ადრეული ანტიკური ხანიდანვე. მისი მდებარეობა, წყაროების მიხედვით, საგულვებელია მტკვრის ხეობის ზედა წელში, ხერთვისვარძიის მონაკვეთზე. აქ სულ მცირე ფართობზე რამდენიმე საყურადღებო ძველი ძეგლია შენიშნული. ყველა ესენი მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს არიან განლაგებული. ყველაზე უტყუარი მანიშნებელია სახელი ნაქალაქევი, რომელსაც ერთ პატარა სოფელს ეძახიან. აქ დ. ბაქრაძის გადმოცემით, თურმე 12 კომლი სახლობდა[21]. დღეს სოფელში მთლიანად ქართული მოსახლეობაა.

ნაქალაქევს ზედვე ერტყმის წუნდაც, რომელიც მოზრდილ ტერასებიან გორას წარმოადგენს (ტაბ. $I_2$). სოფელში დღეს არავინ სახლობს, მხოლოდ ნაქალაქეველთა ბაღები და სათიბებია შემორჩენილი. წუნდის გორა ვარძია-ხერთვისის გზიდან ორასიოდე მეტრით არის დაცილებული. გორა აღმართულია ქვის ტერასებზე, სადაც ეს უკანასკნელი გაშიშვლებულიცაა მიწის საფარის მოხსნის გამო. ერთ ასეთ გაშიშვლებაზე აღმართულია წუნდის ეკლესია, მიწის ზევით შემორჩენილი ერთადერთი ძეგლი (სურ. 2), რომლის დასავლეთ კედელზე სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა მოთავსებული: „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა, მე, იჩქითმან, გურგენის ძემან აღვაშენე ეკლესია ესე მამული ჩვენნი, სახელსა ზედა წმიდისა ნათლისმცემლისასა, სალოცველად სულისა ჩემთათვის და მშობელთა ჩემთათა"[22]. როგორც წარწერის მიხედვით ვარაუდობენ, იგი შესაძლებელია XI—XII სს. ძეგლი იყოს[23].

წუნდის გორა მსხვილ-მსხვილი ქვებით ნაგები ტერასებით არის მთლიანად დაფარული. ტერასების სიმაღლე ორ-სამ მეტრს აღწევს. კლდოვანი ადგილების ტერასებად დანაწილება ჯავახეთში ძლიერ გავრცელებულია და ამ გზით ცდილობენ სათესი და, საერთოდ, მიწის ფართობების გაზრდას. თუ რა დროს არის აგებული წუნდის ტერასები — ძნელი დასადგენია, სანამ აქ არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა. დღევანდელ მოსახლეობას არ ახსოვს მისი აგება. ის არც აქ ადრე მოსახლე თათარი მოსახლეობის მეხსიერებას შემოუნახავს. არ არის გამორიცხული, რომ საქმე გვქონდეს ძველ წესთან. გორას საკმაო ფართობი აქვს და უძველესი ქალაქის კვალობაზე საკმაო რაოდენობის მოსახლეობასაც დაიტევდა. ეკლესია გორის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს.

თვით გორა წარმოადგენს ჯავახეთის ზეგნიდან მტკვრისაკენ გამავალი ქედის ბოლო მონაკვეთს, რომელიც ხელოვნურად არის განივად გადაკვეთილი. გადაჭრილი ყელი დღესაც კარგად შეიმჩნევა, რითაც ბორცვს ხელოვნური გორის სახე აქვს მიცემული. აქ ქვის ქანის გაშიშვლებაც უკეთ არის ფიქსირებული.

---

[20] „ქ ც-ბა," I, გვ. 205.

[21] Д. Бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 150.

[22] წარწერა გამოცემულია რამდენიმეგზის ბროსეს, როსტომაშვილის და კალისტრატეს მიერ. იხ. ვ. ცისკარიშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო. გვ. 47.

[23] ვანის ქვაბებში 1965—66 წწ. ჩატარებული გათხრების დროს აღმოჩნდა საინტერესო ქართული წარწერა, სადაც კვლავ იჩქით გურგენისძეა მოხსენებული. ტექსტის მიხედვით ის თამარის თანამედროვეა, ამდენად წუნდის ეკლესიის წარწერაც ასევე უნდა დათარიღდეს. იხ. გ. გაფრინდაშვილი, ვანის ქვაბის განძი, „ძეგლის მეგობარი", № 6. 1966.

ერთი სიტყვით, წუნდის გორა მიღებულია ბუნებრივი ქედის ხელოვნური გამოყოფის გზით, რითაც უზრუნიათ, რომ სამოსახლო ბორცვი უფრო მიუვალი გაეხადათ. თავდაპირველი სახის წარმოდგენა დღევანდელი გარეგნული ნიშნებით თითქოს შესაძლებელი უნდა იყოს და ვფიქრობთ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ გორას ირგვლივ შემოუყვებოდა თხრილი თავდაცვისუნარიანობის გაზრდის თვალსაზრისით. სავარაუდოა ბორცვს ირგვლივ გალავანიც ერტყა.

წუნდის გორა და მისი მიმდგომი ტერიტორია უძველესი დასახლების აღქმის თვალსაზრისით ფრიად საინტერესოდ გამოიყურება. სულ მცირეოდენ ადგილზე რამდენიმე საყურადღებო რამ არის შემჩნეული: უპირველესად ყოვლისა, ძალიან კარგად იზვერება ქალაქის ტერიტორია და მისი სამეურნეო რაიონი, რომელიც ზედვე ერტყა ქალაქს. ძველი ქალაქი და მისი სანახები ჯავახეთის ზეგნიდან მტკვრისაკენ მიმართულ დავაკებაზეა გაშენებული. წუნდის გორა და ადგილი ნაქალაქევი მოქცეულია ზეგნიდან მტკვრისაკენ მიმდინარე ორ წყალს შუა, რომელთაგან ერთი ხელოვნურია და მეორე კი დაახლოებით კუმურდოს ქვემოთ გამოსდის ზეგანს (სურ. 1). მას წისქვილის წყლებს ეძახიან. გადმოცემით იგი სარწყავად არის გამოყენებული და გამოდის უშუალოდ წუნდის გორის მახლობლადვე, მისგან ჩრდილოეთით. „წისქვილის წყალი“ არცთუ წყალუხვია და სიგრძითაც მოკლეა — 1,5—2 კმ სიგრძისა (აქედან კუმურდოს ეკლესია 1,5 კმ იქნება დაცილებული). რუზე ერთ ადგილას ქვის ბოგირის ბაწთებიც არის შემორჩენილი (ტაბ. $I_1$).



სურ. 2. წუნდის ეკლესია

წისქვილის წყალი, რომელიც ძირითადად სარწყავად არის გამოყენებული, რელიეფის მიხედვით არხის შთაბეჭდილებას სტოვებს, რომელიც გამოუყვანიათ ზეგნის ერთ-ერთი, კუმურდოს მახლობლად მდებარე ხევიდან. რომ იგი ხელოვნური ნაგებობაა ჩანს, თუნდაც იქიდან, რომ გორის და ადგილ ნაქალაქარის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს რუ, რომელსაც დიდ რუს ეძახიან, რაც მიუთითებს, რომ არსებობდა პატარა რუც. უთუოდ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამ არხს „დიდ რუს“, ე. ი. ქართულ სახელს უწოდებდა აქ ადრე მოსახლე მუსლიმური მოსახლეობაც. ცხადია, ქართული სახელი, ძველი დროიდან მოყოლებული, თაობიდან თაობაზე გადადიოდა და იგი მექანიკურად მიიღო ქართველთა ნაფუძარზე დასახლებულმა მუსლიმურმა მოსახლეობამ.

წუნდა-ქალაქის წარმოშობისათვის, რა თქმა უნდა, აქ სათანადო ეკონომიური პირობები უნდა ყოფილიყო, რასაც ერთგვარად აპირობებდა ირიგა-

ციის ქსელი. რომ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა სინქრონიზმისა ანტიკურ ქალაქ წუნდასა და მის სარწყავ სისტემას შორის, იქიდან ჩანს, რომ წუნდა-ნაქალაქარის დღევანდელ მოსახლეობას თუ დავუჯერებთ, აქ მოსავალი არ მოვა, თუ მორწყვა არ იქნება. ამდენად, არ უნდა ვცდებოდეთ, თუ წუნდის არხებს ქალაქის უძველეს ფენებს დავუკავშირებთ. როგორც ახალ აღმოჩენათა მიხედვით ვარაუდობენ, ირიგაციის განსაკუთრებული განვითარება ქართლში ძირითადად მევენახეობაზე, მის ინტენსიურ განვითარებაზე უნდა იყოს დამყარებული[24]. ირიგაცია-მევენახეობის ასეთ ურთიერთობაზე მეხრა-




სურ. 3. წუნდის ნაქარვასლარის გეგმა

ნის, ნასტაგისისა და ურბნისის სარწყავი სისტემების შექმნის გვერდით შესაძლებელია წუნდაც მოვიხსენიოთ, რის ნივთიერი დადასტურებისათვის ჩვენს ხელთმყოფი ორიოდე შემთხვევითი მაგალითიც შეიძლება დავასახელოთ. კერძოდ, 1964 წ. ზაფხულში, მიწის სამუშაოების დროს აღმოჩენილია მოზრდილი

---

[24] ი. კიკვიძე, მორწყვა ძველ საქართველოში, გვ. 52.

ქვევრები და, რაც მთავარია, ქვევრსამარხი. გადმოცემით: უნახავთ ქვევრი, რომელშიც ადამიანის ჩონჩხი ყოფილა დადასტურებული. ცნობილია, რომ ქვევრსამარხების გავრცელება ვენახებით მდიდარი რაიონებისათვის იყო დამახასიათებელი.

წუნდის გორის და ნაქალაქევის გვერდით მნიშვნელოვანი ძეგლებია ასევე ბერთაყანა, ნაქარვასლარი, ნასასახლევი და სხვ. ბერთაყანა ერთ-ერთი ძველი არქეოლოგიური ადგილია წუნდის მიდამოებში, სადაც თავმოყრილია ძვ. წ. პირველი ათასწლეულის მეორე ნახევრის საინტერესო ძეგლები — საცხოვრებლის ნაშთები, ასევე სამარხები. იგი მდიდარია ზედაპირული მასალებითაც. მცირეოდენი თხრა, რომელიც აქ ჩაატარეს არქეოლოგებმა ტ. ჩუბინიშვილმა და ო. ლამბაშიძემ, საკმაოდ ნათლად გვიჩვენებს, რომ საქმე გვაქვს წუნდასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანთან.

წუნდის ნაქარვასლარი, შემორჩენილი მრავალგზის გადაკეთებული კედლებით, ალბათ უფრო გვიანი შუასაუკუნეების ძეგლია, მაგრამ ვხვდებით ზოგ საგულისხმო დეტალსაც, რომელიც ადგილის საკმაო სიძველეზე მიუთითებს (ტაბ. $II_1$, სურ. 3, 4). პირველ ყოვლისა, საჭიროა აღინიშნოს ზედაპირზე აკრეფილი რამდენიმე შავპრიალა კერამიკის ნატეხი, რომლებიც ძვ. წ. პირველ ათასწლეულზე მიგვითითებს. რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ვაპირებთ ქარვასლის აღებული ხანით დათარიღებას, მაგრამ არც გამოვრიცხავთ ვარაუდს, რომ აქ ძველად რაიმე მნიშვნელოვანი ნაგებობანი ყოფილიყოს. დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ ნაქარვასლარის ეზოში არ ჩანს შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკის კარგად ნაცნობი სახეები, მხოლოდ ორიოდე გვიანდელი ნატეხი, რომელიც აქ იყო დადასტურებული, გვაფიქრებინებს, რომ გვიან შუა საუკუნეებში გადაკეთებული ნაქარვასლარის ტერიტორიაზე ადრე (VIII—IX სს-მდე) არსებობდა რაღაც, არ არის გამორიცხული, მსგავსივე დანიშნულების ნაგებობა. სრულიად დასაშვებად მიგვაჩნია, რომ მტკვრის ზედა წელი, და რა თქმა უნდა წუნდაც, სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის ერთ-ერთი რგოლი იყო წინა აზიასთან. ასეთი ურთიერთობა უძველესი დროიდან არის სავარაუდებელი.

ნაქარვასლართან მჭიდროდ დაკავშირებული ჩანს ნასასახლარიც, რომელიც ნაქარვასლარიდან სამხრეთით მდებარეობს, სასახლის ნაშთების მიხედვით, რომელთაგანაც დიდმა ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე, თითქმის მთლიანი გეგმარების აღდგენაც არის შესაძლებელი (ტაბ. $II_2$).

წუნდის მიდამოების შესწავლის დროს შეგროვილი ტოპონიმებიდან, რომელთაც აშკარად ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, შეიძლება მოვიხსენიოთ მეცნიერებაში ადრეც კარგად ნაცნობი წუნდის-გორა, ნაქალაქევი, ნაქარვასლარი, ნასასახლევი და სხვ. ახალი მონაცემებიდან განსაკუთრებული დაკვირვების ღირსია ძველი ქალაქის სამეურნეო ყოფის დამახასიათებლად „დიდი რუ" და „პატარა რუ" — და ადგილის სახელი „ჯიუტ მალა", რომლის შესახებაც პირველად ო. ლამბაშიძემ გვაცნობა. „ჯიუტ-მალა" ანტიკური წუნდის ერთ-ერთი უბნის სახელი უნდა იყოს და ჩვენი ვარაუდით აღნიშნავს ებრაელთა უბანს (ურიათ უბანი). „ჯიუტ" ეს იგივე ჯიეჰუდ-იეჰუდია (არაბ. يهود), ე. ი. ებრაელი და „მალა" კი იგივე „მანა" უბანია (შდრ. კიმოთისმანი — კიმოთესუბანი და სხვ.[25] ამის შესახებ შემდეგ თავში იქნება აღნიშნული). ჯიუტ-

[25] შესაძლებელია აქედანვე მომდინარეობს ქართული სიტყვაც „ჯიუტი".

მალის (ურიათუბნის) სახით. საქმე გვაქვს წუნდაში ცალკე უბნის არსებობის ნიშანდობლივ დამოწმებასთან (შდრ. ურიათუბანი მცხეთასა და ურბნისში).

წუნდის-გორა, ნაქალაქევი, ბერთაყანა, ჯიუტ-მალა წარმოადგენდნენ ძველი წუნდის ცალკეულ უბნებს, რომლებიც ერთ საქალაქო ერთეულს შეადგენდნენ. ქალაქის ტერიტორია საკმაოდ დიდი იქნებოდა, რომელსაც გარს ერტყა ვრცელი სამეურნეო ზონა კუმურდოს ქედიდან ქვევით კალთებზე მდ. მტკვრამდე, ათვისებული საირიგაციო ქსელით.

ადგილის დაზვერვებით მიღებული შთაბეჭდილებებიდან საჭიროა გამოიყოს რამდენიმე: პირველ ყოვლისა ქალაქს სათანადოდ მოწყობილი სამეურნეო რაიონი ჰქონდა, რომელიც ადამიანის ზრუნვის შედეგად (ირიგაცია, ტერასების მოწყობა) მაღალეფექტური უნდა ყოფილიყო. ეკონომიურმა ყოფამ და პირველ რიგში დამჯდარმა მეურნეობამ გამოიწვია წუნდის მიდამოების და-




მასშ. 1 50

სურ. 4. წუნდა ნაქარვასლარი. კარი სამხრეთის კედელში

სახლება ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანაში. დაზვერვების შედეგად მოკრეფილია ადრებრინჯაოს, ასევე ძვ. წ. I ათასწლეულის თიხის ნაწარმის ნაშთები, რაც მიუთითებს, რომ დასახლება აქ საკმაოდ ხანგრძლივ ისტორიას ითვლის. ძველი მასალების მიხედვით, ასევე ტრადიციით, პირველსაცხოვრისი წუნდის — გორა უნდა ყოფილიყო, რომელიც მოწყობილია სხვა ანალოგიური სამოსახლო გორების მსგავსად (გადაჭრილი ქედი, გარემოსაგან გამოყოფა, გამაგრება). ანტიკური წუნდა მრავალუბნიანი დასახლებაა. მისი მთავარი უბნები იქნებოდა: თვით წუნდის გორა, დღევანდელი ნაქალაქევი, ბერთაყანა და ჯიუტ-მალა

(ურიათუბანი). არ არის გამორიცხული სხვა უბნების არსებობაც. წუნდა მტკვრის ზემო წელის ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიური და სტრატეგიული პუნქტი იყო. ის თავისი უბნებით, გამაგრების სისტემით, ციხით (ხერთვისი). ამ რაიონში თითქმის ერთადერთია, რომელიც ქალაქად ჩაითვლებოდა.

წუნდის, როგორც ქალაქის სისტემაში, გარკვეული ადგილი აქვს მიჩნეული ქალაქის, ასევე მთლიანად მხარის დამცველ ციხეს **ხერთვისს.** ხერთვისი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო მდინარის ზედა წელის გასაღებია. მასზე დიდად იყო დამოკიდებული წუნდის ქვეყნის ავკარგიანობა.

ხერთვისი პირველად ლეონტი მროველის თხზულებაში მოიხსენიება. ავტორის მიერ ჩამოთვლილ ციხეებსა და ქალაქებს შორის იგი უფლისციხესთან და ციხე-დიდთან ერთად უფრო ციხეების ჯგუფშია მოსათავსებელი. ციხისათვის დამახასიათებელი ნიშნები სწორედ აქ არის კარგად გამოჩენილი (ტაბ. $III_1$).

ხერთვისი მდებარეობს ორი მდინარის — ჯავახეთის მტკვრისა და არტაანის მტკვრის შესართავზე, მაღალ კლდოვან მასივზე. აქედანვეა წარმომდგარი მისი სახელიც — ხერთვისი, რომელიც ხანმეტობით შეიძლება აიხსნას (ამის შესახებ ქვემოთ). ციხე-ქალაქის მცირე ტერიტორია მთლიანად გალავან-კოშკებითაა დაფარული. კლდოვან მასივში არქეოლოგიური არაფერი ჩანს.

გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, იგი ძლიერი სტრატეგიული პუნქტია. მისი მნიშვნელობის განმსაზღვრელიც სწორედ მისი ადგილმდებარეობაა; ბატონობს ორ ხეობაზე, სადაც ვერავინ ხერთვისის კონტროლს ვერ ასცდება. ორივე ხეობა ერთობ ვიწრო გასასვლელიანია და ამდენად უფრო ადვილად ჩასაკეტიც. ვფიქრობთ, აქ ციხის არსებობა წმინდა სტრატეგიულ მიზნებზეა დამყარებული. ამავე დროს იგი წუნდასთან დაკავშირებულ ციხეს წარმოადგენს, მისი ხეობის და თვით ქალაქის ციხეს წარმოადგენს.

ხერთვისთან დაკავშირებით კიდევ ერთი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ. ლეონტი მროველი ქალაქების ჩამოთვლისას აღნიშნავს — „ხერთვისი მტკურისა". ეს აუცილებლად ნიშნავს, რომ ხერთვისი მტკვარზე მდებარეობს, და რომ არსებობს სხვა ხერთვისიც (არამტკვრისა). ეს უკანასკნელი მთავარია, თორემ ავტორს რომ სდომოდა, მხოლოდ იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ის მტკვარზე მდებარეობს, მაშინ ისევე იტყოდა, როგორც სხვა შემთხვევაში: „თუხარისი მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქვიან ჭოროხი", ანდა „ოძრხე მოკიდებული კლდესა ლადოსსა", „ხერთვისი", როგორც ჩანს, გარკვეულ ადგილებს, წყალსაყარებს აღნიშნავდა და იგი გეოგრაფიული ცნების გამომსახველ ტერმინს წარმოადგენდა. კიდევ ერთი ასეთი ხერთვისი ჯუანშერსა აქვს მოხსენიებული ვახტანგ გორგასალის ცხოვრების ერთი ეპიზოდის გადმოცემისას: „...ცნეს სპარსთა, ვითარმედ დამძიმდა ვახტანგ წყლულებისაგან, მოაოხრეს ტფილისი და არმაზი ქართლი, ხოლო მცხეთა ვერ დაიპყრეს, გარნა რომელი ზღუდესა გარეგნით იყო, მოაოხრეს, რომელი — იგი მუხრანით და არაგუსა ხერთვისსა იყო"[26].

ხერთვისების შესახებ ცალკე გვექნება მსჯელობა. აქ კი მოკლედ შევნიშნავთ, რომ მტკვრის ხერთვისის დაწინაურება გარკვეულ პოლიტიკურ ამბებთან იყო დაკავშირებული და იგი ყურადღებას იმსახურებდა როგორც სტრა-

[26] „ქ ც-ბა", I, გვ. 202.

ტეგიული ადგილი (ხერთვისი, ციხე). გვიან შუასაუკუნეებში და უფრო ადრეც, როდესაც წუნდა დაეცა და დაქვეითდა, პოლიტიკურ ამბებთან დაკავშირებით ხერთვისი კვლავ ყურადღების ცენტრშია. ის, როგორც სტრატეგიული ადგილი, დიდ როლს ასრულებდა თურქების დროსაც.

ძველი ქალაქი ოძრხე თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მტკვრის ხეობას არ განეკუთვნება, მაგრამ მისი განხილვა მტკვრის ზედა წელის პუნქტებთან ერთად შესაძლებელია, რამდენადაც ის მჭიდროდ უნდა ყოფილიყო მასთან დაკავშირებული.

დღეს შემორჩენილ ადგილთა სახელებში ოძრხე თითქმის გამქრალია. XIX საუკ. შუახანებში კი, პ. იოსელიანის მიხედვით, კიდევ ყოფილა მდინარე ოძრახე, რომელზედაც პატარა სოფელია ასეთივე სახელით, მუსლიმური მოსახლეობით[27]. ვახუშტის მიხედვით „ახალციხეს ზეით, კვანჯლას, მოერთვის ახალციხის წყალს ოცხისწყალი. ეს გამოსდის ფერსათს და მოდის ჩრდილო-დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთს-სამხრით შუა. ამ ოცხეს-წყალს ერთვის, ვაშლობს, პანტოევანის-ხევი, გამომდინარე ფერსათისა, და მოდის ჩრდილოდამ სამხრით. ამ ხევის ზევით, მთის ძირში, არს ოძრახე, რომელიც აღაშენა ოძრახოს ქალაქი და ციხე, და უწოდა სახელი თვისი. ამისაგან ეწოდა-ცა საერისთოსა ამას საერისთო ოძრახოსი, და იყო ქალაქი და ციხე, განყოფილებისამდე სამეფოსა, საერისთოდ, და შემდგომად მისა — დაბად; ხოლო აწ არს ოხერ, და ციხე შემუსვრილი. მცირედ ამის ქვეით, სამხრით, არს მთის კალთას წყარო, გამომდინარე, ფრიად დიდი და ცხელი, მდუღარის მგზავსი, რომელსაც უწოდებენ ოცხეს. მას ზედა არს შენი აბანო, და ბანაობენ მრავალნი, რამეთუ ჰკურნებს ქარით დახუთვილსა ძლიერსა, მეწუკსა და ბუგრსა"[28].

ოძრხე ტრადიციული ისტორიული გადმოცემით ოძრხოსის წილხვდომილია: „ოძრხოს მისცა ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა, ქუეყანა კლდოვანი. ამან ოძრხოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: ოძრხე და თუხარისი"[29]. ოძრხეს „მოქცევის" ავტორიც იცნობს და მას ასახელებს ქართლის ძველი ქალაქების რიგში სარკინესთან, კასპთან და ურბნისთან ერთად. ფარნავაზის რეფორმების დროს ერთ-ერთი ერისთავი ოძრხეს დამკვიდრებულა, რომლის საგამგეოც ვრცელ ტერიტორიაზე ყოფილა გადაჭიმული — „მეექვსე გაგზავნა ოძრხის ერისთავად და მისცა ტასისკარითგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავიდგან ზღუამდის რომელ არს სამცხე და აჭარა"[30]. ვახტანგ გორგასალის დროს ცნობილია ბივრიტიანი — ერისთავი ოძრხისა. გორგასალის სიკვდილის შემდეგ მისი ცოლი და ორი ვაჟი ეპატრონებიან ოძრხეს, როგორც ზამთრის რეზიდენციას — „დასხდეს წუნდას ქალაქსა ზაფხულის, და ზამთრის იყვნიან ოძრხეს"[31]. მსგავსად წუნდისა. ოძრხეც ადრეფეოდალურ ხანაში ეცემა. მურვან ყრუს ლაშქრობის დროს (VIII ს.) ვხვდებით, მაგალითად, ერთ ადგილს ჯუანშერის თხზულებაში: „...და მოვიდა სამცხეს და დაიბანაკა არეთა ოძრხისათა. რამეთუ იყო მაშინ ქალაქი იგი სახელოვანი, ძველ ნაქმართა მისთათვის"[32]. ე. ი. აქ მისი ქა-

---

[27] П. Иоселиани. Города..., გვ. 58.

[28] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 125.

[29] „ქ ც-ბა", I, გვ. 9.

[30] იქვე, გვ. 24.

[31] იქვე, გვ. 205.

[32] იქვე, გვ. 234.

ლაქობა და სიძლიერე მხოლოდ ტრადიციითღა იხსენიება „ძველ ნაქმართა მისთაოვისო".

ე. ი. ძნელი არ არის დავინახოთ ბევრი საერთო ხაზი და დამთხვევა წუნდისა და ოძრხის ცხოვრებაში. მათი ისტორია რამდენადმე ერთგვარია, ერთი ხვედრიც აქვთ განაწილებული.




სურ. 5. ოძრხე. ძვ. ნამოსახლართა განლაგება

დღეს შემორჩენილ ადგილის სახელებში „ოძრხე" გამქრალია და ამიტომ მისი ლოკალიზება ძნელია, მხოლოდ წერილობითი ცნობების მიხედვით შეიძლება მიახლოებითი რაიონის მიგნება[33]. წყაროების ანალიზით ოძრხე აბასთუმნის ხეობას უნდა ემთხვეოდეს. სამწუხაროდ, ძველი სახელი „ოძრხის-წყალი"

[33] გ. მელიქიშვილის მოსაზრებით — ქართულ სამყაროში მესხეთს ადრე სხვა სახელი ერქვა, ეს არის „ოძრხე", „რომელიც კავშირში უნდა იყოს ანტიკური წყაროების ბიძერებისა და ურარტული წყაროების ვიტერაუხის ტომების სახელთან" (საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, გვ. 135). სახელი „ოძრხე" რამდენად უსწრებს „მესხეთს" ან არის თუ არა ის მისი ადრეული სახელი, ამის შესახებ ჩვენ ვერაფერს ვიტყვით. მხოლოდ „ოძრხის" შესახებ შევნიშნავთ, რომ წყაროებში

თითქმის გამქრალია და დღეს „აბასთუმნის წყალს“, „აბასთუმან ჩაის“ ან უბრალოდ „აბასთუმანკას“ ეძახიან[34].

ვახუშტის აღწერილობის მიხედვით, ოძრხე სადღაც აბასთუმნის მიდამოებშია, ცხელი წყლის სამკურნალო წყაროების მახლობლად. არქეოლოგიური დაზვერვების შედეგების მიხედვით საფიქრებელია, რომ ოძრხის ციხე მდებარეობდა ორ წყალგამყოფ მაღალ კლდოვან ქედზე, რომლის ორივე კალთა ხშირი ნაძვნარითაა დაფარული (ტაბ. III₂). ნაციხარი ოძრხის-წყლის მარჯვენა მხარეს არის გაშენებული, თითქმის შვეული კლდოვანი ქედის თავზე. ლეონტი მროველი აქბობდა ოძრხის შესახებ: „...მოკიდებული კლდესა ლოდასსა“-ო. გარეგნულად სწორედ ასეა: ციხე ვიწრო ქედის ზედ წვერზეა გაშენებული, ისე, რომ ნაგებობებს უკავია ქედის მთელი წვერი. არამცთუ ქედზე, არამედ ვერც ერთ ხევზე, ვერც ოძრხის წყალსა და ვერც კურცხალას ხევზე ვერავინ გაივლის, რომ მის კონტროლს ასცდეს. მისი სტრატეგიული განლაგება განსაკუთრებულია (სურ. 5).

ციხის მიმართულება ზუსტად ემთხვევა ქედის მიმართულებას ჩრდილოეთ-სამხრეთით. სიგრძეა 40—50 მ. ციხეს ორი ძირითადი კოშკი აქვს — სამხრეთით და ჩრდილოეთით. კოშკები მრავალსართულიანი ჩანს. კედლები ნაგებია მკვიდრად, ნაგლეჯი ქვით კირის ხსნარზე (ტაბ. IV). ჩრდილოეთის კოშკის დიდი ნაწილი ჩახგრეულია. მის პირველ სართულზე პატარა ოთახია შემორჩენილი, რომლის კედლებიც ზევით და ზევით ვიწროვდება და მთავრდება წრიული გვირგვინით (სურ. 6). დანგრეულია სამხრეთის კოშკიც. ციხის სიგანე, როგორც ვთქვით, ემთხვევა ქედისას. იგი დაახლოებით 15 მ იქნება. ქვის კედლების წყობასა და განლაგებაში ჩანს გადაკეთების კვალი. შემორჩენილი სათავსოებისა თუ კედლების მიხედვით სავარაუდოა, რომ საქმე უნდა გვქონდეს უფრო გვიანდელ ნაგებობასთან. შემორჩენილ კედლებში ბევრგან ძველი ქვებიცაა გამოყენებული. მაგალითად, სამხრეთის კოშკის ფანჯარას, რომელიც ეზოსკენ გადის, ირგვლივ ჩამატებული აქვს თლილი ქვის ფილები, რომლებიც აშკარად განირჩევა მთლიანად კედლის ქვების წყობისაგან; ეჭვი არ არის, უსარგებლიათ უფრო ძველი ნაგებობების ქვებით (ტაბ. V₁). ასეთი ქვები სხვა კედლებშიაც არის გამოყენებული.

ციხის ტერიტორიის ფართობი მაინცდამაინც დიდი ვერ არის და იგი ბევრს ვერ დაიტევდა. უფრო სავარაუდოა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობდა ციხის გარეთ, უფრო მის აღმოსავლეთ კალთებზე, სადაც საამისო ნიშნებიც არის დადასტურებული. როგორც აღნიშნული იყო, ადგილი, სადაც ციხეა გაშენებული, კლდოვან მასივს წარმოადგენს, ისე რომ სამშენებლო მასალა აქვე საკმარისად ექნებოდათ. ციხე-ქალაქის ძველი ფენების კვლევისას აქ შეიმჩნევა საყურადღებო დეტალი, რომელიც ძველი ნამოსახლარების გამაგრებისათვის იყო ძირითადად დამახასიათებელი. ციხის ორთავ მხარეს, სამხრეთითაც და ჩრდილოეთითაც ქედის ყელი გადაჭრილია ისე, რომ ციხის ტერიტორია ხელოვნურად არის გამოყოფილი და შემაღლებული. ისედაც მიუვალ ადგილზე

---

აღნიშნული მისი მეორე სახელის მიხედვით (ოძრხევი) თითქოს უნდა ჩანდეს, რომ სახელის ფუძისეული ნაწილია ო ძ რ, რაც „ზენა სოფლის“ ტოპონიმიკაშიც ჩანს სახეცვლილი ფორმით. მხედველობაში გვაქვს ვრძ-ძირიანი სახელები (ოძრ-ვრძ) ვარძ-ია, ნავარძიევი და სხვ.

[34] П. И. Ковалевский, Абастуман, Петербург, 1898; Е. Молчанов, Зекарский перевал (записки Крымско-Кавказского горного клуба. Одесса, 1912).

გაშენებული და გამაგრებული ნაციხარი გორად უქცევიათ. ეს ნამდვილად ძველი ტრადიციის ანარეკლია.




სურ. 6. ოძრხის ციხის გეგმა

სტრატეგიული მდებარეობა ოძრხისა განსაკუთრებულია: ორი ხეობის (ოძრხისა და კურცხევის) ჩამკეტი, ძლიერი ციხე, მიუვალ ადგილზე განლაგება. ყველაფერი ეს მიუთითებს მის მნიშვნელობაზე, რაც წერილობით ძეგლებშიც არის ასახული. ოძრხე კონტროლს უწევდა ძირითადად ოძრხის ხევს, სადაც

გადიოდა ცნობილი გზა ზეკარის გადასასვლელისაკენ. ამ გზის მეშვეობით შეიძლებოდა გადასვლა დასავლეთ საქართველოში. ზაფხულის პერიოდში სამხრეთის პროვინციებიდან დასავლეთ საქართველოში მგზავრობა ძირითადად ზეკარის გადასასვლელით ხორციელდებოდა. ეს გზა გამოყენებული აქვს, როგორც შემდეგ ვნახავთ, ანდრია მოციქულსაც.

ზევით აღწერილი ნაციხარი ქალაქ ოძრხის საფორტიფიკაციო ნაგებობა უნდა იყოს. მასზეა, ალბათ, ნათქვამი — „მოკიდებული კლდესა ღაღოსსაო". ქალაქის ძირითადი რაიონი, დასახლებული ნაწილი, განლაგებული იქნებოდა ციხის გადმოღმა, მდინარის ნაპირებზე. აქ რამდენიმე ადგილზე შესამჩნევია თლილი ქვის ნატეხები, გამოყენებული მეორადი დანიშნულებით. ნაქალაქარის დიდი ნაწილი, ვფიქრობთ, განადგურებულია მიწის სამუშაოების დროს. სამწუხაროდ, უყურადღებობის გამო არქეოლოგიური ნივთები, რომლებიც აქ ამოდიოდა, დაიკარგა. გადმოცემით, მდინარისპირა კალთების მოსწორების დროს ჩნდებოდა ქვევრები და ჭურჭლეული, რომელიც, ალბათ, ქალაქის მოსახლეობის საკუთრება უნდა ყოფილიყო.

ქალაქის სამეურნეო რაიონი განლაგებული იქნებოდა ოძრხის ქვემოთ, მდინარის ორივე მხარეს. მიწათმოქმედებისათვის განსაკუთრებით ნაყოფიერია ოძრხის-წყლისა და ქვაბლოვანის შეერთების ადგილები, რომელსაც მდინარეების წყალი არ მოაკლდებოდა სარწყავად. ამ ადგილზე, ოძრხის-წყლის დასასრულს, მის ორივე მხარეს, ოძრხის ბუნებრივ საზღვარზე, ორი შესანიშნავი სიძველის ძეგლია, რომლებიც თავის დროზე მჭიდრო კავშირში იქნებოდნენ ოძრხესთან. ესენია — ზადენ-გორა და სამოსახლო გორა, მის მოპირდაპირე მხარეს. ორივე ძეგლი, საკმაოდ ძველი არქეოლოგიური ფენებით, ოძრხის ქალაქობის ჟამს მის კარიბჭეს წარმოადგენდნენ ოძრხის-წყლის ხეობაში.

სამოსახლო გორის ძლიერი ნიშნები აქვს ასევე ოძრხის-წყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ბორცვსაც, რომელიც თანამედროვე სოფლის დასაწყისში მდებარეობს (ტაბ. $V_2$). არ არის გამორიცხული ოძრხის პირველსაცხოვრისი სწორედ აქ იყოს სავარაუდებელი.

თუ ჩავუკვირდებით მტკვრის ხეობის ზემო წელის აღნიშნულ პუნქტებს — წუნდა-ხერთვისსა და ოძრხეს, ისინი თავისებურ ეკონომიურ-სტრატეგიულ გარემოში აღმოცენებული ერთეულები არიან. ეჭვს გარეშეა, მეურნეობის თვალსაზრისით მათ მაღალი ეკონომიური ბაზა აქვთ, მაგრამ ამავე დროს არც სტრატეგიული განლაგებით არიან დაჩრდილულნი; ოძრხეცა და წუნდაც (ხერთვისით) ორი მთავარი კარის ზონაში არიან მოქცეულნი, რომლის გავლაც საჭიროა ქვეყნის გულში მოსახვედრად. მათი ეს უპირატესობა სათანადოდ იქნებოდა თავის დროზე გამოყენებული. წუნდა-ხერთვისის ხაზი ამავე დროს ერთგვარი საკონტროლო ერთეული ჩანს სამხრეთიდან მომავალი გზისათვის, რომელიც ორივე მტკვარს (ჯავახეთისას და არტაანისას) მოჰყვებოდა.

მტკვრის ხეობის ზემოთ აღნიშნული „შუა წელი" ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორიაა. ქალაქები, რომლებიც ამ მონაკვეთზე წარმოშობილა, უკლებლივ ყველა მდინარის მარცხენა ნაპირზეა განლაგებული. ამასთანავე ისინი (ურბნისის გარდა) მტკვრისა და რომელიმე მარცხენა შენაკადის შეერთებაზე არიან გაშენებული; მცხეთა—არაგვისა და მტკვრის შეერთებაზე, სარკინე — ქსნისა და მტკვრის შეერთებაზე, კასპი — ლეხურასა და მტკვრის შეერთებაზე. ეს გარემოება აშკარად მიუთითებს, რომ მდინარეთა შესაყარზე აღმოცენებული ქალაქი რამდენადმე პატრონობდა ამ ხევსაც. ის ამბავი, რომ ყველა ძველი

ქალაქი მტკვრის მარცხენა ნაპირზე აღმოჩნდა, მიუთითებს, რომ სწორედ მარცხენა ნაპირზე გადიოდა მთავარი გზა, რომელმაც თავისკენ მიიზიდა მოსახლეობა.

შიდა ქართლის მტკვრისპირეთი დასახლებული ჩანს უკვე ადრებრინჯაოს ხანიდან. ეს რაიონი, შესაძლებელია, მისი თავისებური გეოგრაფიული მდებარეობის გამო ჩვენში ყველაზე აშკარად გამოსახავს ძველი ნამოსახლარების გარეგან სპეციფიკას. არსად ამდენი გორა-ნამოსახლარი არ არის დადასტურებული, როგორც აქ. მიწათმოქმედებისათვის საჭირო პირობების არსებობამ შიდა ქართლი ძველი დროიდანვე დაასახლა ბინადარი მიწისმუშით. ძველი ნამოსახლარების გათხრებით დადასტურებული ერთიმეორის მონაცვლე ფენები აშკარად მიუთითებს მოსახლეობის უწყვეტ ცხოვრებაზე დიდი ხნის განმავლობაში. რაც საკმაო სასიცოცხლო ფაქტორების არსებობით იყო გაპირობებული.

განსაკუთრებით მძლავრი ნამოსახლარები გვხვდება ამ ადგილებში გვიანბრინჯაოს ხანიდან. მეურნეობის ინტენსიფიკაცია, რკინის იარაღების შემოსვლა და შესაბამისად რკინის მეტალურგიის დაწინაურება ახალ ცვლილებებს იწვევს საზოგადოებაში. პირველი ათასწლეულის შუახანები სტაბილური განვითარების და წინსვლის უტყუარი ნიშნებით ხასიათდება, რაც კარგად არის ასახული ნივთიერი კულტურის ძეგლებში. საზოგადოებაში მკვეთრად ისახება ბზარი, რის შედეგადაც ზედა საფეხურზე ექცევიან გარკვეული სოციალური ფენის წარმომადგენლები, რომლებიც უპირატესობას ამჟღავნებენ არა მარტო სოციალურ სფეროში, არამედ ქონებრივადაც. ამ დროს იქმნება მმართველი ფენების ისეთი ჯგუფები, რომელთა წევრებსაც მოელით განსაკუთრებული პატივით დაკრძალვა, როგორც იყო, მაგალითად, ალგეთში, ახალგორში, ყანჩაეთში და სხვ.[35].

ქართლის ერთეულის ასეთი წინსვლა IV—III სს. მიჯნაზე გარეგანი ძალის მიერ იქნა დროებით შეჩერებული. მისი შედეგი — გადამწვარი და ნაცრადქცეული ფენები თითქმის ყველა ნაქალაქარზე შეიმჩნევა (სარკინე, მცხეთა, ურბნისი). წერილობით წყაროებში ამ ამბავმა ასახვა ჰპოვა როგორც მაკედონელის ლაშქრობამ ქართლში. ეს ისეთი სახის მოვლენა იყო, რომლის ყურადღების გარეშე დატოვება შეუძლებელია. ურბნისში, მაგალითად, ეს ფენა ზოგგან თითქმის ნახევარმეტრიანი ნაცრის ფენით არის გამოყოფილი, სადაც სხვადასხვა სახის ჭურჭლის ნამტვრევებთან ერთად ქვის „ყუმბარებსაც" ვხვდებით[36].

წყაროების მიხედვით შემდეგი ფურცელი ქართლის ცხოვრებისა ფარნავაზზე მოდის, რომლის რეფორმისტულმა ღონისძიებებმა ქვეყანა ფეხზე წამოაყენა და განამტკიცა ადმინისტრაციულად. სწორედ ამ ამბებთან დაკავშირებით, უცხო ძალის საქართველოში შემოჭრასა და სხვა პოლიტიკური ამბების პარალელურად შემოდის ქართლის მატიანეში ქართული ქალაქების ხსენება და მათი ისტორიის თხრობა.

---

[35] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалетии, I, 1941, გვ. 40; გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955; ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1962; გვ. 78—79.

[36] ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964, გვ. 44, 139, 140, ტაბ. XII—3.

ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული ქალაქებიდან სამი შიდა ქართლის ქალაქია, რომელთაგანაც თვით ამ ძუნწი ცნობიდანაც კი ორი სრულიად განსხვავებული ტიპია და ერთი კი სხვა ტიპის დასახლებაა. ურბნისი რომ კასპისა და სარკინესაგან გამოსაყოფია, ეს ჩანს მათი გარეგანი სახიდანაც; იგი მტკვრისპირის ქალაქია, წარმოშობილი არცთუ მაინცდამაინც გარეგნულად გამოყოფილ ტერიტორიაზე, სარკინე და კასპი კი ორივე ორი მდინარის შეერთების ადგილას არიან განლაგებული, თანაც, და რაც მთავარია, გარდა იმისა, რომ ისინი გამაგრებულ ადგილებს წარმოადგენენ, მათ მოშორებით დამცველი ციხეებიც გააჩნიათ (უფლისციხე კასპისა და ციხე-დიდი სარკინისა).

ანტიკური ქალაქი კასპი. შეიძლება ითქვას, დღესდღეობით ყველაზე სუსტად შესწავლილი პუნქტია, რომელიც მაინცდამაინც არც წერილობითი წყაროების მიხედვით გვეუბნება რამეს. ტრადიცია მის აშენებას უფლოსს მიაწერს (კიდევ ერთი ნიშანი კასპი — უფლისციხის ურთიერთობაში)[37]. ეს არის და ეს მის შესახებ ანტიკურ ხანაში. რამდენიმე ცნობას კასპის შესახებ ვხვდებით წმ. ნინოს მოღვაწეობისა და მირიანის მიერ ქრისტიანობის მიღების აღწერისას და ვახტანგ გორგასალის დროს ოსების შემოსევის გადმოცემისას. „გამოვიდა ვარსკვლავი იგი, ამაღლდა და მიიწია მთასა ზედა თხოთისასა, გარდასავალსა ზედა კასპისასა, დაადგრა ადგილსა ერთსა და ყოვლად უჩინო იქმნა“[38]. ამ ადგილებში ნადირობის დროს მირიან მეფემ იხილა მზის დაბნელება: „ხოლო მეფემან მოვლო ყოველი სანახები მუხნარისა და აღვიდა მთასა ზედა თხოთისასა, მაღალსა, რათამცა მოიხილა კასპად და უფლისციხედ“[39]. ვახტანგ გორგასალის და მირანდუხტი „მოითხოვა იგი საზრდოდ სპასალარმან კასპისამან, და მისცა იგი მეფემან; და წარიყვანა იგი ქალაქად კასპისა და იზარდებოდა მუნ“[40]. „მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, გარდამოვიდეს ოვსნი სპანი ურიცხუნი და მოატყუენეს ქართლი თავითგან მტკურისათ ვიდრე ხუნანამდე, და მოაოხრეს ველნი არამედ ციხე-ქალაქნი დაურჩეს, თვინიერ კასპისა. ხოლო კასპი ქალაქი შემუსრეს და ტყუე ყვეს და წარიყვანეს და ვახტანგისი მირანდუხტ, სამის წლის ქალი“[41].

ზემოთ აღნიშნულის მიხედვით, კასპის ზუსტი ადგილმდებარეობის წარმოდგენა მხოლოდ მიახლოებით შეიძლება. მისი სავარაუდო ადგილია მტკვრის ხეობა სარკინესა და უფლისციხეს შორის, თხოთის მთების სამხრეთ კალთებზე. მცხეთიდან სანადიროდ გასული მირიანი ავიდა თხოთის მთაზე, რომ გადაეხედა კასპისა და უფლისციხისათვის. თხოთის მთა სარკინეს გაღმაა, იმ უღელტეხილის დასავლეთით, სადაც კასპიდან მცხეთისაკენ მომავალი გზა გადმოდიოდა. ვახუშტი ბატონიშვილი კასპის მდებარეობის ზუსტ კოორდინატებს გვაძლევს — ლეხურას მტკვართან შეერთების ადგილზე: „დის ლეხურა სამხრით, ერთვის კასპს მტკვარს ჩრდილოდამ. კასპი აღაშენა პირველად ქალაქი უფლოს, მცხეთოსის ძემან, და იყო ქალაქი ყრუმდე, ხოლო აწ არს დაბა დიდი“[42]. ამ ადგილზევე ლეხურას ნაპირზე დღეს მდებარეობს თანამედროვე ქალაქი კასპი. თვით სახელი „ლეხურა“ საინტერესო ჩანს. ასეთი წარმოების სხვა სახელიც

[37] „ქ ც-ბა“, I, გვ. 10.
[38] იქვე, გვ. 121.
[39] იქვე, გვ. 109.
[40] იქვე, გვ. 143.
[41] იქვე, გვ. 145.
[42] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 72.

არის შემორჩენილი. ვახუშტის მიხედვით ვიცით მდინარე რეხულა („ხოლო წლევის მთას გასჭრის რეხულა“). შეიძლება ლეხურა სახელთა წარმომავლობით ენათესავება ლიახვს: ლიახვი-ლეხურა (ლიახურა კნინობითი ფორმით)[43]. დღევანდელი კასპიდან მდინარე მტკვრამდე ლეხურას გაყოლებით ნახევარ კმ-მდე იქნება. ზედაპირულად საეჭვო რამ თითქოს არ შეინიშნება. ყურადღებას იქცევს ლეხურას მარცხენა მხარეს მდებარე ზეგანი, რომელსაც ქეჩარუხს ეძახიან. აქ ზედაპირზე მოგროვებულ მასალაში გვიანი ბრინჯაოს ხანის კერამიკული ნატეხებიცაა.

საფიქრებელია, რომ ისტორიული ქალაქი კასპი მდებარეობდა თანამედროვე კასპის მიდამოებში. ასეთ ვარაუდს ამტკიცებს ზოგი არქეოლოგიური აღმოჩენაც, რაც განსაკუთრებით მრავლდება კასპის ინტენსიური განაშენიანების შემდეგ. აქ, ჯერ კიდევ 1928 წ. მიწის სამუშაოების დროს საინტერესო ძეგლი გამოჩნდა, რომელიც ინახულა ს. მაკალათიამ. ვსარგებლობთ მისი ჩანაწერებით, რომელიც დაცულია სახ. მუზეუმის წინაფეოდალური ხანის განყოფილებაში: სადგურ კასპის მახლობლად „მჭადისთან“ ცემენტის ქარხნის პირველი მისასვლელი გზის გაყვანის დროს აღმოჩნდა ვერცხლის ფული — გოტარზის დრაქმა, მძივი და ჭურჭლის ნატეხები. ადგილის დათვალიერების და შემოწმების შედეგად ს. მაკალათიას უნახავს ქვისსამარხები. მისი გადმოცემით ქვის აკლდამები ღარისებური იყო (ზომები 1,2×0,8 მ). აკლდამები ნაშენი ყოფილა უბრალო, გაუთლელი ქვებით (ზომები 0,2×1,1 მ), რომლებსაც სახურავად კ ფილები ეწყო. აკლდამების მცირე ზომების გამო ს. მაკალათია ფიქრობს, რომ მიცვალებულნი ჩასვენებულნი ყოფილან გვერდზე, მოკუნტული. მონეტის მიხედვით იგი აკლდამების თარიღს განსაზღვრავს ახ. წ. I საუკუნით.

1937 წ. გ. ნიორაძეს ქ. კასპში გაუთხრია რამდენიმე ქვის სამარხი, სადაც გაშოტილ მდგომარეობაში დაკრძალული მიცვალებულები და რამდენიმე თიხის ჭურჭელი ყოფილა დადასტურებული[44].

საინტერესო აღმოჩენას ჰქონდა ადგილი აგრეთვე კასპის ტერიტორიაზე 1936 წელსაც, რაიკომის შენობისათვის მიწის სამუშაოების შესრულების დროს. მუშებს უპოვიათ ბრინჯაოს სატევარი, ჩთლიანად სხმული, თავდაფანჯრული. სატევარს ორსავე მხარეს ექვს-ექვსი ღარი დაუყვება (სიგრძე 32 სმ). ნივთი კარგად არის შენახული[45].

კასპის ტერიტორიაზე დადასტურებულია რამდენიმე მოჭიქული ჭურჭელიც შუაფეოდალური ხანისა, რომელთაგანაც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ჯამი ლომის გამოსახულებით[46].

კასპის შემთხვევითი აღმოჩენებით საკმაოდ დიდი დიაპაზონი გაჩნდა გვიან-

[43] ლიახვი (ლეხურა) შესაძლოა ტალახიანი მდინარის (ხევის) აღმნიშვნელი სახელი იყოს. ლია საბა ორბელიანის განმარტებით, საფლობი ტალახი ყოფილა. აქედან ლიახვი — ტალახიანი ხევი (მდინარე). ზოგ შედგენილ სახელში, სადაც „ხევია“ მოცემული, ეს უკანასკნელი შეკვეცილიც არის ხოლმე. მაგალითად, ოძრხე—ოძრხევი. არსებობს ლიახვის და ლეხურას სხვანაირი განმარტებაც. იხ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საქართველოს უძველესი ტოპონიმიკიდან, „საისტორიო მოამბე“, II, 1925, გვ. 2 და შემდეგ.

[44] გ. ნ ი ო რ ა ძ ე, არქეოლოგიური გათხრები 1937 წ. თრიალეთში და ქ. კასპში, „ენიმკის“ მოამბე, ტ. 14, 1941.

[45] ნივთი ინახება საქ. სახ. მუზეუმის წინაფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილებაში—11—37:1.

[46] ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართული კერამიკა (XI—XIII სს), თბ., 1956, ტაბ. XLIV.

ბრინჯაოს ხანიდან ფეოდალურამდე. აღმოჩენების ობიექტებია თანამედროვე ქალაქ კასპის ტერიტორია და სწორედ ეს მიუთითებს, რომ ისტორიული კასპი სწორედ აქვე მდებარეობდა და მოსახლეობის აქ განუწყვეტელმა დასახლებამ, შესაძლებელია, მოსპო და დააზიანა კასპის ქალაქობისდროინდელი არქეოლოგიური მასალებიც.

კასპის მიდამოები განსაკუთრებით კარგად არის დასახლებული გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში. ამაზე მიუთითებს, ჯერ ერთი, სადაზვერვო მასალები და მეორე, რაც მთავარია, 1963 წ. აქ ჩატარებული გათხრების შედეგად მოპოვებული შესანიშნავი არქეოლოგიური მონაცემები (კერამიკა, სამკაული, ლითონი)[47]. აშკარაა ქალაქობის წინა პერიოდში კასპის მიდამოები კარგად არის დასახლებული და მას აქვს სათანადო პირობები ინტენსიური განვითარებისათვის. და მართლაც, ანტიკურ ხანაში აქ ღვივდება მძლავრი კერა საქალაქო ცხოვრებისა.

წყაროების მიხედვით კასპი ქალაქია და თანაც ქალაქი, რომელსაც განსაკუთრებული პირობები აქვს შექმნილი ორსაფეხურიანი დაცვის სისტემის მოწყობით. ეჭვს გარეშეა, უშუალოდ პუნქტი დაცული იქნებოდა საფორტიფიკაციო ნაგებობებით, მთლიანად მხარე კი უფლისციხითაც. გორგასალის დროს კასპის სპასალარი ვახტანგს სთხოვს დას „საზრდოდ“, რაც შეუსრულა მეფემ და ამის შემდეგ მირანდუხტი წაიყვანეს „ქალაქად კასპისა და იზარდებოდა მუნ“. ძნელი წარმოსადგენია ქალაქი კასპი, სპასალარის სამყოფელი, გაუმაგრებელი ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, კასპის გეოგრაფიული გარემო და უშუალოდ კასპის სავარაუდო ადგილსამყოფელი, ეჭვებს ბადებს, რომ ის თავისი ადგილმდებარეობის გამო ყოფილიყო დაწინაურებული, როგორც მაგალითად, სამშვილდე, ან ხერთვისი და სხვა ის პუნქტები, რომლებიც, პირველ რიგში, სტრატეგიული მდგომარეობით მიიქცევდნენ ყურადღებას. ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ კასპიც, მსგავსად ურბნისისა, შესაძლებელია დაწინაურდა თავისი მზარდი ეკონომიკის წყალობით და ქალაქი უპირატესად სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს წარმოადგენდა.

„მოქცევაჲს“ მიხედვით კასპისა და უფლისციხის დამოკიდებულება ქალაქისა და ციხის ურთიერთობის ერთ-ერთი ნიმუშია. შესაძლებელია ეს ტექსტის არასწორი გაგებისათვის მიგვეწერა, მაგრამ აქვე მეორე ასეთივე წყვილია დამოწმებული: სარკინე და ციხედიდი. განსაკუთრებით სანიშნოა, რომ ქალაქთან დაკავშირებული ორივე დამცველი პუნქტის სახელი ტერმინ ციხესთან ერთად არის წარმოდგენილი, რაც შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს. ამდენად უფლის-ციხე თავისი პირვანდელი მნიშვნელობით, ცხადია, ციხეა; აქ არა აქვს გადამწყვეტი აზრი ვისი ციხეა ის. „მოქცევაჲში“, ცხადია, უფლისციხეცა და ციხე-დიდიც ციხეებია, მაგრამ ერთი შეუსაბამობა მაინც შეიმჩნევა, ციხე-დიდი სახელი ნაწარმოებია ძველი ფორმით, უფლისციხე კი არა: უფრო მართებული იყო ყოფილიყო ციხე-უფლისა (როგორც ციხე-დიდი).

უფლის ციხე თავისი სპეციფიკური გარეგნობის გამო, კერძოდ მისი ქვის არქიტექტურის წყალობით, მკვლევართა დიდ ყურადღებას იმსახურებდა. ამიტომაა, რომ ბევრი ერთიმეორის გამომრიცხავი აზრია მის შესახებ გამოთქმუ-

---

[47] კასპში არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვანელი ალ. კალანდაძე) ცალკე რაზმი მ. ბარამიძის ხელმძღვანელობით. იხ. მისი „კასპის სამაროვანი“, მსკა, IV, 1965 წ.

ლი. ერთში ყველა მართალია: უფლისციხე თავისი გრანდიოზული ნაგებობებით ძველი საქართველოს ერთ-ერთი საყურადღებო და მნიშვნელოვანი ცენტრია[48].

უფლისციხისადმი გაღვივებული მეცნიერული ინტერესის სრული გამოსახულება იყო აქ გეგმიური არქეოლოგიური გათხრების ჩატარება, რაც ითავა საქართველოს ხელოვნების მუზეუმმა შ. ამირანაშვილის ხელმძღვანელობით. მრავალწლიანი საველე კვლევა-ძიების შედეგად უშუალოდ უფლისციხიდან და მისი ახლომახლო მიდამოებიდან მრავალი საინტერესო ნივთიერი ძეგლი აღმოჩნდა, რომელთა მეშვეობითაც დგინდება უფლისციხის ცხოვრების ქრონოლოგია წინაანტიკური ხანიდან მოკიდებული ვიდრე XII—XIII საუკუნეებამდე. დ. ხახუტაიშვილის კვალიფიკაციით უფლისციხე იბერიის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი საქალაქო ცენტრია, რომელიც ითვლის კლდეში ნაკვეთ „შიდა ქალაქს“, მისგან თხრილით გამოყოფილ „გარე ქალაქს“, დაბებით დასახლებულ სასოფლო-სამეურნეო რაიონს, კარგად გამართულ გზებს, კლდეკარებს, სამდინარო ნავსადგურს და ა. შ.[49].

ეჭვი არ არის, უფლისციხე ანტიკური ხანის მნიშვნელოვანი პუნქტია. ის ასევე დასახლებულია უფრო ადრეც, აქვს კლდეში ნაკვეთი შესანიშნავი ანსამბლი, სხვადასხვა დანიშნულების სათავსოებისა. მაგრამ ეს გვაძლევს უფლებას, რომ აქ დაწინაურებული საქალაქო ცენტრი წარმოვიდგინოთ, ანდა წინაელინისტური ხანის შიდა ქართლის ცენტრი? (მცხეთის ნაცვლად)[50]. როცა საქმე უფლისციხეს ეხება, უპირველესად ყოვლისა, სარკვევია, თუ რამ გამოიწვია მშენებლობაში განსხვავებული სტილის შემოტანა. კლდოვანი ადგილის შერჩევა, მისი გამაგრება და მოწყობა, კლდეში კვეთილი გასასვლელები, ყველაფერი ეს უნდა მიუთითებდეს მისი პირვანდელი დანიშნულების სპეციფიკაზე. ანდა ეს სამხრეთიდან მოსული ტალღის ნაყოფი უნდა იყოს, რომელმაც სამშობლოდან მოიტანა ასეთი არქიტექტურის ჩვევები (ასეთი მოსაზრებაც იყო ადრე გამოთქმული)[51]. რადგანაც ეს უკანასკნელი ვარაუდი ნაკლებად დასაჯერებელია, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ უფლისციხის შექმნის პირველი აუცილებლობა სწორედ მისი სტრატეგიული მდებარეობით იყო ნაკარნახევი. ის შექმნეს როგორც ციხე და ასეც უწოდეს.

უფლისციხის არქეოლოგიურ მონაპოვარს ერთი სახიფათო საცთური აქვს, სახელდობრ ის, რომ მრავალფეროვან მასალაში მრავალი საქალაქო მეურნეობის სახეა წარმოდგენილი და ამდენად ის თვით უფლისციხის საქალაქო სახის წარმოსადეგნად არის გამოყენებული. მხოლოდ არქეოლოგიური მასალის მიხედვით, რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს ის, ასევე პუნქტის გარეგანი ნიშნებით, მისი ქალაქობის მტკიცება საფუძვლიანი ვერ იქნება, თუ სხვა მონაცემები არ გაგვაჩნია. ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფიულ თხზულებაში ერ-

---

[48] Г. Н. Чубинашвили, Очерк развития в Грузии дофеодальной архитектуры. „საბჭოთა ხელოვნება“, № 5, 1939; Л. Меликсет-Беков, К скифской проблеме, в связи с вопросом о Саках, Каспах и Берах, მსკი, VII, 193; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961; დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, თბ., 1964; აქვე იხილეთ ლიტერატურა უფლისციხის შესახებ.

[49] დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, თბილისი, 1964, გვ. 7, 67.

[50] გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955, გვ. 128.

[51] დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, გვ. 10 და შემდეგ.

თი შესანიშნავი დაკვირვებაა მოცემული სახელოვანი მეცნიერისა, რომლის გათვალისწინებაც უთუოდ საჭიროა ქალაქებზე მუშაობისას. ბასიანის აღწერისას იგი შენიშნავს: „კვალად რაოდენნი დაბანი ციხოვან-კოშკოვანნი დავსწერეთ, იგინი მათ უწოდებენ ქალაქად, არამედ ვინათგან არა აქუსთ მართებლობა და განწყობილება ქალაქთა, აქა დაბად ვსთქვით"[52]. ვახუშტის ეს შენიშვნა უთუოდ ანგარიშგასაწევია ძველი ქალაქების რაობის განსაზღვრისათვის. მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა, ისევე როგორც პუნქტის „ციხე-კოშკოვნება" არ არის საკმარისი ქალაქურობის მტკიცებისათვის. ძირითადი მაინც, ვახუშტის თქმისა არ იყოს, ქალაქების „მართებლობა და განწყობილება" არის. რადგანაც არქეოლოგიურად თითქმის არაფერი გვაქვს ხოლმე ქალაქების მმართველობის შესახებ, ამდენად იძულებულნი ვართ წყაროების მონაცემებს დავუჯეროთ. თანაც, ჩანს, წერილობითი ცნობების ავტორები შესანიშნავად არჩევენ ძველ დასახლებულ ადგილებს და მათი განცალკევება ერთიმეორისაგან სხვადასხვა ტერმინებით სწორედ ასეთ ცოდნაზეა დამყარებული (ქალაქი, დაბა, სოფელი, ციხე, უბანი, ციხე-ქალაქი და სხვ.).

შიდა-ქართლის მტკვრისპირეთში უფლისთან დაკავშირებით წყაროები იხსენებენ ურბნისსაც. იგი „მოქცევაჲს" ოთხ ქალაქშიც არის დასახელებული. ლეონტი მროველის თხზულებაში ის ორჯერ არის მოხსენიებული, ერთი ძველი ციხე-ქალაქების ჩამოთვლისას, და მეორე — წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლასთან დაკავშირებით.

ურბნისის შესახებ მრავალი საინტერესო საკითხის გარკვევა გახდა შესაძლებელი მისი არქეოლოგიური გათხრების შედეგად[53]. ირკვევა, რომ ურბნისის მიდამოებში მოსახლეობა გაჩენილა ადრებრინჯაოს ხანიდან. უშუალოდ ნაქალაქარის ტერიტორიაზე ამ დროის ნამოსახლარს წარმოადგენს „ხიზანაანთ გორა". იგი მდებარეობს მტკვრის მარცხენა ნაპირის მაღალ კონცხზე. გორა სამხრეთიდან დაცული იყო მდ. მტკვრით, აღმოსავლეთიდან — პატარა ხევით. დანარჩენი ორი მხრიდან კი გამოყოფილი იყო თხრილით. ექსპედიციის მიერ გათხრილია ხიზანაანთ-გორის ძველი ფენების შესატყვისი სამაროვანიც 36-ე უბანზე. სამარხებში დადასტურებულია ძირითადად კერამიკა და ლითონის ნაწარმი. ანალოგიური ნამოსახლარები ურბნისის მიდამოებში სხვაც არის აღმოჩენილი. მათგან, პირველ რიგში, „ქვაცხელებია" აღსანიშნავი.

ადრეული ანტიკური ხანის ძეგლები, ე. ი. ამ დროისა, როდიდანაც ურბნისი ქალაქად არის მოსალოდნელი. საკმაოდ არის გამოვლენილი. განსაკუთრებით ბევრი მასალაა ელინისტური ხანისა. გვაქვს ყოველგვარი საფუძველი ვიფიქროთ, რომ ურბნისი მართლაც და შესაძლებელია ამ დროისათვის ქალაქი იყო.

საყურადღებოა, რომ ურბნისში გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანისათვის, უფრო კი ანტიკურ ხანაში დადასტურებულია ორი სამაროვანი, რაც გვავარაუდებინებს, რომ იმდროსვე ქალაქში რამდენიმე უბანი იყო გამოსარჩევი.

ურბნისის დაწინაურებაში დიდი როლი მიუძღვის ირიგაციას. ანტიკური ხანიდანვე არხებმა წარმოშვა საშუალება მიწის მეტი ფართობების ათვისება-

[52] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 117.

[53] ა ლ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ღ ლ ო ნ ტ ი, ურბნისი, I, თბ., 1961; ლ. ჭ ი ლ აშ ვ ი ლ ი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964; პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბ., 1965.

სათავის. ურბნისსა და მის მიდამოებს რწყავდნენ ლიახვიდან გამოღებული არხით[54]. ამან შესაძლებელი გახადა, რომ მოსახლეობა აქ ინტენსიურად დასახლებულიყო, რადგან სამისო ეკონომიური პირობები გააჩნდა. ძველი მოსახლეობა კი, სავარაუდოა, მიწათმოქმედებისათვის იყენებდა მტკვრისპირეთის პიწებს, რომელსაც წყალი უდგებოდა და მდინარესთან სიახლოვის გამო ტენიანობა არ მოაკლდებოდა.

ქალაქ ურბნისის პირველსაცხოვრისი ხიზანაანთ-გორაზეა საგულვებელი (ტაბ. VI$_2$). ელინისტური ხანის ნამოსახლარები ქალაქის ტერიტორიაზე სხვაგანაც არის დადასტურებული I უბანზე, ასევე 36-ე და 39-ე უბნებზე. სავარაუდოა, რომ ამ დროის საწარმოს ნაშთებიც არის გამოვლენილი[55]. ძვ. წ. ბოლო საუკუნეებისათვის უკვე არის ნიშნები ქალაქის გამაგრებისა, რომლის ცალკეული მონაკვეთები შეისწავლა ექსპედიციამ. საფორტიფიკაციო ნაგებობების ნაშთები განსაკუთრებით კარგად არის შემორჩენილი (ადრეანტიკური თუ ელინისტური) თვით გორაზე. გამაგრების სისტემის მთელი ჯაჭვია აქ წარმოდგენილი ანტიკური ხანიდან მოყოლებული, დამთავრებული VI—VII სს. გრანდიოზული ნაგებობებით. ამ უკანასკნელ ნაგებობათა წყობაში ძველი ნამოსახლარი „ხიზანაანთ-გორისა" მოხვდა როგორც ერთ-ერთი ძლიერი ბირთვი, რომელიც ალიზის აგურებით ნაგებ ექვსოთახიან კოშკს წარმოადგენდა. იგი ციტადელის მნიშვნელობით შეიძლება ყოფილიყო. მხოლოდ კუთხის კოშკებში იყო ორ ოთახზე მეტი დადასტურებული (სხვებში კი ორ-ორი ოთახი იყო). ე. ი. ჩანს, რომ ანტიკური ხანიდან მოყოლებული ქალაქი მტკიცედ ყოფილა გამაგრებული. ალბათ ამიტომ არის, რომ „მოქცევი"-ს თანახმად, მას თავისი ციხე ცალკე არ გააჩნდა.

ურბნისი განსაკუთრებით ძლიერი ჩანს ანტიკურ ხანაში. მინის ძვირფასი ნაკეთობანი, ოქროული ძვირფას თვლებში ამოჭრილი გამოსახულებებით, პრიალაზედაპირიანი კერამიკა, მონეტები — ყოველივე ეს მიუთითებს ქალაქის დაწინაურებულ ცხოვრებაზე, სადაც საქალაქო მეურნეობის სახეები მაღალ დონეზეა აყვანილი. ურბნისი სავაჭრო მაგისტრალის ზონაში იყო მოქცეული, რომელიც მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირს მიუყვებოდა და მისი მეშვეობით იგი გაცხოველებულ ვაჭრობაში იყო ჩაბმული. ამიტომ არის, რომ ურბნისის მატერიალურ კულტურაში ბევრი უცხოური საქონელი ჩანს. ანტიკურ ურბნისში სისხლსავსე ცხოვრება სჩქეფდა.

თავისი გეოგრაფიული განლაგებით ურბნისი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ ის მაინცდამაინც გეოგრაფიული ფაქტორით არ არის აღმოცენებული. არც მიუდგომელი კონცხია და არც მდინარეთა შესაყარი. ქალაქის დაცვისათვის ყველა საჭირო ღონისძიება ხელოვნურადაა შექმნილი. „მოქცევაჲს" ცნობა ურბნისთან ერთად მისი ციხის არსებობის შესახებ მართლდება არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ურბნისის ციხე აქვე იყო განლაგებული და ქალაქის ზღუდეებთან ერთად ჰქმნიდა თავდაცვის ერთიან სისტემას. ასეთი კომპაქტური დაცვის მოწყობა შესაძლებელია გამოწვეული იყო იმითაც, რომ ურბნისი არ ყოფილა ადმინისტრაციული პუნქტი, რომელზედაც იქნებოდა დაკისრებული პოლიტიკური და სტრატეგიული ამოცანები.

---

[54] ი. კიკვიძე, მორწყვა ძველ საქართველოში, გვ. 56.

[55] ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, გვ. 41.

ურბნისი ერთ-ერთი სანიმუშო პუნქტია, რომლის სოფლის მეურნეობის ინტენსივობაც ერთიანად დამოკიდებული იყო ხელოვნურ ღონისძიებებზე. ამან გამოიწვია ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში რთული საირიგაციო სისტემის მოწყობა. ურბნისის მეურნეობის ორივე სახე სოფლისა და საქალაქო სათანადო ღონისძიებებით იყო განმტკიცებული და მაღალი ეფექტურობის დონეზე ატა-




სურ. 7. ურბნისის სასოფლო რაიონი და საირიგაციო სისტემა

ნილი. ურბნისში საქალაქო ცხოვრების უპირატესი განვითარების გამო ქალაქი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს წარმოადგენდა.

„მოქცევაჲს“ ცნობის მიხედვით დამოუკიდებელი ქალაქია ასევე სარკინეც. ზემოხსენებული წყაროს გავლენით. ავტორთა ერთი რიგი მას ქალაქად თვლის (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, შ. მესხია)[56], ლეონტი მროველის თხზულების იმ ნაწილმა, სადაც ძველ ქალაქებზეა ლაპარაკი, დავა და გაუგებრობა გამოიწვია („ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე, ციხე დიდი და ზანავი...“) მცხეთისა და მისი უბნებისირგვლივ. როგორ შეიძლება გავიგოთ, იყო თუ არა სარკინე დამოუკიდებელი ქალაქი, თუ ის მცხეთის უბანს წარმოადგენდა, როგორც ამას ზოგი ავტორი ვარაუდობს?[57].

გავარჩიოთ ჯერ წერილობითი მონაცემები. „მოქცევაჲს“ მიხედვით, სარკინე ქალაქია, რომელსაც თავისი ციხეც გააჩნია (ციხე-დიდი). ლეონტი მროველის მიხედვით ვიცით, რომ ბუნთურქებს, რომლებისთვისაც საცხოვრისი მცხეთელ მამასახლისს მიუცია, მოუზღუდიათ მტკიცედ ეს ადგილი და მისთვის სარკინე უწოდებიათ. უფრო შემდეგ კი ალექსანდრე მაკედონელთან დაკავშირებული ამბებია მოთხრობილი. ყოველივე ეს მიუთითებს ბევრ საეჭვო ნიშანზე სარკინეს ქალაქობის შესახებ. ავტორთა ერთი წყება, რომელნიც სარკინეს მიიჩნევენ მცხეთის უბნად, გამოდის ლ. მროველის ცნობიდან „ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე...“ მართალია, „უბანნი მისნი“-ს შემდეგ სარკინე მოსდევს, მაგრამ მაშინ, თუ სარკინეს მცხეთის უბნებში წავიკითხავთ, სხვებიც უნდა მივაყოლოთ მას, კერძოდ „ციხე-დიდი და ზანავი, უბანი ურიათა და...“ მაგრამ შეიძლება სხვანაირადაც წავიკითხოთ: „ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი“... (აქ შევჩერდეთ, შემდეგ ჩამოთვლაა) სარკინე, ციხე-დიდი და ზანავი, უბანი ურიათა და რუსთავი“...

როგორც წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, სარკინეს ადგილზე მოსალოდნელი იყო ზღუდის ნაშთები (ბუნთურქებთან დაკავშირებით) და შესაბამისი საფორტიფიკაციო ნაგებობები, ასევე რკინის საწარმოებთან დაკავშირებული ნაგებობები და ნივთები.

სარკინეს ტერიტორიაზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ბევრი საინტერესო საკითხი წამოჭრა ამ უძველესი პუნქტის შესახებ. ერთ-ერთი, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია საკითხი თვით სარკინეს რაობის შესახებ. რას წარმოადგენდა იგი — უბანს მცხეთისას თუ დამოუკიდებელ ქალაქს? აქ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები, ვფიქრობთ, უფრო მეორეზე მიუთითებს. ა. აფაქიძე გათხრების შესახებ შენიშნავს, რომ „როგორც ქალაქის უბანი, სარკინე არსებითად არ განსხვავდება არმაზციხის ან წიწამურისაგან. სარკინესათვის დამახასიათებელი ისაა, რომ სიმაგრეთა სისტემასთან ერთად აქ დედაქალაქის ლითონის საწარმოო და სახელოსნო უბანია, რომელსაც მნიშვნელოვანი სასოფლო ტერიტორიაც უკავშირდება (ნასტაგისის სარწყავი ზვრები)“[58]. ე. ი. როგორც ა. აფაქიძე ფიქრობს, სარკინე წარმოადგენდა მცხეთის უბანს, მსგავსად წიწამურისა და არმაზციხისა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ

---

[56] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 35; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, გვ. 127; ავტორის აზრით „მცხეთა იყო ნაწილი სარკინეთისა“, იქვე, გვ. 33; შ. მ ე ს ხ ი ა, Города..., გვ. 16.

[57] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 413; ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, გვ. 208.

[58] ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, გვ. 208.

სარკინე მცხეთის ლითონის სახელოსნო უბანი იყო. ა. აფაქიძე სარკინეს არქეოლოგიური მიმოხილვის დასკვნით ნაწილში შენიშნავს: „როგორც ჩანს, სარკინე უბანი ციხე-სიმაგრეებითაც გამოირჩეოდა, ლითონის სახელოსნოებითაც, კრამიტით გადახურული, ძვირფასად მოჩუქურთმებული, ხუროთმოძღვრული წესების თანახმად აგებული შენობებითაც წინა და ადრეელინისტურ ხანაშიაც. ამ მიდამოშია სავარაუდებელი დიდი სარწყავით დასერილი ზვრებიც. ამრიგად, სარკინე უბნის არქეოლოგიურ მონაპოვართა მიხედვით ისახება დედაქალაქის სიძლიერის მნიშვნელოვანი ეკონომიური საფუძველი“[59]. რა შეიძლება დავასკვნათ მოტანილი ადგილით: სარკინეს ტერიტორია სამიწათმოქმედოდ გამოსაყენებელი ადგილია სარწყავი სისტემით. მაშასადამე, ეკონომიურად ძლიერია. მას აქვს კრამიტით დახურული ხუროთმოძღვრული ძეგლები, შემკული ჩუქურთმიანი ქვებით. სარკინეში მძლავრი კერაა რკინის საწარმოებისა და, რაც მთავარია, მას ციხე-სიმაგრეებიც გააჩნია. ყოველივე აქედან ჩანს, რომ სარკინეს აქვს მთელი რიგი მონაცემები, რომ იგი ქალაქად მივიჩნიოთ, მით უმეტეს, იგი მცხეთიდან საკმაოდ არის დაცილებული. ის, რომ შესაძლებელია სარკინე ლითონის ნაწარმის ძირითადი კერა იყო, არ შეასუსტებს ასეთ მოსაზრებას. პირიქით, ქალაქში, ჩანს, მძლავრად ყოფილა განვითარებული საქალაქო მეურნეობის სახეები.

უფრო მეტიც, თვით ქალაქი სარკინე, რომელზედაც დაწვრილებით შემდეგ თავში გვექნება საუბარი, მცხეთის და სხვა პუნქტების მსგავსად, მრავალუბნიან პუნქტს წარმოადგენდა და გადაშლილი იყო საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე, „გრძელი მინდორი“, ნასპარსევი (ნაასპარეზევი), ნასტაგისი, ქსნის ციხე-სამადლო. აქ რამდენიმე სავარაუდო ადგილია, სადაც ქალაქის ცალკეული უბნები იქნებოდა მოწყობილი. მთლიანად ქალაქი სამხრეთის მხრით დაცული ციხე-დიდით, მოქცეული იყო მტკვრის ხეობის გაშლილ ველზე, რომლის ნაყოფიერების ინტენსივობაც ელინისტურ ხანაშივე ირიგაციით მაღლდებოდა.

ეჭვი არ არის, სარკინე მცხეთასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. იბერიის ძველი დედაქალაქი ტონს აძლევდა ყველას და მასთან ურთიერთობა მრავალი საჭირო ხაზით წარიმართებოდა (ვაჭრობა, პოლიტიკური საქმიანობა, რელიგია). გავიხსენოთ, მაგალითად, ურბნელების მცხეთას მოგზაურობა — „მაშინ დღესა ერთსა აღიძრნეს ერნი დიდნი მით ქალაქით, წარმავალნი დიდად ქალაქად სამეუფოდ, მცხეთად მოვაჭრებად სახმართა რათამე და ზორვად წინაშე არმაზ ღმრთისა მათისა“[60]. მიუხედავად ამისა, სარკინე-ქალაქი დამოუკიდებელი საქალაქო ერთეულია და ტერიტორიულად გამოცალკევებული მცხეთისაგან. მცხეთა-ქალაქი თავისთავად წარმოადგენდა ცალკე ერთეულს, შედგენილს სხვადასხვა უბნებისაგან. ქალაქის განაშენიანების გარემო ძველი დროიდანვე ცალკე წერტილების დასმას მოითხოვდა, ისე რომ თანდათანობით ჩნდებიან დასახლებანი არაგვისა და მტკვრის შესაყარის სხვადასხვა უბნებზე. იმ დროიდანვე, როცა მცხეთა იქცა აღმოსავლური ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანების ცენტრად, მისი უბნები ქალაქში შემავალი ნაწილებია; ამიერიდან უკვე ქალაქი მცხეთა ერთ ერთეულად შეკრული ბირთვია, რომელსაც გარს არტყია სამეურნეო რაიონი დაბებით მჭიდროდ დასახლებული. ანტიკური მცხე-

[59] ა. აფაქიძე, იქვე, გვ. 214.
[60] „ქ ც-ბა“, I, გვ. 88.

თის ძირითადი უბნები იყო: არმაზციხე (ბაგინეთი), სევსამორა-წიწამური, სამ-თავრო და არმაზის-ხევი[61].

რა შეიძლება ითქვას შიდა ქართლის ზემოთ ჩამოთვლილი ქალაქების შესახებ? პირველ ყოვლისა ის, რომ ყველა მათგანი მტკვრის ნაპირზეა გაშენებული. ეს უდავოდ გზის გავლენას უნდა მიეწეროს, მაგრამ, რადგან აქვე ვხვდებით უფრო ძველ ნამოსახლარებსაც, სავარაუდოა, მტკვრისპირის სამოსახლოები ძველი დროიდანვე გარკვეულ უპირატესობას ინარჩუნებდნენ წყალთან სიახლოვის გამო და ეს უპირატესობა განსაკუთრებით საგრძნობია ანტიკურ ხანაში. შიდა ქართლის ქალაქების უმეტესობა (ურბნისი, კასპი, სარკინე) არ არიან გაშენებული მიუწვდომელ მაღლობებზე, ან კონცხებზე. ქალაქი იშენებოდა სხვე-




სურ. 8. სარკინე. ძეგლთა განლაგების სქემა

ბისაგან თითქმის გამოურჩეველ ადგილებზე ორი ან რამდენიმე ძველი სამოსახლოს შერწყმის საფუძველზე; მაგალითად, ურბნისში ასეთი ძველი სამოსახლო ორია სავარაუდო, სარკინეში — ოთხი. ისინი ანტიკურ ქალაქებში ცალცალკე უბნების სახით იყვნენ წარმოდგენილნი. ქალაქების განლაგების თავისებურება გვავარაუდებინებს, რომ ქალაქები აქ წარმოიშვა მყარი და ძლიერი

[61] ა. აფაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 161.

აგრარული ბაზების ხარჯზე. გამონაკლისია მცხეთა, მას ეკონომიური საყრდენიც ძლიერი ჰქონდა და სტრატეგიული მდებარეობაც უპირატესი. კიდევ ერთი დეტალი: შიდა ქართლის ქალაქების სოფლების მეურნეობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია ირიგაციას; ურბნისის, სარკინეს, მცხეთის აგრარული რაიონების ინტენსივობა დიდ-პატარა რუების მოქმედებით ძლიერ იყო გაზრდილი.

მტკვრის ქვედა წელის ქალაქებიდან წყაროები ორ ქალაქს ასახელებენ, ესენია რუსთავი და ხუნანი.

რუსთავის გეოგრაფიული მდებარეობა ერთგვარად დამაფიქრებელია და სავარაუდოა, უნდა განისაზღვრებოდეს ჩვენში გავრცელებული ქალაქების ერთი ტიპით, რომელთა აღმოცენება და განვითარებაც ძალიან ბევრ საკითხთან არის დაკავშირებული (ამის შესახებ შემდეგ მოგვიხდება საუბარი). გაშენებულია ველზე, მტკვრისა და აქედან გამოღებულ არხს შორის. რუსთავის მიდამოები რამდენიმე ძველი ნამოსახლარით არის წარმოდგენილი, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო „ციხის-გორა“, სადაც ძველი ქალაქის ერთ-ერთი მთავარი უბანი მდებარეობდა. ყველაზე ძველი ნივთი რუსთავის არქეოლოგიაში ჯერჯერობით შუაბრინჯაოს ხანის მოხატული ქილაა. უფრო უკეთ გვიანბრინჯაოს ხანაა წარმოდგენილი. ასევე საკმაოდ ცნობილია I ათასწლეულის I ნახევრის ნივთიერი კულტურა. შედარებით მცირეა ადრეანტიკური მასალა, რაც არქეოლოგიურად მცირედ შესწავლილობის ბრალი უნდა იყოს.

რუსთავის ზრდა და, შეიძლება, მისი ინტენსიური დასახლებაც არხთან არის დაკავშირებული. იგი, როგორც ძველი ნამოსახლარი, მტკვრისპირეთით საზრდოობს. ირიგაციის გაძლიერებით იგი იზრდება, შესაბამისად მატულობს ასათვისებელი მიწებიც.

რუსთავი, როგორც ირკვევა, მსგავსად მტკვრისპირეთის სხვა ქალაქებისა, ქალაქამდელ პერიოდში მტკვრის ჭალებით კმაყოფილდება. იგი მტკვარზე დიდად იყო დამოკიდებული. აქედან გამოდიოდა რუ, რომლის სათავეშიც პირველი ქალაქი ჩაისახა და მისგანვე მიიღო სახელი. რუსთავის არხი ყარაიის ველებს რწყავდა და მნიშვნელოვნად აძლიერებდა ქალაქის სამეურნეო შესაძლებლობებს.

თავისი გეოგრაფიული მდებარეობით რუსთავი გასაღებია ყარაია-მტკვრისპირეთის საზამთრო საძოვრებისაკენ, რის გამოც ის განსაკუთრებით დაწინაურდა. რუსთავისათვის ბრძოლა ფეოდალურ ხანაში საძოვრების დაუფლების ნიშნით მიმდინარეობდა, რისთვისაც თურქული ტომების მომძლავრების დროიდან მოკიდებული რუსთავს არა ერთი სიძნელის გადალახვა მოუხდა.

ძირითადი ფაქტორი, რასაც შეეძლო რუსთავის მიდამოებში ადამიანი დაესახლებინა და შემდეგ კი იგი ქალაქად ექცია, იყო მეურნეობა (ბინადარი მეურნეობა და მესაქონლეობა) და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა.

დამჯდარი მეურნეობა (ასევე მესაქონლეობაც) ინტენსიფიცირებულია რუსთავის არხით, რომლის შექმნაც ახ. წ. IV საუკუნის უწინარეს არის საგულვებელი. წერილობითი ცნობა IV საუკუნეში თრდატის მიერ არხის გაყვანის შესახებ, უნდა გულისხმობდეს მის განახლებას, ან რაიმე ახალი ღონისძიების

ჩატარებას. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით იგი გაცილებით ძველია, ქვ. და ახ. წელთაღრიცხვების მიჯნისა მაინც[62].

როცა რუსთავის ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობას აღვნიშნავდით, სრულიადაც არა გვქონდა მხედველობაში მისი სტრატეგიული მდებარეობა, არამედ მისი, ორი მონაცვლე ეკონომიური ზონის საზღვარზე არსებობისათვის გვინდოდა გაგვესვა ხაზი და აქედან გამომდინარე მისი გეოგრაფიული უპირატესობა გვეჩვენებინა, ზამთრის საძოვრების პატრონობის საკითხში. რაც შეეხება უშუალოდ რუსთავის განლაგებას, იგი მაინცდამაინც არ იმსახურებს სტრატეგიული პუნქტის სახელს, საკმაოდ დაბალ ადგილზეა გაშენებული, დაცვის ეფექტიანობაც არც თუ დიდი ექნებოდა. მიუხედავად ამისა, რუსთავი ბევრჯერ გამხდარა საცილობელ საგნად და ბრძოლის ასპარეზად. ერთგან ის „ციხე-ქალაქადაც“ არის დასახელებული[63]. ყველაფერი ეს მისი უპირატესი გეოგრაფიული მდებარეობით იყო გამოწვეული.

რუსთავი განსაკუთრებით ძლიერია ფეოდალურ ხანაში. მან დიდი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში, როგორც კუხეთის პროვინციის მოწინავე პუნქტმა, რუსთავის საერისთაოს ადმინისტრაციულმა ცენტრმა, საუფლისწულო დომენმა და ქალაქმა დაწინაურებული საქალაქო მეურნეობით.

რუსთავის შესახებ ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულია სრულიად ახალი მოსაზრება, რომლის მოტანაც აქ საჭიროდ ჩავთვალეთ. დ. ხახუტაიშვილი სწავლობდა რა იბერიის ქალაქებს, წერილობითი მონაცემებისა და არქეოლოგიური გათხრების შედეგების გათვალისწინებასთან დაკავშირებით შენიშნავდა, რომ განსაკუთრებით სიფრთხილით უნდა მოვექცეთ წერილობითი წყაროების გამოყენებას: „ასეთ სიფრთხილეს გვიკარნახებს რუსთავის მაგალითი, რომელიც წერილობითი წყაროების მიხედვით, იბერიის უძველეს ქალაქად იყო მიჩნეული, ხოლო არქეოლოგიური კვლევა-ძიების მონაცემებით მისი გაქალაქება ახ. წ. IV—VI საუკუნეებს დაუკავშირდა (გ. ლომთათიძე, 1964—1965 წწ. გათხრები)“[64]. ეს მოსაზრება იმავე ნაშრომში სხვაგანაც არის აღნიშნული (გვ. 215). რომ რუსთავი გაქალაქებულია, უფრო სწორად — იბერიის მეფეების მიერ არის დაარსებული (?) IV—V სს. და ეს ყველაფერი თურმე არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით არის შესამჩნევი. წერილობით წყაროებს რომ შემოწმება და სიფრთხილით გამოყენება სჭირდება, ეს უდავოა და მანამდეც არაერთხელ ყოფილა აღნიშნული. და თუ რუსთავი ჩვენს მიერ ანტიკურ ქალაქად არის გამოცხადებული, ყოველთვის აღვნიშნავდით, რომ ის ქალაქია წერილობითი წყაროების მიხედვით. შეგვეძლო თუ არა ანგარიში არ გაგვეწია წერილობითი ცნობისათვის? რა თქმა უნდა — არა. განა შეიძლება უარვყოთ ლ. ჭროველის მონაცემები, სანამ არქეოლოგიურად სრულად არ იქნება შესწავლილი რუსთავის მიდამოები? ჯერ ხომ მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია ქალაქისა გათხრილი. „მცხეთაში, სარკინეთში, წიწამურზე, ურბნისსა და უფლისციხეში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ სტრაბონს სანდო წყარო ჰქონია იბერიის ეკონომიურ მდგომარეობაზე, კერძოდ საქალაქო

[62] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქი რუსთავი, გვ. 35—39; ასეთივე თარიღს იზიარებს ი. კ ი კ ვ ი ძ ე. იხ. მისი „მორწყვა ძველ საქართველოში“, გვ. 35.

[63] „ქ ც-ბა“, I, გვ. 159.

[64] დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 101.

ცხოვრებაზე, — წერს დ. ხახუტაიშვილი — სამაგიეროდ, რუსთავის არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა, რომ ლეონტი მროველზე ნდობა ყოველთვის არ შეიძლება"[65]. ეს ხომ ცალმხრივი მიდგომაა. განა ლ. მროველს იგივე ცნობები არა აქვს მცხეთის, სარკინეთის, ურბნისისა და უფლისციხის შესახებ? მიუხედავად რუსთავის არასრული არქეოლოგიური შესწავლისა, არსებობს მონაცემები, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებისათვის აქ მძლავრი დასახლება არსებობს. ამაზე მიუთითებს 1949—51 წწ. მტკვრის ორივე ნაპირზე გათხრილი არქეოლოგიური ძეგლები, მათ შორის „მოხუცი მეომრის" სამარხი II უბანზე, VII—VI სს. და I უბნის სამარხეული კომპლექსები VI—V სს. დათარი-




სურ. 9. რუსთავის სამეურნეო რაიონი

ღებული[66]. ყოველივე ამას, ასევე უშუალოდ ფეოდალური ხანის ნასახლარებში შავპრიალა კერამიკის აღმოჩენების ფაქტებს სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს. ასევეა გასათვალისწინებელი მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ანტიკური კრამიტების აღმოჩენებიც.

---

[66] დ. ხახუტაიშვილი, იქვე, გვ. 19.

[67] გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნე-

ხუნანი წყაროების მიხედვით ქართლის სასაზღვრო ქალაქი იყო. იგი დაინგრა მონღოლების შემოსევების დროს. შემდეგ კი მის შესახებ არავითარი ცნობები არ არის. მხოლოდ ვახუშტი აღნიშნავდა რამდენიმე მომენტს გვიანფეოდალური ხანის ხუნანთან დაკავშირებით. ვახუშტის ლოკალიზაციით იგი მდ. ხრამისა და მტკვრის შესართავზე მდებარეობდა. ჩვენ ერთხელ გვქონდა საშუალება შევხებოდით ხუნანის ლოკალიზაციის საკითხს, სადაც ვცადეთ ქართული, სომხური, სპარსული და არაბული წყაროების მოშველიებით გაგვესაზღვრა მისი გეოგრაფიული კოორდინატები. ვარაუდით იგი მდებარეობდა დღევანდელი აღსტაფის რაიონში, მდ. აღსტაფურას მტკვართან შეერთების ადგილას, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მაღალ ბორცვზე, რომელიც მოქცეულია ორი მდინარის შეერთების დელტაზე[67], მდ. აღსტაფურა, ჩვენი ლოკალიზაციით ბერდუჯი, რამდენიმე ტოტად შეერთვის მტკვარს. ქალაქი მოქცეული იყო ტერიტორიაზე, რომელიც მდინარის წყლით უხვად ირწყვებოდა. სხვათაშორის, ერთ-ერთ ტოტზე შემორჩენილია ხიდიც, რომელსაც სიძველის ნიშნები აქვს.

ხუნანი, რუსთავის მსგავსად, დაცემულ ადგილზეა გაშენებული (სურ. 10). ქალაქის შიდა-ციხე ბორცვზე ყოფილა დაფუძნებული, რომელიც ძველი ნამოსახლარი გორის იერისაა. აქ ალბათ ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანაში ჩნდება მოსახლეობა, რომელიც შეუწყვეტლივ განაგებს მას XIII საუკუნემდე. მეურნეობის სახის განსაზღვრა, რომელმაც წარმოშვა პირობები უწყვეტი ცხოვრებისათვის, ძნელია, უფრო მიწათმოქმედებაა სავარაუდებელი. იგი ძლიერ მიაგავს შიდაქართლის ძველ ნამოსახლარებს. მიწათმოქმედებისათვის ვარგისი რაიონი, რომელიც ხუნანს ირგვლივ ერტყა, მოქცეულია მტკვრის ხეობის დაცემულ ადგილში, რომელიც რელიეფურად არის გამოყოფილი გარემოსაგან. მეურნეობის მაღალნაყოფიერების გარანტიას იძლეოდა მდინარე აღსტაფურა, რომელიც თავისი ცვალებადი კალაპოტის გამო რამდენიმე ტოტად შეერთვოდა მტკვარს. ნაქალაქარი ასეთი ნაკადების შუაშია მოქცეული. გარკვეულ ხანაში აღსტაფის ეს მონაცემები რუ-ნაკადულებისათვის იქნებოდა გამოყენებული. ხუნანის სამეურნეო რაიონი დაცემულ ადგილზე იყო განლაგებული და ქალაქის დაცემის შემდეგ იგი ხშირად იტბორებოდა არაწესიერი ექსპლოატაციით.

ხუნანის ნაქალაქარზე კარგად გაირჩევა ქალაქის ორი მთავარი რაიონი ნაციხარის ტერიტორია და ნაქალაქარისა. ისინი ერთმანეთისაგან გამოყოფილნი არიან თხრილით. ნაციხარზე დადასტურებულია ალიზის აგურების მთელი გროვები, განსაკუთრებით ბორცვის ნაპირებში, რაც მიუთითებს, რომ ციხე შემოსაზღვრული იყო ალიზის გალავნით. ეს წერილობითი ცნობების დადასტურებაც უნდა იყოს, რადგან ხუნანს „მტვრის ციხესაც“ უწოდებდნენ, რაც მიუთითებს, რომ ქალაქს ალბად ალიზის გალავანი ჰქონდა (შდრ. არაბული قلعة التراب — მტვრის ციხე).

ძეგლი მდიდარია არქეოლოგიური ნაშთებით. ზედაპირული მასალა განსაკუთრებით ჭარბად ნაციხარზეა წარმოდგენილი. უფრო კი მტკვრისპირის ზოლში, კონცხის ფერდობზე, სადაც წვიმის წყალს ურეცხია მიწა და დამარხული ნაშთები გამოუჩენია.

ყველაზე ძველი ნაშთები ხუნანიდან ადრებრინჯაოს ხანით შეიძლება და-

ლოვანესი შედეგები, მსკა, I, გვ. 177 და შემდეგ.

[67] ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 195.

თარილდეს. აქ გვხვდება ზოგი ნაწარმი, რომელიც მოხატული ზედაპირით ძლიერ უკავშირდება თრიალეთის შუაბრინჯაოს კერამიკას. ბევრია წარმოდგენილი ასევე გვიანი ბრინჯაოს ხანის შავი კერამიკაც. რამდენიმე ნატეხი შავპრიალა ზედაპირით, თხელკედლიანი ჭურჭლებისა შეიძლება ადრეულ ანტიკურ ხანას მივაკუთვნოთ.

ძალიან ბევრია დადასტურებული მოჭიქული კერამიკა. შეიძლება ითქვას, რომ მოჭიქული კერამიკის მრავალფეროვანი ნაშთებით გაჭედილია ნაქალაქა-




სურ. 10. ხუნანის სამეურნეო რაიონი

რი. რა სახის და რა ფორმის ჭურჭელს არ შევხვდებით აქ. ძეგლის არქეოლოგიური ნაშთებით სიმდიდრეზე მიუთითებს ისიც, რომ ზედაპირზე მონეტაც კი იყო აღმოჩენილი. ჭიქურიანი ჭურჭელი X—XIII საუკუნეებისაა. ესეც კარგად

მიუთითებს, რომ ქალაქი მეცამეტე საუკუნეში განადგურდა და შემდეგში იგი ველად წამოიძღვარა[68].

ხუნანის უძველესი ფენების კვლევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არქაულ მასალას, რომელიც უფრო ჭარბად არის დადასტურებული ხუნანის ნაქალაქარად მიჩნეული ძეგლიდან ცოტა ჩრდილოეთით მდებარე ძველ ნამოსახლარზე, სადაც აღმოჩენილი მასალის თარიღი შემოიფარგლება ადრეპრინცაო-ანტიკური ხანებით. განსაკუთრებით ძლიერია აქ ანტიკური ხანა. დამახასიათებელი შავპრიალა და თხელკედლიანი კერამიკით. მოსალოდნელია, რომ ეს მნიშვნელოვანი ნამოსახლარი ხუნანთან ერთად ვითარდებოდა და ხუნანის ქალაქად გადაქცევის შემდეგ იგი ქალაქის ერთ-ერთ უბნად იქცა. აქაც ანალოგიური შემთხვევა უნდა ვივარაუდოთ, როგორც მტკვრის ხეობის ზედა და შუა წელის ქალაქებში.

პორცვი, რომელიც ჩვენ მოვიხსენიეთ, მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა. ამაზე მიუთითებს ზედაპირული არქეოლოგიური მასალა. აქ ცხოვრება ჩანს XIII ს-მდე. დღესდღეობით იგი მივიწყებულია. მოსახლეობა მას „კალაბოზს“ უწოდებს. „კალა“ قلعة არაბულია და ნიშნავს ციხეს. ბოზ boz თურქულ-აზერბაიჯანულად ნიშნავს ნაცრისფერს და იხმარება უმთავრესად მიწის ფერის აღსანიშნავად. თვით სახელიდანაც (კალა) აშკარაა, რომ აქ ციხე უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება მის მსაზღვრელს (boz) იგი ისეთივე მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი, როგორც „მტუერის ციხე“ (არაბული قلعة التراب). როგორც „ნაცრისფერი“, ისე ქართული „მტუერი“, შესაძლებელია, ალიზის აღსანიშნავად იხმარებოდა. თურქული ბოზ — boz ალიზის ფერს გადმოსცემს, იმ ალიზისას, რომლის გალავანიც გარს ერტყა ციხეს და რომლის ნაშთებიც კარგად არის დადასტურებული აქ განხილულ ნაქალაქარში. „მტვერი“ რომ ალიზს ნიშნავს, ეს კარგადაა დამოწმებული „ქართლის ცხოვრების სომხურ თარგმანშიც. ქართული „კუალად აღაშენა მტუერის ციხე, რომელსაც ჰქვიან ხუნანი“, სომხურ თარგმანშია „ალიზით ნაგები ციხე ხუნანი“[69].

ხუნანის ლოკალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები ვრცლად არის განხილული ჩვენს ნაშრომში „ქალაქი რუსთავი“. ამის გამო აქ მხოლოდ ზემოთ აღნიშნულით დავკმაყოფილდებით.

* * *

ასეთია მოკლე ნუსხა მტკვრის ხეობის ქალაქებისა. რომელთა შესახებაც ცნობებს ვპოულობთ წერილობით წყაროებში. მაგრამ შეუძლებელია არ დავვებადოს კითხვა: იძლევა თუ არა ამომწურავ სურათს აქ ჩამოთვლილი ქალაქების რიგი და თუ არის საჭიროება ამ რიგის შევსებისა?

როგორც აღვნიშნეთ. იქ უმთავრესად ქართლის და ისიც მტკვრისპირის ქალაქებია მოცემული. ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ჩვენში ქალაქები უფრო მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე ამას წყაროები გვამცნობენ. ამაზე მიუთითებს, პირველ რიგში, არქეოლოგიური გათხრების წყალობით თუ მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩენილი მასალა. პირველ რიგში შე-

---

[68] ნაქალაქარი არქეოლოგიურად დაზვერილი გვაქვს რამდენიმეგზის 1955, 1958, 1959 წწ. ზედაპირული არქეოლოგიური მასალა ინახება რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

[69] ქართლის ცხოვრება, ძველი სომხური თარგმანი, ი. ა ბ უ ლ ა ძ ი ს გამოცემა, თბ., 1953, გვ. 11.

იძლება მოვიხსენიოთ ქალაქი გორი, რომელიც მეტად ხელსაყრელ გეოგრაფიულ ადგილზეა გაშენებული, ლიახვისა და მტკვრის შესაყარზე. იგი გაშენებულია მაღალ კლდოვან გორაზე. შემორჩენილი ციხე-სიმაგრეების უდიდესი ნაწილი, თუ მთლიანად არა, გვიანი შუასაუკუნეებისაა. მისი შთამბეჭდავი გარეგნობა და სტრატეგიული ნიშნები შეუძლებელია შეუმჩნეველი დარჩენილიყო და ასეთი გეოგრაფიული გარემო (ორი მდინარის შესაყარი, მოზრდილი ბორცვი) გამოუყენებული არ ყოფილიყო; იგი ხომ ანტიკურ ქართულ ქალაქთა ზონაშია მოქცეული. ერთი მხრივ უფლისციხე და კასპი, მეორე მხრივ ურბნისი, კარგი სტრატეგიული განლაგება, ყველაფერი ეს მის სასარგებლოდ ლაპარაკობს. ეჭვები მისი ქალაქობის თუ ქალაქური დასახლების თაობაზე ზედმიწევნით საფუძვლიანია. თუ თვალს გადავავლებთ მის არქეოლოგიურ მონაცემებს, შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ გორის სახით საქმე უნდა გვქონდეს ერთ-ერთ მოწინავე ანტიკურ დასახლებასთან.

აქ ჯერ კიდევ 1850 წ. პართული დრაქმების განძი აღმოჩნდა. შემდეგ 1900-იან წლებში, მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა კოლხური სტრატერი (ლიზიმახის სტრატერის მინაბაძი), რომელიც ძვ. წ. III—I სს. ეკუთვნის. ამავე ხანისაა აქ აღმოჩენილი, მსგავსადვე მიწის სამუშაოების დროს, ძვ. წ. I საუკ. მონეტა ეგვიპტის დედოფალ კლეოპატრასა და ანტონიუსის სახელით მოჭრილი. აღარაფერს ვამბობთ პირველი საუკუნეების მონეტებზე, რომლებიც ბლომადაა აღმოჩენილი ქალაქში[70]. ასეთი ნუმიზმატიკური მონაცემები, ასეთი თავმოყრა სამონეტო ერთეულებისა, ეჭვს გარეშეა, დაკავშირებულია მძლავრ და მნიშვნელოვან ბაზართან, რომელიც თავის მხრივ მძლავრ სახელოსნო-სავაჭრო ცენტრთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

გორის ძველი ფენების გამოკვლევისათვის განსაკუთრებით საყურადღებო მასალებს იძლევა შემთხვევითი არქეოლოგიური მონაპოვარი, მომდინარე გორის-ციხის ტერიტორიიდან. 1946 წ. გორის-ციხის ჩრდილოეთის ფერდობის მოზვავების შედეგად გამოჩნდა ძველი ციხის კედლის წყობა და კერამიკული ნატეხები. ადგილზე მივლენილმა სპეციალისტებმა (გ. ნიორაძე, გ. გობეჯიშვილი, ი. ციციშვილი) მაშინვე განსაზღვრეს ციხის გამოჩენილი ნაწილის სიძველე. კერამიკული ნაწარმი, ასევე ქვიშაქვის გათლილი კვადრები, აგური, ალიზი, კრამიტი — ბაგინეთის სინქრონულად მიიჩნიეს[71]. ეს აღმოჩენა ნიშანდობლივი დადასტურება იყო შუასაუკუნეების ციხის ქვეშ არმაზციხის ტიპის ნაგებობისა[72]. ნაგებობის კედლის სიმაღლე 6 მ-ია, ხოლო სისქე 3 მ.[73]

გორის ციხეზე სიძველის ნაშთები მთელს ტერიტორიაზეა მიმობნეული. აქ ჩატარებული დაზვერვებისას დადასტურებულია თხელკეციანი მოხატული ჭურჭლების ნატეხები, ასევე შავპრიალა ჭურჭლის ნიმუშები, რომლებიც პარალელური მასალების მიხედვით ადრეანტიკური და ელინისტური ხანით შეიძლება დათარიღდეს[74].

---

[70] იხ. საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყ-ის სათანადო ფონდი.

[71] გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, გვ. 120.

[72] ი ქ ვ ე.

[73] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, გორის ისტორია, თბ., 1954, გვ. 7. ავტორი შესაძლებლად სცნობს გორი ივარაუდოს ანტიკურ ძეგლად, მეორე აკროპოლისად არმაზის ციხის შემდეგ.

[74] გორის ციხეზე დაზვერვებს ვაწარმოებდით 1964 წ. ზაფხულში ი. გაგოშიძესთან ერთად. მასალა ინახება საქ. სახ. მუზეუმის წინაფეოდალური და ფეოდალური ხანის მის განყოფილებაში.

გორის ციხის ჩრდილოეთ ნაწილში, ჩამონანგრევში გამოჩენილი ალიზის აგურები ზომებით ძლიერ უახლოვდება ურბნულ აგურებს და არც არის გამორიცხული ერთი ფენა მისი თანადროულიც იყოს. აქ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება: ალიზის აგურები (ზომებით 48×48×10) ძლიერ გავრცელებულია ურბნისის VI—VII სს. თავდაცვით ნაგებობებში. ასეთივე ზომის აგურებია გორის ციხეზედაც. სხვათა შორის, სწორედ ამ დროის გორია მოხსენიებული წერილობით წყაროებშიაც. ვახუშტის გადმოცემით, „არ არს უწყებული, ვისით აღშენდა პირველ (გორი. — ლ. ჭ.), გარნა ცხორებასა წერილ არს: „ერეკლე კეისარმან უწოდა ტონთიო (რომელ არს ოქროს მთა და ჰყო საფლველად საგანძურთა“[75]. ერეკლე კეისართან დაკავშირებითვე ახსენებს გორს ჯუანშერიც. თუ მართლაც VII ს-ში გორი კეისრის საგანძურის სამალავად იქცა, არ უნდა იყოს მოულოდნელი ამ დროს მისი გალავნით გამაგრებაც. აქ, რა თქმა უნდა, არ არის ნაგულისხმევი გორის ზღუდის სულ ძველი ფენა, არამედ ნავარაუდევია ერთ-ერთი პერიოდი ზღუდის მშენებლობისა, რომელიც VII ს. ახლო ხანებში ჩანს.

ჩამოთვლილი აღმოჩენების, ასევე ნუმიზმატიკური მონაცემების მიხედვით არ იქნება შეცდომა, თუ გორს მივიჩნევთ ძლიერ ანტიკურ დასახლებად. შესაძლოა აქ ქალაქიც იყოს სავარაუდო, ურბნისის, კასპის და სარკინეს გვერდით, მათივე თანატოლი და მათი ცხოვრების თანაზიარი[76].

ძველი ქალაქების რიგში არც თბილისი მოიხსენიება. ის შედარებით მოგვიანებით გამოდის წერილობითი წყაროების ფურცლებზე. ყველაზე ადრე მას „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მოიხსენიებს „და მაშინ მოვიდა ქრამ ხუარბორ-ზარუ, სპარსთა მეფის პიტიახში, ტფილისად ქალაქად, ციხედ, და ქართლი ჰისსა ხარკსა შედგა...“[77]

ჯერ ერთი, ამ ცნობიდანაც ჩანს, რომ თბილისი დაუსახლებელი ადგილი არ არის, სპარსთა მეფის პიტიახში აქ ცარიელ ადგილზე არ მოსულა, არამედ მოვიდა „ტფილისად ქალაქად ციხედ“, ე. ი. გაჩერებულა თბილისის ციხეში. მაგრამ სანამ თბილისი იქცეოდა „ქალაქად ციხედ“ მთელი გზა უნდა გაევლო. თბილისი ისეთ გეოგრაფიულ ადგილზეა გაშენებული, რომ არ შეიძლებოდა აქ რაიმე ძლიერი პუნქტი არა ყოფილიყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ყველაზე შესაფერისი ვიწროები მტკვარზე, კლდოვანი ნაპირები, სადაც კი ხიდის გადება შეიძლებოდა, აქ არის[78], ისე რომ იგი ამ მხრივაც ყურადღებას იმსახურებს. თბილისის მიდამოები სავსეა ძველი არქეოლოგიური ძეგლებით. აქ მოსახლეობა ენეოლითიდან არის დამკვიდრებული. ძლიერი ფენებია წარმოდგენილი ასევე გვიანი ბრინჯაოსა და ადრე ანტიკური ხანისაც. ყოველივე ეს იძლევა შესაძლებლობას, რომ აქ ერთ-ერთი ძველი, ძლიერი დასახლება ვივარაუდოთ[79].

---

[75] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 73—74.

[76] შდრ. Г. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, გვ. 440; Ш.А. М е с х и а, Города..., стр. 10; ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები,..., გვ. 5.

[77] მოქცევაჲ ქართლისაჲ (აგიოგრაფიული ძეგლები), I, გვ. 92.

[78] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ტფილისის ისტორია, შრომები, I, გვ. 11.

[79] ასეთ მოსაზრებას გამოთქვამს თითქმის ყველა ავტორი, ვინც კი თბილისის შემთხვევით აღმოჩენებს იხილავს. იხ. შ. მ ე ს ხ ი ა..., თბილისის ისტორია, გვ. 5—7; გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წ. ზამთარში, მსკა, I, გვ. 126—291; ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, „განჯისკარის“ 1948 წლის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, იმავე კრებულში, გვ. 89—90; ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ო. ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 1961, გვ. 3—8.

ყოველივე ამას თან ერთვის საინტერესო ნუმიზმატიკური აღმოჩენებიც (XIX ს-დან მოყოლებული). ნუმიზმატიკურ მონაპოვართა შორის, ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა იყოს XIX საუკ. 70-იან წლებში სახელმწიფო მუზეუმის შენობის საძირკვლის თხრის დროს აღმოჩენილი მონეტები, რომლებიც ნუმიზმატთა განსაზღვრით ბაქტრიულია.

ბაქტრიული მონეტების აღმოჩენები ჩვენში იშვიათია და მათი დადასტურება აქ, თბილისში, სავაჭრო-სატრანზიტო გზის ზონაში უდავოდ მიუთითებს, რომ თბილისი ჩაბმული უნდა ყოფილიყო გაცხოველებულ სავაჭრო ურთიერთობაში აღმოსავლეთის ქვეყნებთან.

თბილისის უძველესი ნამოსახლარებიდან ყურადღებას იქცევს რამდენიმე (დიდუბე, ღრმაღელე, ორთაჭალა, ნაძალადევი[80]). ცხადია, ენეოლითში და შემდეგ გვიანბრინჯაოს ხანაში არქეოლოგიურ ძეგლთა ასეთი მოჭარბება გარკვეულ ეკონომიურ საფუძველზე უნდა ყოფილიყო დაყრდნობილი. მითუმეტეს, რომ ცხოვრება ამ დროს კი არ ისპობა ან სუსტდება, არამედ იზრდება, ვითარდება და გვაქვს მონაცემები ანტიკური ხანისათვის აქ ძლიერი დასახლება ვიგულისხმოთ.

ცხადად ჩანს: პირველი წერილობითი ცნობა, რომელიც თბილისის ციხექალაქობას ეხება, შესაძლოა, არ ასახავს თბილისის, როგორც ქალაქის პირველ, საწყის ფორმებს. იგი, სავარაუდოა, გაცილებით ადრე იყოს წარმოშობილი, როგორც სამოსახლო პუნქტი კი ვითარდება ჯერ კიდევ ადრებრინჯაო-ენეოლითიდან მოყოლებული.

## 3. „და კახეთისა ქალაქნი"

### (იორ-ალაზნის აუზის ძველი ქალაქები)

ლეონტი მროველი, იქ სადაც ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობაზე ლაპარაკობს, სპეციალურად ჩერდება ციხეებსა და ქალაქებზე, რომლებიც ბერძნებს დახვედრიათ აქ. ქართლის პუნქტების ჩამოთვლის შემდეგ იგი მოკლედ აღნიშნავს „... და კახეთისა ქალაქნი"-ო. ამით წყდება მროველის თხრობა ქალაქების შესახებ. ეს ადგილი ძლიერ ინტერესს უღვიძებს ქართული ქალაქების მკვლევართ და ერთგვარ სინანულს იწვევს, რომ ავტორი მხოლოდ ასეთ ლაკონურ გამოთქმას დასჯერდა. ე. ი. უცილობელი ფაქტია, რომ უკვე ელინისტური ხანიდანვე ასევე მძლავრი კერა საქალაქო მეურნეობისა შესაძლებელია არსებულიყო კახეთშიც. მაგრამ რას გულისხმობდა მროველი კახეთის ცნებაში? კახეთს ისტორიულ საზღვრებში, თუ კახეთს უკვე ჰერეთის პროვინციასთან ერთად? ეს საკითხი უთუოდ იშვება ზემოხსენებული ადგილის გარჩევის შემდეგ. საკითხის გაშუქებისათვის თვით მროველის თხზულებას მივმართოთ. ფარნაჯომის მეფობის დახასიათებისას (ძვ. წ. II საუკუნე) აღნიშნავს: „და იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი"[81]. მისივე ცნობით ძვ. წ. I ს. ბოლოს არშაკმა „განაშუენა ნელქარ, ქალაქი კახეთისა, რომელ არს ნეკრესი"[82]. ორივეგან გარკვევით არის ნათქვამი, რომ ნეკრესი კახეთის ქალაქია, და რომ მისი აშენება და გამაგრება ქართლის მეფეების

---

[80] დ. ქ ო რ ი ძ ე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ტ. I, თბ., 1955, ტ. II, თბ., 1958.

[81] „ქ. ც-ბა", I, 29.

[82] „ქ ც-ბა", გვ. 33.

დამსახურებაა. ე. ი. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ლეონტი მროველს კახეთი ესმის როგორც კახეთისა და ჰერეთის კრებული. რა თქმა უნდა, ერთი წუთითაც არ გვინდა დავუშვათ, რომ კახეთისა და ჰერეთის ისტორიული პროვინციების შესახებ მროველს არა სცოდნოდეს-რა. პირიქით, ამ ძველი პროვინციების საზღვრები და შესაძლო ფარგლები სწორედ მისი თხზულების მიხედვით ვიცით. შესაძლებელია კახეთის ქალაქებში ის გულისხმობდა ორივე ქვეყნის ქალაქებს, ასახავდა-რა მისი დროისათვის (XI ს.) არსებულ პოლიტიკურ სურათს.

როგორიც არ უნდა იყოს „კახეთისა ქალაქნის" ახსნა, გულისხმობდა ის საკუთრივ კახეთს თუ კახეთს ჰერეთიანად, ცხადად ჩანს, რომ აღებული ხანისათვის (ძვ. წ. IV—III სს.) ორივე პროვინცია დასახლებულია ქალაქებით და საქალაქო ცხოვრების დონით არანაკლებია ქართლის ქალაქებზე. აქ ქალაქების ორი რიგი შეიძლება განვიხილოთ, რომლებიც აღმოცენებულან ორ ეკონომიურად მდიდარ რაიონში, სადაც ისტორიულად იქმნება და ყალიბდება ორი მთავარი კერა, დაფუძნებული თავისებურ სამეურნეო ყოფაზე, რომელშიაც განმსაზღვრელია დამჯდარი, ძლიერი მიწათმოქმედება. შემდგომში, ადმინისტრაციულ ერთეულებად ქცეული ეს კერებია ივრის ხეობა — ისტორიული კახეთი და ალაზნის ველი — ისტორიული ჰერეთის პროვინცია.

ივრის ხეობა ქალაქმშენებლობის თვალსაზრისით სუსტადაა ასახული წერილობით წყაროებში. ესეც რომ არ იყოს, მთიანი ხეობა ამ მხრივ თითქოს ნაკლებად საინტერესოა და თუ ლაპარაკია ივრის ხეობის მსგავს დასახლებებზე, უპირატესად მის ქვედა წელს გულისხმობდნენ.

„ქართლის ცხოვრებაში" ივრის ხეობის და შესაბამისად კახეთის მხარის უძველეს ცენტრად იცის ჩელეთი, რომლის პირველი სახელი იყო „ბერ". ის კახოსთან ერთად არის მოხსენიებული, მისგანვე აშენებული „და ამან კახოს აღაშენა ჩელეთი; კუხოს შეეწია შენებასა ჩელეთისასა. რამეთუ დედა-ციხე კახოსის ხუედრი იყო"[83]. დედა-ციხე, ვახუშტის გადმოცემით, ბოჭორმაა, რომლის აშენებაც ქართლოსთან არის დაკავშირებული[84]. იმავე ვახუშტის მიხედვით, ჩელეთი შესაძლებელია გაიგივდეს ჟალეთთან, რომლის სახელი დღესაც არის შემორჩენილი ივრის მარცხენა ნაპირზე სოფ. საყარაულოსთან[85].

ივრის ხეობის შემდეგი პოლიტიკური ცენტრის — უჯარმის შესახებ ცალკე იქნება საუბარი წინამდებარე ნაშრომის მესამე თავში. აქ კი საჭიროა შევეხოთ ხეობის ზედა წელის ერთ-ერთ ძველ პუნქტს, რომელიც ჯერჯერობით უცნობია სამეცნიერო ლიტერატურაში.

პტოლემაიოსი თავის გეოგრაფიულ თხზულებაში იბერიის მდებარეობის დახასიათებისა და კოორდინატების განსაზღვრის შემდეგ, იძლევა ქალაქებისა და სოფლების ჩამოთვლას. აი აქ, იგი მესტლეტას, ძალისას და ჰარმაქტიკას გვერდით ასახელებს არტანისსას. პირველი სამის შესახებ დღეს უკვე მიღებულია აზრი მათი მცხეთასთან, ძალისასთან და არმაზციხესთან გაიგივების შესახებ[86].

---

[83] „ქ. ც-ბა," ი ქ ვ ე, გვ. 9.

[84] ეს საკითხები განხილული აქვს დ. მუსხელიშვილს, იხ. მისი, უჯარმა, გვ. 25—27.

[85] უკვე რამდენიმე წელია ჟალეთში წარმოებს არქეოლოგიური გათხრები, რომლის მიზანიცაა კახეთის ამ პოლიტიკური ცენტრის შესწავლა. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ჟალეთის ექსპედიციის ხელმძღვანელის დ. მუსხელიშვილის წინასწარი ანგარიშების მიხედვით აღმოჩენილია სხვადასხვა პერიოდის მდიდარი არქეოლოგიური მასალა. გათხრილია ასევე საფორტიფიკაციო ნაგებობებიც.

[86] ნ. ლ ო მ ო უ რ ი, კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო". ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 32;

არტანისსას (Αρτανισσα) ძიმარი გამოთქმული ვარაუდი, მისი არტანუჯთან გათანაბრების თაობაზე არა გვგონია მართებული იყოს. როგორც ვარაუდობენ, პტოლემაიოსთან სახელი დამახინჯებულია: ბოლო ორი სიგმა (-σσ უნდა მიუთითებდეს აქ რაიმე აფრიკატის არსებობაზე და ამიტომ აქ გულისხმობენ ჯ-ანს[87]. ამის გამო ბერძნული „არტანისსა“ გაიგივებული იყო არტანუჯთან (ტომაშეკი, ს. ყაუხჩიშვილი, ნ. ლომოური); უფრო ადრე პ. იოსელიანი, შემდეგ კი ს. კაკაბაძე ამ სახელში ხედავდნენ ქალაქ არტაანს[88]. როგორც ზევით ითქვა, ამ ბოლო ხანებში ეს მოსაზრება უარყოფილია და ამჯობინებენ „არტანისსა“ გააიგივეონ არტანუჯთან. აქედან გამომდინარე, პტოლემაიოსის ჩვენებით იბერიის საზღვრები გადააქვთ მდ. ჭოროხის აუზამდე.

არტანისსას გაიგივება არტანუჯთან შეუძლებელია და ეს მტკიცდება უპირველეს ყოვლისა თვით პტოლემაიოსის მონაცემების მიხედვით. თანდართულ რუკაზე არტანისსა აღნიშნულია მცხეთა-არმაზციხე-ძალისას ჩრდილოეთით, კავკასიონის სამხრეთ კალთებზე. მარტო ესეც კი საკმარისია, რომ ის ჭოროხის ხეობაში არ ვეძიოთ. სწორედ კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, მცხეთის ჩრდილოეთით, ივრის ხეობის ზედა წელში დღესაც არის შემორჩენილი პატარა სოფელი, რომლის სახელია არტანი. აი, სწორედ ეს არტანი უნდა იყოს პტოლემაიოსის არტანისსაც.

არტანი თიანეთის ჩრდილოეთით მდებარეობს 10—12 კმ-ზე, ივრის მარჯვენა შენაკად ქუშხევზე. ქუშხევის სიგრძე 4—5 კმ-ზე მეტი არ იქნება. მის ზედა წელზე, მარცხენა მხარეს, მდებარეობს შესანიშნავი ძეგლი, ციხე მსხვილი ვათალილი ქვებით ნაგები, კედელ-ბურჯებით დამშვენებული. თანამედროვე მოსახლეობა მას დევების ნასახლარებს უწოდებს[89]. სწორედ ეს ციხე, ქუშხევშივე არსებული ნასახლარები შეადგენს ანტიკურ ძლიერ დასახლებას, რომელიც შეიძლება ქალაქსაც წარმოადგენდა. არტანის ციხე მაინცდამაინც დიდ ტერიტორიაზე არ არის გაშლილი, უკავია ტერიტორია ქუშხევის მაღალი ნაპირიდან მოყოლებული მთის ძირებამდე. ციხის ყველაზე კარგად შემონახული ნაწილი ჩრდილოეთის კედელია, შემორჩენილი ერთი შუა და ორი კუთხის კოშკებით. ციხის სიგრძე ამ მონაკვეთზე 64 მეტრია (ტაბ. $X_1$). კედლები ნაგებია მსხვილი ქვებით ხსნარის გარეშე (ტაბ. X—XII). ქვების წყობა სწორია. საერთო იერი მშენებლობის საკმაოდ კვალიფიციურ ნიშნებს ამჟღავნებს. ერთ-ერთი შიდა კოშკის ზომებია 5,7×12 მ.

ნაქალაქარი დღესაც მოკრძალებისა და პატივისცემის საგანს წარმოადგენს, რაც წინაქრისტიანული ხანიდან უნდა მოდიოდეს. ნაგებობათა ანსამბლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია წარმართული სალოცავი — ქვების მაღალი პირამიდული ყორე ირმის რქებით დამშვენებული და ქრისტიანული სამლოცველო, მხედრულ წარწერიანი ზარითურთ. მას კოპალას ხატს ეძახიან. ძალიან

ა. აფაქიძე. არმაზისციხის ლოკალიზაციის საკითხისათვის. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV; ნ. ლომოური, შიდა ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ისტორიული მეცნიერებების სერია, ტ. 107, 1964.

[87] ნ. ლომოური, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

[88] П. Иоселиани, Города существовавшие и существующие в Грузии, გვ. 21; ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები. „საისტორიო მოამბე“, 1924, I, გვ. 34.

[89] არტანი — „დევების ნასახლარი“ დაზვერილი გვაქვს ორგზის, პირველად დ. მუსხელიშვილთან ერთად 1954 წ., და მეორედ 1966 წ. არქიტექტორ ფ. ქუთარაშვილთან ერთად.

საინტერესოა ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილი ტოპონიმები (კვირაობა, კოპალას ხატი, პირქუში, იალსარი და სხვ.), რასაც წარმართულ ხანაში გადავყავართ[90].

თუ პტოლემაიოსის ცნობას დავუჯერებთ და მისი არტანისსას ასეთი ლოკალიზაციით დავკმაყოფილდებით, ეს კი მაინცდამაინც დაუჯერებელი არ არის, მაშინ სულ სხვა ხასიათის საკითხი წამოგვეჭრება: პტოლემაიოსის დროს, ე. ი. ახ. წ. II საუკუნეში აქ ქალაქი, თუ ძლიერი დასახლება, ფაქტად უნდა ვაღიაროთ, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ის სწორედ ამ დროს არის წარმოშობილი. პირიქით, ის ამ დროს უკვე სახელმოხვეჭილი ქალაქია, რომელიც ალბათ რამდენიმე საუკუნის ისტორიას ითვლის, და არ არის გამორიცხული, სხვა ქართული ქალაქების ასაკისაც იყოს. ამას პრინციპული მნიშვნელობა თითქოს არ უნდა ჰქონდეს. უფრო პრინციპულად გვეჩვენება მეორე საკითხი: ამ თითქმის მიუვალ მთაში იყო თუ არა საზოგადოება ასული იმ დონემდე, რომ ქალაქი (სოციალური ვითარებით) წარმოშობილიყო, თუ, რა თქმა, უნდა, ქალაქი გაჩნდა ადგილობრივ ნიადაგზე და ის არ დააარსეს სტრატეგიული მნიშვნელობით. ასეთი ეჭვები დიდხანს სამართლიანადაც გვეჩვენებოდა, სანამ ხელმეორე დაზვერვების დროს არ წავაწყდით მეტად საგულისხმო მონაცემებს. ამჯერად დაინტერესებული ვიყავით ადგილის სამეურნეო ყოფით და მასში წამყვანი ელემენტების ძიებით. დღეს მეურნეობის მთავარი სახეა მესაქონლეობა. არავითარ მიწათმოქმედებას აქ აღარ მისდევენ. ყველაფერი ეს თანამედროვე აგრარული ცხოვრების ინტერესების შესაბამისად ხდება. ადრე კი, როგორც ირკვევა, მიწათმოქმედება წამყვანი ყოფილა, ისევე როგორც ქვედა ზონაში. ნაქალაქართანვე სამიწათმოქმედო რაიონი იხაზება, რომელიც მის ირგვლივ მთების კალთებზე იყო განფენილი. რაც მთავარია, შემორჩენილია ისეთი ტოპონიმები, რომელსაც გვერდი ვერ აევლება; ნაქალაქარის ჩრდილო-დასავლეთით, მთის კალთებზე ადგილს უწოდებენ დიდ რუს (დიდი რუვი), უფრო ქვევით, პატარა რუს (პატარა რუვი). ამაზე უფრო ძვირფასი ცნობა სხვა წარმოუდგენელია, რაც უთუოდ მიუთითებს ძველი არტანის სამეურნეო ყოფაზე და იქ მიწათმოქმედების წამყვან ელემენტებზე. დღეს აღარც იციან ზემოხსენებული სახელების აზრი, რადგან ძველი სამეურნეო დარგი დაკარგულია და ტოპონიმები მხოლოდ ტრადიციითღა შემორჩა. ამ მომენტითაც არტანი შესანიშნავი პარალელია ქართლის ბარში განვითარებული ქალაქებისა, სადაც სამეურნეო ყოფაში ირიგაცია წინა რიგშია წამოწეული. გავიხსენოთ თუნდაც წუნდის ნაქალაქარი ანალოგიური დიდი და პატარა რუებით.

არტანი სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილიც უნდა ყოფილიყო; მასზე დიდად იქნებოდა დამოკიდებული ივრის ხეობის ავკარგიანობა. ის დარაჯობდა ჩრდილოეთის მხრიდან. არტანის სახით ისტორიული კახეთის ჩრდილოეთის ერთ-ერთი კარი შეიძლება ვიგულისხმოთ. უღელტეხილის გადავლით ადვილად მიისვლებოდა შარახევს, აქედან კი უფრო ღრმად ჩრდილოეთისაკენ.

---

[90] ცალკე შესწავლის საგნად უნდა იქცეს ხალხში გავრცელებული თქმულებანი, რომელთაც თავისებური ინტერპრეტაცია სჭირდება. თქმულების თანახმად არტანის მკვიდრ მოსახლეობას დევები შეადგენდნენ. მათვე აუშენებიათ ეს ციკლოპური ციხე-სიმაგრეც. კოპალა თანამედროვე მოსახლეობის წინაპარი ამარცხებს დევებს, სდევნის აქედან, თვით სახლდება და იდებს აქ კერას. არ არის გამორიცხული ეს იყოს ანარეკლი უძველეს დროს მომხდარი ხალხთა გადასახლებისა.

უფრო მრავალრიცხოვანი ქალაქებია საგულისხმო ივრის ქვედა წელზე და განსაკუთრებით კი ალაზნის ველზე. თავისი ნაყოფიერი ადგილებით ალაზნის ველი უძველესი დროიდანვე იძლეოდა საშუალებას დასახლებისათვის. საქალაქო ცხოვრებაც აქ ქართლის ქალაქების მხარდამხარ სწრაფად უნდა განვითარებულიყო. წერილობითი მონაცემებით ალაზნის ველზე და ალაზან-ივრის აუზში ანტიკურ ხანაში რამდენიმე ძლიერი ქალაქი ჩანს. პირველ რიგში შეიძლება დავასახელოთ ხორანთა.

ხორანთა, ქართლის ცხოვრების მიხედვით, ნიშნეულად არის მითითებული ალაზნისა და ივრის შეერთების ადგილზე და გამოცხადებულია ჰერეთის პოლიტიკურ ცენტრად; „ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა, და ეწოდა სახელი თვისი ჰერეთი... აწ მას ადგილსა ჰქვიან ხორანთა“[91]. ცნობები მის შესახებ ძალიან ცოტაა და წერილობითი წყაროებით გაჭირდება მისი ისტორიის შესწავლა. ვახუშტის გადმოცემით ხორანთა „იყო ქალაქი და ციხე ყრუდმდე და ბერქამდე, შემდგომად მოოხრდა და აწცა ოხერ არს“[92].

ხორანთა, ქართლის ცხოვრების მიხედვით, ნიშნეულად არის მითითებული

სამწუხაროდ, ხორანთა არქეოლოგიურად სრულიად არ არის შესწავლილი. არამც თუ შესწავლილი, არამედ მისი ადგილმდებარეობაც კი არ იყო ზუსტად მიგნებული და საჭირო შემთხვევებში წერილობით ცნობებზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი რუკის გამოყენება იყო მხოლოდ შესაძლებელი[93]. 1965 წ. მოგვიხდა ხორანთის არქეოლოგიური დაზვერვა, რის შედეგადაც ცხადი გახდა, რომ საქმე გვაქვს არა უბრალო ნაქალაქართან, არამედ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე გადაშლილ, უაღრესად მნიშვნელოვან ძეგლთან, რომელიც ზედაპირული არქეოლოგიური მონაცემებით ერთ-ერთი დიდი და მდიდარი ქალაქი უნდა ყოფილიყო. ქალაქი, წყაროების ცნობების თანახმად, კარგად ინიშნება ალაზან-ივრის შესაყარზე, მისგან ჩრდილოეთით დაახლოებით 5 კმ-ზე. ათეულ ჰექტარებზე გადაჭიმული ნაქალაქარი დაქცევის შემდეგ აღარ დასახლებულა და დღესაც კარგად იკითხება ქალაქის სხვადასხვა უბნები, უამრავი დამსხვრეული თიხის ჭურჭლეულითა და ნაგებობებით. მონაკრეფი კერამიკიდან ყურადღებას იმსახურებს დიდი ზომის ჭურჭლის პირი ამოკაწრული ჯვრის გამოსახულებით და დოქის ყური ქართული ასოთი. აქვე მოვიხსენიებთ ღვინის ამოსაღებ ჭურჭელსაც, რომელიც ზედმიწევნით მსგავსებას ამჟღავნებს ურბნისსა და მცხეთაში (სვეტიცხოვლის გვერდით) აღმოჩენილ ჭურჭლებთან[94].

ჩვენ სხვაგან არსად გვეგულება ასეთი დიდი ნაქალაქარი, სადაც ზედაპირზევე იყოს მიმობნეული უამრავი ნივთიერი საბუთი ძველი ძლიერი დასახლებისა. ნაქალაქარის სხვადასხვა ადგილას შეხვდებით უამრავ დალეწილ თიხის ჭურჭელს, ქვის ხელსაფქვავის ნატეხებს, შენობების ნაშთებს, წისქვილის ქვებს და სხვ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნაქალაქარი განადგურების შემდეგ მიუტოვებიათ და იქ აღარავინ დასახლებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ

---

91 „ქ ც-ბა“, I, გვ. 5.
92 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 88.
93 ს. კაკაბაძე, ხორანთას მიიჩნევდა ხორნაბუჯის ძველ სახელად „იორის შესართავსა და მტკვარის შუა, ალაზნის მარჯვენა სანაპიროს“. იხ. ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, „საისტ. მოამბე“, I, გვ. 52.
94 აღნიშნული ნივთები ინახება საქ. სახ. მუზეუმის ფეოდალური პერიოდის მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილებაში.

მომთაბარე მწყემსებს, რომლებიც მას იყენებენ საზამთრო საძოვრებად. ნაქალაქარზეა დადასტურებული რამდენიმე ყორღანული სამარხიც (ტაბ. XIII).



სურ. 11. თიხის ჭურჭლის ნატეხები ხორანთის ნაქალაქარიდან

ნაქალაქარი განლაგებულია ალაზნის გასწვრივ გამავალი ქედის სამხრეთის კალთებზე და ვრცელდება ვაკემდე, სადანაც ელდარის ველი იწყება ...ქვა-



სურ. 12. ღვინის ასასხმელი ჭურჭელი ხორანთის ნაქალაქარიდან

ლად ყარაღაჯის სამხრით, ალაზნის კიდურთა ზედა, ასტყდების კმოდე და მივალს ვიდრე ხორანთამდე... და კმოდეს ზეით არს ველი ხორანთიდამ ქისიყამ-

დე"[95]. დღეს ამ ადგილებში ცხელი და უწყლო კლიმატური პირობების გამო მოსავალი ვერ მოდის და ამიტომაც დაუსახლებელია. მხოლოდ ზამთრობით გამოიყენება იგი, როგორც საძოვარი. ძველად კი განსაკუთრებული ზრუნვის შედეგად ეს ადგილები საკმაოდ ნაყოფიერი ყოფილა, ისე, რომ ქალაქის აშენებაც კი გახდა შესაძლებელი. ადამიანის მიერ ხელოვნურად შექმნილი ღონისძიებებიდან მთავარი იყო საირიგაციო სისტემა, რომლის ნაწილმაც დღემდე მოაღწია. მის გარეშე ცხოვრება აქ შეუძლებელი იქნებოდა.

ხორანთა — ჰერეთის პოლიტიკური და ეკონომიური ცენტრი, უნდა ვივარაუდოთ, რომ მჭიდრო კავშირ-ურთიერთობაში იმყოფებოდა, ერთი მხრივ, ქართლის ქალაქებთან და, მეორე მხრივ, ალბანელთა ეკონომიურ ცენტრებთან.




სურ. 13. ხორანთა და მისი სამეურნეო რაიონი

ის ისეთ ზონაში იყო მოქცეული (ალაზან-ივრის შესაყარი, ორთავე ალაზნის მტკვართან შესაყარი), სადაც არა ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო გაშენებული. მათგან შეიძლება დავასახელოთ მოვაკანი და დღეს არქეოლოგიურ ლიტერატურაში კარგად ცნობილი მინგეჩაური — მრავალფენოვანი არქეოლოგი-

[95] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 97.

ური ძეგლი, რომელიც ადრეულ შუასაუკუნეებამდე კავკასიის ალბანეთის ერთ-ერთი მდიდარი და ძლიერი ქალაქი იყო.

ზედაპირული არქეოლოგიური მასალებით, ხორანთა განსაკუთრებით ვრცელი და ხალხმრავალი ქალაქია ადრეფეოდალურ ხანაში. ის ამბავი, რომ აქ ვერ ვხვდებით მოჭიქულ კერამკას, გვავარაუდებინებს, რომ შესაძლებელია ის მურვან ყრუს შემოსევის შემდეგ ველარ წამოდგა ფეხზე. ზოგიერთი ნიმუში, მაგალითად, მარცვლეულის არქაული სახეხები გვანიშნებენ აქ დასახლების არსებობაზე უფრო ძველადაც, ყოველ შემთხვევაში ახ. წ. პირველ საუკუნეებზე უადრეს.

ხორანთა, როგორც ჩანს, ჰერეთის პოლიტიკური ცენტრი იყო. ამავე პროვინციაში მეორე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტია **ხორნაბუჯი.**) იგი გაშენებულია გომბორის მთის განშტოების ბოლოს, კონცხზე, რითაც ერთბაშად განისაზღვრებოდა მისი გეოგრაფიული უპირატესობა (ტაბ. XIII—XIV). ვახუშტი წერდა, რომ იქ „სადაცა დასწყდების ჰერეთის მთა ანუ ცივის მთა, მუნ არს ხორნაბუჯი, და აწ უწოდებენ ჭოეთს, აქ; კლდესა ზედა, შენი არს ციხე მაგარი, და იყოცა ქალაქი კარგი. ესეცა ბერქაჲ გამოსვლასა მოოხრდა“[96]. ხორნაბუჯის ციხის მნიშვნელობა, მისი განლაგების თავისებურებებით შეუძლებელია გადაჭარბებით შეფასდეს. ის კონტროლს უწევს ალაზნის ველს, რომელიც მის ქვეშაა გაწოლილი. ამავე დროს მას ხელი მიუწვდება მოპირდაპირე მხარეზედაც იორის ხეობისაკენ. მისმა ასეთმა მდებარეობამ უძველესი დროიდანვე განსაზღვრა ხორნაბუჯის, როგორც სტრატეგიული პუნქტის როლი., მაგრამ შეცდომა იქნება ხორნაბუჯი მხოლოდ სტრატეგიულ ადგილად მივიჩნიოთ. მას ბევრი ისეთი ნიშანი აქვს, რითაც არ არის გამორიცხული აქ მძლავრი კერა ყოფილიყოს საქალაქო მეურნეობისა.*თვით ხორნაბუჯი კომპლექსური დასახლების ნიშნებს ატარებს, სადაც ქალაქი რამდენიმე უბნად გაერთიანებულ პუნქტს შეადგენს. პირველი და მთავარი უბანი ეს ციხის რაიონია, რომლის დანიშნულებაც ყველასათვის სავსებით გასაგები უნდა იყოს. მასთან მჭიდროდ იყო დამოკიდებული მხარის გამგებელი ხორნაბუჯის ერისთავი, რომელიც წყაროების მიხედვით არის ცნობილი და ასევე ხორნაბუჯელი ეპისკოპოსი, რომელსაც ეპარქია აქ გორგასალმა გაუჩინა.

ერისთავთა რეზიდენციის არსებობა აქ ფეოდალურ ხანაში სრულიადაც არ უნდა ნიშნავდეს ამ ინსტიტუტის ხორნაბუჯში დამკვიდრებას მაინცდამაინც ფეოდალურ ეპოქაში. უფრო ადრეც ჩანს ამის ნიშნები, ყოველ შემთხვევაში იმ მდიდრული სამარხების მიხედვით, რომლებიც ყოლოთოს ხევში იქნა გათხრილი; ეს ვარაუდი დაუჯერებლად არ შეიძლება მივიჩნიოთ. საქმე შემდეგშია: 1937—38 წწ. ყოლოთოს ხევში, რომელიც ძველი ხორნაბუჯის ერთ-ერთ უბნად უნდა იყოს ნავარაუდევი, არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აწ განსვენებული ს. მენთეშაშვილის ხელმძღვანელობით გათხარა სამაროვანი, სადაც დაკრძალვის მთავარ სახედ კატაკომბები იყო მიღებული. სამარხეული მასალა, ამ უკანასკნელ ხანს დაამუშავა მ. სინაურიძემ, რომელიც სამარხებს, ასევე კულტურული ფენებიდან მომდინარე მასალას ათარიღებს ძვ. წ. IV—III სს.-დან ახ. წ. VII—VIII საუკუნეებამდე[97]. სამარხებზე სრული წარმოდგენის მიღება

[96] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 97.

[97] მ. ს ი ნ ა უ რ ი ძ ე, ყოლოთოს სამაროვანი, სსმმ, XXVIII—Б, თბ., 1967; ყოლოთოში აღმოჩენილი სამარხების გლიპტიკური მასალა შეისწავლა და გამოაქვეყნა მ. ლორთ-

შეუძლებელია, რადგან ისინი ძველადვე გაუძარცვავთ. მიუხედავად ამისა, სამარხეული ნივთიერი მასალა ატარებს ელფერს, რომელიც მდიდრული სოციალური ფენებისათვის იყო დამახასიათებელი და არ არის გამორიცხული ხორნაბუჯელი დიდებულების სამაროვანთან გვქონდეს საქმე.

ხორნაბუჯი, იგივე კამბეჩოვანი, ადრეფეოდალურ ხანაში განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს. ვახტანგ გორგასალი მას ჰერეთთან და ნეკრესთან ერთად აძლევს დაჩის. გორგასალის მეფობის ბოლოს იგი დაანგრიეს სპარსელებმა.

ხორნაბუჯის დასახლებული ნაწილი უპირატესად ჰერეთის მთის ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კალთებზე მდებარეობდა. გარკვეულ დროს ერთი რომელიმე უბანი წინაურდებოდა. მაგალითად, გვიანი საუკუნეებისათვის პირველობას ჩემულობს ყველაზე ქვედა ნაწილი ძველი ქალაქისა, რომელსაც ყარაღაჯის სახელით მოიხსენიებენ[98].

კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ ხორნაბუჯი სრულებითაც არ მიგვაჩნია მხოლოდ და მხოლოდ სტრატეგიული პირობებით წარმოჩენილ ქალაქად. მისი მიდამოები ჯერ კიდევ გვიანბრინჯაოს ხანაში იყო დაწინაურებული, რა თქმა უნდა, არა როგორც სტრატეგიული ადგილი, არამედ როგორც სამეურნეოდ გამოსაყენებელი რაიონი. ასეთი დასკვნის გამოტანა შესაძლებელია 1960—61 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შემდეგ, როდესაც აქ გვიანბრინჯაოს ხანის შესანიშნავი კომპლექსები აღმოჩნდა[99].

ალაზნის ველის ხედა წელში წყაროები აღნიშნავენ ძველ ქალაქს **ნეკრესს**. ლეონტი მროველის გადმოცემით ნეკრესის აშენებას იწყებს მეფე ფარნაჯომი (ძვ. წ. II ს.): „იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი"[100]. ქალაქის მოწყობის შემდეგი ეტაპი ძვ. წ. I საუკუნის ბოლოზე მოდის, როდესაც მეფე არშაკმა „განაშუენა ნელქარ, ქალაქი კახეთისა, რომელ არს ნეკრესი"[101]. ახ. წ. IV საუკუნის დასაწყისში ნეკრესის ქალაქის ზღუდეს ამაგრებს მირვანოზი, მირიანის მამამძუძე: „ამან მირვანოზ ჰმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა და უმეტეს ყოველთასა მოამტკიცნა ზღუდენი ნეკრესისა ქალაქისანი"[102]. ქართლის მეფეების განსაკუთრებული ყურადღება ნეკრესისადმი არც შემდეგში შეწყვეტილა; IV საუკუნის მიწურულს თრდატი აშენებს ნეკრესის ეკლესიას, „მოქცევის" ცნობით „ეკლესია აღიშენა განსრულებით"[103].

ქალაქი ნეკრესი კავკასიონის ერთ-ერთი განშტოების სამხრეთის ფუძეზე გაშენებული. ქალაქის ნაგებობების ერთი წილი ზედ კონცხზეა აგებული, და-

---

ქიფანიძემ. მას შესაძლებლად მიაჩნია ყოლოთის გლიპტიკური მასალა დაათარიღოს ძვ. წ. IV—III საუკუნეებით. იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, III, გვ. 43—44.

[98] ყარაღაჯში XIX ს-ში რუსების გარნიზონი იყო დაბანაკებული.

[99] გათხრებს აწარმოებდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიცია კ. ფიცხელაურის ხელმძღვანელობით ხირსის ბოლოზე. იგი ორიოდე კმ-ით არის დაცილებული ხორნაბუჯიდან. განათხარ ობიექტზე დადასტურებულია ადრერკინის ხანის თიხის ქურქლების გამოსაწვავი ქურები (რამდენიმე ათეული), ასევე ადრებრინჯაოს ხანის სამარხი. იხ. კ. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი, იორ ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა, თბილისი, 1965.

[100] „ქ ც-ბა", I, გვ. 29.

[101] ი ქ ვ ე, გვ. 33.

[102] ი ქ ვ ე, გვ. 65.

[103] ი ქ ვ ე, გვ. 137. მოქცევაჲ ქართლისაჲ, (აგიოგრაფიული ძეგლები), I, გვ. 91.

ნარიყალა კი (უძველესი ნაწილი) მთის ძირშია განლაგებული. გეოგრაფიული განლაგებით, ერთი შეხედვით ის გარემოსაგან არაფრით არ გამოიყოფა, ამდენად რომელიმე საკითხის წინ წამოწევა (გეოგრაფიული, სტრატეგიული) ჯერჯერობით შეუძლებელია.

მთის ძირი, სადაც ქალაქის საქმიანი ნაწილი იყო გაშენებული, — დაცემული ადგილია; დღეს ტყით დაფარული მიდამოები ძველი ნასახლარებით არის მოფენილი; ეჭვს გარეშეა სამეურნეო პირობები აქ კარგი იყო, რასაც გამოუწვევია მოსახლეობის დამკვიდრება ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანიდან. ხსენებული პერიოდის სამარხები დადასტურებულია ნაქალაქარის ტერიტორიაზე წყაროს ნაპირზე[104].

მასალის უქმარობის გამო ძალიან ძნელია განისაზღვროს ნეკრესის დაწინაურების მთავარი პირობა, რამაც შემდეგში ის ქალაქად აქცია, მიუხედავად ამისა, შეიძლება არ ვცდებოდეთ, თუ ვიტყვით, აქ მოსახლეობის დამკვიდრებისათვის სამეურნეო პირობები ძველი დროიდან არსებობდა, ნეკრესის გაქალაქება, დაწინაურებული, დამჯდარი მეურნეობის ბაზაზე, ხდება როგორც მთისა და ბარის ურთიერთობის ნიშანი, სადაც კავშირი მათ შორის მარტო წმინდა ეკონომიური ურთიერთობით არ განისაზღვრება, არამედ ის პოლიტიკურ ხასიათსაც ატარებდა. ნეკრესი მთაში მიმავალ გზაზე იდო. მთიელი ტომების ეკონომიური ურთიერთობა ბართან მნიშვნელოვანწილად ნეკრესზედაც იყო დამოკიდებული. იგი მთას ამარაგებდა სურსათით, პროდუქტებით, სახელოსნო ნაწარმით. თვით იძენდა უმთავრესად მეცხოველეობის პროდუქტებს. ნეკრესის ამ როლს გვიანშუასაუკუნეებში, მართალია, მოკლე ხნით, ასრულებდა გრემი, რომლის ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო მაგისტრალი მთიანი დაღესტნისკენ მიიმართებოდა, რაც კარგად ჩანს არქეოლოგიური მონაცემებით[105].

ნეკრესის ასეთი ურთიერთობა მთის ტომებისაკენ რამდენიმე გასასვლელით ხორციელდებოდა. ერთ-ერთი მათგანია ჩელთის-წყალი და გასასვლელი შილდის ხეობაზე. ღრმა ხევში აქ ისეთი ნიშნებია შემორჩენილი, რომლებიც სწორედ აღნიშნულის სასარგებლოდ ლაპარაკობს. ზედ გზაზე ღრმა ხეობაში ძველი ნაეკლესიარია, მთლიანად ხეობა კი გადაკეტილი ყოფილა მაღალი კედლით. კედელი გვიანი შუასაუკუნეებისა შეიძლება იყოს, მაგრამ აქვე დადასტურებული ნაეკლესიარი და ტოპონიმი „ბაგინი“ კი, ვფიქრობთ, საკმაოდ ძველია[106].

ნეკრესისა და მთის ურთიერთობაში ერთ-ერთი მთავარი მოტივია პოლიტიკური საკითხი, რომელიც ხშირად რელიგიურ სამოსელში იყო გახვეული. მეფე თრდატი IV ს-ის ბოლოს აქ ეკლესიას აშენებს. შემდეგ კი, ვახუშტის გადმოცემით, „აქა დაადგრა წმიდა აბიბოს, იგ მამათაგანი და იქმნა იგი ეპისკოპოზ, მწყემსი გაღმა-მხრისა დიდოთერთ“[107]. „ამანო, — შემდეგ შენიშნავს ვახუშტი — მოაქცივნა უმრავლესნი მთიულნიო“. აი, თურმე რაში ყოფი-

---

104 სამარხეული მასალა — მომცრო ზომის ქილები ინახება საქართველოს სახ. მუზეუმის ფეოდალური ხანის მეი განყოფილების ფონდებში. ნეკრესიდან ჩამოტანილია ჩვენ მიერ 1964 წელს.

105 მაგ. გრემის არქეოლოგიურ მონაპოვარში შესაძლებელია ცალკე გამოიყოს თიხის ნაწარმის ერთი ჯგუფი, რომელიც დაღესტნიდან არის შემოტანილი.

106 „ბაგინი“, ნაეკლესიარი და გადამღობი კედელი ჩელთის ხეობაშია შილდის ზევით, დაახლ. 15—18 კმ-ზე.

107 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 99.

ლა საქმე მთიულების მოქცევა და შესაბამისად პოლიტიკური ბატონობის გავრცელება — ეს არის ძირითადი მიზანი, რაც ქართლის მეფეებს აწუხებთ, რისთვისაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ნეკრესს. გავიხსენოთ ანალოგიური ამბავი: არაგვის ხეობის მთიულების მოქცევას და შესაბამისად მათ დამორჩილებას სამეფო კარისადმი მარტო ნინო-მოციქული კი არ ემსახურება, არამედ მახვილიანი ერისთავიც, რომელიც ურჩობის შემთხვევაში არ ერიდება ძალის გამოყენებას.




სურ. 14 იორ-ალაზნის აუზის ძველი ქალაქები

მოგვიანებით ნეკრესი ჰკარგავს თავის პოზიციებს. ჩანს ერთიანი ქართული მონარქიის შექმნის პირობებში მისი როლი ისეთი ველარ არის, როგორც ადრე. გვიან შუასაუკუნეებში ერთხანს ტრადიციების გაგრძელება გრემმა იკისრა, თუმცა არა დიდი ხნით.

* * *

ზემოთ მოკლედ მიმოვიხილეთ უძველესი ქართული ქალაქები, რომლებიც მეცნიერებისათვის ცნობილი გახდა წერილობითი წყაროების მონაცემების მიხედვით; ასევე შევეხეთ რამდენიმე ძლიერ დასახლებას, სადაც სავარაუდოა ქალაქური ტიპის სამოსახლოების არსებობა. რა შეიძლება ითქვას მათ შესახებ, უფრო სწორად, რა ძირითადი ნიშნები ახასიათებთ მათ, რა მომენტია

საერთო და რა უნდა იყოს განმსაზღვრელი ძველი ძლიერი დასახლებებისათვის, რომლებიც გარკვეულ დროს ქალაქებად იქცნენ?

პირველ ყოვლისა, ერთი რამ ცხადად ჩანს: დიდი უმრავლესობა ანტიკურ ხანაში არსებულ ქალაქთაგან მანამდეც ძლიერი სამოსახლოებია; ქვედა ფენები ამ ძეგლებზე უპირატესად განსაზღვრულია ადრე და განსაკუთრებით კი გვიანბრინჯაოს ხანით (წუნდა, ურბნისი, მცხეთა, კასპი, რუსთავი, ხუნანი, ნეკრესი, ბორნაბუჯი, დმანისი). ეს კარგად მიუთითებს, რომ ამ ადგილებში პირობები ადამიანის დასახლებისათვის უძველესი დროიდანვე იყო. ამ პირობებს განსაზღვრავდა დასამუშავებელი მიწების ვარგისიანობა და წყლის არსებობა. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ დასახლების ძირითადი სამეურნეო პირობა დამყარებული მიწათმოქმედებაა. ასეთი სამეურნეო ბაზისის გამო ძველი დასახლებანი თავს იყრიან მტკვრის ხეობაში, სადაც მთელ სიგრძეზე ძლიერი ნამოსახლარები გვხვდება (წუნდის, ურბნისის, კასპის, მცხეთის, რუსთავის, ხუნანის ძველი ფენები). ამავე აზრით ძლიერი დასახლების კერები შეიქმნა ივრის ხეობაში (არტან-ჩელეთ-უჯარმის ძველი ფენები), ალაზნის ველზე — (ნეკრესი, ხორანთა), ხრამზე — (საშვილდე), ქორობზე — (თეხარისი) და სხვ. ე. ი. საბოლოოდ უნდა ვაღიაროთ, რომ ქართული ქალაქების წარმოშობას წინ უსწრებდა მათი ძლიერ დასახლებულ ადგილებად ქცევა, რაც დამყარებული მეურნეობის პირობებში ხდებოდა.

ზემოხსენებული პუნქტებისათვის ძვ. წ. I ათასწლეული, რაც კარგად ჩანს არქეოლოგიური მონაცემებით, დიდი აღმავლობის პერიოდია. მკვეთრად იგრძნობა გათიშვა მიწათმოქმედთა ფენისაგან ხელოსანთა ჯგუფებისა, რომელთა ნახელავი აშკარად უკვე მაღალი გემოვნებით და ოსტატობით ხასიათდება. ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარებას დიდად უწყობდა ხელს რკინის მეტალურგიის ფართოდ გავრცელება.

შრომის ასეთმა ღრმა დანაწილებამ შედეგად მოგვცა ის, რომ I ათასწლეულის შუახანებში იქმნება მზარდი ფენა სოციალურად დაწინაურებული ჯგუფისა, რომელიც დიდებულთა კასტას შეადგენს. იგი სხვებისაგან გამორჩეულია სოციალურად, სიმდიდრით და იურიდიული უფლებებით. მისი წარმომადგენლები არიან დაკრძალულნი ახალგორის, ალგეთის წინწყაროს, ვანის, ყანჩაეთისა და სხვ. სამარხებში, რომლებიც თავისი მდიდრული სამარხეული ნივთებით არიან გამორჩეული.

ამ დროს უკვე არსებობს საფუძვლები ძველი ძლიერი დასახლებული ადგილების ქალაქებად გადაქცევისათვის. კვლავ შეიძლება გავიმეოროთ, რომ ანტიკური ქალაქები ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრებს შეადგენდნენ, მაგრამ მათი წარმოშობა როგორც პირვანდელი სამოსახლოებისა და შემდეგ კი გაქალაქებაც დამყარებული მეურნეობის ინტენსიობაზე დიდად იყო დამოკიდებული[108]. ეს მოსაზრება თეორიულ მსჯელობაზე არ არის დამყარებული. ძველი ნაქალაქარების გაზვერვების დროს დადასტურებულია ხელშესახები ნიშნები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ასეთი დასკვნებისათვის; თითქმის ყვე-

[108] ოთ. ლორთქიფანიძემ თავის ნაშრომში გვიანანტიკური ხანის მცხეთის შესახებ, სავსებით სამართლიანად ანტიკური ქალაქების ძლიერების ერთ-ერთ წყაროდ მათი დიდად განვითარებული მიწათმოქმედება აღიარა. ანტიკური ქალაქები ვაჭრობისა და ხელოსნობის გვერდით მიწათმფლობელობის და მიწათმოქმედების ცენტრებსაც წარმოადგენდნენ. იხ. О. Д. Лордкипанидзе, Ремесленное производство и торговля в Мцхета в I—III вв., თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 65, გვ. 153.

ლა ქალაქის საჰეურნეო რაიონი, რომლებიც კი შესწავლილი გვაქვს, ინტენსიური მიწათმოქმედების კერად არის ქცეული. ინტენსივობის საზომად რა შეიძლება იყოს მიჩნეული თუ არა საირიგაციო სისტემები, და სწორედ ასეთი ნაგებობები არის დადასტურებული თითქმის ყველა ნაქალაქარზე. არხებს ვხვდებით იქაც კი, სადაც დღევანდელი პირობებით ძნელი წარმოსადგენია საერთოდ მიწათმოქმედების არსებობა.

სარკინე-მცხეთის გარეუბნები, რომ უკვე ძვ. წ. IV საუკუნიდან ირწყვებოდა, ეს წერილობითი ცნობებიდანაც ვიცით. ამასთანავე ტექნიკური საშუალებანი ქსნის არხის გაყვანისა, მისი მეორადი რიგის მშენებლობას გვავარაუდებინებს, რაც პირველად არხზე, მუხრანის არხის არსებობაზე მიუთითებს[109].

ურბნისიც რთულ სისტემას გულისხმობს ლიახვიდან გამოღებული არხისა, რომლის გარეშეც იქ მიწათმოქმედება შეუძლებელი იქნებოდა.

დიდი და პატარა რუ დადასტურებულია წუნდის ნაქალაქარზედაც, რომლებიც დღესაც მოქმედებენ (სურ. 1).

რუსთავი რომ არხების ზონაში ყოფილიყო მოქცეული, ეს თითქოს გასაკვირიც არ უნდა იყოს, თვით სახელიც ხომ ამაზე მიუთითებს. ყარაიაზის, იგივე რუსთავის არხი, მოქმედებაში უნდა იყოს ახ. წ. პირველი საუკუნეებიდან მაინც (სურ. 9)

თუკი სადმე შეიძლებოდა ირიგაციის ქსელის მოწყობა, ეს პირველ ყოვლისა ხუნანზე შეიძლება თქმულიყო. ის თვითონ მდინარის დელტაზეა გაშენებული და მორწყვის ტექნიკური ორგანიზაცია იქ დიდ სირთულეს არ შეადგენდა (სურ. 10).

ხორანთის დაწინაურება, და არა მარტო დაწინაურება, არამედ მისი ფიზიკური არსებობა ირიგაციის გარეშე წარმოუდგენელია. ნაქალაქარზე დღესაც არის შემორჩენილი ნაარხალები. ალ. ჯავახიშვილის მიერ 1931—33 წწ. შედგენილ რუკაზე აქ „ეგუჩის“ არხია მითითებული. 1847 წ. ერთ-ერთ რუსულ რუკაზე ამ ადგილებში „ეგუჩის“ გარდა კიდევ ორი არხია აღნიშნული. ერთია პატარა რუ (канал малый арх), მეორე ცუდად იკითხება, სახელის მეორე ნაწილის გარდა ...арх (სურ. 10).

მცხეთაში ან ურბნისში რომ საირიგაციო სისტემას ჰქმნიან, ეს, ალბათ, გასაკვირი არ უნდა იყოს. ისინი სამიწათმოქმედო ზონაში შედიან; საკმაოდ მშრალი და უნალექო კლიმატის პირობებში ხელოვნური ღონისძიებები აქ აუცილებელია. ზოგ ძველ ნაქალაქარზე კი, მაგალითად, ივრის ხეობაში, არტანში არხების დადასტურება მოულოდნელი ამბავია და ეს ერთხელ კიდევ მიანიშნებს, რომ აქაც, ერთი შეხედვით თითქოს მთის პირობებში, მიწათმოქმედება ძირითადი ეკონომიური ფაქტორია და ის ერთ-ერთი განმსაზღვრელი პირობაა პუნქტის დაწინაურებისა და გაქალაქებისათვის.

ძალიან ძნელია გადაჭრით თქმა, რომ საირიგაციო ნაგებობები ქალაქების პირველივე ეტაპზე ჩნდებიან, თუმცა არც ეს არის მოულოდნელი. ფაქტი ფაქტად რჩება, თითქმის ყველა ძველი ქალაქი ასეთი ღონისძიებებით არის მოწყობილი და ეს კი, რა თქმა უნდა, შემთხვევითი მოვლენა არ არის. აქედან გამომდინარე, ძველი პუნქტების გაძლიერების და გაქალაქების ძირითად ფაქტორად შესაძლებელია მივიჩნიოთ მდიდარი ეკონომიური ბაზისი, დაფუძნებე-

---

[109] ი. გ ა გ ო შ ი ძ ე. ძვ. წ. IV–III სს. არქეოლოგიური მასალები სამადლოდან, „მუზეუმის მოამბე“, XXVI–B.

ლი მძლავრ მიწათმოქმედებაზე, რომელიც სათანადო ხელოვნური ღონისძიებებით (საირიგაციო სისტემები, ტერასები და სხვ.) არის ინტენსიფიცირებული.

რომ უამრავი ძველი სამოსახლოებიდან გარკვეულ დროს მხოლოდ რამდენიმე იქცა ქალაქად, ამას მარტო ეკონომიური ფაქტორით ვერ ავხსნით. მრავალი ძველი დასახლებული პუნქტი ასევე ძლიერი იყო მეურნეობით და უფრო ხალხმრავალიც, მაგრამ ის კვლავ სოფლურ დასახლებად დარჩა და ვერ გაქალაქდა. ასეთ ბედილში დაჩაგრა ოძრხემ ზადენ-გორა, უფლისციხემ „ბამბები", ხიზანაანთ-გორამ (ურბნისი) „ქვაცხელები" და სხვა. • ეკონომიურ ფაქტორთან ერთად საჭიროა სათანადო გეოგრაფიული უპირატესობაც. მტკვრის ხეობის ქალაქებს ერთი გარკვეული უპირატესობა ჰქონდა, რომ ისინი მტკვრის ნაპირზე იყვნენ გაშენებული. ეს პირობა კიდევ იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ ხეობა ძველი დროიდანვე გზას წარმოადგენდა და მდინარის პირას ჩარიგებული ქალაქები გზის ორბიტში აღმოჩნდნენ; გეოგრაფიული მდებარეობა და გზა კიდევ ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო ქალაქებისათვის. •

ქალაქების წარმოშობისათვის სოციალური დანაწევრება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო, სადაც ახალი სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები, ახალი მწარმოებელი მასა, ხელოსნები და მათზე დაქვემდებარებული ვაჭრები ჭარბად არიან წარმოდგენილი. ამდენად ქალაქები იქცნენ ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრებად, რომელთა სიცოცხლისუნარიანობა და წარმატება მთლიანად დამოკიდებული იყო გზაზე და ბაზარზე, ძველი ქალაქები გზაზე მდებარე პუნქტებია, სადაც წინა რიგში საბაზრო ადგილია წამოწეული. ბაზარზე — ქალაქის ეკონომიური ცხოვრების ამ ცენტრზე და მის ავკარგიანობაზე დიდად იყო დამოკიდებული თვით ქალაქის სიძლიერეც[110].

---

[110] ქართულსა თუ სხვა ისტორიულ ლიტერატურაში არაერთხელ არის შენიშნული, რომ ქალაქების დაწინაურება ძლიერაა დამოკიდებული სავაჭრო გზებზე. გზა თვით ქალაქების ჩასახვისა და განვითარების ერთ-ერთ პირობად არის მიჩნეული. დ. ხახუტაიშვილს ასეთი მოსაზრება მცდარად მიაჩნია. „არცერთ სავაჭრო გზას, რა დიდი ეკონომიური მნიშვნელობისაც არ უნდა ყოფილიყო იგი, არ შეიძლებოდა არათუ გადამწყვეტი, არამედ რამდენადმე დიდმნიშვნელოვანი როლი ეთამაშნა ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიურ განვითარებაში, მით უფრო სატრანზიტო სავაჭრო გზებს არაფერი აქვთ საერთო იბერიისა და კოლხეთის აღრეკლასობრივი ქალაქების ჩასახვა-წარმოქმნის პროცესთან" (დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, გვ. 38). მისივე სიტყვებით, „ისინი ემსახურებოდნენ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას და სამეურნეო ცხოვრებას" (ი ქ ვ ე. შდრ. წინა ამონაწერს). კი მაგრამ, საკითხავია, განა ქალაქების ჩასახვა-წარმოშობა ქვეყნის ეკონომიური განვითარებისა და სამეურნეო ცხოვრების გააქტიურების ნაყოფი არ არის? მაშ რას გულისხმობს, მისი სიტყვებით რომ ითქვას, „ხელოსნურ-სასაქონლო წარმოების" გაძლიერება, „შრომის დანაწილება"? დ. ხახუტაიშვილის აზრით, საცთური შეიქმნა იმასთან დაკავშირებით, რომ შიდა ქართლის ქალაქები განლაგებულია მტკვრის ხეობაში, მის მარცხენა ნაპირზე, იქ, სადაც გაივლიდა სავაჭრო-სატრანზიტო გზა (გვ. 41). საინტერესოა როგ ახსნის დ. ხახუტაიშვილი იმ ფაქტს, რომ უამრავ ძლიერ სამოსახლო გორათა შორის, რომლებიც კარგად არის ცნობილი შიდა ქართლის ტერიტორიაზე, მაინცდამაინც გაქალაქება მოეწია მტკვრისპირის პუნქტებს. განა სხვები ნაკლებმნიშვნელოვანი იყვნენ? განსაკუთრებით უნდა ჩავუკვირდეთ იმ გარემოებას, რომ როდესაც ლაპარაკია „ხელოსნურ-სასაქონლო წარმოებაზე" ან „შრომის დანაწილებაზე", ყველაზე უკეთესი პირობები იქმნება იქ, სადაც გზაა, სადაც მეტი ხალხი ტრიალებს, სადაც მეტია, თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, მომხმარებელი, რაც იწვევს მეტი „ხელოსნურ-სასაქონლო" პროდუქტის შექმნას და აჩქარებს შრომის დანაწილების პროცესს. უბრალო ჭეშმარიტებაა, რომ მდინარე, ხეობა, ეს გზაა და რამდენადაც მეტია გზა, იმდენად სწრაფია ეს პროცესი და ძლიერია აქ მდებარე პუნქტებიც. ამის გამოა, რომ ძველი ქართული ქალაქები მტკვრის გაყოლებაზე

მაგრამ ზოგი ქალაქი მარტო ზემოხსენებული ფაქტორებით არ დაწინაურებულა. ქალაქების ერთი რიგი წინ წამოიწია სტრატეგიული მოსაზრებებით. ეჭვი არ არის, მაგალითად, რომ ხორანთაში ეს მომენტი, ისევე როგორც მცხეთაში, შედარებით ძლიერია, ვიდრე, ვთქვათ, ურბნისში. ეს უკანასკნელი თითქმის მოკლებულია ამ პირობას. მიუხედავად ამისა, ის ამით სრულიადაც არ დაჩაგრულა. ქალაქების ერთი ნაწილის წარმოშობაში, შესაძლებელია, ეს მხარე გარკვეულ უპირატესობას ამჟღავნებდა, მიუხედავად ამისა, საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის ის განმსაზღვრელი შეიძლება არც იყო.

ცალკეული ქალაქის ცხოვრებაში ესა თუ ის ფაქტორი შედარებით ძლიერად არის წარმოდგენილი, რაც საბოლოო ანგარიშში განსაზღვრავდა მოცემული ქალაქის ადგილსა და სახეს. ეს არის ძირითადი პირობა ძველი ქართული ქალაქების ტიპოლოგიის დადგენისათვის, რაზედაც ნაშრომის მეორე თავში იქნება ლაპარაკი.

---

ალმოცენდა და მტკვართან ხეობათა შესაყარზე (მცხეთა, სარკინე, კასპი). არანაკლები სამეურნეო ზონა იყო ძლიერი სამოსახლოებით მტკვრის მარჯვენა ნაპირებზედაც, მაგრამ იქ ქალაქები არ განვითარებულა. ეს იმიტომ, რომ გზა გადიოდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე, და რომ ის იყო არა სანაოსნო, არამედ სახმელეთო. გზა მარცხენა ნაპირზე გადიოდა იმიტომაც, რომ ყვირილის ხეობიდან გზა გადმოვიდოდა რა ქართლში, სწორედ მტკვრის მარცხენა ნაპირს მოადგებოდა. რომ ხშირად გზებს გადამწყვეტი მნიშვნელობაც ჰქონდა ქალაქების წარმოშობა-განვითარებაში, ეს კარგად ჩანს ფეოდალური ქალაქების მაგალითითაც, რის შესახებაც შემდეგ გვექნება საუბარი.

## თავი მეორე

# ქალაქებისა და დასახლებული ადგილების სახელთათვის. ქალაქთა ტიპები

### 1. ქალაქი და მისი ადგილობრივი შესატყვისი. ციხე, ციხე-ქალაქი

უძველესი სამოსახლოები, რომლებიც გვაროვნული საზოგადოების დროს არსებობდნენ, დასახლების ტიპის მიხედვით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გეოგრაფიულ გარემოს, დიდად არ უნდა განსხვავებულიყვნენ ერთმანეთისაგან. დასახლების სახის სრული დიფერენცირება გვაროვნული საზოგადოების რღვევასა და კლასობრივი საზოგადოების წარმოშობას ემთხვევა.

ძველი ქართული წყაროების მიხედვით კლასობრივი საზოგადოების დროს დასახლების სხვადასხვაგვარობის უტყუარი მანიშნებელია ტერმინთა ნაირსახეობა, რომლებსაც ძველი მემატიანეები ხმარობდნენ; ასეთი სახელების რიცხვს განეკუთვნება „ქალაქი", „ციხე", „დაბა", „ციხე-ქალაქი" და სხვა. ცალკეული ტერმინით, ეჭვგარეშეა აღინიშნებოდა დასახლების ესა თუ ის ტიპი, რომელიც სხვებისაგან გამოირჩეოდა გარეგანი სახით და, რასაკვირველია, სხვა მთელი რიგი სოციალური მომენტებით. როდესაც ქართული წყაროები „ქალაქების" გვერდით მოიხსენიებენ „ციხეებს" ანდა „დაბებს", ავტორები უთუოდ არჩევენ მათ შორის არსებულ სხვაობას. წყაროების გულდასმითი გადასინჯვისას არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ აღნიშნული სახელების ხმარება ყოველთვის არ ეთანხმება მიღებულ აზრობრივ შთაბეჭდილებას, რაც უმთავრესად გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ სახელთა ერთი რიგი უცხოური წარმოშობისაა. რომლის შემოსვლისა და დამკვიდრების პერიოდში ადგილობრივი ტერმინებიც კვლავ იხმარებოდა, თანაც დღესდღეობით სახელთა (უცხოურთა თუ ადგილობრივთა) ეტიმოლოგია მთლად ნათელი არ არის, რაც დაგვეხმარებოდა დასახლებათა ტიპების აზრობრივ შემეცნებაში.

დასახლების სახეთა აღმნიშვნელ სახელთაგან არცერთს მკვლევართა ისეთი ყურადღება არ დაუმსახურებია, როგორც „ქალაქს". ეს გასაგებიცაა. ტერმინი თავისი სახენაცვალი ფორმებით მთელს აღმოსავლეთს მოედო და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცოცხლობს. მარტო მკვლევართა გვარების ჩამოთვლაც კი გაგვიძნელდება, არათუ ურთიერთის საპირისპირო მოსაზრებების გადმოცემა. „ქალაქის" ირგვლივ რომ არსებობს[1]. სამწუხაროდ, კვლევა თითქ-

[1] დაწვრილებით, სათანადო ლიტერატურის მიმოხილვა იხ. ჰ რ. ა ჭ ა რ ი ა ნ ი, ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ტ. VI, გვ. 1353—1356 (სომხურ ენაზე).

პის მხოლოდ და მხოლოდ ფონეტიკურ სახეცვლილებების. მსგავსება-განსხვავებების თუ შესაძლო ნათესაობის დადგენის ცდით იყო წარმართული და ნაკლები ყურადღება ექცეოდა ანდა სრულიად იგნორირებული იყო სახელის სემანტიკა და არქეოლოგიური მონაცემები. ეს უკანასკნელი კი ბოლო აღმოჩენების მიხედვით საკმაოდ მნიშვნელოვან მასალას იძლევა.

ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს „ქალაქის“ შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და მისი გაანალიზება. მიზნად ვისახავთ ძირითადი მოსაზრებების განხილვას რეალურ ვითარებაში, ისტორიულ ასპექტში, რისთვისაც ძირითადად ვეყრდნობით არქეოლოგიური და ისტორიულ-გეოგრაფიულ მონაცემებს. რაც მთავარია, შევეცდებით წარმოვიდგინოთ შემოსული ტერმინის ადგილობრივი სინონიმი.

„ქალაქი“ რომ არაქართული წარმოშობისაა, ამის შესახებ ნ. მარმა მოსაზრება კარგა ხანია რაც გამოთქვა. იგივარაუდობდა, რომ ტერმინი მომდინარეობს სირიული „ქარქა“-დან. რაც ნიშნავს შემორტყმას, შემოზღუდვას. ეს დებულება გაზიარებული იყო პირველ ხანებში ივ. ჯავახიშვილის მიერაც[2].

შემდგომში ნ. მარმა თავისი დებულება შეცვალა და ეხლა უკვე ტერმინის ახსნას სულ სხვა მხრით ცდილობდა, ფიქრობდა რა, რომ იგი ნასესხები არ უნდა იყოს[3]. უკვე საპირისპირო მიმართულების კიდევ ერთი მოსაზრება ეკუთვნის ნ. მარს ამ სახელის ირგვლივ, მისი სიტყვებით: „Термин для понятия город «калак» или «кагак» в корне означающий ограду, крепость, есть родное кавказское слово, а не перенятое с юга от сирийцев; у сирийцев оно, действительно, сохранилось — «карка», но как заимственное еще в древности от яфетидов, предков, коренных кавказских народов, и сохранилось оно с различной огласовкой в архаичном значении круг, окружность («карука»), и в позднейшем — город («карха»)[4]. შესაძლებელია ასეთი საპირისპირო მოსაზრებების გამო ივ. ჯავახიშვილმა „ქალაქის“ ეტიმოლოგიის ახსნა არასრულყოფილად ჩასთვალა. რადგან „ისეთი დამაჯერებელი არ არის, რომ დანამდვილებით რისამე თქმა შეიძლებოდეს. არც ასურულში მოეპოვება მას თავისი ეტიმოლოგია და ჯერჯერობით არც ქართულში უჩანს სრულებით დამაჯერებელი ეტიმოლოგია“[5].

დღესდღეობით, როდესაც ძველი ქართული ქალაქების არქეოლოგიური გათხრები ისეთი წარმატებით მიმდინარეობს, რომ მეტ-ნაკლები წარმოდგენა უკვე შეგვექმნა ძველ ნამოსახლართა რაობის შესახებ, შესაძლებელია წარმოვიდგინოთ ქალაქთა თუ, საერთოდ, ნამოსახლართა გარეგანი სურათი, რაც საშუალებას მოგვცემს ზოგი ტერმინის აღდგენისათვის. ვხელმძღვანელობთ იმ მოტივით, რომ ტერმინი უშუალოდ უნდა გამოხატავდეს რეალურ ვითარებას, ობიექტურ სურათს, დამახასიათებელს გარკვეული ისტორიული ხანისათვის.

---

[2] И. А. Джавахов, Государственный строй древней Грузии и древней Армении, тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, I, кн., VIII, 1905, стр. 10, იხ. აგრევე, Ш. Месхиа, Города и городской строй в древней Грузии, стр. 23; ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება საქართველოში, გვ. 160.

[3] Н. Я. Марр, Ани, книжная история города и раскопки на месте городища, М-Л., 1934, стр. X.

[4] Н. Я. Марр, Батум, Ардаган, Карс — исторический узел межнациональных отношений Кавказа, Петроград, 1922, стр. 20.

[5] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, 1946, გვ. 34.

რომ უფრო ნათელი გახდეს შემოთავაზებული გზა, საჭირო იქნება მოკლედ თვალი გადავავლოთ დასახლების ზოგიერთ დამახასიათებელ თავისებურებას, რომელიც შეიმჩნევა ჯერ კიდევ უძველეს ნამოსახლარებზე. / სამოსახლოდ ადგილების შერჩევისას მთავარი ყურადღება ეთმობოდა თავდაცვის უკეთ მოწყობას. ასეთი ზრუნვის შედეგია უპირატესად გორებსა და კონცხებზე დასახლება წყალთან ახლოს. თუ ასეთნაირად მკვეთრად გამოყოფილი ადგილი არ იყო, ხდებოდა მისი ხელოვნური დამუშავება; ავლებდნენ თხრილს, გადაჭრიდნენ ყელს, ე. ი. გარემოსაგან გამოყოფდნენ ხელოვნურად. ადგილის შერჩევა საცხოვრისის მოწყობის ერთი მომენტია, მთავარი კი მთლიანად სამოსახლოთა კომპლექსის შემოზღუდვა და დაცვა იყო. ეს უკანასკნელი გარკვეული ხანიდან, ალბათ, ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი დასახლების დამახასიათებელ ნიშნად იქცა. სამოსახლოს თავდაცვისუნარიანობისათვის ზრუნვისას არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ გეოგრაფიულ გარემოს. ცხინვალის ნაცარგორა ამის შესანიშნავ მაგალითს იძლევა. „მდინარეთა კალაპოტებისაკენ მიქცეული ფერდობები ბორცვისა, — როგორც მისი გამთხრელი გ. გობეჯიშვილი შენიშნავს, — ძლიერ დაქანებულია, გააადვილებდა ბორცვის დაცვას თავდასხმის შემთხვევაში. უთუოდ თავდაცვის მიზნითვე შეერთებულია ვეებერთელა რკალისებრი თხრილით ლიახვისა და ტბეთურას კალაპოტები"[6]. თურმე იგი ამ მხრივ ძლიერ გვაგონებს კარგად ცნობილ ძველ გამაგრებულ მოსახლობებს და მიგვითითებს, რომ იქ თავის დროზე დასაცავი ძეგლებიც არსებულა"[7].

სამოსახლოთა ზღუდე-კედლებით გამაგრება ჯერ კიდევ სპილენძ-ბრინჯაოს ხანაში კარგად იცოდნენ წინა აზიის ხალხებმა. ამის ბევრი მაგალითი ცნობილია ჩვენშიაც. სავარაუდოა, რომ სამოსახლოთა შემოზღუდვა და გამაგრება განსაკუთრებით გვიანბრინჯაოსა და მომდევნო ხანაში უნდა ყოფილიყო ფართოდ გავრცელებული. ხოვლეგორის გათხრებმა ამ მხრივ ბევრი საყურადღებო მასალა მოგვცა. ბორცვს ირგვლივ ფლეთილი ქვის საკმაოდ ძლიერი გალავანი ჰქონდა შემორტყმული, რომელიც გარკვეულ დროს ნამოსახლარის ერთადერთი დამცველი იყო. გორის ირგვლივ, ზედ ფუძესთან, თხრილიც იყო შემოვლებული. ასეთი გამაგრება ნამოსახლარისა უკვე XII—X საუკუნეებში შეინიშნება. შემდგომში მოსახლეობა გადის ბორცვიდან, მრავლდება და გორის გვერდითვე ჰქმნის სოფელს[8]. ძვ. წ. VII საუკუნეში ბუნებრივი გორის გარეთ საკმაოდ დიდი დასახლება გაჩნდა. „მას ღრმა თხრილთან ერთად დიდი და განიერი გალავანი შემოავლეს"[9]. V—IV სს. ახლოს ხოვლეგორა განადგურდა გარეგანი ძალის მიერ[10]. მისი გარეგანი სურათი დამახასიათებელი უნდა იყოს ძირითადად სხვა ქართული ქალაქების წინა საფეხურებისათვისაც.

---

[6] გ. გობეჯიშვილი, სტალინირის ნაცარგორა, „მიმომხილველი", II, გვ. 240—241.

[7] იქვე, გვ. 241.

[8] გ. ცქიტიშვილი, ხოვლეგორელთა საშინაო ყოფა და მეურნეობა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის და ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების სამეცნიერო სესია, II, 1964.

[9] გ. ცქიტიშვილი, იქვე.

[10] დ. მუსხელიშვილი, ხოვლეგორის განათხარი არქეოლოგიური მასალა. იბეჭდება სერიის მასალებში.

ხოვლეგორას, ეტყობა, განადგურების შემდეგ აღარ ჰქონია სათანადო პირობები განახლებისათვის. სავარაუდოა, ჩვენში ქალაქების წარმოშობა-განვითარების წინა საფეხურებზე სწორედ ასეთი გამაგრებული ადგილები ყოფილიყო გავრცელებული.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ზოგი ქართული ტომის სამოსახლოების შესახებ საყურადღებო ცნობები აქვს შემონახული ქსენოფონტეს (ძვ. წ. IV ს.). თუ „ანაბასისის“ სათანადო ადგილებს წავიკითხავთ, ვნახავთ, რომ მისი ავტორი ქართველი ტომების საცხოვრისში სამი სახის დასახლებას არჩევს, ესენია: გამაგრებული ადგილი, ქალაქი და უბრალო დასახლება, სოფელი. იგი წერს, რომ გამაგრებული ადგილები „ერთმანეთისაგან დაცილებულნი არიან 80 სტადიონით. ზოგი დიდია, ზოგი პატარა. მათი მოსახლეობა ერთმანეთს უკავშირდება ძახილით. ხმა ისმის ერთი ქალაქიდან მეორეში“[11]. ქსენოფონტე ზოგ გამაგრებულ ადგილს აიგივებს ქალაქთან. დრილების შესახებ ის წერს: „ერთი გამაგრებული ადგილი იყო მათ მთავარ ქალაქად და იქ იყვნენ გამაგრებულნი დრილები. ქალაქს ირგვლივ შემოუყვებოდა ღრმა ხრამი და მასთან მისვლა გაძნელებული იყო“[12]. ასეთივე აზრით არის ნახმარი ერთი ფრაზაც ტაოხების მხარის აღწერისას: „როცა ბერძნები მიადგნენ ერთ გამაგრებულ ადგილს, რ ო მ ე ლ ი ც ვ ე რ ჩ ა ი თ ვ ლ ე ბ ა  ქ ა ლ ა ქ ა დ...“[13] (ხაზი ჩვენია — ლ. ჭ. სხვათაშორის, ეს გამაგრებული ადგილი ისტორიაში შევიდა მისი მოსახლეობის უმაგალითო გმირობით: ქალები ჰყრიდნენ ბავშვებს კლდიდან და შემდეგ თვითონაც ვარდებოდნენ, მტერს კი არ ჰნებდებოდნენ). ასეთი გაიგივება ქსენოფონტეს დასაშვებად მიაჩნია სავსებით შეგნებულად. თუ რას წარმოადგენდა ქალაქი, მან ეს კარგად იცოდა, ისე რომ გამაგრებული ადგილების რიცხვში ზოგის გამოყოფა გარკვეული უპირატესობის მაჩვენებელი უნდა იყოს.

როგორც ჩანს, ბევრი მანიშნებელი საბუთი არსებობს, რომ ძველი დასახლების (შემდგომად ქალაქის) საერთო ხასიათში წინ გარეგანი ფაქტორი, კერძოდ, მისი დაცვა — მოზღუდვილობა წამოიწიოს. აქედან გამომდინარე შესაძლებელია თუ არა ასეთი დასახლების აღსანიშნავად ეხმარათ ტერმინი, რომელიც სწორედ შემოზღუდვასთან იქნებოდა დაკავშირებული? აქ არა მხოლოდ შესაძლებლობაზე შეიძლება ლაპარაკი, არამედ აუცილებლობაზე სახელისა, რომელიც აღნიშნულ რეალურ ვითარებას გადმოსცემდა. ამ მხრივ საქმის ორი მხარე შეიძლება გავარჩიოთ — ტერმინი შემოსული და ტერმინი ადგილობრივი, მათი აზრობრივი იგივეობა, რამაც შეუწყო ხელი სახელთა ცვლას.

ტერმინი „ქალაქი“ რომ სირიულიდან შეიძლება იყოს შემოსული ქართულში, ასევე სომხურში, ზემოთ აღნიშნულის გამო, ალბათ, ცხადი უნდა იყოს. ზმნა (ქრქ) აღნიშნავდა შემოზღუდვას, გარს ერტყმის, გარს უვლის, გარს აკრავს, სახელი კი, ის რაც შემოზღუდულია, ქალაქი[14]. ამ ტერმინს თითქმის იგივე მნიშვნელობა აქვს შემორჩენილი თანამედროვე ასურულ დიალექტში, ოღონდ ცოტა შეცვლილი გამოთქმით (kiǯrih)[15]. აღნიშნული ტერმინი ნ. მარის მიერ

[11] К с е н о ф о н т, Анабасис, перевод статья и примечания М. И. Максимовой, М.-Л., 1951, გვ. 139.

[12] ი ქ ვ ე, გვ. 129.

[13] ი ქ ვ ე, გვ. 117.

[14] C. B r o c k e l m a n n, Syrische Grammatik, Leipzig, 1962, S. 176.

[15] კ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თანამედროვე ასურულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბ., 1958, გვ. C113. ტერმინი თვით სირიულშიც ქალაქს აღნიშნავდა. (კ. ბროკელმანი).

[illegible]ლებული პირვანდელი მნიშვნელობით (შემდგომად დარყოფილი) ქართული და სომხური „ქალაქის" ფუძედ შეიძლება მივიჩნიოთ, რაც სახელთა მსგავსების გარდა სხვა ნიშნებითაც მტკიცდება. ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, ქალაქის აშენების პირველი და უმთავრესი პირობა მისი შემოზღუდვა იყო: ფარნავაზმა დადგა კერპი არმაზისა და „მოქმნა ზღუდე წყლით კერძო და ჰრქვიან არმაზ"[16]. ეს ადგილი „ქართლის ცხოვრებაში" ასეა — „ამან ფარნავაზ მოზღუდა ქალაქი მცხეთა მტკიცედ"[17], „და მეფობდა არსოკ, ქალაქსა ზღუდენი მოაქმნნა"[18]. აქ საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ერთი ფრიად საგულისხმო დაკვირვება შეიძლება გავითვალისწინოთ; ნ. მარმა და ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქციეს ფავსტოს ბიზანტიელის თხზულების ერთ ადგილს, სადაც ლაპარაკია ხოსრო მეფის მიერ სანადირო ადგილის მოწყობაზე. ხოსროს უბრძანებია მოეხვნათ და მოეგროვებინათ ყველა სახის მხეცი და შემოევლოთ დამცველი კედელი, რათა გაეხადათ იგი სანადირო ადგილად[19]. კედელი, ზღუდე, სომხურ ტექსტში აღნიშნულია ტერმინით „ქალაქი" (*քաղաք*).

ზღუდე და შესაბამისი თავდაცვითი ნაგებობანი ქალაქობის ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტი იყო, რაც, საფიქრებელია, თვით მის აღმნიშვნელ სახელშიც უნდა იყოს ასახული. ამდენად, ვარაუდით ადგილობრივი ქართული ტერმინი, უცხო „ქალაქის" შემოსვლამდე, შესაძლოა, ყოფილიყო სწორედ „ზღუდე", ძველი ქართული გამოთქმით „ზღუდერი", „ზღუდრი" (შესაძლოა მომდინარეობს ზღ ძირიდან ზღვე-ზღუა-ზღვარი-საზღვარი). ასეთი რამ სხვადასხვა გარემოების გამოა სავარაუდო. თვით ზღუდის როლზე და მის აუცილებლობაზე ქალაქისათვის უკვე იყო ლაპარაკი, ამასთანავე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა ასეთი სახელით აღნიშნული ბევრი საინტერესო ძეგლიც. ჩვენი ყურადღება პირველად გურჯაანის „ზღუდრმა" მიიქცია. იგი ქალაქის თავში მდებარეობს ხევის მარცხენა მაღალ ფლატეზე, თანამედროვე სასაფლაოს მახლობლად. ადგილი კრძალვისა და პატივისცემის საგნად არის გამხდარი, სადაც ყოველწლიურად გაზაფხულზე ეწყობა რელიგიური დღესასწაული „ზღუდრობა"[20]. შემორჩენილია ეკლესიის მცირე ნანგრევებიც. გადმოცემით აქ მდგარა გუმბათიანი ეკლესია, რომელიც ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში დაუნგრევიათ. სამწუხაროდ, ზედაპირზე სხვა რამ ნიშნები ცხოვრებისა არა ჩანს. გურჯაანის ზღუდრის სიძველეზე სხვა ფაქტებიც მიუთითებს; ძირითადი მლოცველები არიან სოფელ კოტეხის მცხოვრებნი (კოტეხი დღეს ქალაქში შემავალი ერთ-ერთი უბანია), სადაც ამ უკანასკნელ დრომდე მხოლოდ ერთი გვარი — უტიაშვილები სახლობდნენ. ადგილის სახელი „კოტეხი" (შდრ. „კატეხი"), ასევე სატომო სახელი უტია, გულდასმით ჩაკვირვებას მოითხოვს. აქ ბევრი საგულისხმო ნიშანი ჩანს დღევანდელი კახეთის ტერიტორიაზე ისტო-

---

ქალდეველთა ეროს ტიგროსის ნაპირზე გაშენებული იყო ასურელთა მთავარი ქალაქი, მსგავსივე სახელით (შდრ. აქარიანი). ადრეულ შუასაუკუნეებში სირიული ქრონიკების მიხედვით იგი წარმატებებს აღწევს ქარქა და ბეთ სელოკი. (Н. Пигулевская, Города Ирана в раннем средневековье, стр. 37—46).

16 მოქცევაჲ ქართლისაჲ, „აგიოგრაფიული ძეგლები". I, გვ. 82.

17 „ქ. ც-ბა", I, გვ. 25.

18 მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 82.

19 И. А. Джавахов, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

20 რელიგიური დღესასწაული „ზღუდრობა" ძირითადად გავრცელებულია ქართლკახეთში, იხ. ა. სოხაძე, ქართველთა უძველეს სარწმუნოებისა და მის გადმონაშთებთან ბრძოლის ისტორიიდან, თბ., 1964, გვ. 115.

რიულ მკვიდრთა მაწიშნებლად; ისტორიული ეტიების ტომის მოსახელე გვარის, ასევე პერული „ხ"-იანი ადგილის სახელის ურთიერთდამთხვევა აქ, რა თქმა უნდა, შემთხვევითობას არ შეიძლება მიეწეროს. საკითხი მომავალში გულდასმით შესწავლას მოითხოვს. არ არის გამორიცხული, რომ ზღუდარი, ახლებური გაგებით ქალაქთან გათანაბრებული, ან უშუალოდ აქვე იყო ან სადმე მის მახლობლად; სულ რაღაც ორიოდე კმ-ის რადიუსით აქ რამდენიმე საინტერესო ტოპონიმი გვხვდება: კახის უბანი, გურემანი (იგივე გურ-უბანი), წითელი უბანი, ხევის უბანი, ჭლე-საყდარი (ალბათ ჭრელი საყდარი. „ჭრელი" ძველად ლამაზს ნიშნავდა), სიონის აღმართი და სხვ.

ბუნებრივია „ზღუდერის" ასეთი ინტერპრეტაციის გამო ყურადღება სხვა მსგავსივე სახელწოდების ძეგლებმაც მიიქციეს. და რაც უფრო საყურადღებოა, თითქმის ყველა მათგანი საინტერესო სიძველის ნიშნების მატარებელია; ეს უთუოდ შემოთავაზებული ვარაუდის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ამ ოციოდე წლის წინ მტკვარ-არაქსის ენეოლითური კულტურის კვლევისას ბ. ა. კუფტინი ძლიერ დააინტერესა შესანიშნავმა ენეოლითურმა ძეგლმა, რომელიც ქ. ცხინვალის გარეუბანში მდებარეობდა. პირველი ყველაზე თვალშისაცემი აღმოჩენა აქ, ადგილ ზღუდრისგვერდზე, ქსოვილიანი კერამიკის დადასტურება იყო ს. ნადიმაშვილის მიერ, რომელიც მანამდე ამიერკავკასიაში მხოლოდ ხანლარიდან იყო ცნობილი[21]. ბ. კუფტინის შემდეგ აქ გათხრებს აწარმოებდა ო. ჯაფარიძე[22]. ექსპედიციის მიერ შესწავლილი იყო სამი ერთიმეორეზე მიჯრით მდებარე ძეგლი: ზღუდრის ბორცვი, ზღუდრისგვერდა და ქულბაქები. უდავოა, სამივე ამ სახელიდან პირველადია ზღუდერი, შემდეგ მისი მონაპირე ადგილი „ზღუდრისგვერდად" წოდებული და ბოლოს ქულბაქები. ეს უკანასკნელი სახელი, ალბათ, უფრო მოგვიანოა, ვიდრე პირველი; მიუხედავად ამისა არანაკლებ საინტერესო, რადგან მიგვითითებს ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაგებობის არსებობაზე; ქულბაქები — სავაჭრო უბანი, ქალაქის აუცილებელი ატრიბუტი იყო[23]. გათხრების შედეგად გაირკვა, რომ სამივე ძეგლი ენეოლითიდან უკვე დასახლებულია. ქულბაქების ბორცვზე გათხრილი ერთი ობიექტის მიხედვით, სადაც ჭურჭელთა განლაგების გარკვეული კანონზომიერება იყო შემჩნეული, ბ. კუფტინი ფიქრობდა, რომ შეიძლება საქმე გვაქვს საკულტო მოედანთანო, შესაბამისად, ქულბაქების ბორცვი კი საკულტო ბორცვი იყოსო[24]. ბ. კუფტინი ასევე ვარაუდობდა, რომ შესაძლებელია საცხოვრებლები ბორცვზე ხისაგან იყო ნაგები და მიწის ზევით მდებარეობდა[25]. ენეოლითური მასალის გარდა ბორცვებზე ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის სამარხებიც იყო გათხრილი[26]. ზღუდერი და მისი მიდამოები ფეოდალურ ხანაშიაც საკმაოდ ძლიერი პუნქტი ჩანს: პირველ რიგში შეიძლება დავასახელოთ ეკლესია საინტერესო ასომთავრული წარწერებით. ძეგლების ამ კომპლექსს ენეო-

---

[21] Б. А. Куфтин. К проблеме энеолита Внутренней Картли и Юго-Осетии, მუზეუმის მოამბე, XIV—B, 1947, стр. 75.

[22] ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961, გვ. 19 და შემდეგ.

[23] ი. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, გვ. 41.

[24] ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 19, 24.

[25] ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

[26] იქვე, გვ. 22.

ლით-ადრებრინჯაოს ხანიდანვე მოკიდებული მხარს უბამდა აქვე არცთუ შორს მდებარე მრავალფენოვანი შესანიშნავი ძეგლი — ცხინვალის ნაცარგორა. რაიონი, ეტყობა, საკმაოდ ღონიერი ყოფილა, რაც ასევე აპირობებდა აქ ძველი ქალაქის არსებობასაც. სრულიად შესაძლებელია ქალაქი ცხინვალი, ვახუშტის მიერ ქრცხინვალად მოხსენიებული და მის დროს მცირე ქალაქის რიგამდე დამცრობილი, სწორედ ძველი ზღუდერი და მისი მიდამოები იყო[27].

როდესაც ზღუდერისა და ცხინვალის ძველ ფენებზეა ლაპარაკი, გვერდს ვერ ავუვლით ერთ შესანიშნავ აღმოჩენას, რომელმაც საგონებელში ჩააგდო არქეოლოგთა და, განსაკუთრებით კი, ნუმიზმატთა საზოგადოება. ეს საკითხი დღესაც მრავალ ბუნდოვან მხარეს შეიცავს და მისი გადაწყვეტა მომავალში მოხერხდება. საქმე შემდეგშია; 1950 წ. ბ. კუფტინმა სამარშრუტო ექსპედიციის საქმიანობისას ქ. ცხინვალში „კვაისაშენის“ ტერიტორიაზე, ქვაყრილში ვათხარა ჩაშვებული სამარხი, სადაც ქალი და ბავშვი იყვნენ დაკრძალული. სამარხში დადასტურებულია ასევე თიხის ერთი ჭურჭელი და ბრინჯაოს სამკაულები. სამარხის თარიღი გამთხრელის მიერ ველზევე განსაზღვრული იყო ძვ. წ. III საუკუნით. რაც მთავარია, სამარხში აღმოჩნდა (მიცვალებულს პირში ედო) სპილენძის მომცრო მონეტა, რომელიც განსხვავებული იერის გამო ბ. კუფტინმა უნიკალურ აღმოჩენად მიიჩნია და ივარაუდა, რომ საქმე უნდა გვქონდეს კოლხური მონეტებისაგან განსხვავებულ ნიმუშთან, რომლის მოჭრაც აღმოსავლეთ საქართველოში უნდა მომხდარიყო III—II საუკუნეებში. ბ. კუფტინმა მას „იბერკა“ შეარქვა კოლხური მონეტებისაგან განსხვავებით[28]. მონეტის ერთ მხარეზე ხარია გამოსახული, რქებს შუა წარწერით, მეორე მხარეზე მამაკაცი პროფილში, გვირგვინით თავდამშვენებული[29]. მიუხედავად კვლევის მომავალი შედეგებისა, გამოდგება ის აღმოსავლურ-ქართული მონეტა თუ არა, ფაქტი ფაქტად რჩება, რომ იგი სხვა მონეტებისაგან განსხვავებული ტიპისაა და რაც მთავარია, ასეთი იშვიათი მონეტა დადასტურებულია ცხინვალში, ძველ ზღუდერში, სადაც არის მონაცემები იმისა, რომ სწორედ ძველი წელთაღრიცხვის ბოლოს დაწინაურებული პუნქტი, არ არის გამორიცხული, ქალაქი ვივარაუდოთ.

ზღუდერების განხილვისას, დღესდღეობით, საქალაქო ცხოვრების ილუსტრირებისათვის, ყველაზე ხელშესახებ მასალას ძამის ხეობის ზღუდერი იძლევა. ეს არის გვიანანტიკური ხანის შესანიშნავი ძეგლი, რომელიც 1964 წ. ზაღხულში ბრწყინვალე აღმოჩენების შედეგად იბერიის რომელიღაც დიდებულთა საგვარეულოს რეზიდენციას გვაცნობს[30].

---

[27] ცხინვალის სიძველეების შესახებ იხ. ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, სტალინირისა და ზემო ნიქოზის სიძველენი, სტალინირი, 1952.

[28] იხ. ბ. კუფტინის საველე ჩანაწერები სახ. მუზეუმის წინაფეოდალური ხანის არქივიდან. Д. Г. К а п а н а д з е, Грузинская нумизматика, М., 1955, გვ. 144, 146.

[29] ბ. კ უ ფ ტ ი ნ ი (ასევე დ. კაპანაძეც, კუფტინის აღწერის მიხედვით) ხარის რქებს შორის არამეულ ასოებს ვარაუდობდა. დღეს ეს მოსაზრება ეჭვის ქვეშ არის დაყენებული. შეიძლება უფრო ბერძნული ასოები იყოს გამოსახული (ვსარგებლობთ დ. კაპანაძის და გ. დუნდუას სიტყვიერი განმარტებით).

[30] გ. ნ ე მ ს ა ძ ე, ურბნისის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის ზღუდრის რაზმის 1964—1965 წწ. საველე მუშაობის წინასწარი ანგარიში, საქართველოს სახ. მუზეუმის სამეცნიერო სესია, XIII, თბ., 1965.

ადგილი ზღუდერი ცნობილია მესხეთში და ერთიც სვანეთში. სამწუხაროდ, მათ ჯერჯერობით ვერ ვიცნობთ. ასეც რომ არ იყოს, ზემოთ მიმოხილული ზღუდერების მიხედვითაც ალბათ სათანადო სახის წარმოდგენა არ გაჭირდება; ზღუდერი (ზღუდე) არის ყველაზე უფრო შესატყვისი იმ რეალური სურათისა, რაც გამაგრებულ ადგილებს და შემდეგ ქალაქებს ახასიათებდათ. ის აზრობრივად ექვივალენტურია შემოსული ტერმინისა. ამავე დროს „ზღუდერები" არქეოლოგიურად საინტერესო ძეგლებს წარმოადგენენ, რაც კარგად მაგრდება შემორჩენილი რელიგიური ტრადიციებით; ზღუდრობის რელიგიური დღესასწაული შესანიშნავად იხსნება ნ. ბერძენიშვილის კონცეფციით საცხოვრებელი გორების მიტოვების შემდეგ მათი კრძალვისა და სალოცავ ადგილად ქცევის შესახებ.

ე. ი. საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ძველი გამაგრებული ადგილების, შემდეგ კი ქალაქების აღსანიშნავად შესაძლებელია იხმარებოდა ქართული ტერმინი „ზღუდერი" („ზღუდე"), რომელიც ეთანაბრება შემოსულ „ქალაქს". ვახუშტი ბაგრატიონი თავის „გეოგრაფიაში" ახსენებს ერთ ტოპონიმს, რომელიც, საფიქრებელია, ზემოაღნიშნული ტერმინის ყველაზე ძველი და ძირეულ ასირიულთან უფრო ახლოს მყოფი სახელი უნდა იყოს. ეს არის ქალაქი (შდრ. ქარქა): „აქა არს ქალაქას დაბას წყარო დიდი, რომელი ჟამ რაოდენმე დის, და ჟამ რაოდენმე დადგების..."[31]

ტერმინი ქალაქური დასახლების აღმნიშვნელად მარტო ქართულსა და სომხურში არ შემოსულა. კარგა ხანია, რაც ლინგვისტებმა ასირიულ ქარქას ფონეტიკურად მონათესავე სიტყვა მოუძებნეს კ ა ლ ა-ს სახით. ეს უკანასკნელი ყველაზე მეტად არაბულ ენაშია ფეხმოკიდებული და ბევრს იგი არაბულ სიტყვადაც მიაჩნდა, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ძირეული არაბული არ უნდა იყოს[32]. კალა (قلعة) თითქმის მახლობელი აღმოსავლეთის ყველა ხალხმა მიიღო შუასაუკუნეებში. იმის მიუხედავად, თუ იგი წარმომავლობით რომელ ენას უკავშირდება, აშკარა უნდა იყოს, რომ ის მხოლოდ ფონეტიკურად არ შეიძლება ენათესავებოდეს „ქალაქს". „კალა"-ში, ჩანს, ისეთივე აზრი უნდა იდოს, როგორც ქალაქში[33]. კალა უმთავრესად იხმარებოდა როგორც არსებითი სახელი, მაგრამ მისმა ზმნის ფორმამ შემოგვინახა ანგარიშგასაწევი მნიშვნელობა. ზმნა კალაყა (قلع) არაბულში, ისევე როგორც სპარსულში, ნიშნავს მოთხარა, ამოთხარა, შესაძლებელია ეს აღნიშნავდეს თხრილის გათხრას, რაც ერთ-ერთი მთა-

---

[31] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 114.

[32] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1951, გვ. 203.

[33] ჩვენში სახელი კალა შემორჩა თბილისის ციხეს. მართალია, ვარაუდობენ, რომ ეს არის ადგილობრივი გეოგრაფიული სახელი (ს. ჯანაშია, შ. მესხია და სხვ.), მაგრამ ჯერჯერობით ამის მტკიცება ვერ გამოიყურება დასაბუთებულად. „კალა" აქ ციხის აღმნიშვნელი სახელია, რომელიც გვხვდება კომპოზიტებშიც: „ნარიყალა" და „კალოუბანი". ეს უკანასკნელი ძლიერ გავრცელებულია საქართველოში და ის ალბათ „კალოს" უფრო აღნიშნავს (პურის სალეწი ადგილი), ვიდრე ციხეს. მიუხედავად ამისა, აქაც ის შემოსულ სიტყვას უკავშირდება; „კალო" სამეურნეო ტერმინიც სწორად რკალია, წრეა, შემოფარგლული ადგილია, მსგავსად კალა-ციხისა და ქარქა-ქალაქისა. ეტყობა ქართულში ეს ორი შემოსული ტერმინი ცალ-ცალკე გზით განვითარებულა: ქარქადან-ქალაქი, ქერქი (გარსი, შდრ. რუსული корка), კალადან — კალო, კალათი (არაბული კალყათის სრული შესატყვისია). კალა-ციხის აღმნიშვნელი საქართველოში სხვაც გვხვდება, მაგალითად, სვანეთში. კახეთში სოფლის სახელია კალაური (გურჯაანის რაიონი), ძველი საბუთების მიხედვით „კალაურნი." აქაც კალა შეიძლება ციხის გაგებით იყოს (ციხისელი, ციხისელნი?).

ვარი ღონისძიებაა ქალაქებისა და ციხეების გამაგრების დროს. კალა (قلعة) ზემოთ ჩამოთვლილ აღმოსავლურ ენებში მარტო ციხეს არ ნიშნავდა. ხშირად ამ ტერმინით ქალაქსაც აღნიშნავდნენ. ამრიგად, ორივე ტერმინი — „ქარქა" და „კალა" ვრცელდებიან თითქმის ერთი და იმავე მნიშვნელობით, რაც მთავარია, მათ ერთნაირი აზროვრივი გაგება აქვთ.

ქალაქებისა და გამაგრებული ადგილების აღმნიშვნელ სახელთა განსაკუთრებული სიმრავლეა არაბულ ენაში. წამოყენებული მოსაზრების სამტკიცებლად არაბულში გავრცელებული ქალაქების აღმნიშვნელი ტერმინები არ გამოგვადგება, რადგან ყველა მათგანი სხვა ენებიდან არის შემოსული (دز, მრ. دز, პერძნულიდან: برج — ბერძნულიდან; مدينة არამეულიდან). ყურადღებას იმსახურებს ციხის აღმნიშვნელი ორი სახელი حصن ჰისანი (შდრ. ქართული ისანი) და حصار (ჰისარ). პირველის ზმნა აღნიშნავს გამაგრებული იყო, მიუვალი, II. გაამაგრა (ქალაქი), მეორისა კი حصن გარს შემოერტყა, შემოევლო. აქვს ისეთივე მნიშვნელობა, როგორც ასირიულ ქარქას და ქართულ ზღუდეს. ყოველივე ამას კი მივყავართ კანონზომიერებამდე, რომელსაც ქალაქის თუ ციხის აღმნიშვნელ სახელში ადგილის შემოზღუდვაა ასახული.

საჭიროა განსაკუთრებით გაესვას ხაზი კანონზომიერ მოვლენას, რომელიც ქალაქთმოწყობის წესებში შეინიშნება, რაც ქალაქთა აღმნიშვნელ სახელებში არის ასახული. რა თქმა უნდა, ჩვენ არა გვაქვს საშუალება ყველა მათგანი განვიხილოთ. ის მასალა კი, რომელსაც ვიცნობთ, სწორედ ზემოთ ნათქვამზე მიუთითებს. სხვა შემთხვევებშიც, ვფიქრობთ, ეს მომენტი წინ უნდა იყოს წამოწეული.

საინტერესო სურათს იძლევა დაკვირვება ქალაქის აღმნიშვნელ სახელებზე სლავურ ენებში, სადაც ფუძედ უმთავრესად град არის აღებული; აქედან огородить, городить — შემოზღუდვა, ღობის შემორტყმა და სხვ. ვ. მ. ფლორინსკი город-ში ორ ნაწილს ხედავს: პირველი горо, რაც გორას, ბორცვს აღნიშნავს, და მეორე — д, რომელსაც უკავშირებს სანსკრიტულ ძირს, მნიშვნელობით შეკვრა, შეერთება და სხვ. მთლიანად სიტყვა, მისი აზრით, აღნიშნავს გამაგრებულ, ჩაკეტილ შემაღლებულ ადგილს, გორას, საიდანაც მომდინარეობს ტერმინი город[34]. აქედან გამომდინარე ვ. ფლორინსკი ასკვნის, რომ ძველ დროში სლავი ტომები აშენებდნენ თავიანთ ქალაქებს შემაღლებულ ადგილებზე, ან მდინარის მაღალ ნაპირებზე (აქ იგი სლავურ бред-ს, ნაპირს, უკავშირებს გერმანულ Berg-ს და Burg-ს, რაც გამაგრებულ ადგილს, ციხეს და ხშირად ქალაქს აღნიშნავდა), რისი დადასტურებაცაა ძველი რუსული ნაქალაქარების ტოპოგანლაგება.

ზოგი ავტორი ქალაქის აღმნიშვნელ რუსულ ტერმინს სლავური წარმოშობისად მიიჩნევს, სადაც ორი შემადგენელი ნაწილი შეიძლება გამოჩნდეს: гора (გორა) და род (გვარი). ეს ორივე ცნება გაერთიანებულია ქალაქის აღმნიშვნელ ტერმინში და აღნიშნავს გამაგრებულ ბორცვს, დასახლებულს რომელიღაც გვარით[35].

---

[34] В. М. Флоринский, Первобытные славяне по памятникам их доисторической жизни, I, Томск, 1894, გვ. 134. Н. С. Державин, Из истории древнеславянского города, ВДИ, 1940, 3—4, გვ. 147—148; М. Н. Тихомиров, Древнерусские города, 1956, გვ. 232;

[35] Русский исторический сборник, под редакцией проф. Погодина, том I, книжка 3, Москва, 1838, стр. 48.

город-ს ძველ რუსულში ბევრი მნიშვნელობა ჰქონდა, თითქმის ყველა ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ „Городом называлась всякая ограда, защищающая данное место от посторонних вторжений вообще".[36]

შესაძლებელია ეჭვი დაგვებადოს, რომ ზღუდე (ზღუდერი), ქალაქის ადგილობრივი შესატყვისი ტერმინი მაინცდამაინც ძლიერ ვერ არის გავრცელებული და ამდენად დაგვაფიქროს მისმა სისწორემ და აზრობრივად გამართულობამ. მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ ქართული ქალაქების აღმნიშვნელ სახელებს, მხედველობაში გვაქვს წინაფეოდალური ხანის ქალაქები, ვნახავთ რომ ისინი იწოდებიან რომელიღაც მხარის წინ წამოწევით, ვთქვათ, გარეგნობიერით თუ გეოგრაფიული მდებარეობით (რუსთავი, ხერთვისი, ხუნანი-მტუერის ციხე), ეკონომიკური მომენტით (მცხეთა? კასპი?), წარმოებასთან დაკავშირებული სახესხვაობით (სარკინე) და სხვ. ნაწილი კი ძველი ტრადიციებით უბრალოდ ზღუდე-ზღუდერით აღინიშნებოდა, რომელთაგანაც ზოგმა ჩვენამდეც მოაღწია.

ივ. ჯავახიშვილი იხილავდა რა ქალაქებთან დაკავშირებულ საკითხებს, ასკვნიდა. რომ ქართულსა და სომხურში არ არის ადგილობრივი ტერმინი „ქალაქის" აღსანიშნავად, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ აქ ძველ დროში სუსტად იყო განვითარებული საქალაქო ცხოვრება და რომ ის პუნქტები, რომლებიც ადმინისტრაციულ, თავდაცვით ან განსაკუთრებით სავაჭრო ცენტრებს წარმოადგენდნენ, ცოტათი განსხვავდებოდნენ სხვა დასახლებული პუნქტებისაგან[37]. მიუხედავად ამისა, პატივცემული მკვლევარი მაინც უპირატესობას ციხეს ანიჭებს, როგორც გამაგრებულ ადგილს და მოაქვს რა ლეონტი მროველის ცნობა ეთნარქების მოღვაწეობის შესახებ, ვარაუდობს, რომ აქ მხოლოდ ციხეების აგებაზეა ლაპარაკი. ქართლოსს არ მიეწერება არც ერთი ქალაქის აშენება. იგი მხოლოდ ციხეებს აგებსო"[38].

ამავე საკითხს ეხება ა. აფაქიძეც თავის მონოგრაფიაში „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში". მისი აზრით, „ქალაქზე" უწინარესი ადგილობრივი ტერმინი გალავნით შემოზღუდული უძველესი დასახლების აღსანიშნავად ქართული „ციხე" უნდა ყოფილიყო. მას შესაძლებლად მიაჩნია „ციხე" დაუკავშიროს „ქართს" („ქართლი") და იგი მიიჩნიოს უცხოური წარმომავლობის „ქალაქის" შემოსვლამდე არსებულ ტერმინად[39].

ციხის აზრობრივი გაგება მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული დროის მონაკვეთების მიხედვით არის მიზანშეწონილი, რადგან ნ. ბერძენიშვილის სწორი ვარაუდით „მატერიალური კულტურის არცერთ ნაშთს არ შემოუნახავს აგრე მდიდარი და აგრე ცოცხლად საზოგადოების თავგადასავალი, როგორც ის შემოგვინახა ციხემ..."[40]

„... იყო დრო, როცა „ციხე" საზოგადოების პირველსაცხოვრისი იყო. შე-

---

36 Д. Я. Самоквасов. Древние города России, СПб, 1873. стр. 33.

37 И. А. Джавахов, Государственный строй, стр. 41.

38 იქვე. გვ. 44.

39 ა. აფაქიძე, ქალაქები..., გვ. 160; „ქართის" განმარტებისათვის შდრ. ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, „ისტორიის მოამბე", I, გვ. 7—8.

40 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 258.

ნაარსობლივად ციხე ამ დროს იგივე იყო, რაც „ქვაბი", „გორი", „სახლი"... ამ პირველყოფილი „ციხე"-„ქვაბი"-„გორი"-„სახლი"-საგან ვიდრე ფეოდალის ეპოქის ციხემდე" ამ ნაგებობის („ციხის") განვითარების ისეთივე საფეხურებია წარმოდგენილი, როგორც გვაროვნული წყობის საზოგადოებიდან ფეოდალურ ხანამდე"[41]. ამდენად ციხის განვითარება, მისი ცალკეული ეტაპები შესაძლებელია განვიხილოთ დროის გარკვეულ მონაკვეთში, საზოგადოების განვითარების კერძო შემთხვევაში.

თუ კარგად ჩავუკვირდებით, ძნელი არ არის მიხვედრა, რომ ქალაქის მნიშვნელობა ეფარდებოდა ციხისას (გამაგრებული ადგილისას), ამდენად სრულიად ბუნებრივია, თუ ქალაქის განვითარების პირველ სახედ ციხეს მივიჩნევთ (შ. მესხია). ქალაქი, ეჭვი არ არის, როცა ის ჩნდება, სრულიად ახლებურ გაგებას მოითხოვს და მისი ახსნა მხოლოდ გარეგანი ნიშნებით არ შეიძლება. ციხის პირველი სახეა ძველი გამაგრებანი, რომელიც თითქმის პირველივე გვაროვნულ დასახლებას ჰქონდა და რომელიც თანდათანობით ვითარდებოდა დროთა განმავლობაში.

ციხის სრული ეტიმოლოგია ჯერჯერობით არ არის ცნობილი. მისი გარკვევა, პირველ რიგში, ლინგვისტების საქმედ უნდა იქცეს. ციხის აზრობრივი შემეცნებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ის ტექნიკური ტერმინი უნდა იყოს, რომელშიც, ალბათ, ასახულია ციხის ასაგებად საჭირო სამშენებლო თუ ტექნიკური ნიშნები. დასაშვებად მიგვაჩნია სახელში მშენებლობის რომელიმე მომენტი ყოფილიყო წამოწეული. ქართველურ ენებში ციხის აღმნიშვნელი სახელებია „ციხე" და მეგრული „ჯიხა". ასეთივე სახელად მიგვაჩნია იმერეთის ტერიტორიაზე ძლიერ გავრცელებული ტოპონიმები, როგორიცაა ჩიხა, ჩხარი, ჩიხორი, საჩხერე და სხვ. ყველა მათგანი ძველი ნაციხარების ადგილებს აღნიშნავენ. თუ ეს ასეა, მაშინ ციხე, ჩიხა და ჯიხა ძველი ნაგებობების აღმნიშვნელ სახელებად შეიძლება მივიჩნიოთ. ძალაუნებურად იბადება კითხვა, თუ ციხეთმშენებლობის საქმეში რა მომენტი უნდა ყოფილიყო განმსაზღვრელი და წინ წამოწეული, რომელიც სახელშიც აისახებოდა. ვფიქრობთ, ასეთი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა სამშენებლო მასალას, რომელიც გამოიყენებოდა თავდაცვის ნაგებობათა შესაქმნელად.

თავისებური გეოგრაფიული მდებარეობის გამო სამშენებლო მასალა სხვადასხვა ხალხებს განსხვავებული ჰქონდათ. თუ ჩრდილოეთში ხე-ტყის უპირატესობა ჩანს, სამხრეთმა ალიზი და ქვა აიღო ძირითად სამშენებლო მასალად. სლავურ ტომებში, მაგალითად, ციხეებისა და ქალაქების ხით მშენებლობის გამო, ზოგი ავტორი город-ს უკავშირებს გავრცელებულ მშენებლობის ხერხს, უფრო სწორად სამშენებლო მასალას ღობეწნულს, ძელს, ლატანს (город-жердь)[42].

ჩვენში, თუ ძველი ნამოსახლარების მასალებს გავეცნობით, ნაგებობანი იქმნებოდა ღობეწნულებისა და ალიზისაგან. აქ ძირითად საშუალებებზეა ლაპარაკი და სრულიადაც არ არის გამორიცხული სხვა მასალები. თიხა-ალიზით მშენებლობის გავრცელების გამო, იბადება კითხვა, ხომ არ არის „ციხე" დაკავშირებული თიხასთან, შესაბამისად მისგან ნაწარმოებ თხრილთან (თიხა-თხრი-

---

[41] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 257.
[42] Н. С. Державин, დასახ. ნაშრომი, გვ. 147.

ლი), რომელიც ასევე მთავარი ნიშანი იყო ციხის მოწყობისათვის (ქართ. თიხა. მეგრ. დიხა, ჯიხა)[43].

წამოყენებული ვარაუდის ლინგვისტურ მტკიცებაზე ჩვენ, რა თქმა უნდა, პრეტენზიები არა გვაქვს. ციხეებსა და ქალაქებზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად გადაწყვეტით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ „ციხე“ ზემოთ აღნიშნული გზით უნდა აიხსნას. აზრობრივად ამის დამტკიცება ძნელი საქმე არ არის.

ქალაქის მსგავსად, სადაც განმსაზღვრელია ადგილის შემოზღუდვა და დაცვა, „ციხის“ გაგებაც ასეთივენაირად, კანონზომიერ მოვლენად მიგვაჩნია და სათანადო კვლევა-ძიება სხვადასხვა ენებში ამ მიმართულებით, ალბათ, საუკეთესო შედეგებს მოგვცემს. საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული რუსული კრემლის შესახებ. კრემლი რუსულ ქალაქებში ერთ-ერთი ძირითადი ობიექტი იყო და ჩვენი დედა-ციხის თანაბარი. ეტიმოლოგიურად მას უკავშირებენ кремкремык-кремень — მაგარი ქვის აღმნიშვნელ სიტყვებს (ცვლავ სამშენებლო მასალა!). აქედან კი გამოჰყავთ кремль — ყველაზე მაგარი ადგილი ქალაქში[44].

ერთი სიტყვით, სახელში „ციხე“, როგორც ზევით ითქვა, უფრო მოსალოდნელია ტექნიკური ტერმინი დავინახოთ, რომლის განვითარებული სახე რამდენადმე ზღუდე-ქალაქსაც ემთხვეოდა. თუმცა კი ისინი ერთიმეორის სრული შესატყვისები არ არიან, განსაკუთრებით ქალაქების წარმოშობის შემდეგ. ეს წერილობითი წყაროებიდანაც ჩანს; გარეგანი საფრთხის დროს გაამაგრეს ციხენი და ქალაქებიო. აქ ორი ცნება ცალ-ცალკე ტერმინებით არის გადმოცემული.

გარკვეულ დროს ქალაქის აღსანიშნავად საქართველოსა და სომხეთში, როგორც ფიქრობენ, სომხეთის გზით შემოდის უცხო სახელი. შემოსული ტერმინი ბევრისთვის მაინცდამაინც გასაგები არ უნდა ყოფილიყო და მისი გავრცელება გარკვეულ აზრობრივ შემეცნებასთან იქნებოდა დაკავშირებული, უპირატესად სავაჭრო-სახელოსნო პუნქტის მნიშვნელობით. „ქალაქი“ თანდათან დაფუძნდა და განდევნა ადგილობრივი სახელი. ამას გარკვეულად უწყობდა ხელს ქალაქებში უცხო ეროვნების წარმომადგენლების რიცხვის ზრდა, უმეტესად ვაჭარ-ხელოსანთა ხარჯზე.

ქალაქების ტერიტორიული ზრდის და აქ საქალაქო მეურნეობის აღმავლობის მიუხედავად, ქალაქში ერთ-ერთი ძირითადი უბანი იყო ციხის რაიონი — უმთავრესად უძველეს დასახლებულ ადგილზე აღმოცენებული. ქართული ქალაქები უძველესი დროიდან მოყოლებული ძლიერ გამაგრებულ ადგილებს წარმოადგენდნენ, წერილობითი წყაროები მათ „ციხე-ქალაქებსაც“ უწოდებდნენ.

„ციხე-ქალაქი“ პირველად „მოქცევაშია“ ნახსენები: სპარსთა მეფის პიტიახში მოვიდაო „ტფილისად ქალაქად, ციხედ...“[45] მას ხშირად ვხვდებით ლეონტი

[43] ნაშრომის ეს ნაწილი შესრულებული გვქონდა, როდესაც გამოვიდა გ. კლიმოვის წიგნი «Этимологический словарь картвельских языков», М., 1964, стр. 94—95. მას შესაძლებლად მიაჩნია „თიხა“ დაუკავშიროს ინდოევროპულ dheǧh. გ. მელიქიშვილს ეს კავშირი ერთ-ერთ ნიშნად მიაჩნია სხვა მრავალთან ერთად, ქართველურ ენებში ინდოევროპული წარმოშობის სიტყვების გავრცელებისა, იხ. მისი საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1955, გვ. 225.

[44] В. М. Флоринский, Первобытные славяне, I, стр. 136.

[45] აგიოგრაფიული ძეგლები, I, გვ. 92.

მროველისა და ჯუანშერის თხზულებებშიც. სხვადასხვა ისტორიულ ამბავთან დაკავშირებით ციხე-ქალაქებით მოიხსენებიან: ოძრხე, თუხარისი, წუნდა, სამშვილდე, ხუნანი, რუსთავი, უჯარმა, დარფაკა და სხვ. არაფერს ვამბობთ ვახუშტის შესახებ, რომელიც ხშირად ხმარობს ამ სახელს. „ციხე-ქალაქის" ხსენებას ვხვდებით აგიოგრაფიულ ნაწარმოებებშიც. „დავითისა და კონსტანტინეს წამებაში" ვკითხულობთ — „აღიხუნეს წმიდანი გუამნი მათნი და წარმოემართნეს და ვითარცა განთენა შთავხნნეს ნებითა ღუთისათა თავსა ზედა კლდისასა, ადგილსა მას, რომელსა ჰრქვიან წყალ წითელი, რამეთუ იყო ადგილი იგი ციხე-ქალაქ (ხაზი ჩვენია — ლ. ჭ.) და ერ მრავალი, რამეთუ ყრუსა მურვანსა გამოელო და აღეოხრა და დაეწვა და იყო უკაცურ და დარღუეულ ეკლესია"[46].

ასეთი განსაკუთრებული აღნიშვნა „ციხე-ქალაქის" ხმარების შესახებ გამოწვეულია იმით, რომ ამ ბოლო დროს გამოითქვა ეჭვი, თითქოს ტერმინი „ციხე-ქალაქი" არ ასახავდეს რეალურ ვითარებას წინაფეოდალური ხანისათვის და გარდა ერთი შემთხვევისა (უჯარმის შესახებ) ის ყოველთვის მრავლობითი რიცხვით იყოს ნახმარი (ციხე-ქალაქნი), რაც თითქოს ციხეებსა და ქალაქებს აღნიშნავს[47].

ამავე მოსაზრების ავტორი ფიქრობს, რომ ტერმინი „ციხე-ქალაქი" ადრეფეოდალური ხანის მიწურულს, კერძოდ IX—X სს. შემუშავდა[48]. არ უნდა იყოს სწორი დ. ხახუტაიშვილი, რომელსაც მიაჩნია, თითქოს „ციხე-ქალაქი" ლეონტი მროველს თხზულებაში მხოლოდ მრავლობით რიცხვში აქვს ნახმარი და თითქოს ის მოგვიანო ამბავი უნდა იყოს. ამ საკითხის ირგვლივ ვრცელი შენიშვნები გამოაქვეყნა შ. მესხიამ, სადაც სათანადო საბუთების მოშველიებით უარყოფილია წამოყენებული მოსაზრება[49].

ჩვენ აქ მხოლოდ ერთს დავუმატებთ: ტერმინ „ციხე-ქალაქით" განსაკუთრებით იყო წინ წამოწეული პუნქტის თავდაცვისუნარიანობა და აღნიშნავდნენ ქალაქს უმეტესად რაიმე სამხედრო ღონისძიებებთან დაკავშირებით. ლეონტი მროველი ქართლის უძველესი ისტორიის თხრობისას გადმოგვცემს: „ისწრაფდეს იგინი მაგრებასა ციხე-ქალაქთასა შიშისათვის ნებროთიანთასა"[50]. ალექსანდრე მაკედონელის ქართლში შემოსვლის აღწერისას იგი სწორედ ციხე-ქალაქებად მოიხსენიებს ქართულ ქალაქებს. აქ სწორედ ხაზი უნდოდა გაესვა ქალაქთა ბრძოლისუნარიანობისა და სიმაგრისათვის. დამახასიათებელია, რომ ქალაქთა თავის ცნობილ ნუსხაში ის გვაძლევს უპირველესად ქალაქის ციხის აღნიშვნას („ე დ ე დ ა-ც ი ხ ე სამშვილდე და მ ტ უ ე რ ი ს ც ი ხ ე, რომელ არს ხუნანი"). ან რაიმე ნიშანს ქალაქის ძლიერებისათვის, მიუდგომლობისა-

---

[46] საქართველოს სამოთხე, საბინინის გამოცემა, გვ. 330.

[47] დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, მონათმფლობელური ხანის ქართული ქალაქის რაობის საკითხისათვის, მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXIV, № 3, 1960.

[48] დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, გვ. 28. ა. აფაქიძის აზრით „ადრე ელინისტური ხანიდან მაინც ქართლის ქალაქებს „ციხე-ქალაქებს" უწოდებენ. „ციხე-ქალაქი" ძვ. წ. „I ათასწლეულის შუა ხანებისათვის ადგილობრივ შექმნილი ტერმინია და ის მონათმფლობელური ხანის ქართლის ქალაქების თავისებურების ერთგვარი დამახასიათებელი ნიშანი ჩანს" (ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები..., გვ. 160).

[49] შ. მ ე ს ხ ი ა, შენიშვნები მონათმფლობელური საქართველოს ქალაქების გენეზისისა და რაობის შესახებ, „მაცნე" № 2, 1960.

[50] „ქ. ც.", I, გვ. 10.

თვის („ოძრხე მოკიდებული კლდესა ლადოსსა“). სწორედ ამ მიზნითაა ნახმარი „ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნიც“. ამიტომაა, რომ ერთი და იგივე პუნქტი ნახსენებია როგორც ქალაქი და ციხე-ქალაქი. ასეთივე აზრით არის ნახმარი სხვა შედგენილი სახელიც — „ციხე ქუეყანა“ „მატიანე ქართლისაში“ („აღიღო ქალაქი კარისა, ციხე-ქუეყანა“...).

## 2. დაბა

ძველი ქართული წყაროების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ანტიკურ საქართველოში ქალაქთან ერთად დასახლების გავრცელებულ სახეს წარმოადგენდა ასევე დაბა. ტერმინი „დაბა“ ძველ ქართულში იხმარებოდა დაახლოებით თანამედროვე სოფლის მნიშვნელობით. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, იგი აღნიშნავდა დამუშავებულ ადგილს, განსხვავებით დაუმუშავებელი, უვარგისი ადგილისა, რომელსაც უდაბნო ეწოდებოდა. „დაბ“ ძირი დღესაც ასეთი მნიშვნელობით იხმარება სვანურში[51]. IX—X სს. „დაბას“ სდევნის „სოფელი“[52]. შუა და გვიან შუასაუკუნეებში „დაბაც“ და „სოფელიც“ გვერდიგვერდ არსებობენ. ორივე ტერმინის ერთდროულმა ხმარებამ ერთგვარი გაუგებრობა შემოიტანა იმ დასახლების ტიპის აღსანიშნავად, რომელიც მოცემული სახელით იწოდებოდა და, ბუნებრივია, იგი მოითხოვდა განსხვავებულ აზრს. ამიტომ იყო ალბათ, რომ განსაკუთრებით გვიან შუასაუკუნეებში ტერმინ დაბას უკვე ახალი მნიშვნელობა უჩნდება და როგორც საბა ორბელიანი განმარტავს, იგი „მცირე ქალაქია მოზღუდვილი“.

ტერმინი „დაბა“ განმარტებას მოითხოვს ქრონოლოგიურ ჩარჩოებში, რადგანაც მას ანტიკურ ხანაში სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. იგი აღნიშნავდა დასახლებულ ადგილს, რომელიც გაუმაგრებელი იყო და არ წარმოადგენდა არც ციხეს და არც ქალაქს. ეს უნდა იყოს მისი პირვანდელი და ძირითადი მნიშვნელობა, თუმცა იგივე ტერმინი ზოგჯერ საერთოდ დასახლებული ადგილის გადმოსაცემად იხმარებოდა.

„დაბას“ ვხვდებით ჯერ კიდევ ყველაზე ძველ ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლში, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ იგი სულ ორჯერ გვხვდება, კარგად ჩანს მისი არსი, ამდენად ვამჯობინეთ განვიხილოთ ზოგი ადგილი „შუშანიკის წამებიდან“. სპარსეთიდან წამოსული ვარსქენ პიტიახში მოიწია „საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მის ჰერეთისასა. ზრახვაყო, რაჲთა აუწყოს და წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი, რაჲთა მათ გამო, ვითარცა ერთგული, სოფლად შევიდეს. და წარმოჰმართა სადიასპანოჲთა ცხენითა მონაჲ თვისი, ვითარმცა მოვიდა დაბასა, რომელსა სახელი ჰრქვიან ცურტავ“[53]. ცურტავი დაბად მოიხსენება შემდგომაც; მარტვილობის ავტორი იაკობ ცურტაველი გვატყობინებს: „ხოლო მე ვიჯმენ ადრე და მივიწიე დაბასა მას, რომელსაცა იყო ნეტარი შუშანიკ“ (გვ. 13).

ჯერ გავარჩიოთ, თუ რას წარმოადგენდა თვით ცურტავი, უპირატესად მისი გარეგანი სახე გვაინტერესებს. იგი, როგორც ჩანს, პიტიახშის რეზიდენცია

[51] И. А. Джавахов, დასახ. ნაშრომი, გვ. 46—47.

[52] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 140; Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, გვ. 43; არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 15—16.

[53] წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისა, აგიოგრაფიული ძეგლები, I, გვ. 12.

წარმოადგენდა. სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ესეც კი საკმარისი იქნებოდა, რომ იგი მნიშვნელოვან პუნქტად გვევარაუდა. მაგრამ, ჩანს, პიტიახშს აქვს თავისი ტაძარიც („მოვიდა მგელი იგი ტაძრად", შუშანიკი „ძლით წარიყვანეს ტაძრად"). იგია საეპისკოპოსო ცენტრიც, საეპისკოპოსო ეკლესიით; ცურტავს ძლიერი დაცული ციხე აქვს მდინარის პირას; ციხესთან მისასვლელად ხიდის გავლაა საჭირო; ვარსქენის ბრძანებით შუშანიკი მიჰყავთ ციხეში, სადაც „პოვეს სახლაკი ერთი ჩრდილოჲთ კერძო, მცირე და ბნელი და მუნ შეაყენეს წმიდაჲ იგი".

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ: ცურტავი, საპიტიახშო რეზიდენცია, პიტიახშის ტაძრით, საეპისკოპოსო კათედრალით, საკმაოდ ძლიერი ციხით, სპარსეთიდან ქართლს მომავალ გზაზე, სხვა არაფერია თუ არ ქალაქი, და თანაც ქალაქი, რომლის მნიშვნელობაც საკამათო არ უნდა იყოს განსაკუთრებით ადრეული ქრისტიანობის ხანისათვის. თუ X საუკუნის სომეხ ავტორს უხტანესს დავუჯერებთ, და ის კი ამ შემთხვევაში ნდობის ღირსია, „ცურტავი — სახელი იგი, რომელი მარადის მოვიხსენეთ უწყებასა შინა, აქაცა ვახსენოთ. მაშინ იგი ერქუა სახელი, ხოლო აწ სახელად ჰრქვიან გაჯენქი. მაშინ სავსე და ვრცელი დედაქალაქი დიდი და სახელოვანი იყო, ხოლო აწ დამცირებული და ზომიერი დაბაქალაქი არს კიდესა მის მდინარისას, რომელსა ეწოდების მისი სახელი — გაჯენაგეტი. კუთხესა, რომელსა ჰრქვიან ვრაც დაშტი (ქართველთა ველი), რომელი არს შუა ზღვარი ორთა მათ სოფელთა, სომხეთისა და ქართლისა"[54].

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ უხტანესის ცნობას. შუშანიკის დროს ცურტავი მართლაც სავსე და ვრცელი დედაქალაქია (საპიტიახშოს ცენტრი იგულისხმება), დიდი და სახელოვანი. ეს რომ ასეა, კარგად ჩანს „შუშანიკის წამებითაც". მარტვილობის ავტორს სულაც არ ჰქონია მიზნად ქალაქის აღწერა, მიუხედავად ამისა, მას ჩვენთვის საინტერესო ბევრი ფაქტი „გაეპარა".

ცურტავი რომ ქალაქია ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში მაინც, ამაში ეჭვი არ გვეპარება ზემოთ აღნიშნული მომენტების გამო. ეს არ შეიძლება არ სცოდნოდა იაკობ ცურტაველსაც. მაშ, რატომ არის, რომ ცურტავი დაბად არის მიჩნეული? ვფიქრობთ, ეს მხოლოდდამხოლოდ ტექსტის არასწორი გაგების ბრალია. დაბა და ქალაქი რომ განსხვავებული ცნებებია, ეს ქართულ წერილობით ძეგლებში კარგად არის ცნობილი „რომელსა ქალაქსა ანუ დაბასა შეხვიდეთ, გამოიკითხეთ, ვინ ღირს იყოს, მუნ დაადგერით ვიდრე გამოსვლადმდე"[55]. ან კიდევ „და მოჰვიდოდა იესო ქალაქებსა ყოველსა და დაბნებსა და ასწავებდა შესაკრებელსა შორის მათსა"[56] და სხვა.

მაშ რაშია საქმე, რატომ მოხდა ასეთი შეუსაბამობა; ყოველივე მონაცემებით ცურტავი ქალაქია, ასევე უწოდებენ მას სომეხი ავტორებიც, ქართულ წყაროში კი „დაბად" აღინიშნება. სავარაუდოა „დაბა" „შუშანიკის წამებაში" ეხება ცურტავს არა მთლიანად, როგორც ქალაქს, არამედ მის მხოლოდ ერთ ნაწილს, სადაც თავმოყრილია მოსახლეობის ძირითადი მასა (დაბა-ქალაქი, ქალაქის დასახლებული ნაწილი). ტექსტის მიხედვით ასეთი სურათი ჩანს: ცურ-

---

[54] ვსარგებლობთ ი. აბულაძის თარგმანით. იხ. მის მიერ გამოცემული „მარტვილობა შუშანიკისი", თბ., 1938, გვ. 051.

[55] ახალი აღთქმაჲ, თბილისი, 1963, მათე $10^{11}$.

[56] იქვე, მათე $9^{35}$.

ტაეის ერთი ნაწილია დაბა, სადაც მოსახლეობა ცხოვრობს, აქვეა ეკლესიაც. აი, ამ ადგილს მოადგა ვარსქენი, როცა მონა გამოგზავნა „სადიასპანოდთა ცხენით", „ვითარცა მოვიდა დაბასა, რომელსა სახელი ჰრქეიან ცურტავ". აქედან მონას ჰგზავნის თავის ტაძარში და ციხეში „რაჲთა აუწყოს და წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი". უეჭველია აზნაურნი, მსახურნი და ძენი მისნი სწორედ ტაძარში და ციხეში იქნებოდნენ თავმოყრილნი. ვარსქენის ამბავს რომ შეიტყობს, გამძვინვარებული შუშანიკი ტოვებს ტაძარს და მიდის ეკლესიაში, რომელიც ქალაქის დაბის ნაწილში მდებარეობს. შექმნილმა ვითარებამ აფოცსა და მარტვილობის ავტორს მოუსწრო სხვაგან ყოფნისას: „ხოლო ჩვენ აღვივსენით მწუხარებითა და დიდითა ტირილითა ვტიროდითო". ამის შემდგომ ერთი საყურადღებო მომენტია: „ხოლო მე ვიჯმენ ადრე და მივიწიე დაბასა მას, რომელსაცა იყო ნეტარი შუშანიკ". ე. ი. მივიდა ეკლესიას, სადაც შუშანიკი გაჩერდა ტაძრიდან გამოქცევის შემდეგ.

აქედან გამომდინარე: „დაბით" აღინიშნება ტაძრის და ციხის გარეთ მყოფი დასახლებული ადგილი, სადაც ეკლესიაცა დგას. ადგილი ეკლესიასა (დაბასა) და ტაძარს შორის დაუსახლებელი უნდა იყოს, რადგან ძეძენარით ყოფილა სავსე. „შუშანიკ თრევით მოითრია თიხათა შიგან და ეკალთა ზედა ეკლესიით ვიდრე ტაძრამდე, ვითარცა მკუდარი მიეთრია და ადგილდ-ადგილდ ქუე ძეძვი დაეფინა" (გვ. 19). ვარსქენის ბრძანებით შუშანიკი ტაძრიდან გადაჰყავთ ციხეში. აქედანაც გარკვეული მანძილი დევს ციხემდე, სადაც ხიდით არის საჭირო შესვლა. აქედან ჩანს, რომ ცურტავის მთავარი უბნებია ციხის, ტაძრის და უშუალოდ დაბა, სადაც თავმოყრილი უნდა იყოს მოსახლეობის ძირითადი ნაწილი.

„შუშანიკის წამების" აქ გარჩეული ზოგი ადგილის მიხედვით ძნელი არ არის დანახვა, რომ ქალაქი ცურტავი, ისევე როგორც სხვა ძველი ქართული ქალაქები, შედგებოდა ციხისაგან — ქალაქის საფორტიფიკაციო ნაგებობისაგან და დასახლებული ადგილისაგან — დაბისაგან, სადაც მოსახლეობის ძირითადი ნაწილი იყრიდა თავს. საეპისკოპოსო თუ სხვა ცენტრებში ცალკეეა საგულვებელი (ან უშუალოდ ციხეში) წარჩინებულის რეზიდენცია, ცურტავის მაგალითით ტაძარი ვარსქენისა. ე. ი. საბოლოოდ ტექსტში აღნიშნული „დაბა" ეხება ცურტავის დასახლებულ ნაწილს (დაბა-ქალაქს), თვით ცურტავი კი ნამდვილად ქალაქია.

რადგანაც აქ გასხჯის საგანი მხოლოდ ცურტავი არ არის, არამედ საერთოდ ქართული ქალაქი გვაინტერესებს, ამიტომ ცურტავის გვერდით, მისი გარეგანი სახის გარჩევის შემდეგ, ცუდი არ იქნება მოვიხსენიოთ ასევე მნიშვნელოვანი ქართული ქალაქი, რომელიც ადრეული ქრისტიანობის ხანისათვის საოცარ მსგავსებას ამჟღავნებს ცურტავთან. განსხვავებით ეს უკანასკნელი არქეოლოგიური გათხრების წყალობით წარმოჩნდა. ამ მსგავსებამ, არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილმა, წერილობითი წყაროების ცურტავთან, ჩვენი ყურადღება მიიქცია რუსთავის არქეოლოგიური ძეგლების დამუშავების დროს. თანმთხვევის მომენტები ორივე ქალაქის გარეგან სახეში ძალიან ბევრია. ძირითად ხაზებში ისინი ერთი ტიპის ქალაქებს წარმოადგენენ. რუსთავში, ისევე როგორც ცურტავში, სამი ძირითადი უბანი განირჩევა: ციხის უბანი, რომელიც მოქცეულია მდ. მტკვარსა და რუსთავის არხს შორის, ტაძრის უბანი, რომელიც თანამედროვე პარკის ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო (სამწუხაროდ, იგი ქალაქის მშენებლობის დროს ძირფესვიანად იქნა მოთხრილი და მის შესახებ მხო-

ლიდ მოუკონებელა დარჩა) და ეკლესიის უბანი, სადაც V—VI სს. საეპისკოპოსო ტაძარი მდებარეობდა. რამდენადაც რუსთავის ნაქალაქარი ძირითადად არნის მარცხენა მხარეს არის დადასტურებული და ციხეს და ნაქალაქარს წყალი ჰყოფდა, ამიტომ ადვილი მოსალოდნელია ციხეს მისვლა სპეციალური ხიდით თუ იქნებოდა შესაძლებელი, მსგავსად ცურტავისა („ზედა ვითარცა მოიწინეს ხიდსა მას ციხისასა, ჰრქუა პიტიახშმან წმიდასა შუშანიკს: „შენდა ეგდენ კოფად არს ფერხითა შენითა სვლა, რამეთუ ცოცხალი არღარა გამოსვლად ხარ, გარნა თუ ოთხთა გამოგიღონ“ (გვ. 21).

ასეთი პარალელები სხვა ქართულ ქალაქებს შორის, ეჭვს გარეშეა, აუცილებელი უნდა იყოს, ოღონდ სხვა შემთხვევაში სათანადო საბუთიანობას მოკლებული ვართ. ურბნისში, მაგალითად, მსგავსი მომენტი შესაძლებელია არც იყოს მოსალოდნელი. ქალაქი აქ ძვ. წ. პირველი საუკუნეებიდანვე მთლიანად შემოზღუდულია, ისე რომ ქალაქის მთლიანი კონტურები შეკრულია დამცველი კედლებით, ციხეც (ძველი ნამოსახლარი) და ქალაქის მოსახლეობაც ზღუდის შიგნითაა მოქცეული. „დაბა“ კი, როგორც ჩანს, მოკლებულია გამაგრებას, არ გააჩნია თავდაცვითი ნაგებობანი, მისი დაცვა ციხეს ან ქალაქს აქვს დაკისრებული. ანდრია მოციქულის მოგზაურობაში ერთი მეტად საყურადღებო ადგილია დაცული, რომელიც აშკარად ამტკიცებს აღნიშნულს: „წარემართა და მიიწია ოდისო ქალაქად სოფელსა მიზიისასა... წარემართა და გარდავლო მთა ულუმბა და მიიწია დიდსა მას დაბასა ნიკეას ბითვინიისასა, რამეთუ არღა იყო იგი ქალაქად, არამედ უკანასკნელ შეზღუდა იგი და განავრცელა მეფემან ტრაიანემან“.

ტერმინით „დაბა“, როგორც ირკვევა, უმთავრესად აღინიშნებოდა ქალაქების სამეურნეო რაიონში შემავალი დასახლებული ადგილები. პირველივე უძველეს ქართულ წყაროში, სადაც ლაპარაკია ქალაქებზე, იქ მათი დაბნებიც არის მითითებული. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით „ქალაქები და დაბნები მათი“, ისევე როგორც — „ქალაქები და ციხენი მათნი“, გულისხმობს ქალაქებს მათი დამცველი ციხეებითურთ და მათ შორის არსებულ დაბნებს — სამეურნეო რაიონის დასახლებულ ეკონომიურ პუნქტებს, რითაც მთლიანად ქალაქის სამიწათმოქმედო ფარგლებია შემოსაზღვრული[57].

რომ გამაგრებული ადგილის ირგვლივ თავმოყრილი იყო გაუმაგრებელი დასახლებანი, უძველესი დროიდანვე შეიმჩნევა ქართველურ ტომებში. ეს გაუმაგრებელი ადგილები „დაბის“ წინასახეებად შეიძლება ვიგულისხმოთ. გ. მელიქიშვილმა ძველი წყაროების მიხედვით ყურადღება გაამახვილა დიაუხის დასახლებელ ადგილებზე და შემდეგ საყურადღებო დასკვნამდე მივიდა: „ისევე როგორც ნაირი-ურარტუს სხვა რაიონებში, დიაუხის ტერიტორიაზეც ჩვენ და-

---

[57] გ. მელიქიშვილი „მოქცევის“ ცნობის განმარტებას, რომ დაბნები ქალაქებს უკავშირდება, საეჭვოდ მიიჩნევს, რადგან კონტექსტში „... ოთხ ქალაქად და დაბნები მათი“ „მათი“ ეკუთვნის არა ქალაქებს, არამედ ბუნთურქებსო, თანაც „ქალაქები“ სხვა გრამატიკულ ბრუნვაშია და არ უკავშირდებაო „დაბნებს.“ მაშინ თუ ეს ასეა „დაბნები მათის“ შემდეგ მოდის ჩამოთვლა ქალაქების „და ციხენი მათნი“, რომლებიც (ციხენი) უნდა დაუკავშირდეს დაბნების მსგავსად ბუნთურქებს, ციხეები კი როგორც ტექსტიდან ჩანს, ეკუთვნის სწორედ ქალაქებს „ციხე დიდი სარკინისა, უფლისციხე კასპისა, ურბნისისა და ოძრახისა“. ამ უკანასკნელის მიხედვით ირკვევა, რომ „დაბნები მათი“ ასევე „ციხენი მათნი“ ეკუთვნის ქალაქებს. Г. Меликишвили, К истории древней Грузии, стр. 452; შდრ. О. Лордкипанидзе, Ремесленное производство и торговля в Мцхета в I—III вв. н. э. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, 65, 1957, გვ. 152—153.

სახლებული პუნქტების ორ ძირითად ტიპს ვხვდებით: გამაგრებულ ადგილებსა და მათ გარშემო დიდი რაოდენობით მიმოფანტულ ყოველგვარ თავდაცვით ნაგებობებს მოკლებულ დასახლებულ პუნქტებს.

...დიაუხის ტერიტორიაზე, ისევე როგორც საერთოდ ამ ეპოქის სამხრეთ ა/კ-ის ტერიტორიაზე, ურარტული წყაროები ურთიერთისაგან ასხვავებენ 1) გამაგრებულ პუნქტებს, რომელთა დარბევაც მათი თავდაცვითი ნაგებობების (ციხის გალავანი, ციტადელი) დანგრევაში მდგომარეობდა და 2) უფრო მრავალრიცხოვან, ასეთ სიმაგრეთა გარშემო მიმოფანტულ, ყოველგვარ თავდაცვით ნაგებობებს მოკლებულ დასახლებულ პუნქტებს...“[58]

ლეონტი მროველი წმ. ნინოს ქართლში შემოსვლის აღწერისას ერთ საყურადღებო ცნობას გვაწვდის; ნინოს შეკითხვაზე „რომლისა სოფლისანი ხართ?“ მწყემსი პასუხობს: „დაბით ელარბინით და საფურცლით, და ქინძარელნი, რაბატელნი დიდისა, ქალაქისა მცხეთისანი“[59]. სამივე დაბა მცხეთის რაბატში — გარეუბანში შედიოდა და მისი ეკონომიური რაიონის ერთეულებს წარმოადგენდა მუხრანის კერძ ქალაქით. ელარბნის შესახებ ცნობები არ არის. საფურცლე და ქინძარი კი მისაქციელ-ნარეკვავის მიდამოებში მდებარეობდნენ და უშუალოდ ერტყმოდნენ მცხეთის წიწამურის უბანს, წიწამურის კარს. ცნობილია, რომ ნანა დედოფალი და მცხეთელები მირიან მეფეს, ნადირობის ჟამს მომხდარი ამბის შემდეგ, ქრისტეს სჯულისკენ მოქცეულს, სწორედ ქინძარს და ღართას შეხვედრიან. ადგილის სახელი „ღართის კარიც“ ხომ მცხეთაში შესასვლელზე მიუთითებს.

ახლა ასე თუ ისე გასაგებია დაბის მნიშვნელობა და ის შესაძლებელი დამთხვევა, რომელიც მას ქალაქთან შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ გვაქვს შემთხვევა, როდესაც ციხეა მოხსენიებული დაბად. მირიან მეფის დროს „ჰურიათა მცხეთელთა არავე ნათელიღეს, გარნა ბარბიანთა ნათელ — იღეს ორმოცდაათმან სახლმან და იქმნეს ქრისტიანე ჭეშმარიტ. ამისთვისცა დიდ იქმნეს იგინი წინაშე მეფისა; და მიუბოძა მათ დაბა, რომელს ჰქვიან ციხე-დიდი“[60]. ციხე-დიდი, როგორც ცნობილია, სარკინე ქალაქის ციხე იყო ანტიკურ ხანაში. ციხის აღნიშვნა „დაბით“, რა თქმა უნდა, შეუძლებელია; აქ საქმე გვაქვს დაბასთან. რომელიც დროთა განმავლობაში წარმოიშვა ციხე-დიდის ირგვლივ, სახელი კი შეერქვა ციხის მიხედვით. დაბა ციხე-დიდის სახით საქმე უნდა გვქონდეს მნიშვნელოვან ანტიკურ ძეგლთან, რომლის სახელი „ციხე-დიდი“ დღეს მხოლოდ ხევსლა შემორჩა.

როგორც აღნიშნული გვქონდა, ტერმინი „დაბა“ IX—X სს. შეცვალა „სოფელმა“. „მოქცევაჲ ქართლისაჲში“, რომელიც IX ს. ძეგლია, ორივე ტერმინის პარალელურ ხმარებას ვხვდებით: წმ. ნინო, წყაროს ერთი ვარიანტის მიხედვით, სიკვდილის შემდეგ დაუმარხიათ „ადგილსავე ზედა ბუდის, დ ა ბ ა ს ა კხოეთისასა“. მეორე ვარიანტში ეს ადგილი ასე იკითხება: „და დაჰკრძალეს ძლევით შემოსილი გუამი მისი ადგილსავე თვისსა ბოდს, ს ო ფ ე ლ ს ა კუხეთისას“[61].

---

[58] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, უძველესი სამეფო სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, „მიმომხილველი“, I გვ. 227; შდრ. Г. А. М е л и к и ш в и л и. Некоторые вопросы истории Манейского царства, ВДИ. 1949, № 1. стр. 69.

[59] „ქ ც-ბა“, I, გვ. 88.

[60] „ქ ც-ბა“, I, გვ. 110.

[61] „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, აგიოგრაფიული ძეგლები, I. გვ. 90.

ძველი ქართული მწერლობის მონაცემებიდან ირკვევა, რომ საეკლესიო ძეგლებში, რომლებშიც აღწერილია ანტიკური დროის ამბები, ტერმინი „დაბა“ ძალიან ხშირად იხმარება. შემდეგ კი უფრო იშვიათად, ისე რომ XI ს. საისტორიო წყაროებში ის სულ რამდენიმეჯერ არის მოხსენიებული: ლეონტი მროველი „ცხოვრებასა ქართველთა მეფეთაში“ და „ნინოს ცხოვრებაში“ „დაბას“ რამდენიმე შემთხვევაში ახსენებს, აქედან პირველად „ქალაქებს და დაბნებს“[62]. მსგავსად „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“, შემდეგ „დაბას ელარბინისას“, რომელიც ყველა ვარიანტში არა გვხვდება, ციხედიდის დაბას და დაბას ბოდისას, „მოქცევაჲს“ უშუალო გავლენით. ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისაში“ მხოლოდ ერთხელ ხმარობს ამ ტერმინს[63].

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტობრივი მონაცემების ახსნა ძალიან ძნელია. ერთი რამ საცნაურია, რომ მრავალჯერ, განსაკუთრებით ლეონტი მროველის თხზულებაში, ვხვდებით გამოთქმებს, სადაც „დაბა“ უფრო უპრიანი იქნებოდა, მსგავსად ძველი ბიბლიური გამოთქმებისა, მაგალითად, „ქალაქები და დაბები“, ნაცვლად „ქალაქებისა და სოფლებისა“. შესაძლებელია ეს აიხსნებოდეს იმ გარემოებით, რომ როგორც მროველის, ისე ჯუანშერის დროს „სოფელი“ უფრო ფესვგადგმულია და „დაბა“ იშვიათადღა იხმარება. მაგრამ საძიებო სწორედ ეს არის, რატომ მოხდა ტერმინთა ასეთი ცვლა[64]. აქ რაიმე სოციალური მომენტი ხომ არ უნდა დავინახოთ? უეჭველია მცირე ფაქტობრივი მონაცემების გამო გაგვიძნელდება ამის დამტკიცება, მაგრამ მაინც აღვნიშნავთ, რომ „დაბა“ უფრო ანტიკური იბერიის თანამგზავრი უნდა იყოს, მისი საქალაქო ცხოვრების თანაზიარი და შესაბამისად მისი მეურნეობის თავისებურებების გამომხატველი, წინაფეოდალური ფორმაციის ყაიდისა! ძნელი ასახსნელია, თუ რა პირობებში მოხდა ტერმინთა ასეთი ცვლა, რა მომენტებმა შეუწყო ხელი დაბა-სოფელთა მონაცვლეობას, მსგავსად მდაბიო-მსოფლიონისა. არ არის გამორიცხული აქ დეურბანიზაციის პროცესის ანარეკლი გვქონდეს. ქრონოლოგიური მონაცემებიც ხომ მხარს უჭერს ასეთ ვარაუდს. დაბის ინტენსიური განვითარება ანტიკურ ხანაში ხდება ვიდრე IV—V საუკუნეებამდე. IV ს-დან ქართული ანტიკური ქალაქების დაცემა ივარაუდება, საქალაქო მეურნეობა დაკნინდა. თუ IV—VI სს. ინერციით დინება კვლავ შედეგს გვაძლევს, VI—VIII სს. საქალაქო მეურნეობის დაცემის ხანაა, ვიდრე ქართული ფეოდალური ქალაქი არ წარმოიშვება IX—XI საუკუნეებში. ამ დროიდანვე ძლიერდება სოფლის ინსტიტუტი. ეს უბრალოდ ტერმინების მონაცვლეობა არ შეიძლება იყოს, ისევე როგორც შემთხვევითი დამთხვევა არ უნდა იყოს ტერმინთა მონაცვლეობისა ახალი ფორმაციის ცალკეული ეტაპების განვითარებასთან.

უდაოდ, ტერმინთა მონაცვლეობა დაბა-სოფლით, მდაბიური — მსოფლიონით ძირეული სოციალური გარდატეხის მაჩვენებელი უნდა იყოს; მაგალითად, ადრეფეოდალურ ხანაში მიწათმოქმედს „მდაბიური“ ერქვა. ჩანს, მიწისმუშაკთა ერთი ნაწილი, ძველი დაბების — სამეურნეო რაიონის მკვიდრი, ჯერ კიდევ თავისუფალია; ანტიკური წარმოების წესი ჩანს კიდევ მოქმედებს. მიწის-

---

[62] „ქ. ც-ბა“, I, გვ. 53.

[63] „ქ. ც-ბა“, I, გვ. 178 (დაბა მერისა).

[64] იხ. ჯავახიშვილის სიტყვებით: «Позднее термин начинает вытесняться термином «сопели», но чем, собственно, объясняется это явление невозможно еще установить». Государственный строй..., стр. 47.

მუშათა მეორე ნაწილი ამ დროს უკვე „გლეხებია“. ესენი პირად თავისუფლებას მოკლებულნი არიან. გლეხები ფეოდალიზაციის პირველი მსხვერპლნი არიან, რომლებიც ამიერიდან სახლობენ არა დაბებში — თავისუფალ მიწისმუშათა დასახლებაში, არამედ ახალი სოციალური ცხოვრებით შექმნილ ადგილებში, რომლებზედაც „დაბა“ წინაფეოდალური წარმოების წესით შექმნილი ტერმინი აღარ გავრცელდება. და თუ გავრცელდება, მხოლოდ და მხოლოდ ტრადიციის გავლენით.

ჯუანშერს ერთი საინტერესო ცნობა აქვს შემონახული ვახტანგ გორგასალის ცხოვრებაში: „აიყარა მეფე სპარსთა, და უკუდგა რუსთავად, და გამოვიდეს იგინი განთიად და დადგეს ველსა კალაისასა: რამეთუ ტფილისი სოფელი და კალაიცა მოოხრებული იყო მაშინ“[65]. აქ ისეთივე შემთხვევა გვაქვს, როგორც „შუშანიკის წამებაში“. ავტორს თბილისი წარმოდგენილი აქვს როგორც ერთიანობა ციხისა (კალისა) და სოფლისა. „სოფელი“ აქ ქალაქის დასახლებული ნაწილის გადმოსაცემად იხმარეია. ძველი ტრადიციის მიხედვით აქ ალბათ მართებული იქნებოდა „დაბის“ ხმარება („ტფილისი დაბა და კალაიცა მოოხრებულ იყო მაშინ“), მაგრამ ჯუანშერმა ამჯობინა ეხმარა შესაბამისი ტერმინი, რომელიც მის დროს იყო მიღებული, თუ, რა თქმა უნდა, ჯუანშერის თხზულება ორიგინალურია და არ არის გამოყენებული უფრო ძველი წყარო.

ყურადღების გარეშე ვერ დავტოვებთ იმ გარემოებას, რომ „ქართლის ცხოვრების“ სომეხმა მთარგმნელმა დაბა არ იცის. ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებათა ის ადგილები, სადაც დაბებია ნახსენები, პირდაპირ არის გადათარგმნილი მსაზღვრელი ტერმინის გარეშე; მაგალითად, „დაბა ციხედიდისა“ გადათარგმნილია როგორც „დიდის ციხე“[66]. წმ. ნინოს მოღვაწეობასთან დაკავშირებით ლეონტი მროველი რამდენჯერმე იხსენიებს „დაბა ბუღს“, სომეხი მთარგმნელი კი თავს არიდებს მის თარგმნას; „მიეახლა კუხეთს, დაბასა ბოდისას“, გადატანილი აქვს „დადგა კუხეთის საზღვრის ახლოს“[67], „დამარხეს... დაბასა ბოდისასა“, თარგმნილია „და დაეფლა იმავე ადგილს“[68]. რომ სომეხ მთარგმნელს „დაბა“ არ ესმის, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ერთ ადგილზე ქართული „დაბა ბოდი“ გადატანილი აქვს პირდაპირ როგორც „დაბა“ (*Դաբա*) ადგილის საკუთარ სახელად[69]. ყველაფერი ეს უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ „ქართლის ცხოვრების“ სომხურად თარგმნის დროს (XIII ს.) არ ჰქონიათ მისი შესატყვისი ტერმინი და ვერ გაუგიათ მისი მნიშვნელობა, მით უმეტეს, რომ უმთავრესად უხდებოდათ სოფლის, და მისი სომხური შესატყვისის (*գեղ*) ხმარება. „დაბა-ქალაქი“, რომელიც უხტანესის ცნობიდან არის გადმოქართულებული, სომხურში სიტყვასიტყვით „სოფელ-ქალაქით“ არის აღნიშნული (*գեղաքաղաք* — გეღა ქალაქ, ზოგჯერ წერენ ქალაქაგეღ). ტერმინი „სოფელ-ქალაქი“ ქართულმა წყაროებმაც იცის, მაგრამ გამონაკლისის სახით. ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ერთი: ანდრია მოციქულის მიხედვით „ხოლო ამასტრია ქალაქად აღხდა ნავსა მოციქული და აღვლო მდინარე დიდი პართენი და მიიწია ს ო ფ ე ლ-ქ ა ლ ა ქ ა დ (ხაზი ჩვენია, — ლ. ჭ.), რომელსა ეწოდიან

---

[65] „ქ ც-ბა“, I, გვ. 181.

[66] ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, თბილისი, 1953, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევებითურთ გამოცემული პროფ. ი. აბულაძის მიერ, გვ. 116.

[67] ი ქ ვ ე. გვ. 126.

[68] ი ქ ვ ე. გვ. 128.

[69] ი ქ ვ ე. გვ. 121.

ქალაქ, რომელი იგი ზღუდის სახედ მოუცავს ორთა მდინარეთა... და არს სოფელ ქალაქსა მას შესაყარი ყოველგნით ერთა მრავალთა, უფროსად დღეთა ზაფხულისათა..."[70]

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე „დაბა" — ქართული ანტიკური ხანის ქალაქთან დაკავშირებული დასახლებული ადგილი, მისი სამეურნეო რაიონის კომპონენტი. ხომ არ არის ადგილობრივი მოვლენა? მით უმეტეს, რომ მეზობელ სომხეთში მას ვერ იცნობენ? როგორც ჩანს, „დაბას" რომ სომეხი მთარგმნელი ვერ იცნობს, ეს გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ XIII საუკუნისათვის ამ ტერმინს დაკარგული ჰქონდა თავისი მნიშვნელობა (რაც ზემოთ აღნიშნული ვარაუდის სასარგებლოდ ლაპარაკობს) და ამიტომაც მას გაუჭირდა შესატყვისი ტერმინის მოძებნა. აქ ერთხელ კიდევ უნდა გავუსვათ ხაზი, რომ „დაბა" ანტიკური ქართული ქალაქის ატრიბუტია, სადაც მისი მეურნეობა თავმოყრილი, რისი მეშვეობითაც იგი მიწათმოქმედების ცენტრად არის ქცეული[71].

ანტიკური ქალაქის დაცემის შემდეგ, როდესაც ქვეითდება საქალაქო მეურნეობის სახეები, ფეოდალური ფორმაციის ინტენსიური განვითარების შედეგად, ძველ ქალაქებში საქალაქო მეურნეობის სახეები იცვლება სოფლური მეურნეობით, რაც საერთო მოვლენა ჩანს ფეოდალიზმის ეპოქისათვის. სოფლების წარმოქმნა და ჩამოყალიბება ძველი დაბების ბაზაზე, ისევე როგორც ტერმინთა ცვლაც, ფეოდალური ფორმაციის გამარჯვების ნაყოფია, რომლის საბოლოო შედეგიც ფეოდალური ქართული ქალაქის ჩამოყალიბებით სრულდება (IX—XI სს.).

რაც შეეხება მოვლენის მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივ ხასიათს, ჩანს, რომ იგი ლოკალური ამბით ვერ აიხსნება და ანალოგიურ შემთხვევებს ვხვდებით სხვაგანაც. სომხეთის ანტიკური ხანის ქალაქების ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, აშკარა გახდება, რომ იქაც მსგავსივე მოვლენებს ჰქონია ადგილი. თუ ჩვენში ქალაქის პირის დასახლებული ადგილები ადგილობრივი სახელით „დაბებით" აღინიშნებოდა, სომხეთში მის სინონიმად ხმარობდნენ ძირითადად ორ ტერმინს აგარაკს (უნდა მომდინარეობდეს შუმერულ-აქადური „აგარ"-დან, რაც ნიშნავს ნათესს, სახნავ მინდორს, ველს) და დასტაკერტს (ძველი სპარსული dastakrta და ფალაური dastkart, რაც ნიშნავს ხელით შექმნილს)[72]. აგარაკიცა და დასტაკერტიც ქალაქთან მდებარე დასახლებულ ადგილებს წარმოადგენდნენ. ს. ერემიანის აზრით: — „Характерной особенностью эллинистического города являлась примыкавшая к нему городская округа. За стенами городского поселения («калак» — букв. «Огороженное место» — или «шахастан») цари устраивали сельские поселения и поместья — агараки и дастакерты — с полями и садами»[73].

---

[70] საქართველოს სამოთხე, გვ. 34.

[71] О. Д. Лордкипанидзе, Ремесленное производство и торговля в Мцхета в I—III вв. н. э., თსუ შრომები, ტ. 65, 1957, გვ. 153.

[72] С. Т. Еремян, О рабстве и рабовладении в древней Армении, ВДИ, 1950, № 1, стр. 13—14; И. И. Мещанинов, Язык ванских клинописных надписей. Труды института языка и мышления, I, Л., 1932, стр. 14; Н. Пигулевская, Города Ирана в раннем средневековье, М.-Л., 1956, стр. 202—206.

[73] С. Т. Еремян, Развитие городов и городской жизни в древней Армении, ВДИ, 1953, № 3, стр. 17.

საყურადღებოა, რომ სომხეთის მსგავსად აკარა, იგივე აგარაკი, ძლიერ ჩანს გავრცელებული საქართველოშიც, უმთავრესად ფეოდალური ხანისათვის[74]. ჩვენში, როგორც ირკვევა, დასტაკერტებიც ყოფილა გავრცელებული, თუმცა სახეცვლილი სახელებით.

თანამედროვე კახეთში სოფელ ურიათუბანთან (ვაზისუბანი) შემორჩენილია ტოპონიმი „დასტაგირი“, აღმნიშვნელი ვენახოვანი და ნაყოფიერი ადგილისა. მსგავსად დასტაკერტისა (სომხურში), ესეც ირანიდან შემოსული სახელი უნდა იყოს; დასტა, დასტაკ, აღნიშნავს ხელს, გირ ზმნა giriftan-ის აწმყოს ფუძეა და აწარმოებს სახელებს. „დასტაგირი“ ნიშნავს დამხმარეს, შემწეს, მხარის დამჭერს, დაჭერილს, ტყვედ ჩავარდნილს. აზრობრივად უნდა აღნიშნავდეს ადგილს დაჭერილს, მოვლილსა და დამუშავებულს, ადამიანის მზრუნველის ხელით შექმნილს. „დასტაგირი“ აქ ქალაქური ტიპის სამოსახლოზე უნდა მიუთითებდეს, რაც „დასტაგირის“ გარდა სხვა ნართაული ნიშნებითაც მტკიცდება[75].

„დასტაგირი“ შეიძლება იყოს ასევე პირვანდელი ფორმა სახელისა, რომელიც შემორჩენილია „ნასტაკისის“ სახით ქსანთან, სარკინეს მახლობლად. „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ვკითხულობთ — „დასცა ვენახი და რუჲ გამოიღო ქსნით, და დასხნა კაცნი მერუენი დასტაგითა რუჲსაჲთა, და ჰრქვიან ადგილსა მას ნასტაგისი“[76]. წყაროს ზემოხსენებულმა ადგილმა თავითვე მკვლევართა გაცხოველებული ინტერესი გამოიწვია. ნ. მარი ხსენებულ ადგილს თავისებურად კითხულობდა და ვარაუდობდა, რომ აქ უნდა იყოს „სტაგი“ ვენახის აღმნიშვნელი სახელი[77]. ე. თაყაიშვილი „დასტაგ“-ს ხსნიდა როგორც ქირას[78]. აღნიშნულ ცნობაში სამი მომენტი შეიძლება დავინახოთ: 1. „დასცა ვენახი და რუჲ გამოიღო ქსნით“, ეს სავსებით გასაგებია; 2. „დასხნა კაცნი მერუენი დასტაგითა რუჲსაჲთა“, რაც უნდა აღნიშნავდეს დასხნა კაცნი მერუენი რუზე გარკვეული იერარქიული უფლება-მოვალეობის პირობით, სიტყვა-სიტყვით რომ ითქვას, „ხელით რუისათა“. ხელი, რომელიც ფალაური „დასტაკ“-ით არის აღნიშნული, ძველი მნიშვნელობით უფლებასა და გამგებლობას გულისხმობდა. ეს ითვალისწინებდა რუზე უფლებას და მასზე ზრუნვის მოვალეობას. 3. „ჰქვიან ადგილსა მას ნასტაგისი“. აქ სახელი უეჭველად დამახინჯებულია, თავსართი, ვფიქრობთ, უნდა იყოს „და“ სახელიდან „დასტაგ“ (და არა „ნა“); ყველა მონაცემით სახელის პირვანდელი ფორმა უნდა ყოფილიყო „დასტაგირი“. სამწუხაროდ, წყაროებში ეს სახელი თითქმის არ არის შემორჩენილი. მხოლოდ ლეონტი მროველი ახსენებს ერთხელ, თანაც მარიამ დედოფლისეულ ვარიანტში მეტად საინტერესო ფორმით „ნასტარიგი“ („და თვით დადგა ქსანს ზედა, ადგილსა, რომელსა ჰქვიან ნასტარიგი“)[79].

---

74 ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარანი). მიმომხილველი, II, თბ., 1951.

75 ლ. ჭილაშვილი, ქალაქური ტიპის უძველესი ნამოსახლარები გურჯაანის რაიონში, გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის და ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, 1965.

76 მოქცევა ქართლისა, აგიოგრაფიული ძეგლები, I, გვ. 81.

77 Н. Я. Марр. Мнимое географическое название еротастак в истории Агафангела, ЗВОАО, IX, выпуск I-IУ, СПб, 1896, стр. 191.

78 „სამი ისტორიული ხრონიკა“, გვ. 3.

79 „ქ. ც-ბა,“ I, გვ. 18.

ნასტაკისი (დასტაგირი) სარკინისა. ასევე დასტაგირი ურიათუბნისა (კახეთში) მიუთითებს ქალაქის პირის ადგილს. სამეურნეო რაიონს, დამუშავებულს ადამიანის ხელით. ისინი ქალაქებთან არსებული დაბებია, ინტენსიური მეურნეობის ზონა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ურიათუბნის „დასტაგირი" სავენახე ადგილია, მსგავსად ქსნის „დასტაგირისა" (ნასტაკისისა).

მართალია, ორი მაგალითი ვიცით დასტაგირების, იგივე დასტაკერდების არსებობისა, მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენში ძირითადად დაბები იყო გავრცელებული. ფეოდალურ ხანაში დაბა ეცემა და ადგილს უთმობს ახალ სოციალურ ტერმინს „სოფელს", რომელიც ადრე სხვა ვრცელი მნიშვნელობით იხმარებოდა[80].

გვიან შუასაუკუნეებში, როგორც ნათქვამი გვქონდა, ტერმინი „დაბა" კვლავ იხმარება. მას განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით ვახუშტი ბაგრატიონის „გეოგრაფიაში". საბა ორბელიანი ამბობს: „დაბა მომცრო ქალაქია მოზღუდვილიო". უკვე აქვე იგრძნობა, რომ ამ დროს დაბას სულ სხვა მნიშვნელობა მიუღია. ჩვენ ადრე ვნახეთ, რომ დაბა გაუმაგრებელი ადგილია; ანდრია მოციქულის მოგზაურობის ერთი ადგილის მიხედვით ეს კარგად ჩანს, დაბა ნიკოფსიაინისა აღარ იყო ქალაქი სანამ იგი არ მოზღუდა ტრაიანემაო. მაგრამ თვით ვახუშტის დროს დაბის და ქალაქის გარჩევა განა სიდიდის და მოზღუდვილობის მიხედვით შეიძლებოდა მხოლოდ? ვახუშტი ბაგრატიონს ბასიანის აღწერის დროს ერთი შესანიშნავი რამ შეუმჩნევია, რაც, ვფიქრობთ, ძვირფასი ცნობაა ძველი ქალაქების კვლევისათვისაც: „კვალად რაოდენნი დაბანი ციხოვან-კოშკოვანნი დავსწერეთ, — წერდა ვახუშტი, — იგინი მათ უწოდებენ ქალაქად. არამედ ვინადგან არა აქუსთ მართებულობა და განწყობილობა ქალაქთა, აქა დაბად ვსთქვით"[81]. ვახუშტი ბატონიშვილს კარგად ესმის, რომ ქალაქობისათვის ციხოვან-კოშკოვანობა არ არის საკმარისი, ქალაქს თავისი „მმართებულობა და განწყობილება" თუ არა აქვს, ის ვერ იქნება ქალაქად. საბა ორბელიანის მომცრო ქალაქობა გამორიცხავდა ასეთ იურიდიულ სტატუსს?

თუ ვახუშტის „გეოგრაფიის" სათანადო ადგილებს გულდასმით ჩავუკვირდებით და თვალს გადავავლებთ იმ გრძელ ნუსხას, დაბების ჩამოთვლას რომ შეეხება, შევამჩნევთ, რომ მის დროს არსებულ დაბათა უმეტესობა ან ანტიკური ხანის ქალაქებია, მისი დროისათვის უკვე დაქცეულ-შემუსვრილი, ანდა სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები: „კასპი აღაშენა პირველად ქალაქი უფლოსმცხეთოსის ძემან, და იყო ქალაქი ყრუმდე, ხოლო აწ არს დაბა დიდი"[82], „არამედ იყო ქალაქი არმაზი აქიდგან, ვიდრე ნაქულბაქევამდე, და ყრუსაგან და შემდგომად მისა მოოხრდა, ხოლო აწ არს დაბნები"[83]. „ხოლო მცხეთა არს მდინარეს შორის... ხოლო აწ არღარა არს ქალაქი, არამედ დაბა..."[84] ვახუშტის მიხედვით, მის დროს არსებობენ დაბა ნაქალაქევი, დაბა ნაქულბაქევი, დაბა ნაციხვარი, დაბა ნახიდური და სხვა. ვახუშტის მიმართ კიდევ ერთი მომენტი გვაქვს შესანიშნი; მისი თხზულების ყოველ გვერდზე ჩანს, რომ სახელოვანი ქართველი მეცნიერი ზედ-

---

[80] И. Джавахишвили. Государственнй строй..., стр. 47.

[81] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 117.

[82] იქვე, გვ. 72.

[83] იქვე, გვ. 55.

[84] იქვე, გვ. 61.

მიწევნით იცნობდა ძველ ქართულ წყაროებს. ამის მიხედვით მას გამოყოფილი აქვს ძველი ქართული ქალაქების ერთი წყება (წუნდა, ოძრხე, ურბნისი, რუსთავი, მცხეთა, სამშვილდე, კასპი...), რომლებიც მნიშვნელოვან ქალაქებს წარმოადგენდნენ. ვახუშტი აქ წერილობითი წყაროების დიდ გავლენას განიცდის და ეს ბუნებრივიცაა; მაგრამ მან ასევე იცის მეტად მრავალრიცხოვანი რიგი ქალაქებისა, რომლებიც პირველში ვერ მოათავსა გასაგები მიზეზების გამო, და მათ „მცირე ქალაქით“ აღნიშნავს: ასეთებია:ართვინი, კოლა, ართანუჯი, გოჯია, ისპირი, ნოფშა, რიზა, ჩიხორი, ქობულეთი, ბათუმი, გონია, ატენი, მძორეთი, ახალგორი, ცხინვალი, ალი, სურამი, ბარალეთი და სხვა მრავალი. უმეტესობა ამ „მცირე ქალაქებიდან“, როგორც არქეოლოგიური მონაცემებით ირკვევა, საკმაოდ მნიშვნელოვან ანტიკურ ძეგლებს წარმოადგენენ, რომელნიც ვახუშტის დიდი ქალაქების რიგში ვერ მოხვდნენ, ალბათ, ძველ ქართულ წყაროთა მონაცემების გაუთვალისწინებით.

„მცირე ქალაქები“ ვახუშტის მიხედვით მის დროს მოქმედი ქალაქებია, თუმცა მცირე, ამავე დროს ისინი ვახუშტის მიერ არ აღინიშნება „დაბით“. რატომ? მისი თანამედროვის საბა ორბელიანის სიტყვებით ხომ „დაბა მომცრო ქალაქია მოზღუდვილი“? მაგალითად, „ართანუჯი, ქალაქი მცირე და ციხე მაგარი, კეთილშენი“ — რატომ არ იმსახურებს დაბით აღნიშვნას? საქმე იმაშია, რომ ვახუშტის „დაბა“ მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება დავაკავშიროთ ძველი დაბის გაგებასთან, რის შესახებაც ზევით გვქონდა ლაპარაკი. ვახუშტის დაბა ესმის როგორც დასახლებული ადგილი, ძველ დიდქალაქთა ნაადგილარზე წარმოშობილი სამოსახლო, და ასევე ქალაქებისა და მცირე ქალაქებისაგან განსხვავებული დასახლება, მათ შორის „დაბა დიდი“, „დაბა გოდლოვანი“, „დაბა მგზავსი ციხისა“, „დაბა მოზღუდვილი“, „დაბა კოშკოვანი“, „დაბა კოშკოვან-გოდლოვან-ზღუდიანი“ და სხვა მრავალი. ე. ი. როგორც ჩანს, ვახუშტის „გეოგრაფიის“ მიხედვით, დასახლებული ადგილების გადმოცემის სულ ახალი სურათი გვაქვს. აქ გაუგებარი ის კი არ არის, თუ რატომ ხმარობს „დაბას“, არამედ ის, თუ რატომ არ ხმარობს „სოფელს“. ეს ტერმინი მის თხზულებაში თითქმის არ ჩანს, მხოლოდ ორჯერ ახსენებს მას. ეს იმ დროს, როდესაც „სოფელი“ ამ დროისათვის ძლიერ ფესვგადგმული ტერმინია. ამ გარემოების ახსნა ჯერჯერობით ძალიან საძნელოა, რადგან საამისო საბუთები არ გაგვაჩნია. ერთი რამ კი ცხადად შეინიშნება: გვიან შუასაუკუნეებში, არა მარტო ვახუშტის ნაშრომების მიხედვით, არამედ სიგელ-გუჯრებშიაც ძლიერ ვრცელდება ტერმინი „დაბა“, რომლის მნიშვნელობაც განსხვავდება მისი პირვანდელი აზრისაგან. გადმოსცემს დამოუკიდებელ დასახლებულ ადგილს (ამ შემთხვევაში ემთხვევა „დაბის“ უპირველეს გაგებას) და წარმოადგენს საშუალოს სოფელსა და ქალაქს შორის.

## 3. ქალაქები და უბნები

ძველი დასახლებული ადგილების აღსანიშნავად იხმარებოდა ასევე „უბანი“. ის, როგორც ჩანს, წინაკლასობრივი საზოგადოების პირობებშივე არსებობს. როგორც ცნობილია, ქალაქი უმთავრესად ერთი თუ რამდენიმე უძველესი დასახლების კონსოლიდაციის შედეგად მიიღება, რომელშიც მთავარ როლს ერთ-ერთი უფრო მნიშვნელოვანი სამოსახლო ასრულებს (თავისი სტრატეგიული მდებარეობით და ეკონომიკით). განვითარების შემდეგ ეტაპზე ცალკეუ-

ლი დასახლებანი პუნქტის შემადგენელ უბნებად გვევლინებიან. აქედან გამომდინარე, ძველ ქართულ ქალაქთა შემადგენელი უბნების გამოკვლევისას, უპირველეს ყოვლისა, მათი ძველი ნამოსახლარების მიგნება იქნება აუცილებელი.

ადრე, როდესაც სარკინის უბნებზე იყო ლაპარაკი, ვცადეთ ცალკეული უბნის ძველი ნამოსახლარიც გაგვესაზღვრა; ასე იყო სამადლოს უბნის, ასევე ნასტაგისის და ციხე-დიდის დასახლებების ძიებისას. ძველ ქალაქთა მრავალუბნიანობა ანარეკლი უნდა იყოს ძველ სამოსახლოთა არსებობისა, რომლებიც ძლიერ ხშირად ქალაქის წინა საფეხურზევე არსებობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ „უბნის" ეტიმოლოგია კარგა ხანია მკვლევართა ყურადღებას იპყრობს, ის დღეისათვის მაინც არ არის ახსნილი. ერთი რამ ცხადად ჩანს: „უბანი" თავისი სახეცვლილი ფორმებით ძველ ენაში გვხვდება, რაც მისი წარმომავლობის გარკვევის საშუალებას არ იძლევა[85]. ქართული „უბნის" სრული შესატყვისი სომხურში, როგორც ვარაუდობენ, არის „ავან"-ი[86]. „ავან" აჭარიანის განმარტებით არის დიდი სოფელი, გიუღა-ქაღაქი (სოფელ-ქალაქი, სოფლის სიდიდის აღსანიშნავად), რომელიც ძველად იხმარებოდა ხან ქალაქის და ხან სოფლის მნიშვნელობით. იგი იხმარებოდა ამავე დროს კომპოზიტებშიც მაგალითად გიუღა-ავან — *Գիւղաւան* — სოფელ-ავანი, ავანაგიუღ — *աւանագիւղ* — ავანა-შენ — *աւանաշէն* — და სხვ. მისივე აზრით, „ავან" ფალაურიდან ნასესხები სიტყვა უნდა იყოს. ძველ სპარსულში „ავაჰანა" ნიშნავდა სოფელს. სანსკრიტულში „ავასანა" იხმარებოდა ქალაქის მნიშვნელობით. ფალაურიდან შემოსული „ავაჰან" სომხურში გაფორმდა როგორც „ავან"[87]. ს. კაკაბაძის აზრით „უბანი" შეიძლება დაკავშირებული ყოფილიყო გაშლილი მოედნის მცნებასთან, ასევე „გარკვეულ შენებულობასთან"[88].

მ. ბროსე „ავანს" უდარებდა სომხურ „ვანქს", სანსკრიტულ „ვანი"-ს და ქართულ „ვანი"-ს[89] (ვანი, სავანე და სხვ.), რომელთა დაკავშირებასაც ნ. მარი ცდილობს „ბან"-თან. აქ მას სრულიად შესაძლებლად მიაჩნია მისი ინდოევროპული წარმოშობის საკითხის გადასინჯვა, რადგან პრეფიქს „ა"-ს დართვით „ა-ვან"-ს იგი არაინდოევროპულ სიტყვად მიიჩნევს[90]. „ვან", „ბან", „ავან" და „უბანი" მართლაც რაღაც კავშირში ჩანან ერთმანეთთან, მით უმეტეს, რომ მნიშვნელობა ერთნაირი აქვთ. ხომ არ არის „უბანი" დაკავშირებული „ბან"-

---

[85] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, გვ. 36; ს. კაკაბაძე ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, I, გვ. 96; Г. Меликишвили, К истории древней Грузии, стр. 450; ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, გვ. 161.

[86] С. Т. Еремян, Развитие городов в древней Армении, ВДИ, 1953, № 3, стр. 17.

[87] ჰრ. აჭარიანი, ეტიმოლოგიური ლექსიკონი, 1926, ტ. I, გვ. 794—96 (სომხურ ენაზე).

[88] ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

[89] M. Brosset, Aperçu General, de la longue gèorgienne, I, De L'èlymologue, Journal Asiatique, 1834, № 14, გვ. 388.
შდრ. ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, გვ. 7—9; მისი აზრით, უძველეს ძეგლებში „ვანი" აღნიშნავდა საცხოვრებელ ადგილს და ნაგებობებს.

[90] Н. Я. Марр, Определение языка второй категории Ахеменидских клинообразных надписей по данным яфетического языкознания, ЗВО, № 22, 1915, стр. 27.

თან, რომელიც სახურავს აღნიშნავს? ამ კითხვაზე პასუხს ნ. მარი თავს არიდებს სათანადო მონაცემების არარსებობის გამო, თუმცა უყურადღებოდ არ ტოვებს აზრობრივ დამთხვევას ავესტის „ბან“-თან, რომელიც ასევე აღნიშნავს სახურავს[91]. დაახლოებით ასეთივე სიტყვა სემიტურშიც გვხვდება, არაბულ- بني (ბანა) ზმნა ნიშნავს ააშენა, გააშენა, განაახლა, აქედან (ბინა) — შენობა, ნაგებობა (ქართული ბინა?)[92].

მსგავსივე კავშირი ქართულ-სომხური ტერმინისა ზემოაღნიშნულ სანსკრიტულ სიტყვასთან (ავაზანა), ასევე ძველ სპარსულ Avahana-სთან აღნიშნული ჰქონდა მორტმანსაც. განსხვავებით ის უფრო შორს მიდის და ამავე ძირს უკავშირებს გერმანულ Wohnen-ს (ცხოვრება, მოსახლეობა)[93]. მიულერი „ავან“-ს ფალაურ „პალატ“-ს (იგივე მნიშვნელობა აქვს ქართულშიც) უკავშირებს. იგი სიტყვიდან გამოჰყოფს „ავ“ ძირს. მისი აღნიშვნით „ავნა“ თალმუდის ებრაულში აღნიშნავს ფუნდუკს[94].

ქართული „უბანი“ და სომხური „ავანი“ ურთიერთკავშირში აქვს წარმოდგენილი გ. ღაფანციანსაც. იგი დამატებით უბანს ურარტულ სიტყვა ebani-ს უფარდებს, რაც ქვეყნის აღმნიშვნელ ტერმინად არის მიჩნეული[95].

ზემოთ აღნიშნული ტერმინების ირგვლივ ბევრი სხვა ავტორის მოსაზრებების მოტანაც შეიძლებოდა, მაგრამ ეს ზედმეტად მიგვაჩნია, რადგან აღნიშნული სიტყვების ეტიმოლოგია ჯერჯერობით სრულად ვერ გამოიყურება. ცხადად ჩანს, რომ, მსგავსად „ქალაქისა“, „უბანიც“ თავისი სახეცვლილი ფორმებით საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე გავრცელებული ტერმინია, გვხვდება მრავალ ძველ ენაში და ბევრ შეცვლილ ფორმებსაც იძლევა. ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ანალოგიური ტერმინების ხმარება სომხეთში და ასევე საქართველოში, სადაც საზოგადოების განვითარება დაახლოებით ერთნაირი საფეხურებით მიდიოდა.

როგორც ცნობილია, ანტიკური ხანის სომხეთის ქალაქები გარშემორტყმული იყო აგარაკებითა და დასტაკერტებით, მსგავსად ქართული ქალაქებისა, რომლებიც მსგავსადვე დაბების, ასევე ზოგჯერ დასტაკერტების რკალში იყვნენ მოქცეული. სომხეთში, აგარაკებისა და დასტაკერტების გვერდით თანდათანობით წარმოიშვება ავანი — თავისუფალ მიწისმფლობელთა და ხელოსანთა დასახლება. V—VIII საუკუნეებისათვის ასეთი ავანებით იყო შემორტყმული სომხეთის ქალაქები, დიდი თუ პატარა[96]. საყურადღებოა, რომ ქართულ ქალაქზე დაკვირვებით დაბა, ანტიკური ქალაქის თანამგზავრი, ხშირად უბნის სინონიმი შეიძლებოდა ყოფილიყო. ეგების ამის ამსახველი იყოს „მოქცევაჲს“ „ქალაქები და დაბნები მათის“ შეცვლა მროველის თხზულებაში ნახმარი გამოთქმით „ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი“. ეს მომენტი მცხეთის მიმართ შენიშნული აქვს ნ. ბერძენიშვილს. „ისე ჩანს, — წერს იგი, — რომ „უბა-

---

[91] ნ. მარი, იქვე, გვ. 66.

[92] გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, 1951, გვ. 31.

[93] Mordtmann, Entzifferung und Erklärung der Arm. Keilinschriften von Van und der Umgegend, ZDMD, 3.

[94] ჰრ. აჭარიანი, ეტიმოლოგიური ლექსიკონი, VI.

[95] Г. Капанянц, Историко-лингвистические работы, I, Ереван. 1957, стр. 215; Г. Меликишвили, К истории древней Грузии. стр. 450; ა. აფაქიძე, ქალაქები..., გვ. 161.

[96] С. Т. Еремян, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

ზოლ ესაა დასახლებული პუნქტი, რომელიც გარკვეულ დამოკიდებულებაში იმყოფება სხვა პუნქტისაგან"[97]. ამ შემთხვევაში უბნად მცხეთის ცალკეული უბნები იგულისხმება და მათი დამოკიდებულება უშუალოდ მცხეთასთან.

არ არის გამორიცხული „უბანი", ისევე როგორც სხვა მეზობელ ქვეყნებში, უძველეს დროს აღნიშნავდა დასახლებულ პუნქტს, სოფელს; „დაბა" — დამუშავებულ ადგილს, ქალაქის სამეურნეო-სამიწათმოქმედო ერთეულს (აქ იგულისხმება მათი დამთხვევაც), ისევე როგორც დასტაგირები. „უბნის" შემდგომი მნიშვნელობა ვიწროვდება და იგი დასახლებული ადგილის, უმთავრესად ქალაქის ცალკეულ კვარტალს აღნიშნავს. რა შეიძლება იყოს მიზეზი ასეთი მონაცვლეობისათვის? როგორც ცნობილია, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ცალკე უბნებად დასახლება უძველესი დროიდანვე არის სავარაუდებელი. ურბნისის გათხრების წყალობით საფიქრებელია, რომ ჯერ კიდევ გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში აქ ორი ერთმანეთისაგან გამოყოფილი დასახლებული ადგილი ყოფილა. ამის აშკარა მოწმობაა ორი დამოუკიდებელი სამაროვნის არსებობა შემდგომდროინდელი ქალაქის ორ მოპირისპირე მხარეს[98]. ცალკეული დასახლებული ადგილები (უბნის ძველი მნიშვნელობით, რომელიც დამოუკიდებელ პუნქტს აღნიშნავდა), რომელთა კონსოლიდაციის შედეგადაც ვიღებთ ქალაქს, ამიერიდან ქალაქში ცალკეული უბნების სახით არსებობენ. ამ შემთხვევაში მისი ფაქტიური მდგომარეობის გამო უბანი — ძველი დამოუკიდებელი პუნქტი, ქალაქში მის შემადგენელ ნაწილად იქცა. ტერმინი „უბანიც" ვიწროვდება და იქ დასახლებული ადგილის ცალკეულ კვარტალსღა აღნიშნავს. აქ კიდევ ერთი მომენტი შეიძლება გავითვალისწინოთ. ტერმინების „უბნისა" და „დაბის" მნიშვნელობათა დამთხვევა ზემოთ აღწერილ ვითარებაში ხდებოდა და საბოლოოდ შემოსული ტერმინით „უბანი", აღინიშნებოდა მისი ვიწრო შინაარსი, დასახლებული (დამუშავებული) ადგილის აღმნიშვნელად კი დარჩა ადგილობრივი ტერმინი „დაბა". ძველი ქართული ქალაქების საკმაოდ მრავალრიცხოვანი უბნები (ამ სიტყვის ფართე ცნებით) პირველყოფილისა დამოუკიდებელ პუნქტებს წარმოადგენდნენ; ასე უნდა ყოფილიყო მცხეთის მიდამოებში, სარკინეში, წუნდაში და სხვაგან, შემდეგ კი იქცნენ ქალაქის შემადგენელ ნაწილებად — უბნებად (ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით).

შემორჩენილი მდიდარი ტოპონიმიკური მასალის მიხედვით, ასევე არქეოლოგიური მონაცემებით ირკვევა, რომ უბანი სხვადასხვა დამახასიათებელი ნიშნით გამოიყოფოდა; ერთ შემთხვევაში გვაქვს უბნები აქ მოსახლეთა სპეციფიკური საქმიანობის მიხედვით, მეორე შემთხვევაში ცალკე უბნად დასახლება ხდება ეთნიკური ნიშნის მიხედვით, ზოგჯერ წინ რელიგიური მომენტია წამოწეული. ძალიან ხშირად არც გეოგრაფიული პირობებია დავიწყებული[99].

სპეციფიკური საქმიანობის მიხედვით უბნად დასახლება შედარებით მოგვიანო ამბავია და იგი კარგად ახასიათებს კლასობრივი საზოგადოების დასახლებებს, უმთავრესად კი ქალაქური ტიპისას. მაგალითად, სარკინეში რკინის

---

[97] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 413.

[98] ლ. ჭილაშვილი. ნაქალაქარი ურბნისი, გვ. 135.

[99] ივ. ჯავახიშვილი. ქალაქისა და სოფლის მდებარეობის მიხედვით ცალკე გამოჰყოფდა ოთხ უბანს: წინა-უბანს, უკანა-უბანს, შუა-უბანს და გარე-უბანს. ყველა ისინი კარგად არის ასახული წერილობით ძეგლებშიაც: ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, გვ. 36.

მდნობელთა და ლითონზე მომუშავეთა ცალკე უბანია სავარაუდებელი, სადაც თავმოყრილი იქნებოდა „რკინის კაცთა" ძირითადი საცხოვრისი[100]. მცხეთაში, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" მიხედვით, მეხამლეთა და მეჯადაგეთა უბანი უნდა ყოფილიყო, რომელთაც გამაერთიანებელი რაღაც ორგანიზაცია უნდა ჰქონოდათ, სადაც მათთვის საჭირბოროტო საკითხებს იხილავდნენ. მინაზე მომუშავე ხელოსანთა უბანი ჩანს ორბეთსა და ნატბეურში[101], ასევე მეთუნეთ უბანი უნდა ყოფილიყო XII—XIII სს. თბილისშიც (დღევანდელი ბალნეოლოგიური კურორტის რაიონში, სადაც 1948 წ. გაითხარა თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურები და წარმოებასთან დაკავშირებული სხვა ნაშთები[102].

უბანს მტკიცედ განსაზღვრავდა მისი ეთნიკური შემადგენლობა, რაც ხშირად სახელშიაცაა გამოხატული. როდესაც უბანს მსაზღვრელად ეთნიური სახელი ერთვის, მაშინ ის აღნიშნავს, რომ ეს უბანი, დასახლებული ეთნიური ნიშნის ქვეშ, ამ გარემოში უცხოა. სახელში აღნიშნული ეთნიურობაც სწორედ მის განმასხვავებელ მნიშვნელობაზე მიუთითებს. ქართლში ქართველთა უბანს ვერ შეხვდებით, სამაგიეროდ ვხვდებით უბანს ჰურიათას. „ურიათუბანს" ვხვდებით კახეთშიაც. ეს გასაგები გარემოებაა: „უბანი ჰურიათა" ქართველთა მხარეში უცხოა და უცხოობის ნიშანი სახელშივე ჩანს, თორემ ქართველთა მხარეში ქართველთა უბანი ხომ ისედაც იგულისხმებოდა. ცხადია, უბანი იქ მოსახლეთ რაღაც ნიშნით გამოჰყოფს სხვებისაგან და ეთნიური მომენტის აღნიშვნაც სწორედ ამას ემსახურებოდა.

ძველ ქალაქებში განსაკუთრებით ძლიერი ჩანს ებრაელთა სამოსახლოება. უბანი ურიათა იყო მცხეთაში, ასევე ურბნისშიც[103]. ამ უკანასკნელში დღესაცაა შემორჩენილი ადგილის სახელი „ნაურიალი". ვახუშტი ბაგრატიონის „გეოგრააფიის" მიხედვით კარგად ჩანს, რომ მის დროსაც კი, ქალაქების, მცირეთა თუ დიდთა, თუ ძველთა — მისი დროისათვის დამცრობილთა თუ უბრალო დაბად აღნუსხულთა მოსახლეობის ერთი წილი ებრაელებია. ეს არ შეიძლება შემთხვევითი ამბავი იყოს და აქ ძველის ტრადიცია აშკარად ჩანს. ასეთი ფაქტობრივი მონაცემებიდან გამომდინარე და სხვა საბუთების გათვალისწინებით, კახეთში სოფელ ურიათუბნის (დღევანდელი ვაზისუბანი) მიდამოებში ძველი ქალაქური ტიპის სამოსახლო ვივარაუდეთ[104]. საგულისხმოა, რომ ქართლში მოხსენებულია ადგილის სახელიც „ურია" მცხეთის ჩრდილოეთით ოხერ-ხიდის (ხიდარი) ზემოთ „ამის ჩდილით ურია, მოსახლენი ვაჭარნიო" — ამბობს ვახუშტი[105]. ეს უკანასკნელი კარგად შენიშნავს, რომ ურიების უბნები ქალაქებში თუ ცალკე, უსათუოდ მიუთითებს საქალაქო მეურნეობის სახეებზე, ვაჭრობაზე და ხელოსნობაზე.

---

100 ა. აფაქიძე, ქალაქები..., გვ. 232.

101 ნ. უგრელიძე, მინა ძველ საქართველოში, გვ. 14.

102 გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წ. ზამთარში. მსკა, I. გვიანი შუასაუკუნეების თბილისის მეთუნეთ უბანია ჩუღურეთი, ამაზე აქ ბევრი საინტერესო ადგილის სახელიც მიუთითებს, რომელიც დროთა განმავლობაში ქუჩების სახელებად ქცეულა, ასეთებია დოქის ქუჩა, კოჯის ქუჩა, მეთუნეთა ქუჩა და სხვა. ესარგებლობთ თ. ბერიძის დაკვირვებით.

103 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

104 ლ. ჭილაშვილი, უძველესი ქალაქური ტიპის ნამოსახლარები გურჯაანის რაიონში.

105 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 64.

ებრაელთა უბნების გვერდით ძველ ქართულ ქალაქებში მოსალოდნელია სხვა ეროვნებათა სამოსახლოებიც. თუ ლეონტი მროველს დავუჯერებთ, ძვ. წ. IV—III სს. ქართლში სავარაუდოა ასევე ხაზართა, ასურელთა, ბერძენთა, სომეხთა და სხვ. უბნებიც.

რელიგიური ნიშნის მიხედვით უბნებად დასახლებას უფრო ღრმა ფესვები აქვს. წინაკლასობრივ საზოგადოებაში ცალკეული გვარები, მიუხედავად მისი „ეთნიური" ერთიანობისა, სახლობენ გარკვეული ტომების „მფარველობის" ქვეშ, ისე რომ კულტად აღიარებენ ხშირად განსხვავებულ საგნებს. კლასობრივი საზოგადოების დროს განსხვავებული რელიგიის მოსახლეობა ცალკე უბნად სახლობს. ქალაქებში ცალკეულ ასეთ უბანს თავისი საკუთარი სამლოცველო ჰქონდა. მას ასევე ცალკე ჰქონდა სამაროვანიც. ურიათუბანს მცხეთისას თუ ურბნისისას რომ ცალკე სამლოცველო და სამაროვანი ეკუთვნოდა, ამაში ალბათ ეჭვიც არ უნდა შეგვეპაროს.

სხვათაშორის, უბნებად დასახლების ეთნიკური და რელიგიური მომენტები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. შუასაუკუნეების თბილისში, ისევე როგორც უფრო მოგვიანო ხანებში, ცალკე უბნებია ცნობილი, სადაც მუსლიმანი მოსახლეობა არის განლაგებული. აქვე ცალკე უბნებია ცნობილი შიიტობისა და სუნიტობის სექტების მიმდევრებისაც, ცალკე უბანი იყო სომხებისაც და სხვ.

წყაროებში გვხვდება მცხეთის მოგვთა უბანი, სადაც საქმე უნდა გვქონდეს უბნად გამოყოფის სოციალურ საფუძველთან, რაც შემდგომადაც კარგად იყო ცნობილი[106]. მსგავსივე შინაარსი უნდა იდოს „ბერთუბანშიც".

თუ ტოპონიმიკურ მონაცემებს გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ უბანი მსაზღვრელთან ერთად ძლიერ გავრცელებული ადგილის სახელს წარმოადგენდა. სახელთა ერთი რიგი გეოგრაფიულ თავისებურებაზე მიუთითებს (ხევისუბანი, წინუბანი, ვარეუბანი...). ზოგში სამეურნეო საქმიანობაა წინ წამოწეული (ცალოუბანი, კალოსუბანი...). ზოგჯერ მსაზღვრელად მცენარეები, ცხოველები და სხვ. შესულა (ჭანდრის უბანი, ვარდისუბანი, ქორების უბანი, დევთუბანი, ეშმაკთუბანი და სხვ.).

ამ რიგის სახელების მიხედვით ირკვევა, რომ უბნით აღნიშნული ადგილის სახელების დიდი უმეტესობა დამოუკიდებელ დასახლებულ ადგილებს წარმოადგენდნენ და არა უბნებს მისი გავრცელებული მნიშვნელობით. ამავე დროს ჩანს, რომ, მსგავსად „დაბისა", „უბანიც" პირვანდელი დანიშნულებით დამოუკიდებელი დასახლებაა, შემდეგ მისი მნიშვნელობა ვიწროვდება. თუმცა ძალიან ხშირად კვლავ ცალკე დასახლებას აღნიშნავდა.

ტოპონიმიკაში ძალიან ხშირად „უბანი" „მან"-ის სახით არის წარმოდგენილი. მაგალითად, კიმოთისუბანი — კიმოთისმანი. ასეთი სახელების რიგს მიეკუთვნება ფლავისმანი, ქვაბისმანი, ქორესიმა (ქორების უბანი) და სხვ. I თავში, წუნდაზე საუბრის დროს, მოვიხსენიეთ ჯიუტ-მალა, რომელიც უნდა ებრაელთა უბანს აღნიშნავდეს. „მალა" აქ სახეცვლილი „მან" უნდა იყოს.

რომ ძველი ქართული ქალაქები მრავალუბნიან ძეგლებს წარმოადგენდა, კარგად ჩანს წერილობითი წყაროებით და ასევე კარგად დასტურდება არქეოლოგიური გათხრების წყალობითაც[107]. ადრე შენიშნული გვქონდა, რომ ქალაქ

---

[106] ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

[107] ა. აფაქიძე. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, გვ. 159.

ცურტავში „შუშანიკის მარტვილობის“ მიხედვით სამი ძირითადი უბანი გამოიყოფოდა; ესენია ციხისუბანი, ტაძრის უბანი, სადაც მხარის გამგებლის რეზიდენცია და ხედაფესის სამყოფელი იყო განლაგებული და დაბა — ეკლესიის უბანია, სადაც ქალაქის მცხოვრებთა ძირითადი მასა იყო თავმოყრილი. არ არის გამორიცხული ამ უკანასკნელში სხვა უბნების არსებობაც. დაახლოებით ასევე გამოიყურებოდა ადრეფეოდალური ხანის რუსთავიც. მრავალუბნიანობა დამახასიათებელი ნიშანია თითქმის ყველა ძველი ქართული ქალაქისათვის (მცხეთა. სარკინე, წუნდა და სხვ.).

## 4. ქალაქები და ციხეები

როდესაც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ერთ ცნობას ვიხილავდით, სადაც ქალაქებზეა ლაპარაკი, უპირველეს ყოვლისა, ერთი თითქოსდა შეუსაბამობა მოგვხვდა თვალში, სახელდობრ, დამოკიდებულება წყაროში ჩამოთვლილი ქალაქებისა მათსავე ციხეებთან. ამავე დროს ეჳეი ცნობის სისწორისა მით უფრო ძლიერდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალაქები და მათი ციხეები საკმაოდ მოშორებულნი არიან ერთმანეთისაგან ტერიტორიულად; ციხე-დიდი სარკინისა, უფლისციხე კასპისა... როგორც ადრე იყო აღნიშნული „მოქცევაში“ ურბნისის და ოძრხის ციხეები მათთანვეა სახულვებელი, სარკინეს და კასპს კი ციხეები მოშორებითა აქვთ. შესაძლებელია თუ არა „მოქცევის“ ეს ცნობა რეალური ვითარების ამსახველი იყოს? ესე იგი ზემოთ დასახელებული წყაროს ადგილი არის თუ არა სანდო და შეიძლება თუ არა მისი მიღება როგორც საისტორიო დოკუმენტისა? ამისათვის უკეთესია კვლავ არქეოლოგიურ მონაცემებს დავუბრუნდეთ და მოკლედ განვიხილოთ როგორც საკუთრივ წყაროში მოხსენიებული ერთ-ერთი ძეგლი სარკინე-ციხედიდი, ისე შესადარებლად სხვაც, წუნდა მასთანვე დაკავშირებულ ციხესთან ერთად.

აღნიშნული საკითხის გაგება მჭიდროდ არის დაკავშირებული ძველი ქალაქის წარმოშობასა და მისი ტერიტორიული მდგომარეობის ცოდნაზე, ქალაქობის პირველივე საფეხურებიდან. ცხადი ხდება, რომ ძველი ქართული ქალაქი გენეტიკურად უკავშირდება ძველ სამოსახლოებს, რომელთა განვითარებითა და ზრდით ვიღებთ ქალაქის ძირითად ბირთვს. ძალიან ხშირად ქალაქი წარმოდგენილია არა ერთი, არამედ რამდენიმე ძველი საცხოვრისით, რომლებიც ქალაქში ჰქმნიან ცალკეულ უბნებს. შესწავლილი ძეგლებიდან ამის საუკეთესო მაგალითია მცხეთა. ა. აფაქიძეს ხანგრძლივი დაკვირვებისა და არქეოლოგიური გათხრების შედეგად საშუალება მიეცა ქართლის ამ უძველესი ცენტრის მიდამოებში რამდენიმე მნიშვნელოვანი უბანი გამოეყო[108]. ამ თვალსაზრისითვე ანალოგიური სურათი ჩანს სარკინე-ციხედიდის მიხედვითაც. რომ სარკინე დამოუკიდებელი ქალაქია და არა მცხეთის უბანი, ამის შესახებ ადრე გვქონდა შენიშნული და აქ აღარაფერს ვიტყვით.

ანტიკური ხანის სარკინე, მსგავსად მცხეთისა, წარმოადგენდა საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე დასახლებულ ქალაქს, რომელიც მტკვრის ორივე მხარეს ცალკეული უბნებით იყო გარემოცული (იხ. სურ. 9). სარკინე ქალაქის ძირითა-

[108] ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, გვ. 159 და შემდეგ.

და უბნებია ქსნის ციხე, მის მოპირდაპირე მხარეს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე სამადლოს გორა, ნასტაკის-ნასპარსევი, გრძელი მინდორი და მდინარის მარჯვენა მხარეს სარკინეს ხევი. ქალაქს ნაყოფიერი სამეურნეო რაიონი ჰქონდა, რომელიც მოიცავდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდინარით და ქედით მოზღუდულ სარწყავ ადგილებს და მარჯვენა ნაპირის სახნავ-სათეს მიწებს, სამადლოს გორიდან მოყოლებული სარკინეს ხევის ჩათვლით. ე. ი. სავარაუდოდ, სარკინეს შემდეგი ძირითადი უბნები ჰქონია: 1. ქსნის ციხე[109], 2. მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე, ნასტაკისის ველის დასაწყისში მდებარე გორა, 3. სამადლოს გორა (მტკვრის მარჯვენა ნაპირზე), 4. ციხე დიდი და 5. გრძელი მინდვრის ნაქალაქარი (სურ. 9).

მდინარე ქსანი სარკინე-ქალაქის დასავლეთის ბუნებრივი საზღვარია, რომლის მარცხენა ნაპირზედაც გოროზად აღმართულა ქსნის ციხე, საკმაოდ მიუვალი და გამაგრებული საფორტიფიკაციო ნაგებობა. ქსნის ციხის შემორჩენილი ნაგებობანი გვიანი შუასაუკუნეებისაა[110], მაგრამ აქ უეჭველად მოსალოდნელია ადრეული ნამოსახლარის არსებობაც. ყოველი შემთხვევისათვის საამისო დასკვნების საშუალებას იძლევა წყლით ჩამორეცხილ ფლატე-ფერდობებზე ანტიკური ხანის წითლად შეღებილი კრამიტების და კერამიკის აღმოჩენები. ქსნისა და მტკვრის შესაყარი მეტად ძლიერი სტრატეგიული ადგილი იყო, რომელსაც ევალებოდა კონტროლი და დაცვა უპირველესად ქსნის ხეობისა და იმ სავაჭრო გზებისა, რომლებიც ამ რაიონში გადიოდა. სხვათა შორის, აქ ერთმანეთს ჰკვეთდა გზა, რომელიც ქსნის ხეობით ჩრდილოეთიდან მოემართებოდა და ანტიკური ხანის ცნობილი სავაჭრო მაგისტრალი. ნაგზაურის ნაშთები კარგად შეიმჩნევა როგორც გეომორფოლოგიური ნიშნებით, ისე ადგილთა სახელებით. სწორედ ქსნის მონაკვეთზე დასავლეთიდან მტკვრის გასწვრივ მომდინარე გზის ერთი შტო სცილდებოდა მტკვრის ხეობას, კასპიდან გამოსული გადმოდიოდა მთაზე უღელტეხილით დღევანდელ ალაიანთან, გადაკვეთდა ქსანს სარწყავი არხების ზონაში და მუხრან-ძალისა-წილკნით მისაქციელთან მცხეთისკენ გაუხვევდა. ნ. ბერძენიშვილმა გზის ამ მონაკვეთში შიდა ქართლის უმთავრესი გზა ივარაუდა, რომელიც იბერიის ბარისა და ზეგნის საზღვარზე იყო განლაგებული[111]. ადგილის სახელი „მისაქციელიც“ მისი დაკვირვებით თვითვე მეტყველებს მის მნიშვნელობაზე — „იგულისხმება, რომ ძალისა-წილკანზე წამოსული გზა აქ (მისაქციელში) მიუხვევდა. „მიუქცევდა“ არაგვის პირისაკენ (ბულაჩაურისაკენ?), ან ნატახტარ-მცხეთისაკენ. შესაძლებელია აქ, მისაქციელს, საგზაო ნიშანი რაიმე იდგა (მილიონი, ნებოძირი)[112].

რომ მცხეთაში შემოსასვლელი გზა ამ მონაკვეთზე იდო, წერილობითი წყაროებითაც მტკიცდება. ლეონტი მროველის ცნობით, იმ საბედისწერო დღემ, როდესაც მირიან მეფემ გადაწყვიტა ქრისტეს რჯულის მიღება, მეფეს მოუსწ-

---

[109] მოგვიანებით შერქმეული სახელით (ქსნის ციხე) აღვნიშნავთ იმ ნამოსახლარს, რომელიც აქ მდებარეობდა ანტიკურ ხანაში.

[110] პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ქსნის მჭადიჯვრის და მუხრანის ციხე-სიმაგრეები, „მუზეუმის მოამბე“, XVIII-B, 1954.

[111] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 397; ნ. ლ ო მ ო უ რ ი, ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკ. I, გვ. 114.

[112] ი ქ ვ ე, გვ. 398.

რო ნადირობისას თხოთის მთაზე, რომელიც კასპს და, საერთოდ, მტკვრისპირეთს გადაჰყურებს. „ხოლო მეფემან მოვლო ყოველი სანახები მუხრანისა და აღვიდა მთასა ზედა თხოთისასა მაღალსა, რათამცა მოიხილა კასპად და უფლისციხედ. განვიდა თხემსა მთისასა“[113]. ეს არის დაახლოებით ის ადგილი, სადაც გზა კასპიდან წამოსული თხოთის მთის თხემზე, უღელტეხილზე გადმოდის. „გარდასავალსა ზედა კასპისასა“. მზის დაბნელებისა და მირიან მეფის მიერ ახალი სარწმუნოების აღიარების შემდეგ, მეფე ბრუნდება მცხეთას „ნანა დედოფალი და ყოველი ერი განვიდა მიგებებად მეფისა... და მიეგებოდის ქინძარას და ღართას“[114]. სწორედ ზემოხსენებული გზაა აქ ნაჩვენები მუხრანის ველით. ძალისა-მისაქციელით ქინძარა-ღართისკარით მცხეთისაკენ. აქ ერთი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ. მართალია, აღნიშნული მონაკვეთი ეკონომიურად ღონიერი ადგილია და გასაკვირიც არ იქნება, თუ აქ გზის არსებობას ვიგულისხმებდით, მით უმეტეს, რომ გზა აქედან მარტო მცხეთას კი არ მიდიოდა, არამედ ჩრდილოეთითაც, არაგვის ხეობით. საქმე ის არის, რომ სავაჭრო გზა მტკვრის ხეობას მოსდევდა მდინარის მარცხენა ნაპირით, აქ კი, ქსნიდან, უფრო სწორად სარკინედან მოყოლებული მცხეთამდე, მდინარის პირი კლდოვანია, დამრეცი, მიხვეულ-მოხვეული, ვიწრო კალაპოტით, რაც არ იძლევა საშუალებას მიმოსვლისათვის. ქსნიდან, უფრო კი სამადლოდან, გზის ერთი მონაკვეთი, მტკვრის მარჯვენა ნაპირით მიდიოდა მცხეთისაკენ არმაზით კერძ ქალაქისაკენ. ეს გზა უმთავრესად სარკინეს (სამადლოს) მცხეთასთან დამაკავშირებელი იყო (ამის შესახებ ქვემოთ). ხსენებული გზის მოუწყობლობაზე და შესაბამისად მის უფრო მოუხერხებლობაზე ცნობას ვხვდებით წმ. რაჟდენის წამების ტექსტშიც; წმ. რაჟდენი გადის მცხეთიდან არმაზით კერძ ქალაქიდან საბრძოლველად „და გზისა სივიწროთა ვერღარა ეძლო პირისპირ შეტევება და შეიპყრეს სანატრელი იგი მხედარი ქრისტესი“[115].

ქსნის ციხის ჩასწვრივ ანტიკური ხანის ნამოსახლარი გორაა, ეჭვს გარეშეა ნასტაკისის სამეურნეო რაიონთან დაკავშირებული, რომელზედაც ყურადღება აქვს გამახვილებული აქ ჩატარებული დაზვერვების დროს ნ. ბერძენიშვილს. გორაზე მოკრეფილი არქეოლოგიური მასალა, უმეტესად ანტიკური ხანისა, მიუთითებს, რომ გორა სამოსახლოდ გამოყენებული ყოფილა უმთავრესად აქ არხის გაყვანის შემდეგ, რაც ძვ. წ. IV საუკუნისათვის არის საგულვებელი. ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობს, რომ ზემოხსენებული გორა არის სწორედ იმავე ხანის მოსახლეობის ადგილი, სადაც ტრადიციით ალექსანდრე მაკედონელმა „დასხნა კაცნი მერუვენი“[116]. მდებარეობა ნამოსახლარი გორისა ისეთია, რომ რუს მის სიახლოვეს უნდა გაევლო და აქედან უნდა მომხდარიყო მორწყვა მთლიანად ველისა. ამდენად მათი ურთიერთდაკავშირება არ უნდა იყოს მოკლებული საფუძველს. ნამოსახლარი ეკუთვნის ქსნის რეს მომვლელ-ზედამხედველებს, გარკვეულ სოციალურ ფენას, რომელსაც ევალებოდა დასტაგი რეჰსადთა (ტაბ. $VIII_2$).

ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანი სარკინე-ქალაქისა, რომელიც მის სამეურნეო რაიონს დასტაგირს (ნასტაგისს) მოიცავდა, ადგილს მოვლილს

---

113 „ქ ც-ბა“, I, გვ. 109.
114 „ქ ც-ბა“, I, გვ. 110.
115 წამება წმ. რაჟდენისა, საქართველოს სამოთხე, გვ. 173.
116 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 414.

და დამუშავებულს, ადამიანის ხელით შექმნილს. დასტაგირები (დასტაკერტები, აგარაკები), როგორც ადრეც გვქონდა აღნიშნული, დამახასიათებელი მოვლენაა ძველი ქალაქებისათვის და მისი დადასტურება სარკინისათვის მნიშვნელოვან ფაქტად უნდა ჩაითვალოს.

სარკინეში ყველაზე მნიშვნელოვანი უბანი, როგორც ეს არქეოლოგიური დაზვერვებით ჩანს, სამადლო უნდა ყოფილიყო. სახელი ჩვენი შერქმეულია იმ პატარა მშრალი ხევის მიხედვით, რომელიც ამ მეტად საინტერესო, მაგრამ თითქმის უკვე განადგურებულ ძეგლს ჩამოუდის დასავლეთის მხრიდან[117]. ძეგლი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს ქსნის მტკვართან შეერთების ცოტა ქვემოთ. თავის დროზე იგი წარმოადგენდა მოზრდილ გორას, საკმაოდ ძლიერ სტრატეგიულ ადგილს, რომელიც ანტიკურ ხანაში მაინც, მჭიდროდ იყო დასახლებული. სამწუხაროდ, დღეს იგი საფუძვლიანად არის დანგრეული (ტაბ. VII₁). საქმე შემდეგშია: ჯერ კიდევ 1909 წ. საჭირო ნედლეულის მდიდარი მარაგის გამო (რითაც მთელი ეს ვეებერთელა გორა იყო სავსე), აქ იტალიელი ანჯელა ანდრეოლეტი აგებს კრამიტის ქარხანას და იწყებს გორის ნგრევას. მიწის პირველსავე სამუშაოებს მოჰყვა ძვირფასი არქეოლოგიური აღმოჩენები, რომელთა ნაწილმა სპეციალისტებამდეც მიაღწია[118]. ძეგლის განადგურების დროს მუშები ანგრევდნენ სამარხებს, ნათალი ქვით ნაგები შენობების ნაშთებს და სხვ[119]. ასე, ჯერ უცხო მრეწველის, შემდეგ ქსნის აგურ-კრამიტის ქარხნის მიერ გამოშიგნული ძვირფასი ძეგლი გულისმომკვლელად გამოიყურება. დარჩენილია მისი დასავლეთის და აღმოსავლეთის შემართული კლდოვანი ქიმები, შუაში კი გამოღადრულია. შემორჩენილი კულტურული ფენები, სამადლოს გორის ორივე ნაწილზე, ერთნაირად გადაბუგულ-გადამწვარია, ზედაპირი ცეცხლისაგან გაწითლებული და გამომწვარი. ეს უნდა იყოს კვალი იმ ძლიერი ხანძრისა და ნგრევა-აოხრებისა, რომელიც ქართლის ქალაქებს დასტყდომია თავს მტერთა ერთ-ერთი შემოსევის შედეგად IV—III სს. ეს არის გაგრძელება იმ დამწვარი ფენებისა, რომელიც ასე კარგად ჩანს ურბნისის, არმაზციხის და სხვ. ნანგრევებზე.

სამადლოზე მოკრეფილი უამრავი არქეოლოგიური მასალა, განსაკუთრებით კერამიკა, ნათლად გვიჩვენებს მის მჭიდრო დასახლებასა და ძლიერებაზე. მისი სტრატეგიული მდებარეობაც ისეთია, რომ მის კონტროლს ვერავინ ასცილდება. მტკვარგაღმა ქსნის ციხე, გამოღმა კი სამადლოს გორა, ორივენი ერთიმეორეზე გადაბმული მთების ბოლოებზე არიან ამართული, რომლითაც ბუნებრივად არის შემოფარგლული მდინარის ორსავ მხარეს დაცემული ადგილი

---

[117] სამადლოს დაზვერვებს ვაწარმოებდით 1964 წ. ზაფხულში ი. გაგოშიძესა და არქიტექტორ თ. ჯაფარიძესთან ერთად.

[118] აღნიშნულ ნივთებს ამუშავებს ი. გაგოშიძე. მისივე ხელმძღვანელობით 1966 წ. ზაფხულს დაიწყო სამადლოს არქეოლოგიური გათხრები.

[119] ქარხნის ყოფილი მუშის რთველიაშვილის გადმოცემით, რომელიც აქვე სახლობს, მუშები ხშირად პოულობდნენ ოქროს ნივთებს, რომელთა მიმართაც ქარხნის პატრონს ძლიერი ინტერესი გასჩენია (ალბათ კომერციული). იგი მუშებს სპეციალურად აცრევინებდა მიწას, რომ რამე ძვირფასეული არ გაჰყოლოდა თან. მისივე ჩვენებით მუშებს დაუნგრევიათ თლილი ქვებით ნაგები შენობის ნაშთებიც, საიდანაც ქვები გაუზიდ-გამოუზიდიათ. ერთი ნაწილი მასაც წამოუღია და სახლის აშენებისას გამოუყენებია. ქვიშაქვის გათლილი ფილები სხვადასხვა ზომის და სიდიდისა ჩვენ მიერ არის ფიქსირებული ადგილზე.

ნასტაგირ (ნასტაკის) — ნასპარსევ[120] — ციხე დიდი, ქალაქის ეკონომიური საყრდენი.

სამადლოს გორაზე მოკრეფილი არქეოლოგიური მასალა უმეტესად ანტიკურია, შავპრიალა, ასევე წითლად მოხატული, ადრეანტიკური ხანისა. წითლად შეღებილი კრამიტების, ასევე სხვა კერამიკული ნაწარმის მიხედვით მასალის უმეტესობა IV—III სს.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა, სამადლოს გორას გააჩნია ბევრი ისეთი ნიშანიც, რომელთა გათვალისწინება და აღნიშვნა, უმთავრესად ქალაქების კვლევისათვის, აუცილებელია. ადრეც ითქვა, რომ გორას დასავლეთით ვიწრო მშრალი ხევი ჩამოუდის. ხევზე, აქვე გორასთან შემორჩენილია ქვით ნაგები პატარა ხიდი, რიყის ქვით ნაშენი, ვიწრო (სიგანე 1,3 მ, სიგრძე — 7 მ.). სიძველის აშკარა ნიშნები, რომ ის სამადლოს სინქრონული იყოს, თითქოს მას არ უნდა ეტყობოდეს, მიუხედავად ამისა, მისი გზების ზონაში არსებობა ტრადიციის ერთგვარ გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს. ამასთანავე ერთად გზის მომენტი აქ ბოლო რიგში არ შეიძლება იყოს მოქცეული; გეომორფოლოგიურად შესანიშნავად ჩანს სამადლოში შესასვლელი აღმოსავლეთის მხრიდან, აქ ხელოვნურად გაჭრილია საკმაოდ ღრმა თხრილი, რითაც გადიხართ მტკვრის მარჯვენა ნაპირის ველზე, ნასტაკისთან ერთად მარჯვე და ნაყოფიერ ადგილზე. აქედან გზა მხოლოდ და მხოლოდ ერთია, ძეგვით, ციხე დიდის ხევის გადაკვეთით, მცხეთისაკენ არმაზის კერძ ქალაქით. ნ. ბერძენიშვილმა ძეგვ-ნიჩბისის დაზვერვების შედეგად ძეგვი ივარაუდა საზვერე-საბაჟო ადგილად დიდ მცხეთაში შესვლის წინ. „მონღოლთა დროს აქ იამი (საგზაო სადგური) არის ნაგულისხმევი. სხვა დროს ქარვასლა-ფუნდუკი; აქ დღემდე შემორჩენილია მეტად მეტყველი საგეოგრაფიო სახელები: ბარგიყარია და სავანის ველი. თუ პირველი შედარებით ნაგვიანევი შეიძლება იყოს, მეორე, ეჭვი არაა. ძველია და აწერილ საგზაო სადგურის (ასპინძა, ვანი, ქარვასლა, მანძილი, ხანა, ფუნდუკი...) აქ არსებობას მოწმობს იმ ძველისძველ დროს"[121].

სამადლოდან ძეგვისაკენ მიმავალი გზის მიმართულება კარგად ირკვევა. იმდენად ნიშანდობლივია გზის რელიეფური სახე, რომ ძნელი არ არის გავყვეთ ამ ტრასას, ისე კი, რომ სამადლოს გორის კონტროლიდან ვერ გამოვალთ. საყურადღებოა, რომ ამ გზაზე ძეგვთან მიახლოებისას გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის სამაროვანი მდებარეობს, და რომელიღაც, შესაძლებელია, სამაროვანის, სინქრონული, ან მასთან დაკავშირებული ნამოსახლარიც.

თვით ძეგვიც უდავოდ საყურადღებოა არქეოლოგიურად. მჭიდროდ დასახლება სოფლისა თითქმის სპობს მის მიწისქვეშა სიძველეების შესწავლის შესაძლებლობას, თუმცა კი შემთხვევითი აღმოჩენები აქ იმდენად ბევრია და მნიშვნელოვანი, რომ მისი უგულებელყოფა შეუძლებელია. ყველაფერს რომ დავანებოთ თავი, ხეკორძულას, ნადარბაზევის ხევის და ციხედიდის ხევის

---

[120] ტოპონიმ „ნასპარსევში" შესაძლებელია დავინახოთ ძველი ქალაქებისათვის დამახასიათებელი ადგილის-სასპარეზო მოედნის დამახინჯებული სახელი. „ნასპარსევი" უნდა მომდინარეობდეს ნაასპარეზევიდან; საბა ორბელიანის განმარტებით „ნაასპარეზევი ასპარეზთა ნამღერალია". ასპარეზი რაც ნიშნავს სარბიელს, მოედანს, იპოდრომს, ქართულში ასევე სომხურში, შესაძლოა, შემოსული იყოს საშუალო სპარსულიდან. იხ. მ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 284.

[121] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 406—407.

ოდნავაც ზერელე დაზვერვებიც კი საკმარისია. ამ მიდამოებში სარკინე-ქალაქის ერთ-ერთი უბანი უნდა ყოფილიყო განლაგებული, რომელიც მჭიდროდ იქნებოდა დაკავშირებული ციხე-დიდთან, სარკინე-ქალაქის დამცველ ციხესთან.

ციხედიდის ზუსტი ადგილმდებარეობა გარკვეული არ არის. დღეს ეს სახელი მხოლოდ ხევსღა შემორჩა, რომელიც რამდენადმე განსაზღვრავდა ალბათ სარკინეს აღმოსავლეთ საზღვარს. ყველა მონაცემი იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ ციხედიდი მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარეობდა. გარკვეულ დროის ციხედიდის მთავრის ევაგრეს სახელიც არის ცნობილი „რამეთუ მას ჟამსა იყო ვინმე მთავარი, სახელით ევაგრე... დღესა ერთსა ჰრქუა შვილთა თჳსთა და მონათა: „განვიდეთ ნადირობად“. და განვლეს მტკუარი და განვიდეს დაშართებით ადგილსა მას, სადა მჯდომარე იყო ბერი“[122]. ბერის ადგილსამყოფელი კარგად არის ცნობილი, მტკვრის მარცხენა მხარეს, დღევანდელი შიომღვიმის ადგილებში. ევაგრე მთავარი ციხე-დიდიდან — მტკვრის მარჯვენა მხრიდან კადადის სანადიროდ მარცხენა ნაპირას. როგორც „ნეოფიტე ურბნელის წამებიდან“ ჩანს, შიო მღვიმის უდაბნო და გამოქვაბულები კარგად ჩანდა ციხედიდიდან.. „...ომარ და ბურულ, სოფლის ციხე დიდით იმიერ კლდეთა შიგა სარკინისათა, იხილეს ქუაბი გამოქნილი. ხოლო მხილველთა და სიმაგრედ მცნობელთა სარაკიანთა მათ იზრახეს მეტყუელთა, თუ სადამე არა გამოვიღეთმცა ქუაბნი ივი სირცხვილ არს მხედრობისა ჩუენისა და ბრალეულ ვიქმნეთ წინაშე სულტნისა, განზრახუასა ამას ომარ და ბურულ ამდევრეს საქმედცა და წარვიდეს ხილულთა ქუაბთადმი, რომელიცა იყო მონასტერი ნეტარისა შიოსი“.

როგორც ირკვევა, ციხე-დიდის ორი მხარე შეიძლება გავარჩიოთ; ციხედიდი, როგორც მისი პირვანდელი შინაარსი და მასთან დაკავშირებით სახელი გვამცნობს ციხეა და ციხე სარკინისა. აქედან გამომდინარე მისი გარეგანი სახეც ნიშანდობლივი უნდა იყოს. თუ ამის მიხედვით დავიწყებთ ძიებას, მაშინ ყველაზე უკეთესი გეოგრაფიული მდებარეობა ექნება ციხედიდის ხევის ბოლოში, გრძელი მინდვრის მოპირდაპირე მხარეს მდებარე მაღლობს, სადაც დღეს შემორჩენილია XI—XII სს. ეკლესია ბორა (ტაბ. IX₁) და საიდანაც, როგორც „ნეოფიტე ურბნელის წამებიდან“ ვტყობილობთ, იხილებოდა შიო მღვიმის გამოქვაბულები. ნაგებობის ნაშთები ახლომახლოს არ ჩანს, სამაგიეროდ ჩანს კვებერთელა ქვის გამოთლილი ლოდები, რომლებიც, არ არის გამორიცხული, ძველი ციხის კედლებიდან მომდინარეობდეს. ასეთივე ქვებით უნდა იყოს ნაგები ეკლესიაც. აქ რომ მოსალოდნელია ძველი ნაგებობები (ციხესთან დაკავშირებით) და ნაშთი ძველი საცხოვრისისა, სკეპტიკურად არ უნდა მოგვეჩვენოს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ სტრატეგიულად იგი მოხერხებული ადგილია: მეორეც, აქ აშკარად ჩანს ძველი ნამოსახლარის ნაშთებიც; ზედ გორის თავზე ჩვენთვის დაუდგენელი საჭიროებისათვის საკმაოდ ღრმა თხრილი გაუჭრიათ, სადაც ვნახეთ ნაცროვანი ფენები და ლეგა ჭურჭლის სქელკეციანი ნატეხები გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანისათვის დამახასიათებელი ნიშნებით. ციხის აქ არსებობა გაპირობებული იყო იმითაც, რომ ციხედიდის ხევზე სამხრეთიდან მომავალი მცირე გზაც იდო, რომლის მეშვეობითაც, არ არის გამორიცხული, რკინის მადანი შემოჰქონდათ; გზის აყოლებაზე ხევ-ხევ, დღესაც შეინიშნება რკინის მადნის ნატეხები, რომელთა დაკავშირებაც ძველი სარკინის

---

[122] ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა მამისა ჩუენისა შიოსი და ევაგრესი, აგიოგრაფიული ძეგლები, I, გვ. 219.

რკინის წარმოებასთან ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ასეთივე ვარაუდი გამოთქმული აქვთ სათანადო სპეციალისტებსაც, რამდენადაც მტკვრის მარცხენა ნაპირზე რკინის საბადოები ცნობილი არ არის[123].

ეს არის პირველი მხარე ციხედიდისა, როგორც საფორტიფიკაციო ნაგებობისა, თანაც შედარებით ძველი ძეგლისა. მეორე სახე ციხედიდისა ეს არის დასახლებული ადგილი, რომელიც ციხედიდის სახელითვე მოიხსენება, მაგრამ არის დაბა, წარმოშობილი ანტიკური ქალაქის დაშლის შედეგად, ფეოდალიზაციის პროცესში („ნეოფიტე ურბნელის წამების“ მიხედვით იგი „სოფელია“). ლეონტი მროველის თხზულების მიხედვით, ქრისტიანობის გავრცელების პირველსავე საფეხურზე, მირიან მეფის დროს „პურიათა მცხეთელთა არავე ნათელიღეს, გარნა ბარბიანთა ნათელიღეს ორმოცდაათმან სახლმან, და იქმნეს ქრისტიანე ჭეშმარიტ. ამისათვისცა დიდ იქმნეს იგინი წინაშე მეფისა; და მიუბოძა მათ დაბა, რომელსა ჰქვიან ციხე-დიდი“[124]. ამ დროიდან მოკიდებული ციხედიდის დაბა (შემდგომად სოფელი) ბარბიანთა ხელში გადადის. აქ ლაპარაკია არა ციხედიდზე, როგორც საფორტიფიკაციო ნაგებობაზე, არამედ ციხესთან მდებარე დასახლებულ ადგილზე, რომელიც ციხის სახელს ატარებს და მდებარეობდა ალბათ ციხედიდის ხევსა და ძეგვის ხევს შორის. ფეოდალური ხანის ციხედიდი შესაძლებელია გულისხმობდეს დღევანდელ ძეგვს, განსაკუთრებით ციხედიდის ციხის მოშლისა და დაკნინების შემდეგ. შესაძლებელია ამასვე გულისხმობდეს ვახუშტიც, რომელიც ამბობს — „დასავლით არმაზისა არს ციხედიდი. მის დასავლით ხევი ძეგვისაო“[125].

ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლებით შემოიფარგლება ანტიკური ხანის სარკინე-ქალაქი. როგორც აღნიშნული იყო, ჩამოთვლილი ძეგლები ქალაქის ცალკეულ უბნებს წარმოადგენდნენ, რომელთა განლაგებაც ერთგვარად შეხამებულია ბუნებრივ გარემოსთან. ეს უკანასკნელი შესანიშნავად გადმოსცემს მთლიანად ქალაქის საზღვრებს და მის დამოკიდებულებას მეზობლებთან. ერთი მხრივ, სხალტბის მთები და, მეორეს მხრივ, თრიალეთის ჩრდილოეთის კალთები, რკალად ერტყმიან დავაკებულ ადგილს, მტკვრის ორსავ ნაპირზე, რომელშიც მოქცეულია ქალაქის მთავარი სამიწათმოქმედო ზონა, ქალაქის დასტაგირი (ნასტაკისი) მტკვრის მარცხენა ნაპირზე და ძეგვ-ციხედიდის მიდამოები, მის მოპირდაპირე მხარეს. ელინისტურ ხანაში არხის გამოყვანა ქსნით ერთ-ერთი უდიდესი ღონისძიება იყო ქალაქის ეკონომიურად მომძლავრებისათვის. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარე იყო ქალაქის ეკონომიური სიძლიერისათვის. მთავარი, რა თქმა უნდა, რკინის წარმოება იყო, რამაც თავისი გამოხატულება უშუალოდ ადგილის სახელშიაც ჰპოვა. რომ სარკინის საქალაქო მეურნეობის ძირითადი დარგი რკინის წარმოება იყო, კარგად ჩანს აქ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების წყალობით[126].

როგორც ჩანს, სარკინე მდინარე მტკვრის ორსავე მხარეს იყო განლაგებული. ეს კი მდინარეზე ხიდის (თუ ხიდების) არსებობას გვავარაუდებინებს. სამწუხაროდ, დღეს ხიდის ნიშანი არსად შეინიშნება. ასეთი რამ არც წერილობით წყაროებში ჩანს (ცხოვრება შიოსი და ევაგრესი, ნეოფიტე ურბნელის წამე-

---

123 ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება..., გვ. 213.

124 „ქ ც-ბა“, I, გვ. 116—117.

125 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 55.

126 ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება..., გვ. 206 და შემდეგ.

[illegible] ვახუშტი ბაგრატიონი ზემოთ აღწერილი სამადლოს გორის მახლობლად ციხეს ვარაუდობს. აქ მტკვარზე, ქსნის შეერთების მოპირდაპირე მხარეს, სამხრეთიდან ერთვის ნიჩბის-წყალი. „ამ ნიჩბის-წყლის შესართავზედ, მტკვარზედ, არს კონახურას ციხე მუხრანს გამსვლელი“[127]. წერილობით წყაროებზე დაყრდნობა, რომ აქ ხიდი არ ჩანს, რა თქმა უნდა, არ შეიძლება, რადგან წყაროებში მოგვიანო ამბებია მოთხრობილი, როდესაც სარკინე დაცემული უნდა ყოფილიყო. მისი აყვავების პერიოდში, ანტიკური ხანისათვის, უეჭველია, გარკვევით სხვა სურათია საგულვებელი.

დასასრულს შეიძლება ითქვას: სარკინე, ანტიკური ხანის ქალაქი, მრავალუბნიანი ყოფილა: მას ჰქონდა თავისი სამეურნეო რაიონი, მტკვრის ორივე მხარეს, გეოგრაფიული მდებარეობით დაცული იყო ერთის მხრით სხალტბის ქედით, რომელიც რკალივით ერტყმის ქალაქს ჩრდილოეთით და მეორეს მხრით თრიალეთის ჩრდილოეთის განშტოებით. ზემოთ ჩამოთვლილ უბნებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სამადლოს გორა და უშუალოდ სამრეწველო უბანი „გრძელ მინდორზე“. ცალკეული უბნები ქალაქობამდე გამაგრებული ადგილები უნდა ყოფილიყო. დამცველი ზღუდე-გალავნები სარკინესი არქეოლოგიური გათხრებითაც არის გამოვლენილი[128]. მიუხედავად ამისა, ქალაქს თავისი დამცველი ციხეც გააჩნდა, რის შესახებ ცნობას ჯერ კიდევ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ვხვდებით. „ციხე-დიდი სარკინისაჲ“ აღნიშნავს ქალაქ სარკინის დამცველ ციხეს, რომელსაც ევალებოდა არა რომელიმე უბნის, არამედ მთლიანად ქალაქის მიუვალობაზე ზრუნვა, ყველა მისი უბნით და ქალაქზე დამოკიდებულ დაბნებიანად. ე. ი. „მოქცევის“ ცნობა რეალურობის ამსახველ წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ, რაც კარგად მტკიცდება სხვა მაგალითებითაც.

როგორც ნათქვამი იყო, სარკინე ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია მრავალუბნიანი ქალაქისა, რომლის ძირითადი ნაწილები განლაგებულია ქალაქის სწორედ სამიწათმოქმედო რაიონის ირგვლივ. ასეთივე თვალსაზრისით საყურადღებო ძეგლს წარმოადგენდა ქალაქი წუნდა. იგი მტკვრის ზედა წელის ანტიკური ხანის ქალაქია, რომელსაც, მსგავსად მცხეთისა და სარკინისა, რამდენიმე უბანი ჰქონია. მართალია წუნდის მიდამოებში შემორჩენილი ძეგლებიდან გარკვეული რაოდენობა გვიანი ხანისაა, მაგრამ ზედაპირული არქეოლოგიური მასალა გვიჩვენებს, რომ ანტიკური ხანაც აქ კარგად არის წარმოდგენილი. შუასაუკუნეების ქვედა ფენები გვიანბრინჯაოს და ანტიკური ხანით, ზოგჯერ კი ადრებრინჯაოს ეპოქით განისაზღვრება. წუნდის მთავარი უბნები იყო წუნდის გორა, ნაქალაქევი, ქარვასლა, სასახლე, ბერთაყანა და სხვ.

ნაქალაქევი და წუნდის გორა გვერდი-გვერდ მდებარეობენ, სადაც ძველი წუნდის ძირითადი უბანია მოსალოდნელი, თუნდაც სახელი „ნაქალაქევი“ რად ღირს. ის ამბავი, რომ წუნდის გორაზე ვხვდებით ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ მასალას, თავისთავად პუნქტის სიძველეზე მიუთითებს, რომელიც რაღაც უპირატესობით გამოსარჩევია სხვებისაგან. ეს უპირატესობაა მისი დამჯდარი მეურნეობა, არ არის გამორიცხული ტერასული მიწათმოქმედების პირველი ეტაპების ათვისების მეურნეობა, რომელმაც ამ მხარეში დიდი გაქანება ჰპოვა. წუნდის გორაზე ადრე გვქონდა საუბარი და აქ მხოლოდ

---

[127] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 55; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 411–412.

[128] [illegible] ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 208.

ძირითად საკითხებს აღვნიშნავთ. რომ წუნდის გორას განვითარებული მიწათმოქმედება ჰქონია, რა თქმა უნდა, მხოლოდ შემორჩენილი ტერასების მიხედვით ვერ ვიტყვით. მას ირგვლივ კარგი სახნავ-სათესი მიწები არტყია, რომლის პროდუქტიულობაც დღესაც შესამჩნევად გაზრდილია მოქმედი არხებით, რომელთა შექმნის თარიღიც ძველი უნდა იყოს, და ეგების სარკინეს არხის (ქსნის არხის) თანადროულიც კი. აქ ერთ გარემოებას უნდა გავუწიოთ ანგარიში. თუკი ქართულ წერილობით წყაროებს დაეჯერება და ქსნის არხის თარიღს მეტ-ნაკლები სისწორით მივიღებთ, მაშინ, როგორც ძველი ქართული ნაქალაქარების დაზვერვებმა დაგვარწმუნა, არხი და შესაბამისად მასზე დამოკიდებული სამეურნეო რაიონი ქართული ძველი ქალაქის წარმოშობის ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტია, თანაც მტკიცედ განსაზღვრული ქრონოლოგიური ჩარჩოთი, რომელიც ელინისტურ ხანაზე მოდის. ეს სურათი ცხადად ჩანს ქართული ძველი ქალაქების უმეტესობის მიმართ (მცხეთა-მუხრანის სარწყავი ველი, სარკინე-ქსნის არხი, რუსთავი-ყარაიის არხი, ხუნანი-ალსტაფის, იგივე ბერდუჯის არხი, წუნდა — დიდი და პატარა არხები და სხვ.). წუნდის არხების მნიშვნელობა ამ ასპექტში გადამეტებულად არ შეიძლება მოგვეჩვენოს და ისინი ძველი წუნდის მიწათმოქმედების რაიონის ინტენსიფიკაციის მაჩვენებლად გამოდგებიან წუნდის ქალაქობის საწყისებიდანვე[129].

წუნდის გორა რომ ძველი ნამოსახლარი გორაა, ეს მისი გეომორფოლოგიური ანალიზითაც მტკიცდება; გადაჭრილი ყელი, გარემოსაგან გამოყოფილი ძირითადი ნაწილი, ძველ ტრადიციებზე მიუთითებს. ძველი ტრადიციების მაჩვენებელია ასევე წუნდის გორაზე აღმართული შესანიშნავი ეკლესიაც XIII საუკუნისა, რომელსაც ქართული წარწერაც ამკობს.

ნაქარვასლარი, რომელიც წუნდის გორის მახლობლად მდებარეობს, შემორჩენილი კედლების მიხედვით გვიანი ჩანს. დაზვერვებმა ცხადჰყო, რომ ქარვასლა აუგიათ ანტიკური ხანის ძეგლზე. ქარვასლის ეზოში მოკრეფილია შავპრიალა ჰურპლის ნატეხები, მოჭიქული კი თითქმის არ ყოფილა. ეს უკვე დამაფიქრებელი გარემოებაა. ეტყობა, ადგილი ადრე ათვისებული ყოფილა; მსგავსივე შავპრიალა ჰურპლის ნატეხები ქარვასლის გარეთაც არის დადასტურებული, განსაკუთრებით საეჭვო ფორმის ბორცვზე, რომელიც არ არის გამორიცხული, ყორღანულ სამარხს წარმოადგენდა (კარგად ჩანს ქვაყრილი).

წუნდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანი იყო ბერთაყანაც, ადგილი საინტერესო არქეოლოგიური ძეგლების მომცველი, რომელზედაც მცირეოდენი სადაზვერვო თხრა ჩატარებულ იქნა 1964 წ. ზაფხულში (ტ. ჩუბინიშვილი, ი. ღამბაშიძე). უფრო ადრე კი ვარძიის მუზეუმის ყოფილმა თანამშრომლებმა ქ. მელითაურმა და ო. ღამბაშიძემ აქ დაზვერეს ყორღანული სამარხები და გაწმინდეს ერთ-ერთი მათგანი, რომელიც სანახევროდ დანგრეული იყო. აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმით ყორღანი IV—II სს. უნდა მიეკუთვნოს. 1964 წ. ჩატარებული დაზვერვების დროს გამოჩნდა, რომ ყორღანის ქვეშ მოქცეული ყოფილა რაღაც ნაგებობა, ქვით ნაგები, სვეტებიანი და ფილაქვების იატაკით მოგებული. ყოველივე აქედან გამომდინარე, ტ. ჩუბინიშვილი ასკვნის: „...საე-

---

[129] აღნიშნული მომენტები ძლიერ უწყობენ ხელს უკვე გამოთქმულ მოსაზრებას, ანტიკურ ხანაში ძლიერი საირიგაციო მიწათმოქმედების შესახებ. იხ. ი. [illegible] ძე, მორწყვა ძველ საქართველოში.

ვებით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ სწორედ ბერთაყანის ტერიტორიაზე იყო გაშენებული ამ დროის ძველი წერილობითი წყაროებით კარგად ცნობილი ანტიკური ქალაქი წუნდა. ამ მოსაზრებას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ბერთაყანის გარკვეულ ტერიტორიაზე ნახავთ დიდ და მცირე ყორღანებს. ადრევე გაძარცულ ყორღნებში მიკვლეული ანალოგიური ქვის ნაგებობის ნაშთები გვაფიქრებინებს, რომ მეტი წილი ეს ყორღნები აგრეთვე ფარავენ ანტიკური ქალაქის ნაგებობებს«[130]. რომ ბერთაყანა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლია, ეს საკამათო არ არის, ჩვენის აზრით, არ უნდა იყოს მართებული, რომ თითქოს ბერთაყანა ანტიკური ხანის წუნდაა. არქეოლოგიური მონაპოვარი სრულიადაც არ გვაძლევს საშუალებას ასეთი აზრის გამოსატანად. ჯერ ერთი, შენობების აღმოჩენა განა მაინცდამაინც ქალაქობაზე, თანაც ქალაქის ძირითად ბირთვზე უნდა მიუთითებდეს? ესეც რომ არ იყოს, ქართული წერილობითი ძეგლის მიხედვით, რომლის მეშვეობითაც შეიძლება წუნდის ქალაქობაზე ლაპარაკი, წუნდა ქალაქად მოიხსენიება ძვ. წ. IV ს. ალექსანდრე მაკედონელთან დაკავშირებით. ტ. ჩუბინიშვილის დაკვირვებით კი IV—II სს. აქ ყორღანებია, რომლებიც ზედ ადევს ძველ ნაგებობებს; ამასთანავე ლეონტი მროველის მიხედვით „დაჯდა მეფედ არშაკ, და დაიპყრა ყოველი ქართლი, და მეფობდა იგი ნებიერად და უმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა და უმეტეს მოამტკიცნა ზღუდენი ჯავახეთის, ქალაქსა წუნდას«[131]. არშაკი, რომელიც ძვ. წ. I ს. ბოლოს მეფობდა, საეჭვოა, რომ ასეთ ღონისძიებებს ჩაატარებდა დღევანდელ ბერთაყანაში, რომელიც მაშინ ყორღანული ველი ყოფილა. ეს ღონისძიება ალბათ უნდა ჩატარებულიყო წუნდის გორის მიდამოებში, რადგანაც ის იყო ძირითადი ბირთვი ქალაქ წუნდისა. რაც შეეხება ბერთაყანას, იგი ძველი სამოსახლო უნდა ყოფილიყო, ისევე როგორც წუნდის გორა, წუნდის ქალაქობის ჟამს მის სიახლოვეს ქალაქის ერთ-ერთი უბანი შეიძლება ვივარაუდოთ. ის სამაროვანიც, რომელიც აქ არის დადასტურებული (IV—II სს.), არ არის გამორიცხული, წუნდის გორის ან მისი უბნის (ბერთაყანის მახლობლად) კუთვნილება იყოს.

წუნდის სავარაუდო უბნები სხვაცაა, რომელთა შესახებაც წინა თავში იყო ლაპარაკი. ამდენად მათ შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ხევის ეს მონაკვეთი რომ მოწინავეა და ძლიერი შუასაუკუნეებში, ეს ძეგლების უბრალო ჩამოთვლითაც აშკარა ხდება: წუნდა, კუმურდო, ხერთვისი, თმოგვი, ნაქარვასლარი, სასახლე, ვარძია და სხვ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ შეიძლება დაგვებადოს კითხვა, თუ რატომ მაინცდამაინც წუნდა ავიღეთ მაგალითად სარკინესთან ერთად. ციხისა და ქალაქის ურთიერთობის გასარკვევად? წუნდაში, ისევე როგორც სარკინეში, კარგად ჩანს სამეურნეო რაიონი, ტერასებით შემორიგებული გორები, არხები და ამ სამეურნეო რაიონის ირგვლივ ქალაქის ცალკეული უბნები. ამასთან ერთად, ქალაქისა და მისი დამცველი ციხის ურთიერთობის სურათი აქ შესანიშნავად ჩანს. წუნდას, ისევე როგორც სარკინეს, თავისი დამცველი ციხე ჰქონდა. რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ გამორიცხავდა, რომ თვით იგი შემოზღუდული და გამაგრებული არ იყო (ამის შესახებ ზემოთ მოტანილი წერილობითი ცნობაც მიუთითებს). მისი დამცველი ციხე მისგან მოშორებით მდებარეობდა ხეობის ბოლოში, არტაანისა და ჯავახეთის მტკვრების შესაყარზე.

[130] ანტიკური ქალაქი წუნდა, გაზეთი „კომუნისტი", 1964, 25 დეკემბერი (№ 300).
[131] ქ. ცხოვ., I, გვ. 30.

მხედველობაში გვაქვს ხერთვისი, ციხე ძლიერი, მიუვალი და ისეთივე ძველი, როგორიც წუნდაა და სხვა ქართული ქალაქები (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი).

ქალაქებისა და ციხეების ურთიერთდამოკიდებულების შესანიშნავ ილუსტრაციას, ძალიან სიტყვაძუნწად გადმოცემულს, ვხვდებით „მოქცევაჲ ქართლისაჲს" არაერთგზის მოხსენებულ ადგილზე. ერთი შეხედვით უცნაური წარმოსადგენია ქალაქი, რომელსაც ციხე აქვს რამდენიმე კილომეტრით მოცილებული. „მოქცევაში" კი ასეთნაირად არის ზოგი ქალაქი დასახელებული: „უფლისციხე კასპისაჲ და ციხე-დიდი სარკინისაჲ". შეიძლება თუ არა, რომ ეს სინამდვილეს შეეფერებოდეს?

საქართველოს თავისებური გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ხევების ინსტიტუტის პირობებში, ხევისა და ველის სამეურნეო პირობების მონაცვლეობისა და მასთან დაკავშირებით შექმნილ გეოგრაფიულ სახესხვაობებში, ზემოთ აღნიშნული დამოკიდებულება ციხეებსა და ქალაქებს შორის ბუნებრივად გვეჩვენება. ქალაქები და ციხენი მათნი სრულიადაც არ გულისხმობს გაუმაგრებელ უციხო ქალაქებს, რომელთა ციხეებიც რამდენიმე კილომეტრზე დევს. პირიქით, ყველა ეს ქალაქი გამაგრებულია ციხით და სხვა თავდაცვითი ნაგებობებით და დამატებით ციხეც გააჩნია მისგან მოშორებით. მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველა ქართული ქალაქი ასეთი ციხეებით არის გამაგრებული, რა თქმა უნდა, როდესაც ქალაქზე და მის მოშორებით მდებარე ციხეზეა ლაპარაკი, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ციხე უშუალოდ ამ ქალაქს ამაგრებდა. თვითონ ქალაქს თავისი დამცველი საკუთარი ციხე ჰქონდა, მეორე ციხით კი იცავდა ქალაქზე დამოკიდებულ სამწყსოს, რომელიც ძირითადად უშუალოდ ქალაქსა და დამცველ ციხეს შორის იყო მოთავსებული. იგი სწორედ იმ დაბების დამცველია, რომელთა შესახებაც ადრე გვქონდა ლაპარაკი დაბებზე მსჯელობის დროს. ქალაქსა და ციხეს შორის მოქცეული ტერიტორია ძალიან ხშირად მოიცავდა ეთნიურსა თუ ადმინისტრაციულ რაიონს „ქუეყანას", ხშირად დაკავშირებულს წყაროების რომელიმე ეთნარქთან. საგულისხმო მდგომარეობაა, რომ ქართლოსიანთა ამპის დაწყებისთანავე, ლეონტი მროველის მიხედვით, ეს სურათი გარკვეულ ეტაპებზე ვითარდებოდა. „ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთვის არაგვი მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომლისა ეწოდების არმაზი, და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი"[132].

„ხოლო შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს ხუთნი გმირნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველისა მცხეთოს, მეორესა გარდაბოს, მესამესა კახოს, მეოთხესა კუხოს, მეხუთესა გაჩიოს"[133].

მცხეთოსი „დარჩა საყოველთა მამისა მათისა ქართლოსისათა, რომელსა აწ ჰქვიან არმაზი. და მანვე აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკურის და არაგვისა, და უწოდა სახელი თვისი მცხეთა"[134].

გარდაბოსის წილხვდომილია ხუნანი, კუხოსისა ბოსტან-ქალაქი, იგივე რუსთავი, აშენებული ქართლოსის ცოლის მიერ, კახოსისა ბერ, იგივე ჩელეთი, გაჩიოსისა გაჩიანი. „ხოლო შვილთა შორის მცხეთოსისათა გამოჩნდეს სამნი

---

[132] „ქ ც-ბა," I, გვ. 8.
[133] „ქ ც-ბა," I, გვ. 8.
[134] „ქ ც-ბა," I, გვ. 9.

გმირნი სახელოვანი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა უფლოს, და შე-დგომსა ოძრახოს, და მესამესა ჯავახოს"[135].

ოძრახოსი აშენებს ორ ციხე-ქალაქს — ოძრხეს და თუხარისს, ჯავახოსი — წუნდას და არტანს.

უფლოსი აშენებს უფლისციხეს, ურბნისსა და კასპს.

როგორც წყაროდან ჩანს, თითქმის ყველა ძველი ქართული ქალაქი დაკავშირებულია, ჯერ ერთი, რომელიმე ეთნარქთან და თანაც ამ ქალაქების იგივე „ქვეყნების" ფარგლები ხშირად გავრცობილია თვით ეთნარქის სამფლობელოებამდე. აი მაგალითები: ჯავახოსის წილხვდომილია ფანავრიდან ვიდრე თავადმდე მტკვრისა. ამ ტერიტორიის ძირითადი ნაწილი მოდის წუნდასა და არტანზე, ისევე როგორც შიდა ქართლის უფლოსის ხვედრი ადგილები ძირითადად მოდის კასპზე, ურბნისზე და უფლისციხეზე.

მაგრამ აქ საქმის ორი მხარე შეიძლება გავარჩიოთ; ქალაქების, როგორც ადმინისტრაციული ცენტრების, უფლებები გაცილებით ვრცელ ქვეყანას მოიცავდა, რა თქმა უნდა, ვიდრე უშუალოდ ქალაქისა. რუსთავი, როგორც კუხეთის ადმინისტრაციული ცენტრი, მთლიანად მხარეს განაგებდა არაგვ-ყინვანამდე, მაგრამ, როგორც ქალაქი, შედარებით ვიწრო ჩარჩოებში იყო მოქცეული (საზღვრები: დასავლეთით მტკვარი, ჩრდილოეთის ხევი ლოჭინისა, აღმოსავლეთით მთა გარეჯისა, სამხრეთით მწარე-წყალი)[136].

დაკვირვებით, ქალაქისა და მისი დამცველი ციხის ტერიტორიული შემოფარგვლა გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით უფრო ადვილი საცნაურია. მტკვრის ხეობა ამ მხრივ უფრო რთულ საკითხს წარმოადგენს. ჩვენ ვცადეთ ადგილებზე არქეოლოგიური დაზვერვების მეშვეობით, რა თქმა უნდა, წერილობითი მონაცემების გათვალისწინებით, ციხეების და ქალაქების ასეთი წყვილები გამოგვეყო.

ოძრხე. ოძრხის ხევის მფლობელი ქალაქია. საკმარისია ამ ვიწრო და მოკლე ხეობას აჰყვეს კაცი და ერთი თვალის მოვლებით შეხედოს, რომ ადვილად დარწმუნდება, თუ რა როლი უნდა შეესრულებინა ოძრხეს ხევის ცხოვრებაში. ჩრდილოეთის მხრიდან, ზეკარის გადასასვლელით იგი იმერეთს უკავშირდება. სამხრეთის მხრიდან ხეობა იშლება ქვაბლოვანის წყალთან და ახალციხის ვაყოლებით მტკვრის ხეობაში ჩამოდის. ზეკარის გადასასვლელი ვიწრო, კლდოვანი და სახიფათოა. ამდენად მისი გამოყენება მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე თვეს შეიძლება, ისე რომ მისი გამაგრება დიდი სიძნელეების გადალახვასთან არ არის დაკავშირებული. მეორე მხარეს ხეობა ოძრხეს ქვევით იშლება. იქ, სადაც ოძრხის წყალი (დღევანდელი აბასთუმნის წყალი) ქვაბლოვანს ერთვის. სწორედ აქ არის საგულვებელი ოძრხე — ქალაქის ჩამკეტი ციხეც. ხეობაში შესასვლელი აქ ისეთ საგულისხმო გეოგრაფიულ გარემოში არის მოქცეული, რომ თვით ითხოვს ასეთ გამაგრებულ ადგილს, რომლის კონტროლსაც ვერ ასცდება ხეობაში შემსვლელი. ამ ადგილზე ოძრხე-ქვაბლოვანის წყლების ირგვლივ გაშლილია დაცემული ველი, ნაყოფიერი მიწის მოქმედებისათვის, რომელიც საჭიროების შემთხვევებში უხვად ირწყვოდა ორივე მდინარით. საფიქრებელია, რომ ასეთმა ხელისშემწყობმა სამეურნეო პირობებმა შეუქმნეს საფუძველი აქაურ მკვიდრთ საფუძვლიანად დასახლებისათვის. ოძრხის

135 ქც., I, გვ. 9.

136 ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქი რუსთავი, გვ. 160.

წყლის მარჯვენა ნაპირზე აქ შესანიშნავი სამოსახლო გორა მდებარეობს, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ოძრხის ქალაქობამდელ პერიოდში. აქ ცხოვრება არ შეწყვეტილა ფეოდალურ ხანაშიაც.

ოძრხის წყლის მარცხენა ნაპირზედაც, საკმაოდ მაღლობ ადგილზე, საყურადღებო ძეგლი მდებარეობს, შთამბეჭდავი თავისი სტრატეგიული განლაგებით, არქეოლოგიური ზედაპირული მასალით და ბევრისმთქმელი ადგილის სახელით „ზადენ-გორა". ზადენი არმაზთან ერთად წერილობითი წყაროების მიხედვით ქართველთა ღმერთია „ღმერთნი ქართლისანი, არმაზ და ზადენ, ყოვლისა დაფარულისა გამომძიებელნი"[137]. ადგილის სახელი ზადენი მცხეთის ტოპონიმიკაშიც გვხვდება. კარგად არის ცნობილი, რომ ასურელ მამათა ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმოსადგენლის იოვანე ზედაზნელის სახელი სწორედ მცხეთის ზადენ-გორასთან არის დაკავშირებული. ქართველთა წარმართული ღმერთის ზადენის სახელობისაა ის გორაც, რომელიც ოძრხის კართან იდო. წერილობითი წყაროების მიხედვით ზადენგორის კერპთა დამხობა ანდრია მოციქულის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული. მეგრელთა მოქცევის შემდეგ წმ. ანდრია მოციქული „წარმოემართა და გარდმოვლო მთა, რომელსა ეწოდების რკინის ჯუარი, და თქმულ არს, ვითარმედ ჯუარი იგი თვით ნეტარისა ანდრიას მიერ აღმართებულ არს. ხოლო ვითარცა შთავლო ხევი ოძრახისა და მოვიდა საზღაურთა სამცხისათა, დაივანა სოფელსა, რომელსა ეწოდების ზადენ-გორა. მიხედნა მოციქულმან და იხილნა კაცნი მის ადგილისანი რამეთუ უზორვიდეს კერპთა ყრუთა, და ილოცა მოციქულმან წმიდისა მის ხატისა მიმართ. და ყოველნი იგი კერპნი დაემხუნეს და შეიმუსრნეს"[138]. სწორედ ზადენ-გორა შეიძლება მივიჩნიოთ ოძრხის-ხევის და, შესაბამისად, ოძრხე-ქალაქის ჩაკეტად, გასასვლელად სამცხეს. საყურადღებოა, რომ მან ჩამოვლო ოძრხის ხევი, გამოუარა ოძრხესაც და გაჩერდა ზადენ-გორას, და არა ოძრხეს. სავარაუდოა, რომ ანდრია მოციქული ამ შემთხვევაში ზადენ-გორას არჩევს როგორც წარმართულ ბუდეს, სადაც სურს თავისი რელიგიის უპირატესობა აჩვენოს. არ არის გამორიცხული, რომ ზადენ-გორა უფრო ძველი ძეგლია, ვიდრე ოძრხე, რომ იქვეა კერპთაყვანისმცემელთა ბუდეც ხეობისა. თუ კარგად ჩავუკვირდებით, ვნახავთ, რომ ზადენ-გორას და მის მოპირდაპირე მხარეს, ოძრხის-წყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარე გორასაც უფრო უკეთესი სამეურნეო პირობები უნდა ჰქონოდა, ვიდრე თვით ოძრხეს. ოძრხის აშენება უფრო სტრატეგიულ ამბებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ქალაქი შეაგულ ხევში ააგეს გარკვეული მიზეზების გამო (ამის შესახებ ქვევით), მის კარს ზადენ-გორას კი ბევრი უპირატესობა რჩებოდა მასთან შედარებით.

მტკვრის ზედა წელის რაიონში ქალაქისა და მისი დამცველი ციხის საუკეთესო მაგალითს წუნდა-ხერთვისი წარმოადგენს. როგორც აღნიშნული გვქონდა, წუნდა-ქალაქი თავისი ცალკეული უბნებით საკმაოდ ძლიერი ქალაქი იყო, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

წუნდის ხევის და, შესაბამისად, წუნდა-ქალაქის ჩაკეტი ციხეა ხერთვისი, ორი მტკვრის, არტაანის და ჯავახეთის შეერთებაზე, საკმაოდ ძლიერ სტრატეგიულ ადგილზე გაშენებული სიმაგრე. მისმა ასეთმა მდებარეობამ განაპირობა, რომ იგი გვიანფეოდალურ ხანაშიაც საკმაოდ მნიშვნელოვანი პუნქტია და

---

[137] „ქ ც-ბა," I. გვ. 106.

[138] „ქ ც-ბა," I. გვ. 29.

ეს პერსპექტივაცაა. იგი ორი მნიშვნელოვანი ხევის დარაჯია, რომლებზედაც ცნობილი სავაჭრო გზები გადიოდა; წუნდის ხევი საშუალო რგოლია ცენტრალურ ქართლის პროვინციასა და არტაან-კლარჯეთს შორის; ჯავახეთის მტკვრის მიმართულებით კი ხერთვისს ვერ ასცდებოდა ანტიკური ხანის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი საქარავნო გზა, რომელიც სომხეთის ძველ ცენტრს არტაშატს აკავშირებდა სებასტოპოლისთან[139]. ამ გზის ერთი მონაკვეთის შესახებ, ფარავნის ტბიდან მოყოლებული, წმ. ნინოს ქართლში მოღვაწეობის ქრონიკებითაც შეიძლება ლაპარაკი. ხერთვის-ახალციხის გავლით შესაძლებელი იყო მცხეთისაკენ წამოსვლა, ზარზმა-გოდერძის გადასასვლელით კი კოლხეთისაკენ. არტაშატიდან სებასტოპოლისაკენ მომავალი გზა სწორედ ხერთვისზე იდო და არა წუნდაზე, როგორც ზოგი მკვლევარი ფიქრობს[140], საიდანაც დღევანდელი ახალციხის და ოძრხის გავლით, ზეკარის უღელტეხილით, კოლხეთის დაბლობისაკენ შეიძლებოდა გადასვლა. წუნდისაკენ მიმავალი ხერთვისის გზას ვერ ასცდებოდა. ქალაქის ასაღებად ძლიერი ხერთვისის ციხის დამორჩილება იყო საჭირო. წუნდის მიდამოები, ასევე მთელი ხევი ხერთვისამდე, წუნდის დაბებით უნდა ყოფილიყო დასახლებული. ის ამბავი, რომ აქ, ამ ადგილებში ადრეული ფეოდალური ხანის ნამოსახლარებს და საკულტო ნაგებობებს ვხვდებით[141], სრულიადაც არ არის მოულოდნელი და ეს მიუთითებს ცხოვრების უწყვეტობაზე წინაფეოდალური ხანიდან (წუნდის გაქალაქების დროიდან) და ასევე წინაკლასობრივი ეპოქიდან, როდესაც წუნდის ხევში არა ერთი ძლიერი ძველი სამოსახლო იყო ცნობილი.

შიდა ქართლის, ქართული წყაროების მიერ აღნიშნული პუნქტებიდან, ციხისა და ქალაქის ურთიერთობის შესახებ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კასპი და უფლისციხე. „მოქცევის" მიხედვით, უფლისციხე კასპის კუთვნილ ციხედ არის გამოცხადებული — „უფლისციხე კასპისა". ალბათ „მოქცევის" გავლენით ლეონტი მროველიც ციხე-ქალაქების ჩამოთვლისას კასპსა და უფლისციხეს ერთად გადმოსცემს „... ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა..." რომ ის ციხეა, გარკვეულ დროს მაინც, თვით სახელიდანაც ჩანს. თუ დავუჯერებთ „მოქცევის" ცნობას და ასევე მივიღებთ გამოთქმულ ვარაუდს ქალაქებისა და მათი დამცველი ციხეების შესახებ, მაშინ უფლისციხის „უფალი" უფრო კასპის გავლენით უნდა იყოს შერქმეული. რაიმე დამატებითი ცნობები კასპის ამგვარი უფლების განსაზღვრისა არ გაგვაჩნია, მხოლოდ ერთ გარემოებაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება; ჯუანშერის გადმოცემით, ვახტანგ გორგასალის და მირანდუხტი „მოითხოვა იგი საზრდოდ სპარსალარმან კასპისამან, და მისცა იგი მეფემან; და წარიყვანა იგი ქალაქად კასპისა და იზარდებოდა მუნ"[142]. შემდგომად „მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, გარდამოვიდეს ოვსნი სპანი ურიცხუნი და მოტყუენეს ქართლი თავითგან მტკურისათ ვიდრე ხუნანამდე, და მოაოხრნეს ველნი, არამედ ციხე-ქალაქნი დაურ-

---

[139] ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, გვ. 164.

[140] С. Т. Еремян, Торговые пути Закавказья в эпоху сасанидов, ВДИ, 1939, № 1, გვ. 92.

[141] იხ. გ. ჯამბურია, კ. მელითაური, შ. ხანთაძე, ნ. შოშიაშვილი, ვარძია, 1957; Г. Гаприндашвили, Пещерный ансамбль Вардзия, Тб., 1960.

[142] ქართ. ცხ., I, გვ. 143.

ჩეს, თვინიერ კასპისა. ხოლო კასპი ქალაქი შემუსრეს და ტყუე ყვეს, და წარიყვანეს და ვახტანგისი მირანდუხტ, სამის წლის ქალი"[143]. იმის მიხედვით, რომ მეფის შვილი იზრდება კასპში სპასალართან, ხომ არ არის ეს რაღაც უფლების გამომხატველი სამეფო კარისა თვით ქალაქზე? რომ ეს შესაძლებლობა გამორიცხული არ არის, კარგად ჩანს ქალაქების დამოკიდებულებით სამეფო კარისადმი, განსაკუთრებით კი გორგასალის დროს (ამის შესახებ შემდეგ). და თუ ეს ასეა, მაშინ ზემოთ აღნიშნული ვარაუდიც უფრო მყარ ნიადაგზე დგება, მით უმეტეს, თუ დავამტკიცებთ, რომ უფლისციხე კასპისაა და მის დამცველ ციხეს წარმოადგენდა.

კასპისა და უფლისციხის დამოკიდებულების ასახსნელად, როგორც ქალაქისა და მისი დამცველი ციხისა, მეტად ძვირფასი ცნობაა შემონახული „მოქცევაჲ ქართლისაჲში", რომლის მიხედვითაც ვგებულობთ „და მეფობდა არსუკ, რომელმან კასპი შეიპყრა და უფლისციხე განაგო"[144]. „მოქცევის" ამ ცნობას უკავშირებენ „ქართლის ცხოვრების" ერთ ადგილს—„ამან არშაკ განაშუენა ნელქარ, ქალაქი კახეთისა, რომელ არს ნეკრესი, და ჰმატა სიმაგრესა უფლისციხისასა"[145]. აქედან გამომდინარე ე. თაყაიშვილმა „მოქცევის" „უფლისციხე განაგო" გაიგო როგორც „წესრიგში მოყვანა"[146]. გ. მელიქიშვილის ვარაუდით, აქ საქმე უნდა გვქონდეს სარესტავრაციო საქმიანობასთან უფლისციხეში: „Данное конкретное сведение подтверждает сообщение того же «Мокцевай», что в Уплисцихе крепость существовала уже в глубокой древности"[147]. „მოქცევის" ზემოთ აღნიშნული ტექსტი არ უნდა იმსახურებდეს ასეთ ახსნას. იქ გარკვევით არის ნათქვამი: არსუკმა კასპი დაიპყრო და უფლისციხე დაიმორჩილაო. აქ სწორედ ის არის ნათქვამი, რის მტკიცებასაც ვაპირებდით; კასპი დაიპყრო და უფლისციხე განაგო (დაიმორჩილა) სხვა არაფერია, თუ არა ქალაქისა და მისი დამცველი ციხის, ორივეს ხელში ჩაგდება. ეს ნიშნავს: თუ გინდა ფლობდე კასპს, და ფლობდე სრულად, აუცილებელია განაგებდე უფლისციხესაც[148].

როგორც ირკვევა, ადრეფეოდალურ ხანაში კასპი ეცემა, უფლისციხე კი სხვადასხვა მიზეზების გამო (სტრატეგიული ადგილი, სამეფო ტახტის დროებით აქ გადმოტანა) მოწინავე როლს ასრულებს ქვეყნის, განსაკუთრებით, პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამას არ შეიძლებოდა თავისი დაღი არ დაესვა მოგვიანებით შექმნილ წერილობით ძეგლებზედაც. არ არის გამორიცხული, რომ სახელი „უფ-

---

[143] „ქ ც-ბა," I, გვ. 145.

[144] მოქცევაჲ ქართლისაჲ, ავიოგრაფიული ძეგლები, I, გვ. 82.

[145] „ქ ც-ბა," I, გვ. 33.

[146] СМОМПК, XXVIII, გვ. 13.

[147] Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, стр. 43.

[148] სამწუხაროდ, „მოქცევის" ორივე ცნობა თითქმის სრულიად იგნორირებულია დ. ხახუტაიშვილის მიერ. ის საერთოდ ზედმეტ სიფრთხილეს იჩენს წყაროების გამოყენებისას. „როგორც ქართლის მოქცევის ავტორს, ისე ლეონტი მროველს აშკარად ემჩნევათ, რომ მოგვიანო ვითარების ამსახველი ცნობები აღრეული ვითარების ასახვისათვის აქვთ გამოყენებულიო"—წერს იგი (იბერიის ქალაქები... გვ. 18). ეს, რა თქმა უნდა, არ არის გამართლება წყაროების გაუთვალისწინებლობისათვის. თუ კი მას შესაძლებლად მიაჩნია უფლისციხის ქალაქობა ამტკიცოს ადრეკლასობრივი ხანიდან, რომლის შესახებაც საბუთები არ არსებობს, რატომ არ უნდა იყოს გათვალისწინებული ის ცნობები, რომლებიც საპირისპიროს ადასტურებენ. ყოველი შემთხვევისათვის „მოქცევის" სათანადო ცნობებს მეტი ანალიზი და ყურადღება სჭირდებოდა.

ლისციხე მოგვიანო ხანაში იყოს შექმნილი და მას კი ამის ნიშნები გააჩნია. ძველი სახელები, ასეთი შინაარსისა, სხვანაირად იწარმოებოდა: საზღვრული მსაზღვრელის წინ იყო გატანილი, შდრ. „ციხე დიდი", და არა „დიდი ციხე", „ციხე გოჯი" და არა „ქუჯის ციხე" და სხვ. ის ძველი ფორმით იქნებოდა „ციხე უფლისაჲ".

ამდენად, დამოკიდებულება კასპსა და უფლისციხეს შორის ასეთი შინაარსით შეიძლება გავიგოთ, როგორც ურთიერთობა ქალაქსა და მის დამცველ ციხეს შორის.

სარკინე — ციხედიდის მსგავსივე ურთიერთობა, რის ანარეკლიც „მოქცევაში" იგრძნობა. ზევით უკვე განხილული იყო და აქ აღარაფერს ვიტყვით.

## 5. ხეობის ქალაქი და ველის ციხე. ქალაქთგანწყობა

ზემოთ აღნიშნული იყო ქალაქების და მათზე დამოკიდებული „ქვეყნის" დამცველი ციხეების შესახებ, რომელნიც თავისებურ დაწყვილებას იძლევიან და კარგად მიუთითებენ ქალაქითა და მისი ციხით შექმნილ ერთეულებზე.

დაახლოებით ამავე კონტექსტით შესაძლებელია სხვაგვარი წყვილებიც გამოვყოთ ქალაქებისა და ციხეებისა, სადაც მათი ურთიერთობა განისაზღვრება ხშირად ეკონომიური ყოფით (უჯარმა-რუსთავი, ზღუდერი-ველისციხე), ანდა პოლიტიკური დამოკიდებულებით (ჭერემი-ველისციხე). ქალაქისა და ციხის ამ ურთიერთობაში ხეობის ქალაქს უკავშირდება ველის ციხე. ველის ციხე არის დამცველი ხეობისა და ხეობის ქალაქისა, რომელიც წარმოიქმნება ველის დასაწყისში, ზღვარზე ველსა და ხეობას შორის. ვფიქრობთ, ასეთი ურთიერთობის ნაყოფია ციხის განსხვავებული სახელის შემოსვლაც. ქვევით რამდენიმე ასეთ ნიშანს განვიხილავთ. ვიმეორებთ, დამოკიდებულება ხეობის ქალაქსა და ველის ციხეს შორის ძირითადად იმავე ასპექტში უნდა გავიგოთ, როგორც ზემოთ აღნიშნული ქალაქები და მათი ციხეები.

ციხე-ქალაქი უჯარმა ადრეფეოდალურ ხანაში მნიშვნელოვანი პუნქტია. იგი ისტორიული კახეთის პოლიტიკური ცენტრი იყო ივრის ხეობაში. როგორც ქალაქი უჯარმა, წერილობითი წყაროების მიხედვით, უფრო ადრეა წარმოშობილი. ლეონტი მროველის მიხედვით იგი ასფაგურს აუშენებია (III ს.), ვახტანგ გორგასალი მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, აგებს ციხეს, ამაგრებს მას და თავისი პოლიტიკური მიზნების განხორციელების ერთ-ერთ დასაყრდენ ციტადელად ხდის. უჯარმას მემკვიდრეობით მიღებული აქვს ივრის ხეობის მდიდარი რაიონის მეურვეობა. ამიერიდან მისი გაძლიერებით ხეობის ძველი ცენტრების ბერ-ჩელეთის მნიშვნელობა ეცემა. რამდენად მიზანშეწონილი იყო უჯარმა ეკონომიური თვალსაზრისით, ან რამდენად შესძლო მან ამ მხრივ თავის გატანა, ამის შესახებ ლაპარაკი ქვემოთ გვექნება, როდესაც ადრეფეოდალური ხანის ქალაქებს განვიხილავთ. ეხლა კი მოკლედ ვიტყვით, რომ მისი აღზევება და წინ წამოწევა ნაკარნახევი იყო უმთავრესად პოლიტიკური მოსაზრებებით; ვახტანგ გორგასალს აღმოსავლეთის ექსპანსიისათვის ესაჭიროებოდა ძლიერი პოლიტიკური დასაყრდენი პუნქტი. ერთ-ერთ ასეთ ციხე-ქალაქს, მის მიერვე გაძლიერებულს, უჯარმა წარმოადგენდა[149]. მან თავისი როლი

---

[149] Д. Л. Мусхелишвили. Город Уджарма. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, გვ. 65.

ბრწყინვალედ შეასრულა და შემდეგ კი ჩამოშორდა ასპარეზს (ამის შესახებ ქვემოთ).

ამასთანავე ერთად არ უნდა დავივიწყოთ, რომ უჯარმა ივრის ხეობის ქალაქი იყო და მასზე ძლიერ იყო დამოკიდებული თვით ხევის ავკარგიანობაც. ვახტანგმაო „უბრძანა აღშენება უჯარმისა და მუნ შინა ზრდა დაჩი მეფისა, რამეთუ სიმარჯუედ გამონახა იგი ნადირთა და ცხოვართათვისო"[150]. აქ ერთმეტად საყურადღებო მომენტია აღნიშნული, რომელიც გვამცნობს, უჯარმის და მთლიანად ხეობის სამეურნეო ყოფის ამსახველ სურათს. მესაქონლეობა და განსაკუთრებით კი მომთაბარული, ხეობის ძირითადი ეკონომიური საშუალება[151], რომელსაც მრავალი ხელისშემწყობი პირობა სჭირდებოდა. ხეობაში მეცხვარეობის განვითარებაზე უძველესი დროიდანვე მიუთითებს არქეოლოგიური მონაცემებიც. ამის საუკეთესო მასალები მოგვცა სამგორის № 1 ყორღანის გათხრებმა, სადაც ადრებრინჯაოს ხანის კერამიკასთან ერთად დადასტურებულია დიდი რაოდენობით ცხვრის ძვალეულიც[152]. კარგად არის ცნობილი, რომ მეცხვარეობის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სათანადო საზამთრო და საზაფხულო საძოვრების პირობებში. საკუთრივ ივრის ხეობის ზედა წელი და მთიანი კახეთი უჯარმის საგამგეო მას არ ეყოფოდა. მას საზამთრო საძოვრებიც ესაჭიროებოდა და აი აქ ვახტანგის შორსმჭვრეტელობაც ნათელია; ზრუნავს ხერბაზე, ნინოწმინდას, უჯარმის კარს საეპისკოპოსო ცენტრს აარსებს და ხეობის კარის, ხეობის შესასვლელის მოწყობას ცდილობს. გეოგრაფიული მდებარეობა ივრის ხეობისა და, განსაკუთრებით უჯარმის ზემო წელისა, სადაც ხეობა იშლება და ველში გადადის, ისეთია, რომ ივი რუსთავის კონტროლს ვერ ასცდება. უჯარმის — ხევის ქალაქის პირისპირ მდებარეობს რუსთავი — ველის ქალაქი, რომელსაც ხელთ უპყრია ზამთრის შესანიშნავი საძოვრები, ივრისპირეთი, ყარაია, ჩადივარი, გარეჯის მიდამოები და სხვ.

მტკვრისა და ივრისპირები უძველესი დროიდანვე ქართველთა საზამთრო საძოვრებს წარმოადგენდა, რომლის გასაღებიც რუსთავი იყო. რუსთავის ხელში ჩაგდება საძოვრების დაუფლებას ნიშნავდა. საძოვრების შენარჩუნება კი სახელმწიფოებრივ საქმეს შეადგენდა. მისი დაკარგვის ცალკეულ შემთხვევაში ქვეყანა კრიზისის წინაშე იდგა ხოლმე. მასზევე დიდად იყო დამოკიდებული ველის ისეთი ქალაქის ყოფნა-არყოფნაც, როგორიც რუსთავია. საძოვრების საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგება მეზობლად თურქმანული ტომების მომძლავრების შემდეგ. XI ს., მაგალითად, თურქ-სელჩუკთა გაძლიერების ხანაში. რუსთავის საძოვრებს მომთაბარენი ეუფლებიან და ყოველ ღონეს ხმარობენ მის შესანარჩუნებლად. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის გადმოცემით „წარიღო გიორგი ჰყონდიდელმან რუსთავიცა მეფისა შუხრანს ყოფასა. ქრონიკონი იყო სამას ოცდა თხუთმეტი. რომლისათვისცა დიდად წყენა შეექმნა თურქთა და რიდობა საზამთროთა ადგილთა დგომისა"[153]. დაზამთრებისას, როგორც მემატიანე გადმოგვცემს, „ჩამოიარიან თურქთა სომხითი. ყოელითა ფალანგითა მათითა, ჩამოდგიან გაჩიანთა, პირსა მტკუარისასა, ტფილისითგან ვიდრე ბარ-

---

[150] „ქ ც-ბა," I, გვ. 85.
[151] Д. Л. Мусхелишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.
[152] Д. Л. Мусхелишвили, იქვე, გვ. 60.
[153] „ქ ც-ბა," I, გვ. 333.

დაკადმდე, და იორის პირთა, და ყოველთა ამათ შუენიერთა ადგილთა საზამთროთა, რომელთა შინა ზამთრის, ვითარცა არესა გაზაფხულისასა, ითიბების თივა. და აქუს შეშა და წყალი უხუებით"[154]. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით კარგად ჩანს, როგორი სიმძაფრით იბრძოდა სახელოვანი მეფე საძოვრებისათვის. ეს გასაგებიცაა, რადგან ქვეყანა სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა თურქ-სელჩუკებთან დაპირისპირებისას. სელჩუკთა მეურნეობის მომთაბარული ხასიათი დაუპირისპირდა დამჯდარ მეურნეობას. საძოვრების დაკარგვით საფრთხე ექმნებოდა ადგილობრივ მესაქონლეთ. ასეთი დაპირისპირება უცხო მეტომეებთან საქართველოს ისტორიაში ძალიან ხშირად ყოფილა და იგი ყოველთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემას წარმოადგენდა.

საზამთრო და საზაფხულო საძოვრების საკითხმა გარკვეული როლი შეასრულა, უძველესი დროიდანვე მოყოლებული ჯერ ეთნიური მომენტის განმტკიცებაში და შემდგომად კი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს გაერთიანებაში.

დამოკიდებულება ივრის ხეობასა და რუსთავს შორის, როგორც ბარისა და მთის, განსხვავებული სამეურნეო დარგების, საზამთრო და საზაფხულო საძოვრების ერთიანობისა უძველესი დროიდანვე გარკვეული იყო. წერილობით წყაროებში ასახული ურთიერთობაც ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს. თვით ისტორიული კუხეთის საზღვარი, რომლის ცენტრსაც რუსთავი წარმოადგენდა, ხომ ივრის ხეობაზე უჯარმა-ბოჭორმის ხაზზე გადიოდა. განა ამის მანიშნებელი არ უნდა იყოს ლეონტი მროველის ცნობაც? „და ამან კახოს აღაშენა ჩელეთი: კუხოს შეეწია შენებასა ჩელეთისასა რამეთუ დედა ციხე კახოსის ხუედრი იყო. და მისცა კახოს შეწევნისათვის და შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რომელსა ბერ ერქუა პირველ შენებულსა კახეთისასა"[155]. რუსთავი ივრის ხეობასა და უჯარმის მიმართ, ისევე როგორც უფრო ადრე ბერისა და ჩელეთის მიმართ, დამცველი ციხის როლსაც ასრულებდა. მას ივრის ხეობისათვის ველის ციხის მნიშვნელობა ჰქონდა. ტერმინ ველისციხეს აქ, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული გარემოების გამო ვხმარობთ, ვითვალისწინებთ რა რუსთავ-ქალაქის სტრატეგიული პუნქტის ერთ-ერთ დანიშნულებას.

აქ, ისევე როგორც სხვა ბევრ შემთხვევაში, უნდა დავინახოთ ხევის ქალაქისა და მისი ჩამკეტი ციხის ურთიერთობა, ურთიერთობა, სადაც მკაფიოდ ისახება ხევის ქალაქის და მის კართან მდებარე ველის ციხის დამოკიდებულება.

სავარაუდო, ველისციხეების გავრცელება ჩვენში და საერთოდ ამ ინსტიტუტის შემოსვლა სწორედ ზემოთ აღნიშნული გარემოების ნაყოფია. „ველისციხე" ისახება, როგორც სახელიდანაც ჩანს, მთის, უფრო სწორედ, ხევის ციხის საპირისპიროდ. სამწუხაროდ, ველისციხეების შესახებ წყაროებში ცოტა რამ მოგვეპოვება, ჩვენ მხოლოდ ორ ველისციხეს ვიცნობთ, რომლებიც აღნიშნული მოსაზრების დასაბუთებას უჭერს მხარს.

ერთი ველისციხე თანამედროვე კახეთის ტერიტორიაზე მდებარეობს გურჯაანის რაიონში. სამწუხაროდ, დღეს აქ, მჭიდროდ დასახლებულ სოფელში მხოლოდ მცირეოდენი ნიშნებიღაა შემორჩენილი. თანამედროვე სოფელი, რომელიც ძველი ველისციხის ნაშთებზეა აღმოცენებული, გაშენებულია მდი-

[154] ქ. ც-ბა,- I, გვ. 332.
[155] ქ. ც-ბა,- I, გვ. 9.

წარე ჰერმის-ხევის მარცხენა ნაპირზე. იქ სადაც მთავრდება ხევის მთაგორიანი კალთები და იშლება ალაზნის ველი. უტყუარი ნიშნებია; ველისციხე ჰერმის ხევის ჩამკეტია, აშენებული ხევის ბუნებრივ კარზე. ძველი ქალაქი ჰერემი კი გაშენებულია ველისციხიდან 17 კმ-ზე, ღრმა ხეობაში. ქალაქი ჰერემი ძლიერდება განსაკუთრებით ვახტანგ გორგასალის დროს და მას ისეთივე ამოცანის შესრულება ეკისრებოდა, როგორც უჯარმას. ორივე ეს ციხე-ქალაქი ბევრი რამით ამჟღავნებს ნათესაობას. ჰერემში ვახტანგ გორგასალის დროიდან ზის ეპისკოპოსი; იგი, ისევე როგორც ნეკრესი და კამბეჩანი, დაჩის საკუთრებად ცხადდება ჯერ კიდევ ვახტანგის სიცოცხლის დროს. ვახუშტი ჰერმის შესახებ მოკლედ, სხარტად გადმოგვცემს: „ამ წყალზედა არს (ლაპარაკია ჰერმის წყალზე. — ლ. ჭ.) ალაზნის დასავლით, ველსა ზედა, ველის ციხე, და აწ უქმი. ამავე წყალზედ არს, ცივისა ანუ ჰერეთის მთის საშორისსა, ჰერემი; იყო ქალაქი, სადაცა აღაშენა გორგასალ ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი და ქალაქი მაგარი, და დასვა ეპისკოპოზი, მწყემსი შიგნით კახეთისა და ზის დღესცა“[156]. ჰერემ-ველისციხის ურთიერთობაზე უნდა მიუთითებდეს ზოგი ისტორიული ფაქტი. მაგალითად, როდესაც სპარსელები ებრძვიან ვახტანგ გორგასალს, ისინი აოხრებენ კახეთის ქალაქებს, წყაროში ჰერემიცა და ველისციხეც ერთად არიან მოხსენიებული; ჩანს, ვერ გაუძლო მოძალებულ მტერს ველისციხემ და დაეცა ჰერმის ციხეც „და მოვიდა ხუასრო მეფე და შემუსრნა ქალაქი კამბეჩოანი, და ჰერმისა ციხე, და ველის-ციხე. და ვითარცა მოიწივნეს კახეთად, დაიბანაკეს იორსა ზედა“[157].

არქეოლოგიურად არც ჰერემი და არც ველისციხე შესწავლილი არ არის. მხოლოდ მიწისზედა ძეგლებია აზომილ-ფიქსირებული. ჰერმის შესახებ სათანადო ადგილზე გვექნება ლაპარაკი, ველისციხეზე კი მოკლედ შეიძლება ყურადღების შეჩერება იმ დაზვერვებისა და აზომვების შედეგებზე, რომელსაც აქ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში აწარმოებდა გ. ჩუბინაშვილი. მის მიერ ველისციხეში ჩატარებულ მუშაობას, მიწისზედა ძეგლების გამომზეურების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, უმთავრესად არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებამდე, რამდენადაც იმ დროს მიწისზედ არსებული ზოგი ძეგლი დღეს აღარ ჩანს.

გ. ჩუბინაშვილის მიერ ჩატარებულ სამუშაოთა შედეგად ველისციხეში ძირითადად სამი არქიტექტურული ძეგლია გამოვლინებული: სამეკლესიანი ბაზილიკა, ციხე და სასახლე. სამეკლესიანი ბაზილიკა სასახლის ნანგრევების მახლობლად დგას. აგებულია რიყის ქვით. ბაზილიკა ძლიერ გადაკეთებას განიცდის XVII ს. აქ საეკლესიო სამსახურს ეწეოდნენ რევოლუციამდეც[158]. ბაზილიკა ადრე ქრისტიანული ხანის ძეგლია (VI ს.)[159]. მიუხედავად იმისა, რომ ველისციხეში ციხის ნანგრევების საკმაოდ ბევრი ფრაგმენტია შემორჩენილი, რაც მთავარია ხელმოსაკიდი ნიშნები ძეგლის კომპოზიციაში ტიპისა და ხასიათის გასარკვევად არა გვხვდება[160]. ციხის კედლების ცალკეული ნაწილები რამდენიმე ადგილას არის შემორჩენილი. ერთგან კუთხის კოშკის ორი სართულიც

---

[156] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 99.

[157] „ქ ც-ბა,“ I, გვ. 201.

[158] Г. Н. Ч у б и н а ш в и л и. Архитектура Кахетии, Тб., 1959, текст, გვ. 153.

[159] ი ქ ვ ე, გვ. 559.

[160] ი ქ ვ ე.

არის დადასტურებული. საყურადღებოა, რომ ზემოთ აღნიშნული VI ს. სამეკლესიიანი ბაზილიკა ციხის კედლების გარეთ ხვდება. მათ შორის ქრონოლოგიური დამოკიდებულების გარკვევის შემთხვევაში მეტად საინტერესო საკითხის შესწავლა იქნებოდა შესაძლებელი თვით პუნქტის დასახლებული ნაწილის რაობის შესახებ. სასახლიდანაც მცირე ნაწილები გადარჩენილა. მას, როგორც ჩანს, წაგრძელებული ადგილი უჭირავს, ორსართულიანია. შემორჩენილი ყოფილა ასევე გარეთა კიბე, მეორე, ძირითად სართულზე ასასვლელად[161].

ველისციხეში ციხის დადასტურება მნიშვნელოვანი მოვლენაა. ასევე ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს სასახლისა და ძველი ეკლესიის დადასტურებაც. იყვნენ თუ არა ისინი სინქრონული ძეგლები, ეს საკითხი მომავალი არქეოლოგიური კვლევის საგანია, რომელმაც სხვა ასევე საყურადღებო ძეგლებიც უნდა გამოაჩინოს. ის ამბავი, რომ აქ, ველისციხეში, VI ს. აგებენ ეკლესიას, ნამდვილად გვაგულისხმებინებს სხვა მის თანადროულ და უფრო ძველ ნაგებობებსაც. უკვე ხომ ხოსრო II ანგრევს გორგასალის დროს აქ ციხეს? განა ეს მრავლისმეტყველი არ არის? ჟერემ-ველისციხის ურთიერთობის ჩვენი ინტერპრეტაციის სასარგებლოდ, ისევე როგორც ქალაქებისა და მათი დამცველი ციხეების დამოკიდებულების ჩვენი ვარაუდის ასახსნელად, უთუოდ ანგარიშგასაწევი გარემოებაა, რომ ჟერემში არსებული ნაგებობების სინქრონულ ძეგლებს (ჯერჯერობით მხოლოდ მიწისზედას) ველისციხეში ვხვდებით, რაც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი გარემოებით არ შეიძლება აიხსნას.

მეორე ველისციხე ქართლში მდებარეობს, იმერ ხევში. იმერ ხევი თრიალეთის მთებს გამოსდის და ძამას უერთდება ზღუდერთან. ზღუდერი, რომლის სახელიც ძველ ქალაქურ დასახლებაზე მიუთითებს, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით საკმაოდ დაწინაურებული ჩანს ვეიანანტიკურ ხანაში. მდიდრული სამარხების მიხედვით აქ შესაძლებელია პროვინციის დიდგვარიანთა დაწინაურებული ფენაც კი წარმოვიდგინოთ[162]. არის ყოველგვარი მონაცემები, რომ ზღუდერი ვიგულისხმოთ ქალაქის თუ ქალაქური ტიპის ძლიერ დასახლებად, რომელიც აღმოცენებულია ძველი სამოსახლოს საფუძველზე. ველისციხე, რომელიც იმერხევის თავში მდებარეობს, ზღუდერიდან დაახლ. 7—8 კმ-ზე, ზღუდერთან დაკავშირებული ციხე ჩანს. კახეთის ველისციხისაგან განსხვავებით იგი გაშენებულია მთის წვერზე, საკმაოდ მიუვალ ადგილზე. ციხის ტერიტორია გამოყოფილია ტერასებად, რომლის განაპირასაც ნასოფლარი შეინიშნება მსხვილი ქვებით ნაგები ნაეკლესიარით (ტაბ. $XV_2$). თვით ციხეც საკმაოდ მსხვილი ქვებით არის აგებული მთის წვერზე, რომლის მხოლოდ მცირეოდენი ნაშთებილა არის შემორჩენილი (ტაბ. $XV_1$). ველისციხის გეოგრაფიული გარემოს გამო შესაძლებელია ზოგს ეჭვებიც კი დაებადოს მისი სახელის გამო, რადგანაც ის თავისი გარეგნობით სრულიადაც არ იმსახურებს ველის ციხის წოდებას. ეჭვები, რა თქმა უნდა, საფუძვლიანია, მაგრამ სახელი მას არა თავისი გარეგნობით შეერქვა, არამედ დანიშნულების მიხედვით. საქმე იმაშია, რომ ხეობის ამ მონაკვეთიდან იწყება გაშლილი ველი ძამის ხეობისაკენ, რომლისთვისაც ბარის მეურნეობაა ძირითადი. ველისციხე გაშენებულია ველისა და მთის მიჯნაზე, რომლის ვალიც არის დაცვა ველისა და ამ ველზე გაშენებუ-

[161] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тб., 1959, текст. გვ. 559.

[162] ზღუდერში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ურბნისის ექსპედიციის რაზმი გ. ნემსაძის ხელმძღვანელობით. ვსარგებლობთ მის მიერ მოწოდებული ცნობებით.

და ზლუდერ-ქალაქისა. ველისციხე ველის ბუნებრივ საზღვარზე აღმოცენებული ციხეა, ველის დამცველია და ველზე მდებარე ქალაქის ჩამკეტია. ველისციხე-ზლუდერის ურთიერთობა, ვფიქრობთ, ისეთივე უნდა იყოს, როგორიც ზემოთ განხილული ქალაქებისა და ციხეებისა.

კიდევ ერთი, ველისციხე ცნობილია ივ. ჯავახიშვილის რედაქციით შედგენილი რუკის მიხედვითაც ივრის ხეობაში. სამწუხაროდ, მისი დაზვერვა ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ.

* * *

ქალაქებისა და მათი დამცველი ციხეების განხილვის შემდეგ არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ერთ მეტად საინტერესო გარემოებას. სახელდობრ, მათ ტერიტორიულ განლაგებას, თუ რა ნიშნის მიხედვით ხდებოდა ადგილის შერჩევა და არსებობდა თუ არა საერთოდ რაიმე კანონზომიერება ამ მხრივ. ჩვენი ყურადღება ჯერ კიდევ ქალაქ რუსთავზე მუშაობისას მიიქცია ერთმა მეტად დამაფიქრებელმა ფაქტმა; რუსთავის სამეურნეო რაიონი, რომელიც მთელ რიგ სოფლებს მოიცავდა, მისგან ჩრდილოეთით ან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა. რუსთავი მისდამი დაქვემდებარებული მხარის ყველაზე სამხრეთის დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა. ასეთი მნიშვნელოვანი პუნქტის განაპირას, ამ შემთხვევაში სამხრეთის საზღვარზე არსებობა მოწმობს, რომ იგი სათანადო შესაფერი ადგილი იყო, და რომ აქედან მისდამი რწმუნებული მხარის მართვა ხელსაყრელად არის მიჩნეული. თუმცა, რა თქმა უნდა, აქ მხოლოდ ადმინისტრაციული დამოკიდებულება არა გვქონია. ეს გარემოება, ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრის სამხრეთში არსებობა მარტო რუსთავის მაგალითით არაა ცნობილი. ასეთივე მდგომარეობაა ისტორიულ კახეთშიაც; უჯარმა მის სამხრეთის საზღვარზე მდებარეობს; ჰერეთის ცენტრი ქალაქი ხორანთა პროვინციის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშია მოქცეული, მდინარეების ივრისა და ალაზნის შესართავში; ქალაქი ხუნანი გარდაბანის, ხუნანის საერისთაოს და საერთოდ საქართველოს ყველაზე უკიდურესი სამხრეთის სასაზღვრო პუნქტია.

ამ გარემოების ახსნა, გარეგანი ფაქტორის არსებობით ვცადეთ. ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტები, რომლებიც ძლიერი ციხეებით იყვნენ გამაგრებული, სასაზღვრო ერთეულებს წარმოადგენდნენ, მათ ზურგს უკან კი მათზე დაქვემდებარებული რაიონი იყო განლაგებული. ადმინისტრაციული ცენტრის, რომელიც ამავე დროს სტრატეგიული პუნქტიც იყო, დაცემის შემთხვევაში მტერს ადვილად შეეძლო მთელ რაიონსაც დაპატრონებოდა. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს პროვინციებისათვის სამხრეთით ორიენტირებას, იგი უძველესი დროიდანვე საფრთხის სასიგნალო ნიშნად იქცა; ისეთი ღონისძიებები ცხოვრებით იყო ნაკარნახევი[163].

სამხრეთით ორიენტირება, რა თქმა უნდა, ზემოთ ჩამოთვლილი პროვინციებისათვის იყო დამახასიათებელი, სხვა შემთხვევებში და სხვა გეოგრაფიულ გარემოში ყურადღება უმთავრესი საფრთხის კერებისკენ იქნება მიქცეული.

სასაზღვრო პუნქტები რომ განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ იყვნენ მოქცეული, ეს, რა თქმა უნდა, ახალი ამბავი არ არის. მაგალითად, ცნობილია

[163] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქი რუსთავი, გვ. 163, 164.

თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ არაბები თბილისს, როგორც სახალიფოს უკიდურესა ჩრდილოეთის სასაზღვრო პუნქტს. სუღრს (ثغر) რომ ის ყოველთვის მტკიცე დასაყრდენი ყოფილიყო ჩრდილოეთის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის საწინააღმდეგოდ.

იბერიის ციხე-ქალაქების უმეტესობა რუსთავის მსგავსად იყო განლაგებული. მტკვრისპირის ქალაქები ამის საუკეთესო ილუსტრაციაა. მტკვარი ცენტრალური კავკასიონის კალთებიდან გამომდინარე ხეობებს იერთებს და ბუნებრივია ხეობების (მდინარეების) მტკვართან შეერთების ადგილზე აღმოცენებული პუნქტების ერთ-ერთი დანიშნულება სწორედ ხევების დაცვა იყო. თუ თვალს გადავავლებთ ზემოხსენებულ გეოგრაფიულ გარემოს, საინტერესო სურათი გამოჩნდება: მცხეთა, სარკინე, კასპი, გორი, ძველი ქართული ქალაქები სწორედ ასეთ ადგილებზე არიან განლაგებული.

მდინარე არაგვი, როგორც ჩანს, უფრო მნიშვნელოვანია ამ მიმართებით. მას ორმაგი დაცვა სჭირდებოდა ჩრდილოეთიდანაც და სამხრეთიდანაც, ორივე კარზე. ერთ-ერთი გზა, რომლის მეშვეობითაც ჩრდილოეთის მომთაბარე ტომებს შეეძლოთ სამხრეთში გადმოსვლა, სწორედ დარიალ-არაგვზე იდო — „და ისწავეს ხაზართა ორნივე ესე გზანი, რომელ არს ზღვის — კარი დარუბანდი და არაგვის — კარი დარიალაო"[164], გადმოგვცემს ლეონტი მროველი. დარიალის გამაგრება ანტიკური ხანიდან მოყოლებული, თუ არა უფრო ადრეული ხანებიდან, ურთულეს და საპირბოროტო მოსაგვარებელ საკითხს წარმოადგენდა და არა მარტო ქართლის სამეფოს მესვეურთათვის. ცნობილია, თუ რარიგ ცდილობდნენ მის ჩაკეტვას სპარსელი და სხვ. მეფეებიც, რადგან ჩრდილოეთიდან ნომადების შემოსევის საშიშროების აღკვეთით ისინი არანაკლებ იყვნენ დაინტერესებული. ვახტანგმაო „დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაყნი, და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიანისად უწოდთ. და აღაშენნა მას ზედა გოდოლნი მაღალნი, და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთეულნი, არა ხელეწიფების გამოსვლად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა თჳნიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა"[165]. ქართველი მეფეების ამ უფლებას მარტო მოგვიანო ქართულ წყაროში არა ვხვდებით, ამას გაცილებით ადრე ტაციტიც შენიშნავდა ახ. წ. I ს. პირველ ნახევარში ქართველ-სპარსელთა შორის ამტყდარი ომის ზოგიერთი მომენტის აღნიშვნისას[166]. არაგვის გზისა და გამაგრებული კარების შესახებ სტრაბონიც წერდა — გზის ბოლო ძნელად ასაღები კედლით არის გამაგრებულიო[167]. ეჭვი არ არის, ასეთი მნიშვნელოვანი ხევის დასაჭერად, ასევე აქ გამავალი გზის საპატრონოდ ძლიერი პუნქტი იქნებოდა საჭირო. მცხეთის მოწინავეობა მნიშვნელოვანწილად მისი ასეთი კარგი გეოგრაფიული მდებარეობით იყო გაპირობებული.

არაგვის ხეობის სამხრეთის კარი ზედ მცხეთაზევე იდო. მცხეთაში შემოსასვლელი ჩრდილოეთის მხრიდან, რომლის შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი, სწორედ არაგვის კარს წარმოადგენდა. ჯუანშერის გადმოცემით „არჩილ მეფემან აღაშენა ეკლესია სტეფანწმიდისა მცხეთას, კართა ზედა არაგვისათა (ხა-

---

164 „ქ ც-ბა," I, გვ. 12.

165 „ქ ც-ბა," I, გვ. 156.

166 В. В. Латышев, Известия древних писателей о Скифии и Кавказе, ВДИ, 1949, № 3, стр. 211—212.

167 სტრაბონის გეოგრაფია, თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს თარგმანი, თბ., 1957, გვ. 129.

ზი ჩვენია. — ლ. მ.), სადა იყვნენ კოშკნი მტკიცენი საბრძოლნი, რომელნი მასვე აღეშენნეს“[168].

არაგვის შემდეგ მტკვრის შენაკადი ხევია ქსანი. ქსან-მტკვრის შეერთებაზე, როგორც იყო შენიშნული, სარკინე ქალაქი იყო გაშენებული. თავისი მრავალრიცხოვანი უბნებით: აქ ძლიერი საფორტიფიკაციო ნაგებობებიც არის მოსალოდნელი. მთლიანად ქსნის ხეობა უძველესი დროიდან მოყოლებული დასახლებულია, რის ფაქტორიც მისი მეურნეობის დაწინაურებაში შეიძლება დავინახოთ. განსაკუთრებით მისი ქვედა წელი იქცევს ამ მხრივ ყურადღებას. შემთხვევითი არ იყო, რა თქმა უნდა, რომ სწორედ ქსნიდან იღებს სათავეებს ის საირიგაციო სისტემა, რომელიც მცხეთის სამეურნეო რაიონს, მუხრანის ველს ემსახურებოდა და ის არხიც, რომელიც წერილობითი წყაროების მიხედვით უძველესია ჩვენში. საქმე ეხება ქსნის არხს, ვითომ მაკედონელის მიერ გაყვანილს და ნასტაკისის ველს, სარწყავად გამოყენებულს. ქსნის ხეობა განსაკუთრებით ანტიკური ხანის ძეგლებით იქცევს ყურადღებას. საქვეყნოდ განთქმული „ახალგორის განძი“ კარგა ხანს ერთადერთი მდიდრული სამარხი იყო, რომელიც ადრეანტიკური ხანის ზედა ფენის დასახასიათებლად ძვირფას მასალას გვაწვდიდა[169]. ალგეთში აღმოჩენილმა მსგავსივე ხასიათის სამარხეულმა ინვენტარმა[170], და შემდგომად ყანჩაეთში, იმავე ქსნის ხეობაში, ახალგორის სიახლოვეს, შემთხვევითმა მონაპოვარმა, რომელიც სამარხეულია, დაამტკიცა, რომ ეს საჭივე ძეგლი „უაღრესად მნიშვნელოვანია ადრეანტიკური ხანის საქართველოს მოსახლეობის სოციალური წყობის ხასიათის გასარკვევად“[171], რამდენადაც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ადრეანტიკური ხანის ისეთი ძეგლები, როგორიცაა ახალგორის, ალგეთის წინწყაროს და ყანჩაეთის სამარხები, სწორედ საზოგადოების უმაღლესი წრის, შემდგომდროინდელი პიტიახშებისა და ერისთავების წინამორბედთა წარმომადგენლების საკუთრება უნდა ყოფილიყო[172], ბ. კუფტინის მართებული ინტერპრეტაციით ე. წ. აქემენიანთა ხანის თრიალეთში, ისევე როგორც ქსნის ხეობაში, ვხვდებით დიფერენცირებულ მოსახლეობას, სადანაც უკვე გამოყოფილია ადგილობრივ დიდებულთა წრე, რომლის წარმომადგენლებს მეფური პატივით მარხავენ[173].

განა შესაძლებელია ქსნის ხეობის ეს მნიშვნელოვანი პუნქტები, სადაც მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლები სხედან, რომლებიც შესაძლებელია იყვნენ „არა ტომის ბელადები, ან, თუნდაც, გვაროვნული არისტოკრატიის წარმომადგენელნი, არამედ უკვე ხელისუფალნი, ხევისთავები, ერისთავები“[174], რომ სარკინეს გარეშე წარმოვიდგინოთ? იმ ძლიერი პუნქტის გარეშე, რომელიც მთლიანად ხევის კარს წარმოადგენდა? რა თქმა უნდა, ასეთი დაშვება არაბუნებრივი იქნებოდა. სარკინესა და ქსნის ხეობას შორის მჭიდრო კავშირურთიერთობაა სავარაუდო, განსაკუთრებით კლასობრივი საზოგადოების პირობებში, რამდენადაც სარკინეზე დიდად იყო დამოკიდებული მთლიანად ხევის

---

168 „ქ ც-ბა,“ I, გვ. 140.

169 Я. И. Смирнов. Ахалгорийский клад. Тбилиси. 1934.

170 Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалетии. стр. 34—41.

171 ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან. თბილისი, 1964. გვ. 5.

172 ი. გაგოშიძე. იქვე.

173 Б. А. Куфтин. დასახ. ნაშრომი. გვ. 40.

174 ი. გაგოშიძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 79.

ეკონომიკის წამყვანი დარგები. როგორიცაა საშიწათმოქმედო კულტურების წარმოება ქსნის ქვედა წელზე. რკინის წარმოება და სხვა საქალაქო მეურნეობის სახეები. სარკინეში, როგორც სავაჭრო გზაზე მდებარე პუნქტში, იმყოფებოდა ბაზარიც, რომლის ძირითადი მომხმარებელი სწორედ ქსნის ხეობის მოსახლეობა იყო.

მდ. ლეხურას ხეობის კარზე ანტიკური კასპი იყო გაშენებული. ხეობა შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანია და სხვებთან შედარებით მოკლე. მიუხედავად ამისა, ხეობაში არაერთი საყურადღებო სიძველის ძეგლია დადასტურებული[175]. ძეგლების ამ რიგში დამაგვირგვინებელია მდ. ლეხურას კარი თავისი ცნობილი ქალაქით კასპით.

ქალაქი გორიც მნიშვნელოვანი ხევის კარზე იყო აგებული. მდინარე ლიახვის ხეობა უძველესი ხანიდან მოყოლებული დასახლებულია. მდინარის ვასწვრივ ვხვდებით უამრავ ძველ სამოსახლო გორებს, რომლებიც კარგად არის შესწავლილი სადაზვერვო ექსპედიციების მიერ[176]. მდ. ლიახვზე დიდად იყო დამოკიდებული ურბნისის ეკონომიკაც; ქალაქის სასოფლო რაიონი სწორედ ლიახვიდან გამოყვანილი რუებით არსებობდა.

## 6. ქალაქთა ტიპები

ზემოთ განხილული ძველი ქართული ქალაქები, როგორც ცნობილია, ეკონომიურად ძლიერ პუნქტებს წარმოადგენდნენ, სათანადო გეოგრაფიულ გარემოში იყვნენ აღმოცენებულნი, სადაც საქალაქო მეურნეობის ბევრი მნიშვნელოვანი დარგი იყო თავმოყრილი. ისინი ვაჭრობა-ხელოსნობის ბუდედ, სავაჭრო ცენტრად იყვნენ ქცეული; საქარავნო გზების სიახლოვეს განლაგებულნი, ძლიერ სტრატეგიულ ადგილებს წარმოადგენდნენ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორის არსებობა ქალაქებისათვის მეტნაკლები ხარისხით აუცილებელი იყო. მაგრამ როგორც ძველ ქართულ ქალაქებზე გულდასმით დაკვირვებით ირკვევა, მათი შესწავლა დიდ სიფრთხილესთან არის დაკავშირებული, რადგან ერთ ქალაქზე შემუშავებული სქემა ყველას ერთნაირად ვერ მიუდგება და თვითეული მათგანი ცალკეულ კონკრეტულ განხილვას და შესწავლას მოითხოვს. ცხადად ჩანს თვითეულ მათგანში, განსაკუთრებით, წინ რომელიღაც ფაქტორია წამოწეული, რომელიც უპირატესად დამახასიათებელ მომენტს ქმნის ქალაქის ცხოვრებაში, რითაც მას სხვებთან შედარებით განსხვავებული ელფერი ედება. საუკუნეების განმავლობაში ისახებოდა და ვითარდებოდა, ივეთდებოდა და ფორმდებოდა ესა თუ ის სახე საქალაქო ცხოვრებისა, რომელიც მთლიანად ქალაქის განმსაზღვრელად იქცეოდა.

ძველი ქართული ქალაქები რომ ერთი ტიპისანი არ არიან, ეს ცხადია. „ქალაქები სიდიდითაც, დანიშნულებითაცა და მნიშვნელობითაც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან“[177] შენიშნავდა ივ. ჯავახიშვილი. ტიპიურობის ნიშანი ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან ერთ-ერთ ფაქტორში მდგომარეობს, რომელიც სხვებთან შედარებით უპირატესად არის ასახული ცალკეულ მათგანში. მაგრამ არატიპიურიც თვალშია საცემი და სწორედ ამის მიხედვით ვცადეთ ძვე-

---

[175] ს. მაკალათია, ლეხურას ხეობა, თბ., 1964.

[176] ლ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი, შიდა ქართლის 1955 დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები. სიგ. I. 1960; Б. В. Техов, Позднебронзовая культура Лиахвского бассейна, Сталинири, 1957.

[177] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, თბ., 1946, გვ. 41.

ლი ქართული ქალაქების მაგალითზე სხვებისაგან განსხვავებულის და ცალკეული ქალაქების თუ ქალაქთა ჯგუფისათვის დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით გამოგვეყო ცალკეული ტიპები ქალაქებისა, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან, ვიმეორებთ, ერთ-ერთ ნიშანს ამჟღავნებენ უპირატესად. ამ ნიშნის მიხედვით შესაძლებელია ძველი ქართული ქალაქები განვიხილოთ სამ ძირითად ჯგუფად: I — დედაქალაქი, II — ქალაქები-სტრატეგიული პუნქტები, და III — ქალაქები-ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრები. კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ ასეთი დაყოფა პირობითია, ტიპიურობის ნიშნია წინ წამოწევით[178]. დედაქალაქობა სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ის სტრატეგიული პუნქტი არ არის, ან რომ ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრი არ არის დედაქალაქი. აქ უპირატეს დამახასიათებელ ნიშანზეა ლაპარაკი, რომელსაც ქალაქში წამყვანი ადგილი უკავია.

## 1. დედაქალაქი

ქართულ წყაროებში ერთადერთი ქალაქია აღნიშნული ძველი ქართული ქალაქების რიგში, რომელსაც სრული უპირატესობა აქვს მოპოვებული სხვებთან შედარებით. ეს არის მცხეთა — ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი. წყაროები გასაგები მიზეზების გამო მისი აღზევებისა და მოწინავეობის როლს ხსნიან არა ეკონომიური ფაქტორით, არამედ პოლიტიკური, რელიგიური და სხვ. მიზეზებით. მცხეთის ასეთი მოწინავეობა და როლი, რა თქმა უნდა, წერილობითი წყაროების მიერ არ უნდა იყოს გაზვიადებული, მას სიძლიერისათვის საჭირო ყველა ფაქტორი გააჩნდა.

მცხეთა ქართველ ეთნარქთა ბუდეა, საიდანაც იწყებს გამრავლებას და გავრცელებას ქართლის სამეფოს სამფლობელოები. დედაქალაქი ქართლისას პირველსაცხოვრისია, რომელსაც შესანიშნავი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა „და ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთვის არაგვი მტკუარსა"[179].

მცხეთა ქართლის რელიგიური ცენტრია. წერილობითი ცნობების მიხედვით, სადაც ახ. წ. IV ს. ამბებია გადმოცემული, კარგად ჩანს, რომ მცხეთაში მდებარეობდა ქართველთა მთავარი სალოცავები. რომელთა მონახულება და მოლოცვა, სათანადო რელიგიური ცერემონიალით, გარკვეულ დროში ერთხელ ხდებოდა ხოლმე. აქ იბერიის სამეფოს ყველა კუთხიდან მოდიოდნენ „ზორვად წინაშე არმაზ ღმრთისა მათისა"[180]. ლეონტი მროველს გაკვრით ერთი ასეთი

---

[178] ძველი ქართული ქალაქების განხილვისას ივ. ჯავახიშვილი სინანულით შენიშნავდა, რომ საქართველოში არცერთი ქალაქი არ იყო გათხრილი, რის მიხედვითაც საშუალება ექნებოდა მეცნიერებას ქალაქების სრული შესწავლისათვის. „ასეთი მასალების უქონლობის გამო ჩვენ იძულებული ვართ მხოლოდ იმ ცნობებით დავკმაყოფილდეთ, რომლებიც წყაროებში მოგვეპოვება" — წერდა ივ. ჯავახიშვილი (მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, გვ. 52). ასეთი მონაცემების მიხედვით ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ ქალაქები ორგვარ ცენტრს წარმოადგენდნენ — „ერთი მხრით ქალაქი ყოველთვის ადმინისტრაციული ცენტრი იყო, — დედა-ქალაქი მთელი სახელმწიფოსი, დანარჩენი ქალაქები კი სხვადასხვა საერისთაოებისა და თემებისა... მეორე მხრით, როგორც ვიცით, ქალაქი ვაჭრობა-მრეწველობის ცენტრსაც წარმოადგენდა", იქვე, გვ. 52—53.

[179] „ქ. ც-ბა," I, გვ. 8.

[180] „ქ. ც-ბა," I, გვ. 88.

მომენტი აქვს შენიშნული. როცა ურბნელები მცხეთას მოემართებიან. მაგრამ განა მარტო ურბნელები დადიოდნენ მცხეთას? მცხეთა სამეფოს რელიგიური ცენტრიც იყო, სადაც რელიგიურ დღესასწაულებზე დასასწრებად და საეკლესიო საქმეების გადასაწყვეტად სამეფოს ყველა კუთხიდან იყრიდნენ თავს.

მცხეთა ვაჭრობისა და ხელოსნობის ძლიერი ცენტრი იყო, რომელსაც სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა უცხო ქვეყნებთანაც. იგი სავაჭრო გზების შესაყარზე მდებარეობდა: აქ ერთმანეთს ჰკვეთდა ანტიკური ხანის ცნობილი სავაჭრო გზა, რომელიც მტკვრის ხეობის გავლით ბერძნულ სამყაროს აღმოსავლეთის პროვინციებთან აკავშირებდა და ჩრდილოეთიდან არაგვის ხეობით წამოსული ასევე მნიშვნელოვანი საქარავნო გზა.

როგორც ჩანს, მცხეთას ძალიან ბევრი უპირატესობა ჰქონდა, რის მიხედვითაც ის დედაქალაქად იქცა; პოლიტიკური ბატონობისათვის ჩინებული გეოგრაფიული მდებარეობა, ორი წყლის შესართავში, ძლიერი ციხეებით გამაგრებული, ეკონომიური უპირატესობისათვის ხომ მას ბადალი არა ჰყავდა, მუხრანის ნაყოფიერი ველი, ირიგაციით გაზრდილი შესაძლებლობებით, სადაც დაბების მოსახლეობა იყო თავმოყრილი. ეს ორი უკანასკნელი ფაქტორი, ეკონომიური სიძლიერე და სტრატეგიული მდებარეობა უპირატესად განსაზღვრავდა მცხეთის მოწინავეობას და მის დედა-ქალაქობას.

მცხეთა ქართულ წერილობით წყაროებში სხვადასხვა მსაზღვრელით აღინიშნებოდა. 1. ქალაქი მცხეთა; „ხოლო ამან აზონ მოაოხრივნა ზღუდენი ქალაქსა მცხეთას საფუძვლითურთ“[161]. 2. ქალაქი დიდი მცხეთა: „.... რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი“[162], ეუბნებიან მწყემსები წმ. ნინოს. 3. სამეფო ქალაქი მცხეთა; ვახტანგ გორგასალი „მოვიდა სახლსა მისსა, ქალაქსა სამეუფოსა მცხეთას“[163]. 4. მცხეთა დედა ქალაქთა. „და ეგრეთ მოიწია დედასა მას ქალაქთასა, რომელ არს მცხეთა“[164]. 5. მცხეთა დედა ქალაქი; „რამეთუ ქალაქი მცხეთა განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთასა, და უწოდდეს დედა-ქალაქად“[165], „ქალაქი დიდი, რომელსა უწოდებენ დედა-ქალაქსა“[166].

მცხეთის ასეთი სახელები, რომელთა მაგალითებიც ბევრი შეიძლებოდა დაგვესახელებინა, ქალაქის ცალკეული მხარის გამომხატველად ისმარებოდა. გარკვეული ისტორიული ამბის დროს. ისევე როგორც ძალიან ხშირად მისი ცალკეული ნაწილებიცაა აღნიშნული, მაგალითად, „ზღუდენი მცხეთისანი“. „კარნი მცხეთისანი“, „სიმაგრენი მცხეთისანი“, „ციხენი მცხეთისანი“ და სხვა.

მცხეთის დედა-ქალაქობა თუ სამეუფო ქალაქობა ბევრი პოლიტიკური თუ სოციალ-ეკონომიური საკითხების მომცველია. აქვე იურიდიული თუ პოლიტიკური მომენტებია გასარჩევი სხვა ქართულ ქალაქებთანაც, რომლებიც მჭიდრო ურთიერთობაში და კავშირში არიან მცხეთასთან. ანტიკურ ურბნისთან დაკავშირებით შესაძლებლობა გვქონდა გაგვერკვია ლეონტი მროველის ერთი ცნობა ურბნელთა მცხეთას წასვლას რომ შეეხება, რის მიხედვითაც ჩანს, თუ

---

161 „ქ ცხ.“ I. გვ. 19.

162 იქვე. გვ. 86.

163 იქვე. გვ. 157.

164 საქართველოს სამოთხე, გვ. 78.

165 „ქ ცხ.“ I.

166 ვახუშტი. აღწერა...., გვ. 60. შდრ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. II. თბ., 1965, გვ. 32; ა. აფაქიძე. ქალაქები. გვ. 11.

როგორი მჭიდრო კავშირი არსებობს ამ დროის იბერიის ქალაქებს შორის, სადაც ტონის მიმცემია მცხეთა დედა-ქალაქი, ხალხმრავალი და მჭიდროდ დასახლებული სტრატეგიული პუნქტი. არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით და წერილობით ჩვენებათა ანალიზით ა. აფაქიძეს საშუალება მიეცა ძველი მცხეთის მოსახლეობის სავარაუდო რიცხვი წარმოედგინა. მისი აზრით, ძვ. წ. II—I სს. მცხეთაში რამდენიმე ათეული ათასი მცხოვრები იყო[187]. ეს რიცხვი სრულებითაც არ უნდა იყოს გადაჭარბებული, თუ გავითვალისწინებთ, რომ მრავალუბნიანი დიდი მცხეთა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე იყო გაშენებული, სადაც ცხოვრობენ სამეფო გვარის წევრები და წარჩინებულნი (მათ შორის პიტიახშები, ეზოსმოძღვრები, სამეფო კარისა და პიტიახშთა ოჯახის წევრები, მსხვილი მიწათმფლობელნი და მონათმფლობელნი), სამხედრო სამოხელეო არისტოკრატია, ხელოსნები: მეთუნენი (მეჭურჭლენი, მექვევრენი, მეკრამიტენი, მეაგურენი), ქვით-ხურონი, კვერით-ხურონი, ხით-ხურონი, ოქრომჭედელნი, ზარაფხანის ოსტატნი, ჰიქის მოქმედნი, წამწერელნი, „რკინის კაცები", ხიდის გამგებნი, უამრავი ვაჭარნი, ციხე-სიმაგრეთა მცველი რაზმები, კულტის მსახურნი და სხვ.[188].

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ დედა-ქალაქის ტიპი სავარაუდოა მხოლოდ და მხოლოდ მცხეთის მიხედვით, და რომ იგი მომცველია ყველა იმ მნიშვნელოვანი მომენტისა, რომლებიც ქალაქთა სხვა ტიპებისათვის იყო დამახასიათებელი.

## II. ქალაქები—სტრატეგიული პუნქტები

ძველი ქართული ქალაქების ერთი ჯგუფი თავდაცვისუნარიანობის მაღალი ეფექტურობის წყალობით არის წამოწეული. ეს ქალაქები — ძლიერი სტრატეგიული პუნქტები, უმთავრესად ბუნებრივად მიუვალ ადგილებზე არიან გაშენებული. განსაკუთრებული ზრუნვის შედეგად მათი ციხეები შეუვალია და გეოგრაფიული მდებარეობის შესაფერისად გამაგრებული. მაგრამ ამ ჯგუფებში განხილვისათვის მარტოოდენ გეოგრაფიული უპირატესობა არ კმარა. ქალაქი უნდა წარმოადგენდეს სტრატეგიულ ადგილს ქვეყნის, მხარის, საერისთავოს თუ სხვათა დასაცავად. აქედან გამომდინარე ძველი ქართული ციხე-ქალაქები, რომლებსაც სტრატეგიული პუნქტების ჯგუფში ვათავსებთ, უმთავრესად საერისთავოს, ან მხარის ადმინისტრაციულ ცენტრებს წარმოადგენდნენ. ასეთი ციხე-ქალაქებია: ოძრხე, წუნდა-ხერთვისი, ხუნანი, სამშვილდე. რა თქმა უნდა, მცხეთა და სხვ.

ამ ვარაუდის გასამაგრებლად კვლავ ლეონტი მროველის ერთი ცნობა შეიძლება მოვიშველიოთ: ძვ. წ. III ს. ფარნავაზი ახდენს ქართლის სამეფოს ცენტრალიზაციას, აწესებს საერისთავოებს და უჩენს მთავარ პუნქტებს; ერთი გაგზავნა მარგვის ერისთავად და აუშენა ორი ციხე შორაპანი და დიმნა, მეორე გაგზავნა კახეთის ერისთავად, მესამე ხუნანის ერისთავად, მეოთხე სამშვილდის ერისთავად, მეხუთე გაგზავნა წუნდის ერისთავად, მეექვსე გაგზავნა ოძრხის ერისთავად, მეშვიდე კლარჯეთის ერისთავად, მერვე იყო ეგრისის ერისთავი. ეს ცნობა აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს; საერისთავოების ცენტრები მისდამი დაქვემდებარებული მხარის დამცველებად გვევლინებიან.

---

[187] ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, გვ. 223.
[188] ა. აფაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 240.

ისინი ამასთანავე სტრატეგიული პუნქტების როლს ასრულებენ. სხვა საკითხია, რა პრინციპის მიხედვით ხდება საერისთავოებად დაყოფა. ეს ამ შემთხვევაში არ გვაინტერესებს. მთავარია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ქალაქები ეკონომიურად მოწინავეობასთან ერთად ვალდებულნი არიან იკისრონ მათზე დაქვემდებარებული მხარის დაცვა. მათი განლაგების თავისებურებების შესახებ ადრე უკვე იყო საუბარი და აქ არას ვიტყვით.

ასეთი ტიპის ქალაქებიდან, ჩვენი აზრით, წინ წამოწევის ღირსია, მაგალითად, სამშვილდე, ორი წყლის შესაყარზე, მაღალ კლდოვან მასივზე ნაშენი ციხე-ქალაქი; დმანისი მსგავსივე განლაგებისა; ოძრხე აგებული მაღალ ფრიალო ქედზე, როგორც ლეონტი მროველი ამბობს „მოკიდებული კლდესა ღადოსსა“, და სხვ.

სტრატეგიულ პუნქტებზე მსჯელობისას ცალკე უნდა შევჩერდეთ ციხე-ქალაქების ერთ სახეზე, რომელიც გარკვეულ გარემოში იშვებოდა და მათი დამახასიათებელი ნიშანი სწორედ გეოგრაფიული მდებარეობიდან არის გამოყვანილი. როდესაც წუნდის სტრატეგიულ მხარეებზე იყო ლაპარაკი, აქ ხერთვისს ვგულისხმობდით, როგორც წუნდის ციხეს. ის ქალაქის, ასევე ხეობის და, საერთოდ, საერისთავოს დამცველი იყო.

**ხერთვისი და, საერთოდ ხერთვისები, სტრატეგიული, გამაგრებული ადგილების აღმნიშვნელი უნდა იყოს.** წერილობით წყაროებში, როგორც გამორკვეული აქვს ა. შანიძეს, ხერთვისი აღნიშნავდა როგორც დღევანდელ კუნძულს, ისე აგრეთვე ნახევარკუნძულსაც[189]. მისი აზრით, სახელი ხერთვისი ეტიმოლოგიურად უკავშირდება ზმნის ფორმას „ერთვის“. ხერთვისი მოსალოდნელია იყოს იქ, სადაც მდინარე უერთდება მდინარეს, ანდა ზღვას. აქედან არის ნაწარმოები ხანმეტური ხერთვის (ერთვის), ე. ი. ერთვის (ხერთვის) მდინარე მდინარეს ან ზღვას. ა. შანიძეს თავის ნაშრომში განხილული აქვს ყველა ძველი წერილობითი ცნობა, სადაც კი „ხერთვისი“ გვხვდება. ბევრი უძებნია რუკაზედაც და ჩამოთვლის ხერთვისების მთელ რიგს, რომლებიც ჩვენში ყოფილა ცნობილი. ასეთი ადგილებია: 1. ჯავახეთში, იქ, სადაც მტკვარს ერთვის ახალქალაქის წყალი; 2. ფოცხოვში, წურწყაბიდან 15-მდე ვერსის მანძილზე, ჩრდილოეთით; 3. კლარჯეთში, არტანუჯის აღმოსავლეთით, ათიოდე ვერსის მანძილზე; 4. აჭარაში, სადაც ჭოროხს აჭარის წყალი ერთვის (ზედა ხერთვისი?); 5. აჭარაშივე, მაჭახელის წყალზე (ქვედა ხერთვისი); 6. ქინვაშს გაღმა, სადაც ფშავისა და მთიულეთის არაგვი ერთდებიან და რომელსაც ხერთვისს ეძახიან[190].

„ხერთვისით“ რომ მდინარეების შეერთების ადგილი აღინიშნებოდა (ან მდინარისა ზღვასთან), ეს ცხადია. საეჭვოა აქ ერთი რამ; ზმნის ფორმით (ხერთვის-ერთვის) ადგილის აღნიშვნა ქართულ ტოპონიმიკაში არ არის დამახასიათებელი, მართალია პატივცემული მკვლევარი ამასთან დაკავშირებით იშველიებს სახელთა მთელ რიგს (ღვთისა ვარ, მინდია, გამიხარდი, მახარე, გინდრა, მეწყინა, კმარა, ღირსი, არსი და სხვ.)[191]. მაგრამ ესენი ხომ ადამიანთა საკუთარი სახელებია და თუ რომელიმე მათგანი შეგვხვდება ადგილის სახელად, უპირველესად ყოვლისა ზმნის ძველი ფორმით ადგილის სახელის აღნიშვნისათვის.

---

189 ა. შ ა ნ ი ძ ე. ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში, თსუ. მოამბე, II, 1922—23 წწ., გვ. 271.

190 ა. შ ა ნ ი ძ ე, იქვე, გვ. 271—272.

191 ა. შ ა ნ ი ძ ე, იქვე, გვ. 274.

თვით ადგილის სიძველე უნდა ვიცოდეთ. ეს კი აქ არ ჩანს. შესაძლებელია მთლიანად უარსაყოფი არ იყოს ი. როსტომაშვილის მოსაზრება ამის თაობაზე, რომლის მიხედვითაც „ხერთვისში“ „ხ“ შემოკლებული ხევია, — მდინარე, წყალი[192], (ხევ-რთვისი?), ხევების, მდინარეების შერთვის ადგილი.

ხერთვისის აღსანიშნავად სხვა ტერმინებიც იხმარებოდა. ვახუშტი ხმარობს, მაგალითად, „ორთა მდინარეთ შესართავს შორის“. ახალქალაქის ხერთვისის შესახებ იგი წერს: „ხოლო ახალქალაქი არს ამ ორთა მდინარეთ შესართავს შორის“[193]. ასეთი გამოთქმა მას სხვა შემთხვევაშიაც აქვს ნახმარი. ვხვდებით აგრეთვე „შესაკრებელსა ორთა მათ წყალთასა“; სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში არის ასეთი ადგილი — „მოიწინეს შესაკრებელსა ორთა მათ წყალთასა, ხოლო იყო მუნ წისქვილი სახლი რაჲმე, შესაკრებელსა მას შუა წყალთასა“[194]. ჯუანშერი ერთ ადგილზე ახსენებს „ორთა წყალთა შუას“ („აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნეხპატს ორთა წყალთა შუა“)[195]. ხერთვისის სინონიმი უნდა ყოფილიყო „შერთულიც“. „მატიანე ქართლისაჲ“ ალფარსლანის ქართლში ლაშქრობის აღწერისას მოიხსენიებს „შერთულთას“ („და თვით თავადი სულტანი დადგა კარბსა, და მერმე ჩამოდგა შერთულთა“)[196], რომელიც გორის მიდამოებში უნდა იყოს ლოკალიზებული[197].

როგორი ახსნაც არ უნდა ჰქონდეს „ხერთვისს“, ერთი რამ ცხადია; ხერთვისი წარმოადგენდა მდინარეთა შესაყარს, უმეტეს წილად სტრატეგიულ ადგილს, რომელიც უძველესი დროიდან მოკიდებული, განსაკუთრებულ ზოლში მოქცეული. ხერთვისის და, საერთოდ, ხერთვისების გააზრება გასაგებია როგორც სტრატეგიული ადგილებისა, რომლებიც ქალაქების — სტრატეგიული პუნქტების ერთ-ერთ ძირითად სახეს წარმოადგენდნენ. ამ ნიშანდობლივი თავისებურებების გამო ხერთვისებად გვევლინებიან ისეთი ცნობილი პუნქტები, როგორიცაა მცხეთა, სამშვილდე, დმანისი, ქინვანი, გორი, ახალქალაქი, ხორანთა და სხვ.

## III. ქალაქები — ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრები

რომ ვაჭრობაცა და ხელოსნობაც ქალაქების მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი სახეა, ეს კარგად არის ცნობილი. ხელოსნობა, მასთან დაკავშირებით ვაჭრობა, ბაზარი, გზა ქალაქების თანამგზავრია. კლასობრივი საზოგადოების შობა, ხელოსნობის უფრო მეტად გამოყოფა და ჩამოშორება მეურნეობის მთავარი სახისაგან, ქალაქების წარმოშობის ერთ-ერთი მთავარი პირობაა, ამდენად ქალაქებში რომ საქალაქო მეურნეობის დარგები იყოს განვითარებული და იქ ვაჭრობის ცენტრები თავმოყრილი, ბუნებრივი მოვლენაა და არავითარ ეჭვს არ იწვევს. შესამჩნევია ის, რომ ზოგ ქალაქში ვაჭრობაცა და ხელოსნობაც უფრო განმსაზღვრელია და აქ სხვა ისეთ პრივილეგიებს, როგორიც არის დედა-

---

[192] И. П. Ростомашвили, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, СМПМК, XXV, стр. 115.

[193] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 130.

[194] ცხოვრება და მოქალაქობა სერაპიონ ზარზმელისა, კ. კეკელიძის გამოცემა, ტფ., 1935, გვ. 159.

[195] „ქ ც-ბა,“ I, გვ. 244.

[196] „ქ ც-ბა,“ I, გვ. 309.

[197] ნ. ბერძენიშვილი, ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინის გამო, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 337.

ქალაქობა, სტრატეგიული ადგილმდებარეობა, ადმინისტრაციული რაიონის ცენტრი და სხვ. ვერ ვავდებით. აქედან გამომდინარე, ძველი ქართული ქალაქების რიგში სხვებთან ერთად ვხვდებით ქალაქებს, რომლებიც ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრებს წარმოადგენდნენ. აქ კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ, რომ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს სხვა ქალაქები მოკლებულნი იყვნენ ამ დარგებს. აქ ლაპარაკია მის განმსაზღვრელ როლზე. ასეთი დაყოფა ქალაქთა ტიპებად, რა თქმა უნდა, პირობითია.

ვაჭრობისა და ხელოსნობის თავმოყრის ერთ-ერთი შესანიშნავი მაგალითია მცხეთა, ქალაქი, სადაც სხვადასხვა დარგის ხელოსანთა მრავალრიცხოვანი არმია იყო თავმოყრილი. აქ, სავაჭრო გზების შესაყარზე, შესანიშნავი ადგილი იყო ბაზრისათვის, მით უმეტეს, რომ თავისი მწარმოებელიცა ჰყავდა. მცხეთის შესახებ მოკლედ უკვე იყო შენიშნული და აქ აღარაფერს ვიტყვით. მის შესახებ საკმაოდ მდიდარი არქეოლოგიური ლიტერატურა არსებობს.

ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრის საუკეთესო მაგალითია ურბნისი. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ქალაქთა ზემოთ შემოთავაზებული ტიპებისათვის მასალა უპირველესად ურბნისის არქეოლოგიური შესწავლის შედეგად მოგვეცა. განა დამაფიქრებელი არ უნდა იყოს მისი მდგომარეობა ანტიკური ხანისათვის? განლაგებულია არცთუ შესამჩნევ ადგილზე, მართალია კონცხზე, მაგრამ გადავაკებულ ველზე, რომელიც შემდგომად ხელოვნურად გაუმაგრებიათ (აქ კგულისხმობთ არა ხიზანაანთ გორას, არამედ მთლიანად ქალაქს მის ვრცელ ტერიტორიაზე, რომელზედაც იყო განლაგებული ჯერ კიდევ ელინისტური ხანიდან მოყოლებული). იგი არ წარმოადგენდა არც მდინარეთა შესაყარს — ხერთვისს, არც მიუვალ ადგილზე ნაგებ-ნაშენს, აქ არც მხარის თუ საერისთავოს ადმინისტრაციული ცენტრი ყოფილა მოთავსებული. მიუხედავად ამისა, ურბნისი ეკონომიურად ძლიერი პუნქტი იყო, სამიწათმოქმედო ზონა, რომლის ინტენსივობა სარწყავი სისტემებით იყო ვაზრდილი და მნიშვნელოვანწილად გაპირობებული.

ურბნისი არა ყოფილა სტრატეგიული პუნქტი, მისი გამაგრების სისტემა ძირითადად ქალაქს ესაჭიროებოდა, რომელიც ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრს წარმოადგენდა. იგი გზაზე იდო და მას საშუალება ჰქონდა სავაჭრო ურთიერთობა ჰქონოდა სხვა ქვეყნებთანაც.

ანტიკური ურბნისის არქეოლოგიური მონაცემებით ირკვევა, რომ ურბნისის ეკონომიკის ძირითადი სახეა საქალაქო მეურნეობა, საკმაოდ მაღალ საფეხურზე ასული, რომელიც იმდროინდელი კულტურული სამყაროს მაჯისცემას შესანიშნავად არის გაცნობილი. თავისი მატერიალური კულტურით იგი მცხეთის გვერდით დგას და ვინ იცის თუ არ წარჩინებულთა და ერისთავ-პიტიახშთა უმთავრესად საინსიგნიო ნივთები მას ტოლსაც არ დაუდებდა. ურბნისში მხოლოდ ერთი სამაროვანი გაითხარა ანტიკური ხანისა, საპირისპიროდ მცხეთის რამდენიმე სამაროვნისა და რამდენი ძვირფასი რამ შესძინა ჩვენს არქეოლოგიას. სწორედ არქეოლოგიური მონაცემებით ვლინდება, რომ ურბნისის ძირითადი მოსახლეობა ხელოსნები და ვაჭრები არიან. განა ამაზე არ მიუთითებს უამრავი რაოდენობის საბეჭდავების აღმოჩენები, რომლებზედაც მთელი პანთეონი და მითოლოგიაა წარმოდგენილი ანტიკური ხანისა? საბეჭდავები ხომ უტყუარი ნიშანია ქალაქის მოსახლეობისა. ასევე, როგორც მცხეთაში, ურბნის-

შიაც ამ დროს უნდა ყოფილიყვნენ მეთუნეები, ოქრომჭედლები, ძვირფას ქვებზე მომუშავენი, ჭიქის ოსტატნი, მჭედლები და სხვ. მრავალნი.

ურბნისის ასეთი მდგომარეობა ახ. წ. IV ს-მდე უნდა გაგრძელებულიყო. ჭისი ერთი სამაროვანი, სადაც ამ დროის სამარხებია გათხრილი, კვლავ მოიცავს ძვირფას ნივთებს. სამარხები, როგორც ჩანს, ქალაქის საშუალო შეძლების მოსახლეობის საკუთრებაა. ეს სოციალური ფენა ვაჭარ-ხელოსნებისაა, რომლის ხალხმრავლობაზე და სიძლიერეზე ცნობას წერილობით წყაროშიაც ვხვდებით. წმ. ნინოს ქართლში და ურბნისში მოსვლის შემდეგ „ქართლის ცხოვრებაში“ ერთი საყურადღებო ამბავია საკმაოდ ძუნწად მოთხრობილი, სადაც ავტორს სურდა წმ. ნინოს ურბნისიდან მცხეთას გამგზავრება გადმოეცა: „...დღესა ერთსა აღიძრნეს ერნი ძლიერნი და ურიცხუნი სიმრავლითა, მით ქალაქით (ურბნისით. — ლ. ჭ.) წარმავალნი დიდად ქალაქად მცხეთად, რომელი იყო საჯდომელი დიდთა მეფეთა, ვაჭრობად და ლოცვად არმაზ-ღვთისა მათისა“[198]. აქედან შეიძლება შევიტყოთ, რომ „ერნი ძლიერნი და ურიცხუნი სიმრავლითა“, რომელნიც ურბნისიდან მცხეთას მიემართებიან, სწორედ ვაჭრების და ხელოსნების ფენაა. ისინი ალბათ ქონებრივი მდგომარეობის გამო იმსახურებენ „ძლიერნის“ ეპითეტს. „ერნი ძლიერნი“, მოქალაქეთა ძირითადი ფენა „ურიცხუნი“ ვაჭრობას ეწევა (შესაბამისად ხელოსნობასაც) და ამითაა იგი ძლიერი. ლეონტი მროველის მიხედვით ისინი არიან „ერნი დიდნი“[199].

ურბნისის, როგორც ქალაქის დაცემა, ბევრი ფაქტორით იყო გაპირობებული (გარეგანი ძალა—მურვან ყრუს შემოსევა, ეკონომიური სიძნელენი არაბთან დაკავშირებით, რუსის მეტოქეობით, ფეოდალიზაციის პროცესი და სხვ.), რომელთაგან ერთ-ერთი იყო მტკვრის გაყოლებით გამავალი სავაჭრო გზის მოშლა, რის გამომწვევ მიზეზთაგან მთავარი იყო ირან-ბიზანტიას შორის ამტყდარი ომი. ქალაქებისათვის, მითუმეტეს, სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებისათვის გზა ბევრ რამეს ნიშნავდა და მისი მოსპობის შემთხვევაში ბევრი ძლიერი და ცნობილი ქალაქიც კი დაცემულა და დაუკარგავს მნიშვნელობა.

